

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მარიკა თედორაძე

ენობრივი ერთეულის სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები
(საუკუნოვანი დისკუსია
ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის შესახებ)

ფილოლოგიის (აკადემიური) დოქტორის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე

ქუთაისი, 2018

შინაარსი

შესავალი	4
თავი I. ქართველთა ენობრივი სამყაროს სემანტიკის ისტორია	9-94
1.1. ქართველური ქვესისტემების სახელდება 1921 წლამდე.....	9
1.1.1. ისტორიული წყაროების ანალიზი.....	9
1.1.2. სამეცნიერო შეხედულებების ანალიზი.....	14
1.1.3. პრესის მასალების მიმოხილვა.....	25
1.1.4. ქართველ კლასიკოსთა შეხედულებები.....	36
1.2. ქართველური ქვესისტემების კვალიფიკაცია საბჭოთა პერიოდში.....	44
1.2.1. ბოლშევიკური ხელისუფლების ანტიქართული ენობრივი პოლიტიკა საქართველოში და დისკუსია მეგრული მეტყველების სტატუსის შესახებ 1925-1930 წლებში გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით.....	44
1.2.2. არნ. ჩიქობავა მეგრული მეტყველების სტატუსისა და სკოლაში მეგრულად (სვანურად სწავლების შესახებ.....	59
1.2.3. ქართველური ქვესისტემების კვალიფიკაცია XX საუკუნის 50-80-იან წლებში.....	71
1.3. დისკუსია ქართველური ქვესისტემების კვალიფიკაციის შესახებ პოსტსაბჭოთა პერიოდში.....	75
1.3.1. ქართველთა საშინაო მეტყველებების სტატუსის შესახებ დისკუსიის განახლება.....	75
1.3.2. ქართველთა საშინაო მეტყველებების სტატუსის შესახებ დისკუსია ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხებში“	82
1.3.3. ქართველთა საშინაო მეტყველებების სტატუსის შესახებ დისკუსია (2007-2017 წლების სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით).....	87
თავი II. თანამედროვე კვლევებში წარმოდგენილი ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერიუმები	95-143
2.1. ლინგვისტური კრიტერიუმები.....	95
2.1.1. შიდასტრუქტურული კრიტერიუმები.....	95

2.1.1.1. ბგერათმეცნიერების მნიშვნელობა.....	102
2.1.1.2. ენობრივი სტრუქტურების მსგავსება-განსხვავება.....	107
2.1.2. სოციოლინგვისტური კრიტერიუმები.....	116
2.1.2.1. დამწერლობის ქონა-არქონა, სტანდარტულობა.....	116
2.1.2.2. პრესტიჟულობა.....	117
2.1.2.3. სახელმწიფო ენის სტატუსი; რეესტრული კრიტერიუმი.....	118
2.1.2.4. თვითშეფასებითი კრიტერიუმი (თვითიდენტიფიკაცია).....	120
2.1.2.5. ეთნოსის მეტყველების სტატუსის კვალიფიკაცია სამწიგნობრო კულტურის ისტორიის გათვალისწინებით	123
2.1.2.6. დაქვემდებარებითი კრიტერიუმი.....	126
2.2. ექსტრალინგვისტური კრიტერიუმები.....	129
2.2.1. გაგებინება.....	129
2.2.2. ენის სტატუსის განსაზღვრა რელიგიური ნიშნით.....	136
2.2.3. ენის სტატუსის განსაზღვრა პოლიტიკური ნიშნით.....	138
თავი III. ქართველური ქვესისტემების კვალიფიკაცია/კლასიფიკაცია.....	143-177
3.1. სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი სისტემის საკითხი.....	143
3.2. ქართველური უმწერლობა ენა თუ ქართველური დიალექტი?.....	156
3.3. ქართველურ ქვესისტემათა კლასიფიკაცია.....	162
3.3.1. ქართველურ ქვესისტემათა კლასიფიკაცია ქართველთა სამწიგნობრო ენასთან მიმართებით	162
3.3.2. ქართველურ ქვესისტემათა კლასიფიკაცია საერთოქართველურ ფონემატურ სტრუქტურასთან მიმართებით	170
3.3.3. ქართველურ ქვესისტემათა კლასიფიკაცია იზოგლოსების მიხედვით.....	172
დასკვნითი დებულებები	178
დამოწმებული ლიტერატურა.....	183
დანართი	199-382

შესავალი

ქართველ ერს აქვს მრავალსაუკუნოვანი სწამწიგნობრო ტრადიცია. ამის მიუხედავად, ზოგი დღესაც ცდილობს, ქართველთა ნაწილი გამოაცხადოს „უმწერლობო ენების“ მფლობელებად; კერძოდ, მეგრულ-ჭანურ და სვანურ დიალექტებს დამოუკიდებელ „უმწერლობო ენებად“ მიიჩნევენ. ქართველთა საშინაო მეტყველებების „უმწერლობო ენებად“ გამოცხადება სათავეს იღებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ცარიზმმა საქართველოს ტერიტორიის ანექსიის პროცესში მიზნად დაისახა ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრება - ქართველთა ეროვნული მეობის წაშლა. „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვა გაგრძელდა საბჭოთა პერიოდშიც; კერძოდ, ი. სტალინმა **„დაგვიანებული ერების ენები“** უწოდა მეგრელების, სვანების, აჭარლების... საშინაო მეტყველებებს. რუსულ იმპერიულ ენობრივ პოლიტიკას უკვე ასწლოვანი ტრადიცია აქვს, შესაბამისად, თანამედროვე მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებსა თუ კვლევით ცენტრებში დამკვიდრებულია ეს და სხვა მსგავსი იდეოლოგიები. ქართველური ენობრივი სამყაროს რეალური სურათის წარმოსაჩენად არსებითია უმწერლობო ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერიუმების გათვალისწინებით გავიაზროთ ქართველთა ენობრივი ისტორია.

თემის აქტუალურობა: ზოგადად ენათმეცნიერებაში აქტუალურია ენისა და დიალექტის მიმართების საკითხი. აღნიშნული საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა ქართულ სამეცნიერო წრეებშიც, რის საფუძველზეც მკვლევართა ერთი ნაწილი გამოყოფს სამ თუ ოთხ ქართველურ ენას (ქართული, სვანური, მეგრული/ლაზური), მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ არსებობს ერთი ქართული ენა-სამწიგნობრო ენითა და მრავალრიცხოვანი დიალექტებით (მეგრულ-ლაზურ-სვანური განხილულია ქართლური, იმერული, ხევსურული კილოების გვერდით).

თანამედროვე რეალობაში ქართველური ენა-კილოების კვალიფიკაციის საკითხს აქტუალურს ხდის „რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიკაციის ვალდებულება, რომელიც საქართველომ აიღო 1999 წელს; კერძოდ, ევროპელი ექსპერტები (და ქართველ ექსპერტთა ერთი ნაწილი)

საქართველოს ხელისუფლებას სთავაზობენ, რეგიონულ თუ უმცირესობის ენად აღიარებულ იქნეს 12 ენა, რომლებზედაც გავრცელდება „რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ „ევროპული ქარტიის“ დებულებები. ამ 12 ენას შორისაა: აზერბაიჯანული, სომხური, მეგრული, სვანური, ლაზური, უდიური და სხვ. ექსპერტთა მეორე ნაწილი არ იზიარებს ამ თვალსაზრისს: დავის საგანია როგორც საკუთრივ ქართველთა კუთხური მეტყველებების ერთი ნაწილის, ისე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით მიგრირებული ეთნიკური ჯგუფების მეტყველების სტატუსი. ვფიქრობთ, ამ პრობლემის გადაჭრის მიმართულებით დიდი მნიშვნელობა აქვს აკადემიურ ინფორმაციასა თუ ლოგიკურ მსჯელობას ენისა და კილოს გამიჯვნის კრიტერიუმების შესახებ. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლო დრომდე არ შექმნილა ნაშრომი, რომელიც ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერიუმების გათვალისწინებით მეტ-ნაკლებად სრულად ასახავს იმ დისკუსიას, რომელიც 100 წელზე მეტი ხანია მიმდინარეობს ქართველურ ქვესისტემათა კვალიფიკაციისა და კლასიფიკაციის შესახებ. ასეთი ნაშრომის შექმნა საშურია, რამდენადაც, არაიშვიათად, მიზანმიმართულად იჩქმალება განსხვავებული აზრის არსებობა; მაგ., პროფ. თ. გვანცელაძის აზრით, „ქართველურ „ენათა“ შესწავლის ისტორიის მიმოხილვისას ან სრული დუმილით უვლიდნენ გვერდს ან ფრთხილად მიანიშნებდნენ იმ ფაქტს, რომ ი. გიულდენშტედტს, ფ. მიულერს, მ. ჯანაშვილს, რ. ერკერტსა და პ. ჭარაიას მეგრული, ჭანური და სვანური დამოუკიდებელ ენებად კი არა, ქართული ენის დიალექტებად მიაჩნდათ“ (გვანცელაძე 2005: 589).

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს:

- ქართველთა ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის ისტორიის შესწავლას;
- თანამედროვე კვლევებში წარმოდგენილი ენისა და კილოს გამმიჯნავი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური კრიტერიუმების ანალიზს;
- ქართველური ქვესისტემების კლასიფიკაციას სამწიგნობრო ენის ისტორიასთან მიმართებით, საერთოქართველური ფონემატური სტრუქტურის ტრანსფორმაციის გათვალისწინებით და იზოგლოსების მიხედვით.

ჩვენი მიზანია, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო ველში წარმოდგენილი ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერიუმების ანალიზის ფონზე ქართველური და გერმანული ქვესისტემების კვალიფიკაციის შეპირისპირებითი ანალიზი.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრა **ამოცანებიც**; კერძოდ:

- ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის ისტორიის შესწავლა 1921 წლამდე,
- ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის ისტორია საბჭოთა პერიოდში,
- ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის ისტორია პოსტსაბჭოთა პერიოდში.
- თანამედროვე კვლევებზე დაყრდნობით ენისა და კილოს გამმიჯნავი სხვადასხვა კრიტერიუმის **(ლინგვისტური კრიტერიუმები: შიდასტრუქტურული: ბგერათშესატყვისობა, მორფოლოგიური ენობრივი სტრუქტურების მსგავსება- განსხვავება; ფუნქციური: დამწერლობის ქონა-არქონა, სტანდარტულობა, პრესტიჟულობა, სახელმწიფო ენის სტატუსი; რეესტრული კრიტერიუმი, თვითშეფასებითი კრიტერიუმი, სამწიგნობრო კულტურის შექმნაში მონაწილეობა... ექსტრალინგვისტური კრიტერიუმები: გაგებინება, ენის სტატუსის განსაზღვრას რელიგიური და პოლიტიკური ნიშნით) გაანალიზება;**
- ქართული სალიტერატურო ენის საყრდენი ენობრივი სისტემის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული აზრთა სხვადასხვაობის შესწავლა;
- ქართველურ ენობრივ ერთეულთა¹ სხვადასხვა კლასიფიკაციის/დაჯგუფების საფუძვლის გარკვევა და ჩვენეული მიდგომის ჩამოყალიბება...

მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, კრიტიკულად გავაანალიზეთ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, დავამუშავეთ საისტორიო წყაროები („ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილის თხზულება, XII საუკუნეში უცნობი ავტორის მიერ გადამეტაფრაზირებული „დავით და კონსტანტინეს მარტვილობა“, „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“), საარქივო დოკუმენტები (საქართველოს ეროვნული არქივი, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ქუთაისის ცენტრალური

¹ სადისერტაციო ნაშრომში ტერმინი „ენობრივი ერთეული“ გულისხმობს „სამეტყველო ერთეულს“; კერძოდ, სამეტყველო ერთეული არის მოცემული სოციუმის მეტყველება, რომელიც, ენისა და კილოს/კილოკავის სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმის შესაბამისად, შეიძლება კვალიფიცირდეს დამოუკიდებელ ენად, დიალექტად, კილოკავად...

არქივი) და პრესის მასალები („ივერია“, „დროება“, „კვალი“, „მწყემსი“, „კომუნისტი“...).

დისერტაციის პრაქტიკული ღირებულება: სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებული მასალა და კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. დისერტაცია დახმარებას გაუწევს საკითხით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

კვლევის მეთოდები: სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია კვლევის სტატისტიკური, შეპირისპირებითი, აღწერითი და ანალიზის მეთოდები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია ბოლო ასწლეულში ქართველური ქვესისტემების განსხვავებული კვალიფიკაციების ისტორია და ნაჩვენებია ქართველურ ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის შესახებ არსებული აზრთა სხვადასხვაობის საფუძველი. სადოქტორო ნაშრომში კრიტიკულადაა განხილული ის სამეცნიერო ნაშრომები, სადაც წარმოდგენილია ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერიუმები; ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით გაშლილია საინტერესო მსჯელობა ქართველური და გერმანული ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის ისტორიის შესახებ. ნაშრომის მეცნიერული სიახლეა ისიც, რომ ერთმანეთთან შეპირისპირებითაა განხილული საისტორიო წყაროები, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები, საქართველოს ეროვნულ არქივში, ქუთაისის ცენტრალურ არქივში, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივსა და საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული მასალები, სხვადასხვა დროს მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები, საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებები და სხვ. მასალათა ნაწილი საზოგადოებისათვის უცნობია და საინტერესო ინფორმაციას შეიცავს საკვლევ თემასთან დაკავშირებით.

ნაშრომის აღწერა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავის, დასკვნითი დებულებების, დამოწმებული ლიტერატურისა და დანართისაგან.

შესავალში მოცემულია საკვლევ თემის ზოგადი დახასიათება, თემის აქტუალურობა, მიზნები, ამოცანები. დასაბუთებულია სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

პირველ თავში თავმოყრილი და გაანალიზებულია ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციასთან დაკავშირებული ყველა თვალსაზრისი. მასში გამოიყოფა

სამი ქვეთავი, რომელშიც დაწვრილებით არის განხილული ქართველურ ენა-კილოთა კვალიფიკაციის პრობლემა: კერძოდ, ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაცია 1921 წლამდე, საბჭოთა პერიოდში, პოსტსაბჭოთა პერიოდში.

მეორე თავი ეხება თანამედროვე კვლევებში წარმოდგენილ ენისა და კილოს გამმიჯნავ კრიტერიუმებს. ცალ-ცალკე ქვეთავი ეთმობა საკუთრივ ლინგვისტურ (შიდასტრუქტურულ, სოციოლინგვისტურ) და ექსტრალინგვისტურ კრიტერიუმებს.

მესამე თავში განხილულია ქართველური ქვესისტემების კვალიფიკაციის საკითხი (სამწიგნობრო ენა და დიალექტები). გაანალიზებულია ქართული სალიტერატურო ენის საყრდენი ენობრივი სისტემა. დადასტურებულია, რომ გერმანული, ფრანგული და იტალიური ენებისაგან განსხვავებით, ქართული სამწიგნობრო ენა ეყრდნობა საერთოქართველურ ენას და არა რომელიმე დიალექტს. ამავე თავში კრიტიკულად არის განხილული ტერმინები: „ქართველური უმწერლობო ენა“, „ქართველური დიალექტი“ და წარმოდგენილია ქართველურ ქვესისტემათა დაჯგუფება სოციოლინგვისტური (ეთნოკულტურული) კრიტერიუმისა და იზოგლოსების მიხედვით.

დასკვნით დებულებებში შეჯამებულია კვლევის შედეგები.

დანართში წარმოდგენილია სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტები, რომელთა ნაწილი სამეცნიერო საზოგადოებისათვის უცნობია.

I თავი

ქართველთა ენობრივი სამყაროს სემანტიკის ისტორია

1.1. ქართველური ქვესისტემების სახელდება 1921 წლამდე

1.1.1. ქართული ისტორიული წყაროების ანალიზი

თანამედროვე ენათმეცნიერებაში აქტუალურია ენისა და დიალექტის მიმართების საკითხი. მსოფლიოში არსებულ ენათა რაოდენობა ზუსტად არ არის განსაზღვრული, ასახელებენ 7000-მდე ენობრივ ერთეულს. ამ სხვაობის მიზეზი არის ის, რომ არ არსებობს ენისა და დიალექტის მყარად განსაზღვრული დეფინიცია. სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვაგვარად განმარტავს აღნიშნულ ცნება-ტერმინებს.

ქართველური ენობრივი სამყაროს შემადგენლობისა და ერთიანი ქართველი ერის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა ჩვენს წინაპრებში, მათ ერთი თვალსაზრისი ჰქონდათ, რაზეც გარკვევით მოგვითხრობს ისტორიული წერილობითი წყაროები. „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ, ლეონტი მროველის მატეანეში („მეფეთა ცხოვრება“) მოცემულია კონცეფცია ქართველთა ერთიანი წარმოშობისა და მათი ენის ერთიანობის შესახებ. მემატეანე ცალკე ენებად არც ერთხელ არ ასახელებს მხოლოდ რეგიონებში გავრცელებულ რომელიმე სამეტყველო ერთეულს (მეგრულს, ჭანურ-ლაზურს, სვანურს, ფხოურს, დვალურს, მესხურს, ჰერულს და სხვას). იგი წერს ქართველთა ერთადერთი ენის არსებობისა და ფუნქციონირების შესახებ. მაგალითად:

1. მეფე ფარნავაზის (ძვ. წ. IV-III სს.) მოღვაწეობამდე საქართველოში (ქართლი) არსებული ვითარების (მათ შორის ენობრივი სიტუაციის) აღწერის დროს ავტორი აცხადებს: „და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა~: ქართული, ხაზარული, ასურული, სომხური, ებრაული და ბერძნული“ (ქართლის ცხოვრება 2008: 36).

2. მეფე ფარნავაზის დამსახურებათა შეჯამებისას მემატეანე წერს: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა~

ქართული (//ენა~ ქართლისა), და არღარა იზრახებოდა სხუა~ ენა~ ქართლსა შინა თანერ ქართულისა (//ქართლისა), და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (იქვე: 46).

„ქართლის ცხოვრების“ სხვა მატრიანეებშიც არ სახელდება ცალკე ენებად ქვეყნის რეგიონებში „არსებული ენები“ (გვანცელაძე 2010: 157-158).

ტ. ფუტკარაძის აზრით: „ქართლის ცხოვრებაში“ რომ არ არის საუბარი არც ცალკეულ ქართველურ ტომთა ენებსა თუ დიალექტებზე, ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ მემატრიანისათვის ენის სტატუსი აქვს მხოლოდ იმ მეტყველებას, რომელიც ზოგადტომობრივი თუ ეროვნული ენაა; კერძოდ, თარგამოსის კავკასიური მოდემისათვის ასეთი იყო ჯერ სომხური (ურარტული), შემდეგ კი - ქართული (ფარნავაზიდან მოყოლებული მემატრიანის დრომდე). იმავე მემატრიანეს აზრით, ფარნავაზამდელ ქართლში ქართულთან ერთად თანაარსებობდა შემდეგი ენები: „სომხური/ ანუ ურარტული ენა - ტ.ფ. /, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა“ (ფუტკარაძე 2009: 247).

თ. გვანცელაძე ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად მსჯელობს სტატიაში „ენა და ერი“. ავტორი ასკვნის, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მოცემული ცნობები არ იძლევიან იმის საფუძველს, რომ ვინმემ სერიოზულად ამტკიცოს, თითქოს მემატრიანე ასახელებდეს მხოლოდ სამწიგნობრო ენებს და ის მაინც გულისხმობდეს არასამწიგნობრო ქართველური „ენების“ (მეგრულ-ლაზურ-სვანურის) არსებობას საქართველოში. ამ ვარაუდს გამორიცხავს ის ფაქტი, რომ მატრიანიდან დამოწმებულ პირველ ციტატაში დასახელებულია იმ დროისათვის ჯერ კიდევ უდამწერლობო 3 ენა: სომხური, ქართული და ხაზარული (სომხური დამწერლობა 9 საუკუნის შემდეგ შეიქმნა, ქართული - ძვ. წ. III საუკუნეში, ხოლო ხაზარულს დამწერლობა არასოდეს ჰქონია და ხაზარები ებრაულ ენას იყენებდნენ მიმოწერისთვის). თუ ეს 3 უდამწერლობო ენა დასახელდა, რას უნდა შეეშალა ხელი მეგრულ-ლაზური და სვანური უმწერლობო „ენების“ დასახელებისათვის? მხოლოდ იმას, რომ არც ლეონტი მროველს და არც „ქართლის ცხოვრების“ რომელიმე გადამწერს მეგრულ-ლაზური და სვანური ენებად არ მიაჩნდათ! სხვაგვარი ახსნა ლოგიკას არ ეთანხმება და ისტორიულ ფაქტებზე ძალადობა იქნება“ (გვანცელაძე 2010: 157-158).

ქართული ენა და საერთო ტერიტორიაზე სახლობა ქართველთა ერთიანობის განმსაზღვრელად კარგად ჩანს **ვახუშტი ბატონიშვილის** თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქართლის ცხოვრება 1973: 292). ამ კონცეფციას არ არღვევს ვახუშტის მიერ ზოგ კუთხეში გავრცელებულ მეტყველებათა მოხსენიება „ენა“ ტერმინით. მაგალითად, მეგრელთა დახასიათებისას ავტორი წერს: „არიან კაცნი და ქალნი შუენიერნი... სარწმუნოებითა, რჯულითა და წესითა ქცევითა იმერთათა, სამწყსონი აფხაზეთის კათალიკოზისანი, ენით არიან დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა, არამედ აქუსთ თასიცა ენა, გარნა წამბდარი ქართულივე, ვითარცა: ღმერთი - ღორონთი, ჩემი - ჩქიმი. და აქუსთ წიგნი ქართულივე არა სხვა“ (იქვე: 783).

ამ ნაწყვეტში გამოყენებულ სიტყვა „ენას“ პროფ. თ. გვანცელაძე შემდეგნაირად ხსნის: „სიტყვა „ენა“ ორი განსხვავებული მნიშვნელობითაა გამოყენებული: შესიტყვებაში „ქართული ენა“. იგი აღნიშნავს რეალურ ენას, დიალექტზე უფრო მსხვილ სამეტყველო ერთეულს, ხოლო ფრაზაში „აქუსთ თასიცა ენა“ სიტყვა „ენა“ სწორედ რეალურ ენაზე უფრო მცირე სამეტყველო ერთეულს, დიალექტს აღნიშნავს (სიტყვა „ენა“ language, langue, sprache, язык..). მრავალ სხვა ენაშიც აღნიშნავს არა მარტო კონკრეტულ ეთნოსთა დედაენას, არამედ დიალექტსაც (იხ.: ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული... ენების ლექსიკონები). არსებითია ისიც, რომ მეგრულ მეტყველებას წამბდარ ანუ სახეცვლილ მეტყველებად მოიხსენიებს და მოჰყავს ამ მეტყველების ზოგადქართულ ენასთან იგივეობა-სიახლვის მაჩვენებელი სათანადო კონკრეტული მაგალითები ორი სიტყვის სახით (ღორონთი, ჩქიმი). დიალექტური მეტყველებისთვის წამბდარი მეტყველების დარქმევა წარსულში საქართველოში გავრცელებული ერთი შეხედულების ანარეკლია“ (გვანცელაძე 2010: 157-158).

ქართველი მემატიანენი და საეკლესიო მოღვაწენი ქართულ ენას ქართველური სამყაროს გამაერთიანებლად მოიაზრებდნენ მე-10 საუკუნეში, როდესაც ქართლის სამეფო დანაწევრებული იყო რამდენიმე ერთეულად. ეს ფაქტი კარგად არის აღწერილი გიორგი მერჩულეს **„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“**, სადაც ვკითხულობთ: „არამედ დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატყვებელ ექმნა ქვეყანასა ჩვენსა, რამეთუ პირველად აღმოსავალისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალიმით მოჰყვანდა. ხოლო ეფრემ ქრისტე-სმიერთა ბრძანებითა მიჰრონისა

კურთხევა~ ქართლს განაწესა იერუსალემ~მისა პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით. არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანა~ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა~ ყოველი აღესრულების“.

წარმოდგენილ კონტექსტში „ფრიადი ქვეყანა“ ნიშნავს მრავალ მხარეს, შესაბამისად, მეცნიერი წარმოდგენილ კონტექსტს ასე იაზრებს: ქართლის სამეფოს ქმნის ქართველთა ის მხარეები, სადაც ქართულად მეტყველებენ და წირვა-ლოცვა სრულდება ქართულ ენაზე“ (ფუტკარაძე 2014: 208-209).

საინტერესოა XII საუკუნეში უცნობი ავტორის მიერ გადამეტაფრაზირებული „დავით და კონსტანტინეს მარტვილობის“ ტექსტი, რომელშიც გამოყენებულია სინტაგმა „მეგრულითა ენითა“: „და რამეთუ იყო ბანაკი მათი ცხენისწყლითგან ვიდრე აფხაზეთამდე და გამოიხვნა ციხენი და ქალაქნი და აღაოხრნა და უვალ და უკაცურ ყო ქვეყანა~ მეგრელთა და აფხაზთა~... ესე განაჩინა მძლავრმან წმიდათა მათთვის და თვით აიძრა და დაიბანაკა ქალაქსა ჯიხან-ქუჯისასა, ქვეყანასა მეგრელთასა, სანახებსა ჭყონდიდისასა, რომელ არს მეგრულითა ენითა მუხა დიდი...“ (დავით და კონსტანტინეს მარტვილობა 1960 : 442).

თ. გვანცელაძის განმარტებით, მოცემულ ტექსტში არ არის საიმისო მონაცემები იმის სამტკიცებლად, რომ ტერმინი „ენა“ მაინცდამაინც ენას აღნიშნავდეს და არა ენის ტერიტორიულ ვარიანტს. როგორც ცნობილია, სიტყვა „ენა“ პოლისემანტიკურია და შეიძლება აღნიშნავდეს სხეულის ნაწილსაც, მეტყველების უნარსაც, კონკრეტულ ენასაც და კონკრეტული ენის ტერიტორიულ თუ სოციალურ ვარიანტსაც (გვანცელაძე 2006:17).

ქართველთა ენობრივი ერთიანობის წარმოჩენის თვალსაზრისით საინტერესოა „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“, რომელსაც 1790 წელს მოაწერეს ხელი ქართლ-კახეთის, სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის მეფე-მთავრებმა.

„ტრაქტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, საზოგადოსათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოისა ქალაქსა თფილისს 1790 წელსა“:

„ვინაიდგან (ვინათგან) ყოველთა ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა აქვთ ერთმორწმუნება (ერთმორწმუნეობა), არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და

ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხელობითიცა (მავასხელობითი) სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისათვის ჩვენ, ზემოთხსენებულთა (ზემოთხსენებულად) ქვეყანათა ივერიისათა (ივერიისა) მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა, სახელითა ყოვლად ძლიერისა ღმრთისათა, აღუვსთქვამთ (აღვთქვამთ) მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თითოეულად შემდგომთა ჰაზრთა იქმნების“ (სამართლის ძეგლები 1965: 501-507).

ტ. ფუტკარაძე „ივერიელთა ერთობის ტრაქტატში“ მოცემულ ფრაზებს შემდეგნაირად განმარტავს:

ქვეყანანი ივერიისა ნიშნავს ერთ სახელმწიფოს - ივერიის შემადგენელ ნაწილებს: ქართლს, კახეთსა და ერეკლეს სხვა სამფლობელოებს; ასევე - იმერეთის სამეფოს, გურიის სამთავროს, ოდიშს და დადიანს დაქვემდებარებულ სხვა მხარეებს (აფხაზეთის ნაწილი, სვანეთის ნაწილი, ლეჩხუმი). (შდრ: სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის ტიტული: მეფე ივერიისა).

ერთისა ენისა მქონებელნი - ხაზს უსვამს იმას, რომ ქართველებს ერთი დედაენა გვაქვს.

მავასხელობითი/მავასხელობითი სიყვარული სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ურთიერთვალდებულებით სიყვარულს; შესაბამისად ფრაზა ასე გაიგება: „იბერიელები (ქართველები) - სისხლისმიერი ნათესაობის გამო სამუდამო ვალდებულებით ერთმანეთთან მარადიულად დაკავშირებული ხალხი - ერთ გვარად, ანუ ერთ სხეულად შეკრული საზოგადოება“ (ფუტკარაძე 2014 :115-120).

მაშასადამე, ისტორიული წერილობითი წყაროები: „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილის თხზულება, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“ და მრავალი სხვა მოგვითხრობს, რომ ჩვენი წინაპრები ხაზს უსვამდნენ ქართველური ენობრივი სამყაროსა და ქართველი ერის ერთიანობის იდეას.

1.1.2.სამეცნიერო შეხედულებების ანალიზი

ქართველთა ენობრივი სამყაროს შედგენილობის შესახებ **სამეცნიერო ლიტერატურაში** არსებული შეხედულებები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა:

1. ქართველთა ეროვნული ენა - ქართული ენა წარმოადგენს ერთიან სისტემას, რომელიც ქვესისტემების სახით მოიცავს ქართულ სალიტერატურო ენასა და ცალკეულ კუთხეთა მეტყველებებს/დიალექტებს, მათ შორის მეგრულ-ლაზურ და სვანურ მეტყველებებს.
2. ქართველური ენობრივი სამყარო შედგება სამი/ოთხი ენისაგან: ქართული, მეგრული/ლაზური, სვანური. თითოეული მათგანი წარმოადგენს ცალკე ენობრივ სისტემას, რომელიც თავის მხრივ შედგება ქვესისტემებისაგან/დიალექტებისაგან.

ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ პირველი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა დიდმა ქართველმა ლექსიკოგრაფმა **სულხან-საბა ორბელიანმა**, რომელმაც შექმნა „**სიტყვის კონა**“ - ქართული სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონი (რომელიც შედგენილია 1685-1715 წლებში; პირველად გამოიცა 1884 წელს). ამ ლექსიკონში მრავლად გვხვდება სიტყვაფორმები ქართველური ენა-კილოებიდან, მათ შორის მეგრულ-ჭანურიდანაც. ისევე როგორც ქართულ საისტორიო წყაროებში, სულხან-საბასთვისაც მეგრული და ჭანური ქართული ენის ისეთივე კილოებია, როგორც იმერული, კახური, გურული, მესხური... და არა ენები. ამას ისიც მოწმობს, რომ მეგრული და ჭანური სიტყვების განმარტებისას არსად არ უთითებს, რომ ის ენაა (როგორც ამას უცხოენოვანი სიტყვების განმარტებისას აკეთებს: „თათართა ენაა“...). მაგ.: დასტი - ჭანნი კოკას უკმობენ; ოჯიჯი - ბადე **მეგრულად** (დადიანი 2009:67-68).

სულხან-საბა მეგრულს უწოდებს „**ავენონათა ლაპარაკს**“, რაც არანორმირებულ, ხალხურ საუბარს, არასალიტერატურო მეტყველებას - რთულად გასაგებ დიალექტს ნიშნავს. შდრ.: **ჟღურტული - მეგრელთაგან მრუდი ლაპარაკი**, გინა ჩხიკვათა და კაჭკაჭთაგან ლაპარაკი. ესე არს **მეგრელთა და მისთანათა ავენონათა ლაპარაკი**“... (საბა 1991: 636).

კ. დანელიას აზრით, „სულხან-საბასთვის „მეგრულ-ჭანური ქართულის ნაირსახეობაა, ასე ვთქვათ, მისი ძლიერ შეცვლილი კილო... ამჟღავნებს ავტორის შეხედულებას მეგრულ მეტყველებაზე, როგორც ქართულთან მიმართებით ძლიერ შეცვლილ (მრუდ) სახეობაზე (წინააღმდეგ შემთხვევაში დამოუკიდებელი ენის სიმრუდეზე ლაპარაკი უაზრობა იქნებოდა)“ (დანელია 1991: 615). მსგავს

თვალსაზრისს გამოთქვამს თ. გვანცელაძე: „ავენაობა“, „მრუდი ლაპარაკი“, „ჟღურტული“ არის სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული ქართული, კუთხური (დამახინჯებული) ვარიანტი - დიალექტური მეტყველება. მეცნიერის დასკვნით: „ძველ საქართველოში მიღებული იყო სტილური და დიალექტური ლექსიკის აღნიშვნა შემდეგი ტერმინებით: წერილითა ენითა თქმული, მსოფლიოთა ენა, გლეხური//სოფლური, ზეშთა სიტყვა, დამხე, სწორი სიტყვა, წამქდარი სიტყვა, ავენოანი, რომელიც საბას ლექსიკონშიც დასტურდება, შდრ. ვახუშტის „წამქდარი ქართული“. სწორედ ამ რიგის ტერმინებია „ჟღურტული“ სიტყვის საბასეული განმარტების ვარიანტებში წარმოდგენილი ტერმინები „ავენიონთა[გან] ლაპარაკი“ და „მრუდი ლაპარაკი“, რაც არასტანდარტული მეტყველების, კუთხური საუბრის აღმნიშვნელია და არ გულისხმობს არც დაცინვას და არც შეურაცხყოფას“ (გვანცელაძე 2006 : 71).

„ავენაობის“ საპირისპირო ტერმინია „ენამზეობა/მზეენაობა“, რომელიც „სიტყვის კონაში“ ასეა განმარტებული: **ენამზეობა** - ენაგანათლებულობა; **მზეენაობა** - ენამზეობა, ენა-ნათლად მეტყველება. მაშასადამე, სულხან-საბა სალიტერატურო და დიალექტურ მეტყველებას შესაბამისი ტერმინებით მიჯნავს: „ავენაობა“ - კუთხური მეტყველება, ხოლო „ენამზეობა/მზეენაობა“ - სალიტერატურო ენაზე მეტყველება (შეროზია 2007: 391).

სულხან-საბა ორბელიანმა „სიტყვის კონაში“ სალიტერატურო ფორმების გვერდით შემოიტანა დიალექტური ფორმები იმ მიზნით, რომ ეჩვენებინა დიალექტების, როგორც სამწიგნობრო ენის გამდიდრება-გამრავალფეროვნების უმთავრესი წყაროს მნიშვნელობა. მისთვის ერთი დონის ენობრივი ერთეულებია ჭანური, მეგრული, იმერული, მესხური...

ქართველური ენობრივი სამყარო ერთ დედაენად - ქართულ ენად და კუთხურ კილოებად მიაჩნდათ უცხოელ მკვლევრებსაც. კერძოდ, XVIII საუკუნის დასასრულს იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა პირველმა განსაზღვრა კავკასიურ ენობრივ ერთეულთა სტატუსი და დააჯგუფა კავკასიის ენა-კილოები, მათ შორის ქართველური ქვესისტემებიც (გიულდენშტედტი 1791: 496-504). იგი სვანურს და მეგრულს ერთი და იმავე ენის დიალექტებად მიიჩნევს. იქვე აღნიშნავს, რომ ქართლური, კახური, იმერული და გურული ერთი სახის მეტყველებაა მცირე

დიალექტური სხვაობით, სამეგრელოსა და სვანეთში კი ძალიან განსხვავებული დიალექტებია. აქედან მეგრული ნაკლებად განსხვავდება, სვანური კი მეტად, მაგრამ ისე არა, რომ ფუძეენა ვერ ვიცნოთო. ის ფუძეენად სამწიგნობრო ქართულს მიიჩნევს (გიულდენშტედტი 1962:209).

ი. გიულდენშტედტის თვალსაზრისი ობიექტურად ასახავს ქართველური ენობრივი სამყაროს რეალურ ვითარებას - ქართველთა ერთ სამწიგნობრო ენას და მრავალ დიალექტს.

ი.გიულდენშტედტისაგან განსხვავებით **გეორგ როზენი** ქართველურ ენობრივ სამყაროს სხვა ასპექტით განიხილავს. ის თავის კვლევებში მეგრულს და სვანურს ხან ენებად მიიჩნევს, ხანაც დიალექტებად. ორი ნაშრომის (1. „ლაზთა ენის შესახებ“ „Über die Sprache der Lazen“ 1844; 2. გამოკვლევა ოსური ენის შესახებ, რომელსაც თან ერთვის მეგრულის, სვანურის და აფხაზურის მოკლე ლინგვისტური გამოკვლევა - Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung Über das Mingrelische, Suanische und Abchasische, 1946), გავლენა დიდია შემდგომი პერიოდის მეცნიერულ ნაშრომებზე, თუმცა მათ ნაკლოვანებებიც ახასიათებს. როზენის ზოგი დებულება არასწორადაა გაგებული: მაგ., ის ლაზურ მეტყველებას ენას არ უწოდებდა „Über die Sprache der Lazen“ არ შეიძლება ითარგმნოს, როგორც „ლაზური ენის შესახებ“, არამედ აქ საუბარია „ლაზთა ენის შესახებ“. ოსურის მიმოხილვაში როზენი ლაზურს მეგრულთან ერთად ერთი ენის კოლხურის დიალექტებს უწოდებდა (როზენი 1846: 46-47). მეორე მხრივ კი ის დამოუკიდებელ ენებად აცხადებდა კოლხურსა (მეგრულ-ჭანურსა) და სვანურს, მაგრამ ამის დასამტკიცებლად მას არავითარი კრიტერიუმი არ მოეპოვებოდა, რადგან თავად არ გამოუკვლევია ქართული (როზენი 1844: 2).

გ. როზენისეული კვალიფიკაცია უკრიტიკოდ გაიზიარა **ფრანც ბოპმა** (ბოპი 1846; ბოპი 1847) და **ფრიდრიხ მიულერმა** (მიულერი 1864: 526-535). მკვლევრებმა ქართული მეგრულთან, სვანურთან და ლაზურთან ერთად იბერიულ ანუ ქართულ ენათა წრეში მოაქციეს.

ფრ. მიულერის მერყეობა ქართველური ენა-კილოების კვალიფიკაციის შესახებ შეიმჩნევა ფ. ერკერტის წიგნის „ენები კავკასიური ფესვისა ანუ მოდგმისა“ წინასიტყვაობიდანაც, რომელშიც მეცნიერი ენებს შემდეგნაირად აჯგუფებს: „ენები ლეკური: ავარიული, ადიღეური, ანდიური, დიდოური, ლეკური; ენები ჩერქეზული:

აბაზეხური, ყაბარდოული; ენა აფხაზური; ენები და კილოკავნი ქართულნი: ინგილოური, ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური. ყველა ამ ენებზე აღნიშნულია სულ 545 სიტყვა და 166 ფრაზა. ფრაზების შემდეგ მოყვანილია გრამატიკული ესკიზი. ამას გარდა, ქართული ფრაზების წინაშე ჩართულია ა) განხილვა ქართული ენისა და გრამატიკისა; ბ) ფონეტიკა ქართული ენისა და მისთა კილოთა; გ) ხე ქართლოსიანთა ენისა. აქ ხის ძირი არის ქართლოსიანთა ძველისძველი დედა ენა, რომლიდგანაც უმთავრეს ღერძად წარმოვიდა აწინდელი ქართლი ენა და მისი ტოტები: სვანური, მეგრულ-ლაზური და მთიელ ქართველთა კილო-კავნი: ხევსურულ-თუშური და ინგილოური“ (გაზ. „ივერია“, 1894, №247: 3).

1798 წელს გამოცემულ წიგნში “Uber Georgianische L'teratur“ ფრიდრიხ ალტერი გვაწვდის ცნობებს ქართული ენის დიალექტების შესახებ. „მკვლევარი ერთი დონის ერთეულად განიხილავს „მეცნიერულ ქართულს“ (ანუ სალიტერატურო ენას) და ქართულ, იმერულ დიალექტებს. ავტორი იმერულის სახელწოდებით მეგრულ მეტყველებას აღნიშნავს. ამასთან, ცალ-ცალკეა გამოყოფილი ქართული და ვულგარული ქართული, რაც ქმნის ბუნდოვანებას და მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია“ (ფუტკარაძე... 2017: 81-82).

წინამორბედთა მსგავსად მეგრულ-ლაზურ-სვანურს სხვა ქართველური კილოების გვერდით განიხილავს მარი ბროსე. საინტერესოა 1834 წელს დაბეჭდილი წიგნი “De la langue georgienne“, რომელშიც ავტორი ქართულ ენას ყოფს დიალექტებად და „პატუად“. ასახელებს ხუთ დიალექტს (კახური, იმერული, მეგრული, გურული და ცენტრალური ქართლური) და ოთხ „პატუას“ (კავკასიის სვანური, ლაზიკის ჭანური, აფხაზური, მესხური).

შდრ.: „პატუა“ დიალექტს აღნიშნავს ნ. მართან. კერძოდ, 1905 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (№2773) ნ. მარი წერდა: „თუმცა მეგრული ენა ლინგვისტურად თავისებური ენა არის, ქართულის ძმა ენაა... და მისი შესწავლა გვიქადის ქართველთა ეროვნული სულის ჰორიზონტის გაფართოებას, ჩვენი დედაენის შეგნებას და განვითარებას, მაგრამ ადგილობრივი კულტურული ისტორიის გათვალისწინებით იგი გახლავს დიალექტი, ან უკეთ, როგორც ფრანგები იტყვიან, „პატუა“ (Patois?)“.

რიჰარდ ერკერტის მიხედვით, იბერიული ენის არსებობის ადრეული სახეობაა ძველი ქართული, რომლის განშტოებაა სვანური მეტყველება. იმავე ძველი

ქართულის გაგრძელებაა ახალი ქართული, რომლის განშტოებაა მეგრული, მეგრულის განაყარი კი ლაზურია. მკვლევარი იმერულთან ერთად ზოგჯერ მოიხსენიებს გურულს, ხოლო ხევსურულთან თუშურსა და ფშაურს (ერკერტი 1895: 386-387).

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის მესვეურებმა დაიწყეს საქართველოს/კავკასიის ტერიტორიაზე ენობრივი პოლიტიკის „დაყავი და იბატონეს“ პრინციპის დაგეგმვა. სწორედ ამ გარემოებას უკავშირდება ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ სამეცნიერო ველში არსებული წინააღმდეგობრივი შეხედულებების ჩამოყალიბება. კერძოდ, ქართველურ კილოთა ენებად გამოცხადება. საინტერესოა ალ. ცაგარელის შეხედულება ქართველური ენა-კილოების სტატუსის განსაზღვრის შესახებ. მის ნაშრომებში ერთგვარი მერყეობა შეინიშნება. მაგ., 1873 წელს გამოცემულ ნაშრომში ის მეგრულს, ლაზურსა და სვანურს იბერიული ფუძე ენის დიალექტებს უწოდებს და სტატუსით არ განასხვავებს ამავე ენის გურული, თუშური, ფშაური, ხევსურული კილოკავებისაგან (ცაგარელი 1873: 8-9). ამ ფაქტის შესახებ მ. ჯანაშვილი 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ წერს: „ამგვარს შეხედულებას დაადგა პატივცემული პროფესორი ბატონი ა. ცაგარელი, რომელსაც ჯერ-ჯერობით ქართულის ენის ამა თუ იმ ენათა ჯგუფის მონათესავეობას და კავშირზედ ერთ გადაწყვეტილ აზრის გამოთქმა შესაძლოდ არ მიაჩნია, იმიტომ რომ ქართული ენა ჯერ-ჯერობით საფუძვლიანად არ არის შესწავლილი. ამ შემთხვევაში საკმაო არ არის ვიცოდეთ მართო ქართული ენაო და მისი ძველი მწერლობა, არამედ კარგად უნდა შესწავლილი, გამორკვეული და გამოძიებული გვექონდეს აგრეთვე ამ ენის ყველა დიალექტები (ლაზური, მეგრული, სვანური) და ადგილობრივი კილოებიო“ (გაზ. „ივერია“, 1888: 1-2).

ამავე წერილში საუბარია, რომ ალ. ცაგარელი მეგრულს და სვანურს უმწერლობო ენებად მოიხსენიებს. „ენა, რომელსაც უცხოვრია განმარტოებით განვითარებითა და მწერლობა არა ჰქონია; ენა, რომელიც არსებობდა მართო ხალხთა ზეპირ-მეტყველებაში, ამ გვარ ენას ბევრი რამ საუნჯე დაცული აქვს ხოლმე უწინდელის, ძველის ენისაო. სწორედ ამ გვარს მდგომარეობაში იყვნენ და არიან ლაზური, მეგრული და სვანური ენებიცაო და ამიტომ მათი შესწავლა აუცილებლად საჭიროა მეცნიერულად ქართულის ენის შესწავლისათვის“ (გაზ. „ივერია“, 1888: 1-2).

მაგრამ 80-იანი წლებიდან ალ. ცაგარელმა „მეგრული ენა“ ერთ-ერთ ქართველურ „ენად“ გამოაცხადა. თავის გამოკვლევებში „Мингрельские этюды“ და „Опыт фонетики мингрельского языка“ წარმოადგინა მეგრულის შესწავლის პირველი მეცნიერული ცდა. ამ ნაშრომებში მეცნიერმა სამეგრელოში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებას ენა უწოდა - მან მეცნიერულად შეისწავლა მეგრული ენა. ამის შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდნენ ცარიზმის მოხელეები სამეგრელოში ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართული კულტურის წინააღმდეგ საბრძოლველად. თ. გვანცელაძის აზრით, „ალ. ცაგარელს ყოველთვის სწამდა, რომ მეგრული, ჭანური და სვანური ენები კი არა, ქართული ენის დიალექტებია, მაგრამ მასზე ზეგავლენას ახდენდნენ ხელისუფლება და ცენზურა, რომლებიც, ეტყობა, მისგან მოითხოვდნენ, ენებად გამოეცხადებინა მეგრულ-ჭანურ-სვანური. სავარაუდოა ისიც, რომ ა. ცაგარელმა 1873 წელს ისარგებლა ცენზურის მიერ ყურადღების ოდნავ მოდუნებით და დააფიქსირა თავისი ნამდვილი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ როცა ნათლად დაინახა, თუ რა დამღუპველი შედეგი შეიძლებოდა მოეტანა ქართველი ერის ერთიანობისათვის მის იმ ნაშრომებს, რომლებშიც მეგრულს, ჭანურსა და სვანურს ავტორი ენებს უწოდებდა, მან პირად ამბიციასა და სამეცნიერო ინტერესებზე მაღლა ქართველი ერის ინტერესები დააყენა და საერთოდ აიღო ხელი ენათმეცნიერულ კვლევა-ძიებაზე“ (გვანცელაძე 2003: 120-122).

პეტრე ჭარაიას ნაშრომში „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან (მასალა)“ მოცემულია მსჯელობა ქართველური ენობრივი სამყაროს შემადგენლობის შესახებ. მისი პოზიცია მოკლედ ასეთია: „ყველა ენები კავკასიისა განიყოფება ორ დიდ რიგად: პირველ რიგს წარმოადგენენ ენები ჩრდილოეთ-კავკასიისა და მეორეს - ენები სამხრეთ-კავკასიისა. ეს უკანასკნელი რიგი, ანუ „ივერიული ჯგუფი“ კავკასიის ენებისა, შეიცავს ენებს ზოგადის ქართული გვარისას, რომელიც შედგება შემდეგის დიალექტებისაგან: **1. საკუთრივ ქართულისა, 2. მეგრულისა, 3. ლაზურისა და 4. სვანურისაგან.** ყველა ამ ენებს, ან უკეთა ვსთქვათ, დიალექტებს ერთსა და იმავე ძირ-ენისას აქვთ ძლიერ ახლო და მჭიდრო ნათესაობა ერთიერთ შორის. მხოლოდ სვანური ცოტათი უფრო განირჩევა სხვებისაგან; მაგრამ ისიც იმდენად არა, რომ მისი ნათესაობა ქართულ გვარ ენებთან, როგორც სიტყვებისა და სიტყვის ფესვების, ისე გრამატიკულ ფორმების მიხედვით არა თუ ენის

მეცნიერთათვის, არამედ ყველა დამკვირვებელ ქართველთათვისაც აშკარა არ იყოს. რაც შეეხება მეგრულსა, ეს ღვიძლი ძმია ქართულის ენისა, რომელსაც იგი არა „ძლიერ წააგავს“, არამედ რომელთან თითქმის „იგივეობს“, თუ ქართულის ქვეშ ვიგულისხმებთ არა იმერულს, ქართლურს, გურულს, რაჭულს, მთიულ/ურ/ს და სხვ. ცალ-ცალკე, არამედ - სრულიად საერთო ქართულს ძველის მწიგნობრულითურთ აღებულსა“ (ჭარაია 1997: 204). **პ. ჭარაია მეგრულს, ლაზურსა და სვანურს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის დიალექტებად კი არ მიიჩნევს, არამედ იმ ენისა, რომლის ნაწილებიცაა თანამედროვე ქართული სალიტერატურო „ენა“, მისი დიალექტები (იმერული, ქართლური, გურული, რაჭული, მთიულური...) და ისტორიული ქართული სალიტერატურო „ენა“.**

პ. ჭარაიას აზრით, ქართველთათვის ისტორიული ქართული სალიტერატურო ენა ერთადერთია და თითოეული კილო არ უნდა გავიხადოთ სალიტერატურო ენად. იგი წერს: „გერმანიის თითოეულ კუთხეში, ოლქში და თითქმის სოფელში სხვადასხვაფერ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ სალიტერატურო ენა ყველგან არის ერთი: მწიგნობრულ ენად მიაჩნიათ ის ენა, რომელიც შეუმკიათ და განუმშვენიერებიათ ლიტურსა, ლესსინგსა, გიოტესა და სხვ. თუ ასეთ მრავალრიცხოვან ერს, როგორც გერმანელები არიან, რომლებიც ამასთანავე განათლების სათავეში, ერთი საყოველთაო სალიტერატურო ენა საჭიროდ უცვნიათ, ჩვენ რაღანი ვართ, რომ თითოეული კილო სალიტერატურო ენად გავიხადოთ...“ (ჭარაია 1997: 203).

წინამორბედთაგან განსხვავებით, **ნიკო მარი** მეგრულის, ლაზურისა და სვანურის აღსანიშნავად ხან ტერმინ „დიალექტს“ იყენებს, ხან - „ენას“. მაგ.: „საუკუნეების მანძილზე ერთიანი ქართული ნაციონალური კულტურა შეიქმნა ყველა ქართველი ტომის მიერ, ამიტომაც, რომ საღვთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმინდა ჭანურს, ანდა მეგრულს და სხვა სიტყვებს. ამ რეალურის კულტურულ-ისტორიულის შეხედულებით ქართული სალიტერატურო ენა იმდენათვე სვანურია და მეგრული, იმდენათვე გურულია და იმერული, რამდენათაც ქართლური. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა საქართველოს ტომებისათვის“ (ქართველთა ეროვნება - წერილი პროფესორს ნ. მარისა იმ სიტყვის გამო, რომელიც დეკანოზს ვოსტორგოვს წარმოუთქვამს საქართველოს ერზედ უწმინდესის სინოდის წევრთა და სხვა წარჩინებულ პირთა კრების წინაშე, ქუთაისი, 1905).

თ. გვანცელაძე ასაბუთებს ნ. მარის ასეთ გაურკვეველ მდგომარეობას: „ნ.მარი არცთუ იშვიათად გამოთქვამდა ისეთ მოსაზრებებს, იყენებდა იმგვარ ტერმინებს, რომლებიც წყალს ასხამდა ჯერ ცარიზმის, შემდეგ კი კომუნისტური იმპერიის წისქვილზე და საფრთხეს უქადდა ქართველი ერის მთლიანობას. მაგალითად: ნაშრომში „წინასწარი ცნობა ქართულის სემიტურთან ნათესაობის შესახებ“ ნ. მარი ხალხებად და არა ერთი ერის შვილებად აცხადებდა ქართვეს, ივერებს (მეგრელებს) და სვანებს (დამოწმებულია წიგნიდან: ჩიქობავა 1965: 340). ნაშრომში „აფხაზთა რელიგიურ რწმენათა შესახებ“ ავტორი ასევე ცალკე ხალხებად მიიჩნევდა მეგრელებსა და სვანებს აფხაზთა, ჩერქეზთა და ჩეჩენ-ინგუშთა თანაბრად და ა.შ.“ (გვანცელაძე 2005: 588).

ნ. მარის ეს პოზიცია შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მისი დროის მეცნიერებს. განსაკუთრებით საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის და ნ. მარის კამათი:

ივ. ჯავახიშვილი (1979: 152, სქოლიო): „აკად. ნ. მარრი მისაყვედურებს, რომ მეგრელებს, სვანებს და აფხაზებს მე ქართველებს ვუწოდებ... აფხაზებს მე ქართველთა მონათესავედ ვთვლი, მაგრამ ქართველებს არ ვუწოდებ. რაც შეეხება მეგრელებსა და სვანებს და, დავუმატებ, ჭანებსაც, მათ მართლაც ქართველ ტომებად ვთვლი და ვუწოდებ... თუ ამაზე უწინარეს არა, XI ს-იდან მოყოლებული „ქართველი“ შემკრებლობით მნიშვნელობით იხმარება ყველა ქართველთა აღსანიშნავად. ასეთი საერთო შემკრებლობითი მნიშვნელობის მქონებელი ტერმინის (ქართლ-კახელ-იმერელ-გურულ-მეგრელ-ჭან-სვანთა ენისა, ზნეჩვეულებისა და სარწმუნოების საერთო თვისების დასახასიათებლად) საჭიროების უარყოფაც არავის შეუძლია. წინათ ამას ნ. მარრიც არ უარჰყოფდა. თავისდათავად ცხადია, რომ მკვლევრის აზრის შეცვლის გამო ამ მრავალსაუკუნოვანი მონაპოვარისა და შეგნების გაქარწყლება და მოსპობა არ შეიძლება...“ (დადიანი... 2018: 73-80).

მეგრულ-ლაზური და სვანური დამოუკიდებელ ენებადაა მიჩნეული **ჰუგო შუხარდტთანაც**. მკვლევრის აზრით, ქართული ენა უნდა იყოს ამოსავალი ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლისათვის. მისი აღნიშვნით: „ამ საკითხში პრიმატობას ქართველი სპეციალისტები, კერძოდ, ალ. ცაგარელი გაწევდა, რომელმაც გამოაქვეყნა „მეგრული ეტიუდები“ და მას სვანური და ლაზურიც არ დაუტოვებია უყურადღებოდ, არ განუხორციელებია ის მიზნები, რაც მან თავის სამეცნიერო

მუშაობის დასაწყისში დასახა ქართული ფილოლოგიის ვიწრო სფეროშიო. 3. შუხარდტმა დაამკვიდრა ტერმინი - „ქართველური ენები“ და მიუთითა, უპირატესობას ვაძლევ „იბერიულის“ წინაშე, რომ ორაზროვნებას თავი ავარიდოო“² (ნაჭყებია 2005: 63).

ი. ყიფშიძე, რომელსაც ეკუთვნის შრომები “Дополнительные сведения о чанском языке”; “Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем“, მეგრულს და სვანურს დამოუკიდებელ ენებად მიიჩნევს. თავის „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკაში“ წერდა: „მეგრული ენა ჭანურის უახლოესი მონათესავეა და მასთან ერთად ქმნის ენათა იაფეტურ შტოს სამი მთავარი ჯგუფიდან ერთ-ერთს, კერძოდ, თუბალ-კაინურ ჯგუფს. ამ ბიბლიური სახელწოდების მეორე ნახევარი, კანური, უტოლდება სახელწოდებას ჭანური, ხოლო პირველი, თუბალური - სახელწოდებას მეგრული, შუალედური ფორმის, ივერიულის, მეშვეობით“ (ყიფშიძე 1914: 13).

ი. ყიფშიძეს არ მოუტანია რაიმე არგუმენტი იმის სამტკიცებლად, თუ რატომ მიაჩნია მეგრული დამოუკიდებელ ენად.

საინტერესია მ. ჯანაშვილის თვალსაზრისი. ჟურნალ „განათლებაში“ დაბეჭდილია წერილი სათაურით „ქართული ენა და ქართველები - ლაზური კილო და არა ენა“. მ.ჯანაშვილი აკრიტიკებს ნიკო მარის შეხედულებას ენების წარმომავლობის შესახებ. წერილში ვკითხულობთ: „ნიკო მარმა გააცნო ქვეყნიერებას თავისი იაფეტური შტო ენებისა და მას მიაკუთვნა ენები: картский, йверский, სვანური და აწ ამოწვევითი ანუ მკვდარი ენები - სუზიანისა და არიელთა. „იაფეტური ენების წარმომავლობა კი ავქსონს წარმოდგენილი აქვს ამ სახით: ოჯახი ნოესი: შტოები..... ენები: თუბალ-კაინურ ჯგუფისა: ივერიული (მეგრული), ჭანური (ლაზური), წინარეარიული ჰაიური.

სომ-სომეხურ ჯგუფისა: სვანური, წინარე არიული.

კაშკა მოსოხურ ჯგუფისა: ქართული და მესხური, რომელიც შეეღია ქართულს“.

² მსჯელობისათვის იხ.: ჩიქობავა 1965: 262-272

მ. ჯანაშვილი არ ეთანხმება ავექსონის კლასიფიკაციას ენების შესახებ და წერს „ვერ გაგვიგია ქართული როგორ გამოეყო თავის ღვიძლ მეგრულს, (=ჭანურ) სვანურს და სომეხური როგორ ჩაეკოსა მისთვის სულ უცხო სვანურს“ (ჯანაშვილი 1916: 89).

აქვე მოყვანილია საინტერესო არგუმენტები: „1. ნ. მარი ვიდრე თავის ჭანურ გრამატიკას შეადგენდა წაბრძანდა ჭანეთს და იქ დაჰყო 28 დღე. მისვლისთანავე უმაღლ ლაზებმა (ჭანებმა) მოახსენეს: ჩვენ და მეგრელები ერთ და იმავე კილოზე ვლაპარაკობთო; ვინც მეგრული იცის, ჭანურიც ესმისო. მაგრამ მარმა არ დაუჯერა და მათი კილოკავი დამოუკიდებელ ენად გამოაცხადა. იგი წერს: ჭანურ ენას განასხვავებს მეგრულისაგან უმთავრესად ზმნა: მასში წარმოება სრულიად უცნობია მეგრულისათვის...“ მ. ჯანაშვილი ასკვნის, რომ ასეთი განცხადება მარისა არ მართლდება, რადგან „არ არსებული“ ფორმანი არსებობენ მეგრულ კილოკავშიც და ქართველთა დედაენაშიც. მაგ. ლაზური მარისეული **ბ-ჭარუმ**; ქართული მ. ჯანაშვილის შესატყვისი **ვ-წერავ, ვ-წერამ**. ან კიდევ: **ვოგზი-ვორზი-ვაგზი**. კიდევ - ლაზ. (მარრი) - **ბ-ჭარა-რე**; ქართ - **ვ-წერო-ა**. ლაზური და მეგრული **-რე** ეფარდება ქართულ **ა-ს** და ძველანდელს **-რე**, რომელიც ახლაც იხმარება სიტყვებში ზემორე, ქვემორე...

ლაზურმა თურმე იცის ასეთი მრავლობითი: **დალეფი, კალეფი...** განა იგივე არ იცის მეგრულ-ქართულ-სვანურმა? მეგრ: **და-დალეფი, მუმა-მუმალეფი**; ქართ: **ძმა-ძმანები**; სვან: **მამა-მამალ=მამანი...** (ჯანაშვილი 1916: 90).

მეგრულ-ლაზურ-სვანურ მეტყველებებს ქართული ენის შტოებად - კილოკავებად მიიჩნევს **ს. ხუნდაძე**. ის „ქართული გრამატიკის“ დანართის შესავალ ნაწილში წერს: „ქართული ენის კილოკავებია - სვანური, მეგრული, ლაზური, ინგილოური, ფშაური, თუშური, ხევსურული და სხვ. საქართველოს ყოველის განსაკუთრებული კუთხის ენას თავისი განსხვავებული გამოთქმა და ფორმები აქვს, მაგრამ ყველა კუთხეს ერთმანეთის საუბარი კარგათ ესმის. მხოლოდ სვანური და მეგრული ენა (და ამ უკანასკნელის მახლობელი დიალექტი ლაზური) დედა-ქართულისაგან განსაკუთრებით განსხვავებულ სახეს წარმოადგენს“ (ხუნდაძე 1917: 201).

ს. ხუნდაძე ენა-ს იყენებს ზოგადად კუთხური მეტყველების აღსანიშნავად. ამ ტერმინით ის მეგრულ-ლაზურ-სვანურს არ მიჯნავს დანარჩენი კუთხეების მეტყველებისაგან.

ს.ხუნდაძის პოზიცია კარგად ჩანს მისი საპასუხო წერილიდან. ა. შანიძე წინააღმდეგი იყო „ქართულ გრამატიკაში“ მეგრულისა და სვანურის მონაცემთა შეტანისა. მისი აზრით, „მეგრულისა და სვანურის გრამატიკული ფორმები“ უნდა გამოტოვებულ იქნეს სრულებით, რადგანაც, ჯერ ერთი, ქართულ აღწერილობით გრამატიკაში, როგორცაა სილოვანის გრამატიკა, სრულიად უადგილოა მეგრულ-სვანურიდან შესადარებლად მოყვანილი ფორმები. თუ ავტორს სახეში ჰქონდა დაეწერა შედარებითი გრამატიკა, მაშინ სხვა გეგმა უნდა აერჩია”.

ამ შენიშვნას სილოვან ხუნდაძე ვრცლად პასუხობს. რეცენზენტს განუმარტავს, თუ რა მიზნით შეიტანა მეგრულ-სვანური ფორმები თავის გრამატიკაში: „ა. შანიძემ უნდა იცოდეს, რომ ქართული ენის ფორმების შესწავლის დროს მათი შედარება მონათესავე კილოკავების ფორმებთან ინტერესს აორკევებს. გარდა ამისა, საჭიროა ჩვენმა მოზარდმა თაობამ იცოდეს მთავარი საფუძვლები იმისა, რომ მეგრული და სვანური შტოებია ქართული ენისა და არა განსხვავებული ენები, როგორც ამას ამბობდენ და დღესაც ამბობენ მტერნი და ორგულნი ჩვენი ქვეყნისა... მე რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი მომყავს დედაქართულისა და მისი კილოების ნათესაური კავშირისა“ (დადიანი 2016: 85-92).

1.1.3. პრესის მასალების მიმოხილვა

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველური ენობრივი სამყაროს კვალიფიკაციის შესახებ წერილები აქტიურად იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. ნაშრომში მიმოვიხილავთ გაზეთ „დროებასა“ და „ივერიაში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს.

ა) გაზეთი „დროება“

ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „დროება“ დაარსდა 1866 წლის 4 მარტს თბილისში. ის იყო პირველი ქართულენოვანი გაზეთი; აშუქებდა XIX საუკუნის II ნახევარში ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ სხვადასხვა პრობლემას.

გაზეთში თანამშრომლობდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, პეტრე მელიქიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ივანე მაჩაბელი, კირილე ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვა.

მეგრულის, როგორც „ენის“, შესახებ საუბარი იწყება „დროების“ 1878 წლის №3 ნომერში, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ალ. ცაგარელის მიერ მეგრული „ენის“ გრამატიკისა და ლექსიკონის შექმნაზე. დროების რედაქტორები გვამცნობენ, რომ ალ. ცაგარელს ფართო საზოგადოებაში უთქვამს რამდენიმე სიტყვა მეგრული „ენის“ შესახებ. თვითონვე წასულა სამეგრელოში, ჩაუწერია ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები იმ მიზნით, რომ მეგრული გამოეცხადებინა ცალკე ენად: „კავკასიაში 20-ზე მეტი მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობს, ამ ოც ენაში მეცნიერებს მხოლოდ რვა ენა გამოუკვლევიათ, მათ შორის აფხაზური და ზოგიერთი ენები დალესტნის ლეკებისა. მეგრული ენა კი თითქმის სრულიად არ არის გამოკვლეული“.

მოგზაურობის დროს ბატონ ცაგარელს მოუგროვებია მეგრული სიმღერები, შაირები, ზღაპრები და გამოუტანია დასკვნა „მეგრული ენა ყურთასმენისათვის ისეთი საამო გასაგონი არისო, როგორც იტალიურიო; ეს ენა დაახლოებულია ქართულს ენაზედაო; მაგრამ ქართულს ენაზედ უფრო ახლოს ის ლაზების ენას გავსო“ (გაზ. „დროება“, 1878, №3: 2).

ალ. ცაგარელის მიერ მეგრული „ენის“ სახელმძღვანელოს შექმნას ამტკიცებს კიდევ ერთი ქრონიკა: „დაბა ხონიდან გვატყობინებენ შემდეგ ამბავს: აქაურ სამასწავლებლო სემინარიაში სწავლობს ერთი მეგრელი ახალგაზრდა, რომელიც ამტკიცებს, რომ მეგრული ენა დამოუკიდებელია და ქართულზე ძველი ენა არისო. ამის გამო მეგრულ ენას უპირატესობა უნდა ჰქონდეს, ვიდრე ქართულსაო“ (გაზ. „დროება“, 1884, №201: 1).

„დროების“ რედაქციას დაუჯერებლადაც მიაჩნია ეს ფაქტი, ამიტომ მოგვიანებით გამოაქვეყნეს საპასუხო წერილი სათაურით „მეგრელებისთვის ძალად „მზრუნველი“. რედაქტორი გაკვირვებულია ბ-ნი რადეს მეცნიერული დასკვნით, რომელსაც ერთ-ერთ „ნემეცურ“ ჟურნალში გამოუქვეყნებია, ხევსურები სხვა ხალხია და ქართველები სხვაა და ამ ორ ხალხს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ. თუმცა მის ამ შეცდომას იმით ამართლებს, რომ რადე, უცხო ქვეყნელი მხოლოდ ზოგადად იცნობს ჩვენს ხალხს. გასაკვირი ის უფროა, რომ ჩვენივე ქვეყნის შვილი, იგულისხმება ალ. ცაგარელი, „თავის უმეცრობით დოქტორობის დიპლომს სწირავს ჩვენი ხალხის სხვადასხვა ნაწილების ერთობას“. მართალია, „დროების“ რედაქტორი თავის თავს ლინგვისტად არ გვისახავს, მაგრამ უბრალო ფაქტებით ასკვნის: „მეგრული ენა ყოველთვის შეადგენდა და შეადგენს საფეხურს ქართულის ენის შესწავლისათვის, მეგრელები ორსა და სამს თვეზედ სწავლობენ ჩინებულს ქართულს და ეს ყოველად შეუძლებელი იქნებოდა ამ ორ ენას შორის რომ სრული „მამულიშვილური“ კავშირი არ არსებობდეს... ქართული ენა ყოველთვის შეადგენდა და შეადგენს მეგრელებისთვის სანატრელ შესათვისებელ საგანს და ყოველ მეგრელს თავი მოაქვს, როცა ქართული კარგად ესმის, ეს უკანასკნელი მეგრელებისთვის სადარბაზო ენაა; იგი იხმარებოდა და იხმარება სამეგრელოში ერთმანეთ შორის მიწერ-მოწერის დროს და მთელი საქმისწარმოება ამ ქვეყანაში, როდესაც მას ავტონომიური უფლება ქონდა, ქართულ ენაზე იყო“ (გაზ. „დროება“, 1885, №49: 1).

რედაქტორი „ცრუ მეცნიერებად“ მოიხსენიებს ალ. ცაგარლის მსგავს მეცნიერებს და წერს: „თითქმის დღითიდღე უკან და უკან იწევს ის სამზღვარი, რომელიც ამ ორ ენას ერთმანეთთან ჰყოფდა, თუმცა კი გონებაგაღვიძებული საზოგადოებისთვის ეს სამზღვარი თავის დღეში არ არსებულა. მთელი სენაკის მაზრა ეხლა კარგად ლაპარაკობს ქართულს და ეს შეეხება არა მარტო თავდაზნაურობას, რომლისთვისაც ქართული ყოველთვის დედა-ენას შეადგენდა, არამედ გლეხობასაც“ (იქვე).

გაზეთ „დროებაში“ (შემდეგ გაზეთ „ივერიაში“) „მეგრელის“ ფსევდონიმით საპასუხო წერილებს ბეჭდავდა აგრეთვე თავადი ნიკოლოზ დადიანი. ის ეწინააღმდეგებოდა იმ მეცნიერებს, რომლებიც მეგრულს ცალკე ენად განიხილავდნენ. მან „დროების“ 1885 წლის №53 ნომერში გამოაქვეყნა წერილი სახელწოდებით „კიდევ მეგრული ენის თაობაზე“, სადაც ხაზს უსვამს ქართული ენის

ერთიანობას, ხოლო მეგრულს ამ ერთიანობის შემადგენელ ნაწილად თვლის: „მეგრული ენა რომ ქართული ენის ღვიძლი შვილია, ამაში შემოიტანს ექვს მხოლოდ ის, ვისაც მეგრული ისე გაეგება, როგორც ბ. რადეს ხევსურული. მეგრელები და ჭანელები ღვიძლი, ნამდვილი შვილნი არიან ქართველის ერისა. მაშასადამე, შეიძლება რომ შვილმა მამის ენა არ იცოდეს? რომელ ფილოსოფოსს მოუვიდა თავში მეგრულისა და ქართულის ერთმანეთისგან დაშორება? ჩვენ მეგრელები ნამდვილი შვილნი ვართ ქართველის ერისა და ჩვენი დედა-ენა ქართულია. სამეგრელოს ცხოვრება, გონებრივი განვითარება ქართულს ენაზე და მის მწერლობაზე იყო დამყარებული და ეხლაც არის. მეგრულს ენას თავისი არც ანბანი აქვს და რასაკვირველია, არც ლიტერატურა. იმას არც სხვა ენის ანბანი მიუდგება გარდა ქართულისა...“ (გაზ. „დროება“, 1885, №53: 1).

აქვე ნიკოლოზ დადიანი მსჯელობს გერმანული ენისა და დიალექტების მიმართებაზე, რითაც პარალელს ავლებს ქართულ ენობრივ ვითარებასთან: „ნემეცურ ენას თორმეტი თუ ცამეტი სხვადასხვა განყოფილება აქვს, შვაბელი და პრუსიელი ნემეცები რომ ერთმანეთს შეხვდებიან თუ თავიანთ კილოზე დაიწყეს ლაპარაკი, ერთმანეთისას ვერას გაიგებენ. გერმანიის ერთ მხარეზე ლაპარაკობენ ერთნაირი ნემეცურის ენით, რომელნიც ჰქვიან პლატ-დოიჩ, მეორე მხარეზე ხმარობენ იმავე ნემეცურ ენას, რომელსაც ჰობ-დოიჩს უწოდებენ. მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ნამდვილ ქართულსა და მეგრულს შორის, მაგრამ ვინ იტყვის, რომ შვაბელები ნემეცები არ არიანო? ვინ იტყვის, რომ ლესინგი, შილერი, გოეთე მთელის გერმანიისათვის საამაყო შვილნი არ იყვნენ? რომელი შვაბელი იტყვის ფაუსტის ენა ჩემი ღვიძლი დედა-ენა არ არისო?“ (გაზ. „დროება“, 1885, №53: 2).

მეგრულის, როგორც ქართული ენის დიალექტის, სამტკიცებლად ფრანგულის ვითარებასაც მოიხმობს: „ნაკლები განსხვავება არ არის ფრანციზულ ენაშიაც, პროვანსილური ლაპარაკი შამპანის მცხოვრებს თითქმის არ ესმის, მაგრამ არავის აზრად არ მოუვა პროვანსული ისეთ ენად აღიაროს, რომლისთვისაც ნამდვილი ფრანცუზული უცხო, გარეშე იყოს. ეგეთსავე მოვლენას ვხედავთ სომხურ ენაში: სოკური ენა არ ესმით ყარაბაღელებს, მაგრამ სალიტერატურო ენა ერთი და იგივეა“ (იქვე).

ქართული ენა რომ ერთიანი ქართველი ერის მეობის, ეროვნების განმსაზღვრელია, ამაზე ხაზგასმით მიანიშნებს ნ. დადიანი: „მეგრელი, იმერელი, გურული, კახელი, ხევსური, ქობულეთელი თუ აჭარელი - ყველანი ერთსა და იმავე ქართველ ერს შეადგენენ, მათი შემაერთებელი კავშირი არათუ მარტო ქართული ენაა, არამედ მთელი ცხრამეტი საუკუნის ისტორია, ჩვეულებანი, ხასიათი და სხვა. მართალია, უკუღმართ დროთა ბრუნვას პოლიტიკურად ხანდახან ერთმანეთს დავუშორებივართ, მაგრამ ეს ამბავი ყოველ ქვეყანაში მომხდარა. საფრანგეთში, გერმანიაში და იტალიაში ენის ერთობა, ზნეობრივი კავშირი და ეროვნული დამოუკიდებლობა არასდროს არ მოსპობილა. ეხლა, ღვთის მადლით როცა ჩვენ ყველანი ფშავიც, ხევსურიც, მეგრელიც, კახელიც და ქობულეთელიც დიდებულის რუსეთის მფარველობის ქვეშ შევედით - ეხლა უფრო უნდა გაძლიერდეს ის გრძნობა, რომ ჩვენ ყველანი ერთ ერს შევადგენთ, ერთი ენა გვაქვს, ერთი და იგივე ცხოვრების საგანი, ერთი და იგივე დანიშნულება. როგორც ხევსური, ისე მეგრელი ამაყობს საკუთარი წამებით საქართველოს ისტორიისა. დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, რუსთაველი, ანტონ ჭყონდიდელი წმინდა სახელებია როგორც გურულისა, ისე მეგრელისათვის, კახელისათვის და სხვა“ (გაზ. „დროება“, 1885, №53: 2).

მეგრულის კვალიფიკაციის საკითხზე თავიანთ შეხედულებას აფიქსირებდნენ არა მარტო ინტელიგენციის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, არამედ უბრალო ადამიანებიც, მოკლედ, ყველა, ვისაც გული შესტკიოდა სამსჯელო საკითხზე. მეგრელთა საერთო სურვილის გამომხატველია დროების №64 ნომერში განთავსებული სტატია სათაურით „**ხმა ერისა ხმა ღვთისა**“, რომლის ავტორია ერთი მეგრელთაგანი - **გ. ნ. ჩინჩალაია, ახალი სენაკელი**.

წერილის ავტორი, კიდევ ერთხელ, თავისი არგუმენტებით ამტკიცებს ქართველთა ერთობას: „დაუჟინიათ ბატონო, ქართული ენა მეგრელებისათვის უცხო არისო! რაღა ამისთანა მიზეზების ძიება არის საჭირო; ნათქვამია, დაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო... რათია უცხო ქართული მეგრელებისათვის? ყოველს კარგ სწავლულს კარგად მოეხსენებათ, რომ მეგრელნი ქართლოსიანთ ჩამომავლობისა არიან, ამას გვიმტკიცებს გარეგანი ცქვიტი მოძრაობა, გულის სიფიცხე, სახელები, გვარები და თვითონ ენაც. ყოველი მეგრელი, სკოლაშიდაც რო არ ისწავლოს, თითქმის ნახევარზე მეტს გაიგებს ქართულ ენას, აგრეთვე ქართულის მცოდნე გაიგებს

მეგრულსა. აბა, რათია უცხო ქართული მეგრელებისთვის? თუმცა, განსხვავება კი აქვს, მართალია, ასე, რომ მეგრულს სიტყვას ზოგს თითო, ზოგს - ოროლი ასოები აკლდება და ზოგსაც ემატება, ეს არის ჩვენი სიჩქარე და ჩვენი ქართლოსიანობის დამამტკიცებელი საბუთები“ (გაზ. „დროება“, 1885, №64: 1-2). მათ საპასუხოდ კი, ვინც გაუაზრებლად ასკვნის მეგრულის ცალკე ენად არსებობას, სთავაზობს რუსული ანბანით გამოხატულ მეგრულ დიალექტურ და ქართული სალიტერატურო ენის ფორმებს, რომ უფრო თვალნათლივ დაინახონ, მეგრული უცხო არ არის, ის იგივე ქართული ენაა: „აგრეთვე თითქმის ყოველს მეგრულს სიტყვას თავს-ბოლოს დაჰყვება ქართული სიტყვის დასაწყისი და გასათავებელი ასოები. მაგალითად, როგორც არის ქართული ჩემი, მეგრულად - ჩქიმი. ასე რომ, ჩამოათვალიერონ ქართული და მეგრული და შეადარონ ერთი მეორეს, მაშინ უფრო დარწმუნდებიან, რომ ქართული სრულებით უცხო არა ყოფილა მეგრელებისათვის, ანდაზად იტყვიან: **მეგრული იციო და არა ბატონოო. ქართული ხომ იციო? ქართული კი, კარგადო, მაშ, ქართული გადასხვავგარე და მეგრული იქნებაო**“. თავად წერილის ავტორი კი გვარწმუნებს, „მეგრული არის შემდგარი გადასხვავებულის ქართულისაგან და ამისთანა გადასხვავებების შესწორების საჭიროება რომ არ ესმოდეს ვისმეს, დიდი გაუგებრობაა“ (იქვე).

„დროების“ ფურცლებზე გაჩაღებული მსჯელობა მეგრულის კვალიფიკაციის შესახებ არ ცხრებოდა, უფრო და უფრო აქტიურდებოდა. თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ერთმანეთის საპასუხო წერილები.

სტეფანე ძიმისტარაშვილი იყო სამეგრელოს მკვიდრი. გარკვეული დროის განმავლობაში ახალ სენაკში სკოლის მასწავლებლად მუშაობდა და აქტიურად თანამშრომლობდა გაზ. „დროებასთან“. სტატიებს აქვეყნებდა „კორტოხას“ ფსევდონიმით. ის წინა ნომრის საპასუხოდ წერს წერილს რედაქციისადმი: „დღემდის ჩვენ, ქართველებს სათაკილოდ მიგვაჩნია და ასე ვამბობდით: 2 და 2 რომ 4-ია, ამას რა დამტკიცება უნდაო“. თუმცა, №59 ნომერში დაბეჭდილმა სტატიამ აიძულა არა მარტო სიტყვები მოეტანა, არამედ მთელი წინადადებები, რომ დაემტკიცებინა მათი ერთობა: „მეგრელები კიდეც რომ ქართველები არ იყვნენ, როგორც ჰგონებიათ ზოგიერთთ, მაშინაც დიდი უსამართლოება, შეცდომა იქნებოდა, რომ მეგრელებისათვის ქართული ენა არ ესწავლებინათ. აიღეთ თუნდ

მარტო ეკონომიური მხარე, შეხედეთ მას გონების თვალით და მიხვალთ იმ დასკვნამდის, რომ ქართული ენა, ვიმეორებ, ჩვენი სამშობლო ენაც რომ არ იყოს, ჩვენთვის, მეგრელებისთვის, შეადგენს სულიერს და ხორციელს საზრდოს. მართლა თუ არა ქართული ენის, სხვა რომელი ენის საშუალებით ვიქონიოთ მეგრელებმა ალებ-მიცემა იმერეთში, გურიაში, რაჭაში, ქართლ-კახეთში და ლეჩხუმში. ჩვენში ყოველთვის წირვა-ლოცვა ქართულს ენაზე ყოფილა და არის, აგრეთვე სასოფლო სასამართლოებში საქმის წარმოება ქართულს ენაზედვეა“ (გაზ. „დროება“, 1885, №67: 2).

განხილული მასალებიდან ჩანს, მეგრულის³ კვალიფიკაციის საკითხი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულენოვან პრესაში საკმაოდ აქტუალური იყო: **რუსი მოხელეები** ამტკიცებდნენ, რომ მეგრული დამოუკიდებელი ენაა და არაფერი აქვს საერთო ქართულთან, ხოლო **ქართველი საზოგადო მოღვაწენი** კონკრეტული არგუმენტებით ეწინააღმდეგებოდნენ ამ მოსაზრებას და ამტკიცებდნენ, რომ მეგრული იგივე ქართულია და არსებობს ქართველების მხოლოდ ერთი „სამშობლო ენა“.

ბ) გაზეთი „ივერია“

ქართველური ენობრივი სამყაროს კვალიფიკაციის შესახებ კამათი გაზეთ „დროების“ შემდეგ გაგრძელდა გაზეთ „ივერიაში“, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1877-1906 წლებში. სხვადასხვა დროს მას რედაქტორობდნენ: ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, ი. მაჩაბელი, გრ. ყიფშიძე...

სხვადასხვა პუბლიკაციებში ფიქსირდება საინტერესო თვალსაზრისები, პოზიციები ქართველური ენა-კილოების მიმართების საკითხთან დაკავშირებით. განსაკუთრებით საინტერესოა **ი. გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ა. ნანეიშვილის, ა. ახნაზაროვის, ნ. დადიანის, მ. ჯანაშვილის, ბ. ნიჟარაძის (თავადი სვანი)** და სხვა საზოგადო მოღვაწეების წერილები, სადაც გაშუქებულია ქართველი ხალხის ეროვნული მთლიანობის დაშლისაკენ მიმართული ღონისძიებები - მეგრულ-სვანური

³ შევნიშნავთ, რომ საანალიზო საკითხთან დაკავშირებით მეგრული უფრო მეტ მასალას იძლევა, ვიდრე სვანური, რადგან განსაკუთრებით აქტიურობდნენ სამეგრელოს მკვიდრნი...

ანბანის შექმნის პროვოკაციული ცდები; სამეგრელოსა და სვანეთის ეკლესია-მონასტრებში წირვა-ლოცვის მეგრულად და სვანურად შემოღება...

ცარიზმის ანტიეროვნული პოლიტიკა განსაკუთრებული სიმკაცრით ვლინდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის დაპირისპირების მიმართულებით. ხელისუფლება შეფარვით ცდილობდა ქართველი ერის დაქსაქსვას, საერთო ეროვნული კულტურის აღმოფხვრას საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ამ ჩანაფიქრის განხორციელებას თვითმპყრობელობა დამწერლობის ცალკეული სისტემების შექმნით ესწრაფოდა. სვან და მეგრელ მოსახლეობას ოფიციალურად აცხადებდა განსხვავებულ ეთნოსებად და მათთვის ანბანის შექმნას გადაუდებელ ამოცანად სახავდა. სვანებს არ თვლიდნენ ქართველებად, ხოლო სვანურს არაქართულ ენად მიიჩნევდნენ. მაგ., გაზ. „ივერიის“ 1903 წლის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილია მღვდელი ბლალოჩინის ივ. მარგიანის პასუხი „სვანური ენის შესახებ“. ავტორი აკრიტიკებს კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველის სტოიანოვის შეხედულებას: „სვანურს ენას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ქართულ ენასთან“ და ქართული და სვანური სიტყვების ერთმანეთთან შედარების საფუძველზე ასკვნის: „ეს სიტყვები, როგორც მიხვდება მკითხველი, ყველა ქართულია, მაგრამ არი კიდეც იმისთანა სიტყვები (აქაც ჩვენ მაგალითისთვის მხოლოდ რამდენიმე გამოვურიეთ), რომლებიც პირველს გაგონებაზედ ვერ შეიტყობთ მსგავსებას ქართულს სიტყვებთან, მაგრამ ძირი კი ნამდვილად ქართული სიტყვებისაა“ (გაზ. „ივერია“, 1903, №191: 3).

ანტიქართული პოლიტიკის მესვეურნი ცდილობდნენ სვანეთიდან განედევნათ ქართული ენა. ამ მიზნით 1864 წელს თბილისში გამოვიდა რუსული შრიფტით შედგენილი სვანური ანბანი 1200 ცალის ოდენობით. ანბანი შედგენილ იქნა ბარონ პ.უსლარის მეცნიერული კონსულტაციით; სვანური „ლუშნუ ანბანი“ ადგილობრივ-თათვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა. ამის შესახებ **ბესარიონ ნიჟარაძე** აღნიშნავდა: „დღესაც ხელუხლებლად დგას აქ რამდენიმე ყუთი სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთით გამოტენილი, მომეტებულად „ლუშნუ ანბანით“, რომელიც შესდგა განსვენებულის პ.უსლარის მოგონილის ასოებით“. ვითარებას ართულებდა ის გარემოებაც, რომ რუსული ალფავიტი, რომლის საფუძველზედაც „ახალი დამწერლობა“ შემუშავდა, ვერ გამოსახავდა სვანურისათვის დამახასიათებელ 13 ბგერას, ხოლო შესაბამისი ქართული დამწერლობითი ნიშნები, გასაგები

მოსაზრებით, არ გამოუყენებიათ. სავსებით ცხადია, რომ სახელდახელოდ შეთითხნილი „ლუმენუ ანბანი“ პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისითაც სრულიად უვარგისი იყო“ (გაზ. „ივერია“, №1891: 2-3). იმავე გაზეთის №126 ნომერში თავადი სვანი (ბ. ნიჟარაძე) წერს, რომ სინამდვილეს არ შეეფერება ის აზრი, რომლის მიხედვითაც სვანეთში ქართული არავინ იცის, პირიქით, ის თავად დასწრებია ლენტეხის სოფლის ყრილობას, სადაც მამასახლისს ასეთი პასუხი მიუცია: „მეხუმრებით თუ მართლა მკითხავთ? ლენტეხში ახლა დიდებმა კი არა, აკვანში მწოლარე ბაღნებმაც-კი ქართული იციანო“ (გაზ. „ივერია“, 1891, №126: 2-3).

რუსეთის იმპერია მიზნად ისახავდა საქართველოს ცალკეული კუთხეების მცხოვრებთა სხვადასხვა ხალხებად გამოცხადებას და ქართველთა ეროვნული ცნობიერების მოშლას. ამიტომ პირველ რიგში იერიში ქართულ ენაზე მიიტანეს, შეეუდგნენ მეგრული დამწერლობის შექმნა-პოპულარიზაციას; დაიწყეს მეგრული ანბანის შედგენა.

საინტერესოა, თუ როგორი რეაქცია მოჰყვა თვითმპყრობელობის მიერ გატარებულ „საგანმანათლებლო“ ღონისძიებებს თვით სამეგრელოში. ამაზე კარგად მეტყველებს იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში, კერძოდ გაზეთ „ივერიაში“ გამოთქმული გულისტკივილი „მეგრული ანბანის“ შემოღებასა და სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნასთან დაკავშირებით.

ნიკოლოზ დადიანი „მეგრელის“ ფსევდონიმით წერილებს ბეჭდავდა გაზეთ „ივერიაშიც“. თავადი ეწინააღმდეგებოდა იმ მეცნიერებს, რომლებიც მეგრულს ცალკე ენად განიხილავდნენ. მისი წერილი ვ. მაჩაბელმა გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიის“ 1904 წლის №241 ნომერში, რათა ეჩვენებინა მისი პოზიცია 19 წლის შემდეგ. წერილში ნ.დადიანი წერს: „მე წავიკითხე ის სტატიები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მეგრული ენის შუა და ქართველთა ენის შუა სიმზგავსეც არ არისო... ის გარეშე ქვეყნის ფილოლოგები, რომელნიც სწერენ მეგრულს და ქართულს ენებზედ, არიან სრულიად დაბნეულნი... ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს ხალხს აქვს თავისი საკუთარი აზრი და რწმუნება, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა საკუთარმა ისტორიამ და ახლა ვერა კაცი ვერ დაგვაჯერებს იმას, რაც ნამდვილი არ არის ჩვენთვის და რაც ავნებს ჩვენს წინ წაწევას. ამას გარდა, ხალხის ისტორია და სურვილი უნდა შეიტყოს კაცმა და შემდეგ ილაპარაკოს. მე მენგრელიას, იმერეთს და გურიას უყურებ როგორც საქართველოს

პროვინციებს. ჩვენს შუა განსხვავება არ არის და არც უნდა იყოს..." (გაზ. „ივერია“, 1904, №241: 2).

ნ. დადიანი მეგრელი ნ.დ.-ს ფსევდონიმით გაზ. „ივერიის“ 1887 წლის №39-ში აქვეყნებს წერილს „**კაი ხუმრობაა!**“ რომელშიც გაკრიტიკებულია „კუდიანთ მოამბის“ (ვინმე სამსონის), აშორდიას საქმიანობა. 1887 წლის გაზ. „ივერიის“ მე-7 ნომერში დაიბეჭდა ფელეტონი „წერილი კუდიანეთიდან. საკვირაო სხარტულა“. ფელეტონს ავტორი აქვეყნებს ფსევდონიმით „საფამფსოფონიფი“ - ანუ ავტორია ვინმე სამსონი. ფელეტონში ავტორი ცინიკურად და ირონიით ახსენებს აშორდიასა და მის „მარქაფებს“, რომელთაც დაკისრებული აქვთ მეგრულ ენაზე „გადმოღების“ მისია. მართალია, ვინმე სამსონს აშორდიას და მისი მიმდევრების დაცინვა ჰქონდა განზრახული, მაგრამ მას მაინც სამეგრელოს ღირსების შელახვა გამოუვიდა, ამიტომ ნ. დადიანმა მკაცრად გააკრიტიკა იგი: „**ვინ არ იცის და რომელმა გაგებიანმა ქართველმა, რომ ეგრისელი ანუ მეგრელი ქართველები ოთხი საუკუნე მეტი ცალკე სამთავროდ ჩამოცილებული იყვენ ძმათა და თვისთაგან, თავისთვის ცალკე განეგებოდნენ და განებჭობოდნენ; მაგრამ იმ შინა განხეთქის უდროვო დროსაც არავის გულშიდაც არ გაუვლია ეს მწვალებლური ფიქრი, რომ ჩვენებურს „ჟღურტულს“ ენობა ვუბოძოთ, ანბანი გამოვუხატოთ და მწერლობა დავულოცოთო. არავის უბრალო ბაასიც არ შეუბღალავს ამ გვარის განდგომილების წარმოთქმითაც; ისე როგორც დასაბამითგანვე ყოფილა, სამღვთო რჯულიც და საერო წესიც სრულდებოდა წმინდა ქართულს ენაზე და ვერც ერთი კუთხე საქართველოსი ვერ დაიჩემებს, იმოდენად განვითარებული სამოქალაქო, საბჭო სიტყვიერება ჰქონდეს, როგორც ეგრისის ქართველებს, მეგრელებს ჰქონდა... ამიტომ რომ არც ერთსა და არც მეორეს არ ჰსცოდნია, რომ მეგრული ქართული, იმერული ქართული, გურული ქართული, რაჭული ქართული, მთიული ქართული და სხვა ყველა ქართულია!...“ (გაზ. „ივერია“, 1887, №39: 3).**

მნიშვნელოვანია ეპისკოპოს გრიგოლ დადიანის ქადაგება: „სიტყვა სამეგრელო, მეგრელი განსაკუთრებულს ქვეყანას, განსაკუთრებულ ხალხს როდი შეადგენს. სამეგრელო ნაწილია ერთის ქვეყნისა, ჩვენის საზოგადო სამშობლოსი, საქართველოსი. მეგრელი იმ ქართველის სახელია, რომელიც საქართველოს ერთ ნაწილში სამეგრელოში ცხოვრობს... ნუ დაუჯერებთ ზოგიერთ სულმდაბალს,

რომელიც პირადის ინტერესებისათვის ქადაგებს ქართულისა და მეგრულის განსხვავებაზედ. ასრე პატარებო, იშრომეთ, ისწავლეთ და ნუ დაჰკარგავთ თქვენს საზოგადო სამშობლო ენას“ (გაზ. „ივერია“, 1893, №114).

კიდევ ერთი მოწინააღმდეგე, რომელიც არ ურიგდებოდა მეგრული ანბანის შედგენას, იყო **ალ. ნანიეშვილი**. ის „ივერიის“ 1889 წლის №4-ში გამოქვეყნებულ წერილში საუბრობს აშორდიას მიერ შედგენილი მეგრული ანბანის თაობაზე, რომ თვით მეგრელებსაც არ მოეწონათ ეს აზრი, რადგან **„მეგრელნი იგივე ქართველნი არიან, ქართულად მეტყველნი**. ვინ არ იცის, რომ მთელი თავად-აზნაურობა სამეგრელოსი, თვით სამთავრო გვარეულობიდან დაწყებული ვიდრე უკანასკნელ აზნაურამდე, ჩინებულად უბნობს საერთო, საყოველთაო ქართულს“ (გაზ. „ივერია“, 1889, №4: 1-2).

რუსეთის იმპერიის ანტიქართული პოლიტიკა კარგად ჩანს კიდევ ერთ ქმედებაში, რომელიც გულისხმობდა საღმრთო წიგნების მეგრულად თარგმნას. მეგრულად გადაიღეს წმინდა წერილის ნაწყვეტები და სცადეს სამეგრელოში ღვთისმსახურების შემოღება მეგრულად. იმპერიის მესვეურთა ამ ღონისძიებებს უარყოფითი გამოხმაურება ჰქონდა თვით სამეგრელოში. **ალ. ნანიეშვილი** წერს: „ეხლა სამეგრელოს აღმოსჩენია „წმინდა“ მამებიც, რომლებსაც სრული იმედია, წმინდანებად არ შერაცხენ. ამათ უკისრნიათ საღმრთო წერილის თარგმნა მეგრულს ენაზე... „ვინ არიან ეს მთარგმნელები? გიმნაზიებიდან გამორიცხულნი და სასოფლო სკოლებში კურსდამთავრებულნი. აი ამ კაცთ უკისრნიათ საღმრთო წერილის გადაღება მეგრულს ენაზე, მაშინ როდესაც მთელი სამეგრელო მრავალ საუკუნის განმავლობაში სასოებით ისმენს ქართულს წირვა-ლოცვას. ამ მთარგმნელებს გადაუთარგმნიათ რამდენიმე წიგნი და კიდევ წარუდგენიათ სასულიერო მთავრობისათვის. ამ მამათ ოღონდ თავიანთი ფარული აზრი საქმედ აქციონ და იმას კი არ დაეძებენ, რომ ერის რელიგიურს გრძნობას შეჰლახვენ და შეჰბღალვენ“ (გაზ. „ივერია“, 1889, №4: 1).

კიდევ ერთი დოკუმენტი იმის სარწმუნოდ, რომ სამეგრელოს მოსახლეობა უარყოფითად აფასებდა ამ ფაქტს, ის არის, რომ 1889 წლის 18 აპრილს ახალ-სენაკში ჩატარდა სასულიერო პირთა კრება, რომელზეც გურია-სამეგრელოს 42 სამღვდელთა წარმომადგენელმა შეადგინა ასეთი განაჩენი: „მეგრულს ენაზე

საღვთო წერილის გადაღება ყოვლად შეუძლებელიც არის და არც სანატრელია, რადგანაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ქართულ წირვა-ლოცვას შეჩვეულ ხალხში, რომელიც გვარ-ტომობითაც და ენითაც ქართველია, მწვალელობას გამოიწვევსო და ამ სახით დაარღვევს ძველის-ძველს ერთობას ჩვენის ეკლესიისაო“ (გაზ. „ივერია“, 1889, №92: 1).

საინტერესოა გაზ. „ივერიის“ 1889 წლის №115-ში დაბეჭდილია წერილი, რომლის ავტორია ვინმე „მწყემსი №9“. წერილი ეხება მეგრულად ლოცვებისა და წირვის წესის „გადათარგმნას“. სტატიის ავტორი კითხვას სვამს, თუ რა საჭიროება ითხოვს მე-19 საუკუნის დასასრულს ხალხს უარი ათქმევინონ ქართულს ენაზედ და მეგრულად დააწყებინონ წირვა-ლოცვა და წერა-კითხვა? და თავადვე პასუხობს: „რით ვერ გაიგეს, რით ვერ შეიტყეს, რომ მეგრული ენა არ არის ისეთი განსხვავებული ენა ქართულის ენისაგან, როგორც მაგალითებრ, ოსური, აფხაზური, და სომხური? რით ვერ შეიტყეს, რომ მეგრული ენა იგივე ქართული ენაა გადასხვაფერებული? ორს მეგრელს ისე არ შეუძლიან ილაპარაკოს მეგრულს ენაზედ, რომ ლაპარაკის დროს მესამედი მაინც ქართული სიტყვები არ იხმაროს“ (გაზ. „ივერია“, №115: 1-2).

ქართული ენა რომ ერთიანი ქართველი ერის მეობის, ეროვნების განმსაზღვრელია, ამაზე ხაზგასმით მიანიშნებს გაზეთ „ივერიაში“ 1904 წლის №165-ში დაბეჭდილი ერთი წერილი - „მეგრული ენის გამო“- ავტორი სენაკელი ტ. კ-ლი. წერილში საუბარია, რომ მთელ სამეგრელოში გავრცელებულია ხმები, თითქოს ქართული ენა გამოდევნილია სამეგრელოს სკოლებიდან, რადგანაც მეგრელებს ეს ენა (ქართული) არ ესმითო. ავტორისთვის ეს ძნელი დასაჯერებელია, რადგან თვით მეგრელებს რამდენიმე საუკუნეა თავიანთ სამშობლო ენად ქართული ჰქონიათ, წირვა-ლოცვა და სხვა მიმოწერა ასევე ქართულად აქვთ: „ცოდვა არ იქნება მეგრელებს წავართვათ თავიანთი ნამდვილი დედა-ენა - ქართული, რომელთანაც იგინი ისე მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი არა მარტო ნათესაობით, არამედ თოთხმეტი საუკუნის ღვთის მსახურებით და ორი ათასის წლის ისტორიულ-კულტურული ცხოვრებით?“ (გაზ. „ივერია“, 1904, №165: 3).

როგორც განხილული წერილებიდან ჩანს, მე - 19 საუკუნის 90-იანი წლების პრესაში ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები მეგრულს და სვანურს დამოუკიდებელ ენებად არ განიხილავდნენ. ქართული ენა, მათი აზრით, ისეთივე

მშობლიურია მეგრელისა და სვანისათვის, როგორც იმერელისთვის, კახელისთვის, გურულისთვის, ნებისმიერი კუთხის ქართველისთვის.

1.1.4. ქართველ კლასიკოსთა შეხედულებები

ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში კონკრეტული საქმეებით (სახელმძღვანელოების მომზადებით, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნით“...) აქტიურად აღუდგნენ წინ გამორჩეული ქართველი კლასიკოსები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი და სხვები.

განვიხილავთ მათ ნააზრევს.

აკაკი წერეთლისათვის მეგრული ისეთივე ქართულია, როგორც გურული, კახური, ქართლური, რაჭული, აჭარული. სტატიაში „უბრალო საუბარი“ ის მეგრულ კილოს ჩამორჩენილ ქართულს უწოდებს, რომელიც სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა: „თუ ვიტყვით, რომ მეგრელებს შინაურობაში (განსაკუთრებით, დაბალი წოდების ხალხს) მეგრულ კილოზე ლაპარაკი უფრო ეხერხებათო, ამითი რა დაშავდება? სამწერლო და სადარბაისლო ქართული იმათ ჩვენზე ნაკლებ არ იციან?! მართალია, მეგრული კილო ჩამორჩენილი ქართულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამაგიეროდ იგივე მეგრული დღეს სალაროა ნამდვილ ქართული სიტყვების. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-თათრულ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულს სწყვეტს... და მეგრულ ენაში კი შენახულან მარგალიტებად ეს ძველი სიტყვები... ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერალ-მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეივსოს დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი.

ეს რომ ასეა, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ერთმა უბრალო ახირებულობამ იძულებული გვყო დღეს, რომ „მეგრელობაზე“ ვისაუბროთ. ტყვილა კი არ არის ნათქვამი: „თავდაპირველად მუნი ერთმა თავგმა გააჩინაო“. ამ რამოდენიმე წლის წინეთ, ერთმა ვიღაც წინდაუხედავმა კაცმა აიხირა, რომ ჩვენ, მეგრელები, ქართველები არა ვართ და ჩვენი ენაც სულ სხვა ენაც არისო. ეს არ მოეწონათ მეგრელებს!.. იტყვიეს, ვინ ამბობს, რომ ჩვენ ქართველები არა ვართო! მეგრელები რომ ვართ, ეს მართალია და ნურც მოგვიშალოს ღმერთმა ჩვენი მეგრელობა, ისე როგორც გურულს გურულობა, ქართლელს ქართლელობა, კახელს კახელობა, რაჭველს რაჭველობა და სხვანო!... მაგრამ იმავე დროს ნუ თუ საერთოდ ქართველები არა ვართო? და როდის აგვიღია ხელი იმ დედაენაზედ, რომლითაც ღმერთს ვადიდებდით მრავალ საუკუნეების განმავლობაში და სამშობლოს ვემსახურებოდითო... თუ არა მზაკვარება და უგუნურება, გონიერება და სიმართლე იმას ვერ იტყვის, რომ მეგრელები ქართველები არ იყოს და მეგრული ძირითადი ქართული!..“ (წერეთელი 1990: 266-267).

საინტერესოა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის შეხედულება ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ. იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები აქტიურად იბრძოდნენ ქართველი ერის ინტერესების დასაცავად. თავის ერთ-ერთ პირველ წერილში „ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ კოზლოვიდგან შეშლილის თარგმანზედა“ ილია წერდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამასაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ - კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა სღვრთო რამ არის, საზოგადო საკუთრება, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“ (ჭავჭავაძე 1953: 26-27).

ილია ჭავჭავაძეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ენა ეთნიკური და კულტურული ისტორიის ამსახველი ფენომენია: „ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზე უფრო შემძლებელია და ყველაზე სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგანაც უფროს - ერთს შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას... ცხოვრება ერის გადაშლილია,

გამომზევებულია მის ენაში, რომელიც უტყუარი სარკეა ყოველის მისის თავგადასავლისა და ყოფა-ცხოვრების ცვალებადობისა“ (ჭავჭავაძე 1987: 23-24).

ილია ჭავჭავაძის ენობრივი კონცეფცია ზოგადად ასეთია: „**დედაენა, როგორც პიროვნების, მეობის (იდენტობისა) და მოცემული საზოგადოების (ერის, ეთნიკური ჯგუფის) ერთობის განმსაზღვრელი**“. ეს თეორია კი რამდენიმე წახნაგით შეიძლება განისაზღვროს: 1. ქართული ენა - ქართველთა ერთიანობის განმსაზღვრელი: წერილში „ვიცინოთ თუ ვიტროთ“ ილია ჭავჭავაძე ამხელს გორის სასულიერო სემინარიის გამგეობას, რომელმაც ქართულ სწავლებაზე თავის არიდების მიზნით სხვადასხვა კუთხის ქართველები (გურულები, იმერლები, ფშაველები...) სხვადასხვა გვარტომობის - ეროვნების წარმომადგენლებად ცნო (ფუტკარაძე... 2012: 213-222).

ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ **ვაჟა-ფშაველას** შეხედულება ისე ვრცლად არ მოგვეპოვება, როგორც სხვა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა, თუმცა ვაჟას ენობრივი კონცეფცია თავის შემოქმედებაში კარგად აქვს ჩამოყალიბებული. ამ საკითხს ეხება ტ. ფუტკარაძის სტატია „**ვაჟა-ფშაველა ქართული სამწიგნობრო ენის, ანბანისა და ქართველური დიალექტური ლექსიკის შესახებ**“. აქ განხილულია ვაჟას კონცეფციის ორი ძირითადი მიმართულება: 1. ენა და იდენტობა; 2. სტანდარტული ენა და დიალექტები.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ქართველთა დედაენის - ქართული ენის სიკვდილი საქართველოს სიკვდილია; ილია ჭავჭავაძის ცხედართან წარმოთქმულ სიტყვაში იგი ამბობს: „ახალ თაობაში ისეთი მახინჯი შვილებიც გამოერივნენ, რომელნიც თვით საქართველოსა ჰკლავენ: უარჰყოფენ ენასა, ეროვნებასა და თვით ტეროტორიასაც კი! რა არის, მაშ, თუ არა კვლა საქართველოსი?“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 291)

ვაჟა მწერლის აუცილებელ ნიშნად პატრიოტიზმს, თავისი ენისა და ერის სიყვარულს ასახელებს. ხოლო სხვაგან **მიწა-წყალი და დედაენა სამშობლოს** სინონიმად აქვს მოხსენიებული: „**პატრიოტიზმი, თავისი ენის და ერის სიყვარული... დედაენა მეორე მიწაა**“ (ვაჟა-ფშაველა 1979: 596-597) .

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1902 წელს დაწერილი ლექსი, რომელშიც ვაჟა ხაზს უსვამს ქართველთა ერთიანობას და დედაენის წინააღმდეგ ბრძოლად მიაჩნია მეგრული და სვანური ანბანების შექმნა:

„... გადაამტერებს ერთმანეთს

ქართლსა, იმერეთს, კახეთსა,
საკუთარს ანბანს შეუდგენს
სამეგრელოს და სვანეთსა...”

„ვაჟას შემოქმედებაში გატარებულია აზრი, რომ ეროვნული ენისა/ქართველთა საერთო ენისა/ და დიალექტის/სათემო კილოს, ხალხის სასაუბრო ენის/ მიმართება ისეთივე უნდა იყოს, როგორც მდინარისა და მისი შენაკადისა: „არა მგონია, შეედრებოდეს ერთი საგანი მეორეს ისე, როგორც მდინარეთა ენა. ვინც ცალკეულ შენაკადებს დამოუკიდებელ მდინარეებად გამოაცხადებს, ის ცუდ სამსახურს გაუწევს ნამდვილ მდინარესაც და თვით ნაკადულებსაც...” (ფუტკარაძე 2011: 43-49).

გაზეთ „ივერიის“ 1888 წლის №192-ში დაბეჭდილ წერილში - „მცირე შენიშვნა“ პასუხად პ. მირიანაშვილს” - ვაჟა აცხადებს, რომ თანამედროვე ლიტერატურული ენა უნდა დაეფუძნოს არა უბრალო „სახალხო ენას“, არამედ - ძველ ქართულ ენას და ამ ძველი ენის თავისებურებების შემნახველ ხალხურ კილოს: „...ვინ არის ისეთი გაუგებარი, რომ საერთო ლიტერატურულის ენის საჭიროება არ ესმოდეს, მწერლობდეს-კი და ენის გაუკეთესებასა და „გაწმენდაზე“ არა ჰფიქრობდეს?! ეხლანდელი ლიტერატურული ენა ახალია და სიახლის გამო ბევრს ფორმებს, ბევრს სიტყვებს მოკლებული არის. ყველა ეს ფორმები და სიტყვები ხალხშია დამარხული. ხალხი, ერი დედაა ენისა, იგი ჰბადებს და ჰზრდის ენას, როგორც დედა შვილს. ყოველი ეთნოგრაფი და საერო მწერალი მოვალეა ყველა საყურადღებო ხალხური სიტყვა, ან ფორმა გააცნოს ლიტერატურულ ენას, თუ იგი სიტყვა და ფორმა შეეფერება ენის ხასიათს, იმის ბუნებას...” (გაზ. „ივერია“, 1888, №192: 2-3).

ქართველური ენობრივი სამყაროს შედგენილობასა და ქართველური დიალექტების სტატუსის საკითხს რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა დიდმა კლასიკოსმა იაკობ გოგებაშვილმა. მისი წერილები ძირითადად მიმართული იყო ცარისტულ-იმპერიული ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების წინააღმდეგ.

ი. გოგებაშვილთან ტერმინები „მთავარი ენა“, „დედა ენა“ ეროვნული ენისა და სალიტერატურო ქართული ენის სინონიმებია; ტერმინი „ენა“ გამოყენებულია ეთნოსის/ეროვნების ენის (ქართული ენა, რუსული ენა, ფრანგული, სომხური...) აღსანიშნავად: მაგ.:

„ყოველს ერს აქვს მთავარი ენა, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მის დედა-ენად“ და თემიური კილო-კავები (наречия), რომლებიც იხსენებიან ადგილობრივ (...). ყველა სკოლებში სწავლება მოწყობილია დედა-ენაზე და ადგილობრივს კილო-კავებს ხმარობენ ასახსნელად და განსამარტავად იმ საერთო სიტყვებისა, რომელიც ადგილობრივ ბავშვებს არ ესმით“ (გოგებაშვილი 1990: 516-518).

როგორც სხვა მეცნიერთა ნაწერებში, იაკობ გოგებაშვილთანაც ტერმინი „ენა“ ზოგჯერ გამოყენებულია „სასაუბრო ენის“ მნიშვნელობითაც და იგულისხმება კილო-კავი.

შდრ. გ. გოგოლაშვილის აზრით, „**იაკობ გოგებაშვილთან კილო, კილო-კავი და დიალექტი** სინონიმური ტერმინებია. ქართული ენობრივი სივრცის დასახასიათებლად ამ ტერმინების სინონიმად ენის გამოყენებას პუბლიცისტურ წერილებში ერიდება. ქართული ენობრივი სიტუაციის უფრო ნათლად წარმოჩენისათვის მაგალითად მოიყვანს რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენობრივ სიტუაციას. ქართულისათვის ამ ტერმინების (კერძოდ თემური კილო-კავის) განსამარტავად наречия-ს მოიშველიებს. იმავე რუსულ ტერმინს აზერბაიჯანულის შემთხვევაში თარგმნის როგორც ენა. **ფაქტია, რომ კილო//კილო-კავი//დიალექტი „პროვინციალური ენაა“, ადგილობრივი ენაა**“ (გოგოლაშვილი 2016: 53).

მეცნიერის აზრით, ი. გოგებაშვილი შეგნებულად გამოიყენებდა კილოს, კილოკავს, დიალექტს მეგრული და სვანური „ენის“ აღსანიშნავად, რადგან პოლიტიკიდან გამომდინარე, თავი უნდა შეეკავებინაო. სამაგიეროდ, დიდ კლასიკოსს „ბუნების კარში“ უკვე აღარ ჰქონდა ეს პოლიტიკური პრობლემა, ამიტომ მეგრულს და სვანურს „შესაბამისი“ ტერმინებით მოიხსენიებსო. ეს ტერმინებია: **მეგრული შტო, სვანური შტო.**

შდრ.: „შტო“ მეგრულის აღსანიშნავად გამოიყენა რუსეთის პარტიულმა აქტივისტმა აკაკი კობახიძემ: „მეცნიერული თვალსაზრისით უდავოა, რომ მეგრული ეს არის ტომი და არა ერი და შტო საქართველოსი“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ. 6. ფურც. 104).

გ. გოგოლაშვილის აზრით: „ი. გოგებაშვილისთვის მეგრულ-ქანური ერთი ენაა (ცოტაოდენი განსხვავებით). ქართული ეროვნული ენის ტოტებია (შტოებია)

მეგრულ-ჭანური და სვანური. სვანურის შტო უფრო ადრე გამოეყო ეროვნულ ხეს, ვიდრე მეგრულ-ჭანურისა. მეგრულ-ჭანური და სვანური ენების მოწყვეტა ამ ეროვნული ხისაგან დალუპავს ამ ენებს: „დაჭკნობა და გახმობა აუცილებელი შედეგია მათის მოწყვეტისა და საერთო ნიადაგიდან... დიად, განცალკევება **ჰლუპავს ეროვნულ ხესაც და მისგან მოშორებულს ტოტებსაც...**“ (გოგოლაშვილი 2016: 53).

ვფიქრობთ, ი. გოგებაშვილის ციტატის მიხედვით ტერმინი „შტო“ უნდა გავიაზროთ არა როგორც „ენა“, არამედ როგორც კუთხური მეტყველება, დიალექტი, რომლის მოწყვეტა სალიტერატურო ენისგან და ცალკე ენად გამოცხადება ზიანს მიაყენებს ჩვენს მშობლიურ ენას და ქართველ ერს. შდრ.: „ტოტები“ მეგრულის, სვანურისა და ლაზურის აღსანიშნავად პირველად გამოიყენა ფრ. მიულერმა რ. ერკერტის წიგნის „ენები კავკასიური ფესვისა ანუ მოდგმისა“ წინასიტყვაობაში, როდესაც საუბრობდა ქართველური ენობრივი სამყაროს წარმომავლობაზე „**ხე ქართლოსიანთა ენისა. აქ ხის ძირი არის ქართლოსიანთა ძველისძველი დედა ენა, რომლიდგანაც უმთავრეს ღერძად წარმოვიდა აწინდელი ქართული ენა და მისი ტოტები: სვანური, მეგრულ-ლაზური და მთიელ ქართველთა კილო-კავნი: ხევსურულ-თუშური და ინგილოური**“ (გაზ. „ივერია“, 1894, №247: 3).

იაკობ გოგებაშვილმა ენისა და კილოს საკითხს სპეციალური წერილიც კი მიუძღვნა „ენა და კილო“, რომელშიც კარგად ჩანს მისი ენობრივი კონცეფცია: „ყველა სკოლებში სწავლება მოწყობილია **დედა-ენაზედ** და ადგილობრივ **კილოებს** ხმარობენ ასახსნელად და განსამარტავად იმ საერთო სიტყვებისა, რომელნიც ადგილობრივ ბავშვებს კარგად არ ესმით. ამ სახით ეფინება მთელს ხალხში **დედა-ენის** სრული ცოდნა... ასეთი წესია ევროპაში, ამერიკაში და ყველა კულტურულს ქვეყნებში... ასეთი გონივრული წესი იყო ჩვენს საქართველოშიაც მას უკან, რაც ქრისტიანობა მიიღო ჩვენმა ერმა. ვინ მოიფიქრებდა, თუ ამ გონივრულს წესსა მოწინააღმდეგენი გამოუჩნდებოდნენ ჩვენს საქართველოში... მაგრამ მხოლოდ ჩვენში სხვაგან არსად... არ აღმოჩენილა იმისთანა ჭკუა-მოკლე და უკუღმართი ადამიანი, რომელსაც ეთქვას, სკოლებში სწავლება **თემურ კილოებზე** უნდა იყოს და არა **დედა-ენაზე**ო.

ჩვენში კი აღმოჩნდნენ იმისთანა ჭკუით გლახაკნი, რომელთაც გაბედეს და წარმოსთქვეს, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდან **დედა-ენა** უნდა იქნას

გამორიცხული, რადგან აქ ხალხი ადგილობრივ კილოებს ხმარობსო“ (გოგებაშვილი 1990გ: 516-518).

ამავე სტატიაში ვრცლად მსჯელობს მეგრული კილოს შესახებ: „მეგრელები შეადგენენ ქართველთა შტოსა. სხვა ქართველებისაგან ბევრით არაფრით განსხვავდებიან, მარტო ენით არიან ცოტათი განცალკევებულნი, მაგრამ ძირი და ცხრა მეთაფი მეგრული ენისა სულ ქართულია. ღრმა მცოდნენი ქართულის ენისა მეგრელებს შორის უფრო ბევრნი მოიპოვებიან, ვიდრე სხვა ქართველებში... მათ თავის სალიტერატურო ენად მიიჩნიეს ქართული ენა, პროვინციულ კილოს კი მხოლოდ შინაურობაში ხმარობენ“ (გოგებაშვილი 1990ბ: 293-300).

ი. გოგებაშვილი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მეგრულის ქართულობას: „მართლაც რას წარმოადგენს მეგრელთა ტიპი, თუ არა ქართველს? რას წარმოადგენს მეგრული ენა, თუ არა ოდნავ შეცვლილ ქართულს. პროვანსული ენა ბევრად უფრო დაშორებულია ფრანგულისაგან, ვინემ მეგრული ქართულისაგან“ (გაზ. „ივერია“, 1904, №107).

საინტერესოა კიდევ ერთი სატატია „დაბალი ღობე ერთა შორის“, რომელშიც საუბარია ქართული ენისა და მეგრული კილოს ნათესაობასა და ერთობაზე: „სად თქმულა და გაგონილა, რომ უბრძანონ მთელს მხარესა, კარგა ბლომს ნაწილს ქვეყნისასა: აღარ გაიხსენო შენი ნათესაური დამოკიდებულება დედა-ქვეყანასთანა, ილაპარაკე მხოლოდ შენ შინაურ კილოზედ, ზურგი შეაქციე შენს მთავარ დედა-ენასა და დაივიწყე იგი, გადააგდე იქით მშობლიური ანბანი, შენი მონაწილეობით მოგონილი, უარჰყავ სამშობლო ლიტერატურა, რომლის სალაროშიც ერც ძმაზედ შენ ნაკლები არ შეგიტანია, გააუქმე შენი საღმრთო მეტყველება, რომელთანაც შეხორცებულია შენი სარწმუნოება, დაივიწყე შენი ათასის წლის ისტორიული არსებობა და გადაიქეც ველურ ხალხად, რომელმაც ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოსო“ (გოგებაშვილი 1990ა: 102).

სტატიაში „აფხაზეთის შესახებ“ ი. გოგებაშვილი გარკვეულ ზღვარს ავლებს აფხაზურის, როგორც დამოუკიდებელი ენის და მეგრულის, როგორც კილოს, შესახებ: „იშვიათად შემხვედრია სოფლელი აფხაზი, რომელსაც ქართული ლაპარაკი ესმოდა. იმავე დროს არ მინახავს ერთი მეგრელი, რომელსაც ეგევე ენა არ ესმოდა. აი რა განსხვავებაა აფხაზთა და მეგრელთა შორის. ამ განსხვავების შედეგი იყო, რომ მაშინ,

როცა მეგრელები ყველა საუკუნეში საქმიან მონაწილეობას ღებულობდნენ ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის გამდიდრებაში თავისი ნიჭიერ ნაწარმოებებით. აფხაზებისათვის ასეთი მონაწილეობა სრულიად უცხო იყო. აფხაზური ენა ქართული ენის კილო არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა“ (გოგებაშვილი 1990ბ: 134).

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ი. გოგებაშვილის ფრაზა - „მეგრელი ბავშვები ქართულს სწავლობენ“ - მიუთითებს, რომ მეგრული დამოუკიდებელი ენაა. მაგალითად. გ. გოგოლაშვილს მიაჩნია, რომ ი. გოგებაშვილი ტერმინ „კილოში“ ენას გულისხმობს „პოლიტიკური მოსაზრების“ გამო, რადგან კილოს, კილო-კავს მხოლოდ მეგრელთა და სვანთა აღსანიშნავად იყენებს და არა საქართველოს სხვა კუთხის შვილთა მეტყველების სინონიმად: „რაც შეეხება ტერიტორიულ დილექტებს (იმერული, გურული, კახური, ქართლური...) მათ იაკობი ამგვარი ტერმინებით არ განმარტავს, არ მოიხსენიებს ამგვარად; ჩვეულებრივ მიანიშნებს: ასე იტყვიან იმერეთში, ქართლში, კახეთში... გართულებული ეროვნული ვითარების გამო წმინდა პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა თავშეკავებას, რომ მეგრულისა და სვანურისათვის ეწოდებინა ენა“ (გოგოლაშვილი 2008: 21-22). „დედაენის“ ავტორისათვის პოლიტიზებულობის დაბრალება უხერხულია, რადგან ი. გოგებაშვილი ტერმინ „ენასაც“ იყენებს (ოღონდ კილოს გაგებით!). მაგ.: „რას წარმოადგენს მეგრული ენა, თუ არა ოდნავ შეცვლილ ქართულს“...; „ცხრა მეათედი მეგრული ენისა სულ ქართულია“ (ხაჭაპურიძე 2009: 107-115).

მაშასადამე, შეხედულება იმის შესახებ, რომ ქართველები ერთადერთ ენაზე ლაპარაკობენ, ხოლო მეგრული, ლაზური და სვანური ქართული ენის ისეთივე დიალექტებია, როგორც ქართლური, კახური, იმერული, გურული, ხევსურული, ფშაური და სხვანი, გავრცელებული იყო უძველესი დროიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე.

1.2. ქართველური ქვესისტემების კვალიფიკაცია საბჭოთა პერიოდში

1.2.1. ბოლშევიკური რუსეთის ანტიქართული ენობრივი პოლიტიკა საქართველოში და დისკუსია მეგრული მეტყველების სტატუსის შესახებ 1925-1930 წლებში გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით

ქართველთა დედაენის ისტორიის გაყალბებით ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების რუსული გეგმა აქტიურად განაახლეს ბოლშევიკებმა; კერძოდ, 1913 წელს გამოქვეყნდა ი. სტალინის წიგნი: „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, სადაც ვკითხულობთ⁴:

„კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?“ (გვ. 138-139)... „ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ“ (გვ. 142).

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ი. სტალინი უმწერლობო ენის მქონე დაგვიანებულ ერებად თუ ხალხებად აცხადებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 20-იან წლებში, დაისვა სამეგრელო-სვანეთის ავტონომიის საკითხი.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ენათმეცნიერებაში ქართველური ქვესისტემების შესახებ არსებობდა ორი თვალსაზრისი: 1. ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი გამოყოფდა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველურ ჯგუფს სამი ენის შემადგენლობით: ქართული, მეგრულ-ჭანური (იგივე ზანური, ანდა კოლხური) და სვანური; 2. ქართველ ენათმეცნიერთა მეორე ნაწილი გამოყოფდა ოთხ ენას - ქართულს, მეგრულს, ჭანურს (ლაზურს) და სვანურს და მათ მიიჩნევდა არა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ჯგუფად, არამედ დამოუკიდებელ, ქართველურ ენათა ოჯახად.

⁴ ვიმოწმებთ 1951 წლის გამოცემიდან

თ. გვანცელაძე ბოლშევიკური რუსეთის ანტიქართულ ენობრივ პოლიტიკას ასეთ შეფასებას აძლევს: „საბჭოთა კავშირის ხელისუფლება დაუფარავად აცხადებდა, რომ მისი სტრატეგიული მიზანი, დედამიწაზე საბჭოთა წყობილების დამყარება, ეთნოსთა და ენათა შერწყმა და მთელ მსოფლიოში ერთი (რუსული) ან ორი (რუსული და ინგლისური) ენის გაბატონება იყო. ამ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად სხვადასხვა პერიოდში იყენებდნენ სხვადასხვა ხერხსა და საშუალებას. მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში იმპერია დაუნდობლად ებრძოდა ნაციონალიზმს, ძალით ახორციელებდა კოლექტივიზაციას, ანადგურებდა ინტელიგენციას... მეორე მხრივ, მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და კულტურული დონის ამაღლების საბაზით ცდილობდა დაპყრობილ ხალხთა კეთილგანწყობის მოპოვებას. სწორედ ამ უკანასკნელი მიზნის მისაღწევად 1922 წლიდან დაიწყო მანამდე დამწერლობის უქონელ ენათათვის ანბანების შექმნისა და არსებულ დამწერლობიან ენათა მოდერნიზაციის მასობრივი პროცესი.

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, როცა დაიწყო დამწერლობათა შექმნის მასობრივი აქცია, ქართული ენათმეცნიერება არ იყო ისეთი ძლიერი, რომ აშკარად დაპირისპირებოდა იმპერიულ ენობრივ პოლიტიკას. კომუნისტებმა ქართველი ერის ერთიანობის საწინააღმდეგოდ ერთდროულად სხვადასხვა ხერხი გამოიყენეს: საქართველოში სრულიად უსაფუძვლოდ შექმნეს აფხაზეთის, აჭარისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიები; სამეგრელოში შეიქმნა პარტიკულარიზმის მქადაგებელი ორგანიზაცია „მაფალუ“; 1926 წლის მოსახლეობის აღწერის დროს ცალ-ცალკე აღრიცხეს მერულ და სვანურ „ენებზე“ მოლაპარაკეთა რაოდენობა და ა. შ. მათი მიზნების განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა, თუკი ქართველი ლინგვისტები მეგრულს, ჭანურსა და სვანურს ქართული ენის დიალექტებად მიიჩნევდნენ და არა დამოუკიდებელ ენებად” (გვანცელაძე 2005: 590-591).

იმპერიის ქმედებას არ შეგუებია სამეგრელოს ცნობილი მოღვაწე **კონსტანტინე გამსახურდია**. მან ქართული ენის ქმნადობის ძველქართული ტრადიციის საფუძველზე დღესაც აქტუალური თეორია ჩამოაყალიბა: „ჩემი აზრით, უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების საშუალებით. უნდა შემოუშვათ ქართულ (სამწიგნობრო) ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტების

სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურული... ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას...“ (გამსახურდია 1983 : 411).

„XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშავის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული“ (გამსახურდია 1983 : 499).

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, სამეგრელოს ქართველობის სურვილის საწინააღმდეგოდ, ი. სტალინის ზემოთ ხსენებულ წიგნზე დაყრდნობით, ბოლშევიკებმა დაიწყეს მეგრული სკოლების დაარსებაზე მსჯელობა. საყურადღებოა, რომ საქართველოს გასაბჭოების III ყრილობაზე, 1925 წლის 5-9 აპრილს, ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მდივანი ბ. შოგირაძე ყრილობას მეგრულად მიესალმა (მისი გამოსვლა სალიტერატურო ქართულით გადმოსცა ვინმე თოდრიამ); იგივე შოგირაძე დისკუსიის დროს რუსულ ენაზე გამოვიდა (და არა - ქართულად!). ამავე ყრილობაზე სვანურად გამოვიდა ვინმე აფრასიმე⁵.

ბოლშევიკების თავდაპირველი კურსის ლოგიკური გაგრძელება იყო 1925 წლის 3 სექტემბრის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის (წევრები: კახიანი, ოკუჯავა, ელიავა, გეგეჭკორი, ორჯონიკიძე, მათიკაშვილი, სუხიშვილი, ივანოვ-კავკაზსკი) დადგენილება „**მეგრული საკითხის შესახებ**“, რომელიც ითვალისწინებდა:

1. სამეგრელოს იმ რაიონებში/სოფლებში, სადაც მოსახლეობამ არ იცის ქართული ენა, „აუცილებლად ჩაითვალოს ურთიერთობა მეგრულ ენაზე“;
2. რაიონის სასამართლოში, სადაც არ ესმით ქართული ენა, დაშვებულ იქნას სასამართლო ლაპარაკი და სასამართლო განაჩენისა და დადგენილების გაცემა მეგრულ ენაზე;
3. შესაძლებლად ჩაითვალოს გლეხების გაზეთის და სააგიტაციო ხასიათის ფურცლების გამოცემა მეგრულ ენაზე;

⁵ ინფორმაციას ვიმოწმებთ წიგნიდან: ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, „მეგრული საკითხი“ (რედაქტორი ოთარ ჯანელიძე; რეცენზენტები: დავით სანდოძე, გურამ კუტალაძე), თბ., 2009: 152

4. შესაძლებლად ჩაითვალოს სამეგრელოს პირველი საფეხურის სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება⁶.

ზემოთქმულიდან გამომდინარე აშკარაა, მეგრული „ენისა“ და სამეგრელოს ავტონომიის საკითხები წამოიჭრა არა სამეგრელოში, არამედ ი. სტალინის კონცეფციის შესაბამისად ბოლშევიკური იმპერიის ცენტრში; 1924-1926 წლებში როგორც სამეგრელოს მოსახლეობაში, ასევე, საქართველოს ბოლშევიკურ ხელისუფლებაში მეგრულთან მიმართებით გამოიკვეთა ორი მიდგომა; კერძოდ:

1. ისტორიული ეგრისის (ოდიშის, სამეგრელოს) მოსახლეობის ისტორიული გზის შესაბამისად სამეგრელოში საქმისწარმოების, განათლებისა და პრესის ენად ქართული ენის შენარჩუნება
2. „ნაციონალურ საკითხში“ ი. სტალინის ხედვის გათვალისწინებით მეგრული მეტყველების დამკვიდრება დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეორე მიდგომის მომხრენი არ წარმოადგენდნენ სამეგრელოს, მათი იდეები არ ეფუძნებოდა სამეგრელოს ქართველობის ინტერესებსა და სურვილებს. ისინი იყვნენ არა სეპარატისტები, არამედ საბჭოთა იმპერიის ენობრივი პოლიტიკის ბრმა მიმდევრები, რომლებიც ვერ აცნობიერებდნენ, რომ ამ გზაზე დადგომით უარს ამბობდნენ მათივე წინაპრების მიერ შექმნილ მრავალსაუკუნოვან სამწიგნობრო კულტურაზე. ამ ჯგუფს პირობითად ვუწოდებთ **სტალინელ კოლაბორაციონისტებს**.

სტალინელი კოლაბორაციონისტები, თავის მხრივ, ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდნენ:

- ა) პირები, რომლებიც ითხოვდნენ სამეგრელოს შეერთებას რუსეთთან, ან ნაციონალური ავტონომიის გამოცხადებას 1922-1936 წლებში არსებული „ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის“ ფარგლებში; ასევე, სამეგრელოში მეგრული მეტყველების დამკვიდრებას დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად (ბუკონია-ბესელიას ჯგუფი, გრ. ახალაიას

⁶ საარქივო დოკუმენტის მისამართისა და დადგენილების განსხვავებული ინტერპრეტაციისათვის იხ.: გვარამია... 2009: 90.-92 (საარქივო დოკუმენტი: ფონდი 14, აღ. 2, ს.359, ფურც. 29).

ჯგუფი და ბეგლარ ბერიას ჯგუფი⁷. ლავრენტ ბერია 1925 წელს ამ ჯგუფის ლიდერად ასახელებს **მიშო დადიანს**. ეს ჯგუფი „ჩხოუშიელი ავტონომისტების“ სახელით არის ცნობილი⁸.

ბ) პირები, რომლებიც ითხოვდნენ სამეგრელოს გამოცხადებას „ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის“ ადმინისტრაციულ ოლქად და **მეგრული მეტყველების დამკვიდრებას დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად** (ისაკ ჟვანიას ჯგუფი).

არსებითია ის, რომ **ორივე ჯგუფი ითხოვდა უმწერლობო მეგრული მეტყველების ქცევას სამწერლობო ენად და ქართულის ნაცვლად** (თუ პარალელურად) მის **დამკვიდრებას დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად**⁹. თითოეული ჯგუფის საქმიანობა ასეთი იყო:

დადიანი-ბუკონია-ბესელიას ჯგუფი:

1925 წელს „სამეგრელოს მშრომელი ხალხის“ სახელით ბოლშევიკურ ხელისუფლებას მათ გაუგზავნეს რამდენიმე წერილი; კერძოდ: ციბაკი ბუკონიამ, სოლომონ ბესელიამ და კიდევ რამდენიმე პირმა „სამეგრელოს მშრომელი ხალხის“ სახელით მიმართეს „სრულიად რუსეთის სტაროსტას, მამა მიხეილ ივანეს ძე კალინინს“; დოკუმენტში ორი ძირითადი მოთხოვნა იყო:

⁷ ბეგლარ ბერია, გალდავა, ნიკოლეიშვილი, შონია, ციმენტია... დასახელებული პირები 1923 წელს პარტიიდან გარიცხეს ავტონომიის მოთხოვნის გამო (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 493, ფურცელი 17; დოკუმენტს ვიმოწმებთ წიგნიდან: ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, „მეგრული საკითხი“, თბ., 2009 : 146-148

⁸ იხ.: ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, „მეგრული საკითხი“, თბ., 2009 : 135-144: თავი VII: „ჩხოუშიელი“ ავტონომისტები და მათი მოთხოვნები.

⁹ **ეს მოთხოვნა დღესაც ისმის ხოლმე:** ზოგი დღესაც თვლის, რომ სამეგრელოში ქართული ბევრს არ ესმის, ამიტომ სწავლა-განათლებისათვის აუცილებელია მეგრულენოვანი სკოლები; მეგრულენოვანი სკოლებისა და სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის მოთხოვნის კანონზომიერების მტკიცებას ისახავს მიზნად ჩვენ მიერ არაერთხელ ციტირებული წიგნი: ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, „მეგრული საკითხი“, თბ., 2009 (იხ., მაგ. თავი V, "რა აწუხებს სამეგრელოს გლეხობას", გვ. 102-114). ამ ავტორებმაც არ იციან, რომ **მსოფლიოს თითქმის ყველა ენას აქვს ისეთი დიალექტები, რომელთა მფლობელებს არ ესმით სამწიგნობრო ენა, თუკი ეს ენა არ შეისწავლეს**. ქართული სამწიგნობრო ენაც ბევრი სხვა კუთხის ქართველისათვის იქნება გაუგებარი, თუკი განათლებას არ მიიღებს - არ ისწავლის ისტორიულ სამწიგნობრო ენას და მხოლოდ კუთხური კილოს ფარგლებში დარჩება მისი ენობრივი მსოფლადქმა. ვფიქრობთ, ამგვარი მოთხოვნა დღესაც სახიფათოა ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობისათვის, რამდენადაც მეგრული მეტყველების გადაქცევა საქმისწარმოებისა და მწიგნობრობის ენად ამ კილოს მფლობელთ გაუუცხოვებს მრავალსაუკუნოვან ისტორიულ დედაენას - ქართულ ენას და ენობრივ-კულტურულად დაანაწევრებს ქართველ ერს.

1. სამეგრელოს უშუალო დაქვემდებარება მოსკოვზე საქართველოს სუვერენიტეტის გარეშე, რომ „სამუდამოდ განმტკიცდეს სამეგრელოს და რუსეთის მშრომელთა კავშირი“. **ბუკონია-ბესელიას არგუმენტი:** სამეგრელო რუსეთს შეუერთდა 1804 წლის ტრაქტატით და ალექსანდრე მეორის 1867 წლის 4 იანვრის ბრძანებით;
2. სამეგრელოს „სამშობლო ენაზე“ - „მეგრელი ტომის“, მეგრელი ხალხის ენაზე - მეგრულ ენაზე - გაზეთების გამოცემის აღდგენა „ლენინიზმის ხაზის მკაცრი დაცვით“, რომელ ხაზსაც ეწინააღმდეგებიან „ქართველი უკლონისტები“ და „სამეგრელოს მშრომელი ხალხის სათავეში უკლონისტების მიერ დაყენებული მეგრელი ამხანაგები“. **ბუკონია-ბესელიას აზრით,** მეგრელი ხალხი ცალკე ერია, მეგრული კი არის დამოუკიდებელი ენა¹⁰.

ლავრენტი ბერია ამ ჯგუფის წინამძღოლად ასახელებს მიხეილ (მიმო) დადიანს, რომელსაც დაუწერია ნაშრომი: „ფილოსოფია და უბრძნესი ენა“; ამ გამოუქვეყნებელ ნაშრომში გატარებულია აზრი, რომ მეგრული ენა მსოფლიოს მარგალიტია; მეგრული ძველსიტყვაობა პირველდაწყებითი ენაა აზიისა და აფრიკის ხალხებისათვის; რომ მეგრელები პირველი ხალხია დედამიწაზე...“¹¹

გრ. ახალაიას ჯგუფი:

გრიგოლ ახალაიას, ალიკო კვარაცხელიას, ბაგრატ ხუფენიას, მარზი ხუბუტიასა და ილია ჯანჯალიას ხელმოწერით 1925 წლის 20 მარტს წერილი გაეგზავნა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს; ხელმომწერთა აზრით, კაცობრიობის უხსოვარი დროიდან მეგრელი ხალხი ქართველი (ქართველური) ტომისაგან გამოირჩევა როგორც ჩვეულებით, ისე სალაპარაკო ენით; მეგრელი ხალხი იჩაგრება იმიტომ, რომ მეგრული ენით არ მიეწოდება კომუნიზმის იდეები და ითხოვენ ბელადების წიგნების თარგმნას მეგრულ ენაზე. ავტორები ემიჯნებიან ქართველ ერს და მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებამ მათ, როგორც დამოუკიდებელ ერს, ისე უნდა მოექცეს¹². ავტორები კატეგორიულად ითხოვდნენ მეგრული ენის ქცევას

¹⁰ მოთხოვნებს ვიმოწმებთ ლავრენტი ბერიას წერილიდან: „მეგრულ ავტონომისტების შესახებ“, გაზეთი კომუნისტი, 1925, 13 სექტემბერი. ლ. ბერია ამ დროს იყო საქართველოს ჩეკას საიდუმლო ოპერატიული განყოფილების უფროსი. (იხ. დანართი №2).

¹¹ ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, „მეგრული საკითხი“, თბ., 2009 : 136-137.

¹² დოკუმენტისათვის იხ. ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, „მეგრული საკითხი“, თბ., 2009 : 149-151

საქმისწარმოებისა და სწავლების ენად. ამ ჯგუფის მიერ გამოიციმოდა გაზეთი: „ნოთე“ (რედაქტორი გრიგოლ ახალაია)¹³.

ლ. ბერიას დადიანი-ბუკონია-ბესელია-ახალაიას ჯგუფში აერთიანებს ისაკ ჟვანიასაც. თუმცა, ფაქტია, რომ ბუკონია-ბესელიასაგან განსხვავებით, ისაკ ჟვანია ითხოვდა სამეგრელოს ადმინისტრაციულ ოლქს. ამ ცდომილების მიუხედავად, ვფიქრობთ, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების კვალად, ლ. ბერია მიშო დადიანს, გრ. ახალაიასა თუ ისაკ ჟვანიას ერთ რანგში იმიტომ განიხილავდა, რომ **სამივე მათგანი ცდილობდა, მეგრული მეტყველება ექცია სამწიგნობრო ენად და საქმისწარმოების ენად**, რაც, ერთი მხრივ, ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დაშლის შეუქცევად საფუძველს შექმნიდა, მეორე მხრივ კი, სამეგრელოს მოსახლეობას დაუკარგავდა წინაპრების მიერ შექმნილ, სულ მცირე, 16-საუკუნოვან სამწიგნობრო კულტურას.

ლოგიკურია ამავე ჯგუფში განვიხილოთ ბოლშევიკი **ტარასი შენგელიაც**, რომელმაც 1933 წელს მსგავსი მოთხოვნებით მიმართა სკკპ (ბ) ცკ-ს მდივანს აშხ. ი. სტალინს, სსრ კავშირის ცკ-ის თავმჯდომარეს აშხ. კალინინს და სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს აშხ. მოლოტოვს; კერძოდ, იგი სამეგრელოს სახელით ითხოვდა აჭარის ავტონომიის მსგავს ავტონომიურ ოლქს საქართველოს შემადგენლობაში და მეგრული ენისა და ლიტრატურის შექმნას¹⁴.

ისაკ ჟვანიას ჯგუფი:

ისაკ ჟვანია ი. სტალინის თვალსაზრისზე დაყრდნობით ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებისთანავე ცდილობდა სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის შექმნასა და მეგრული სკოლების დაარსებასა და მეგრული გაზეთების გამოცემას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1925 წლის 24 აგვისტოს ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრების (ი. ჟვანია და სხვები) და ცენტრის წარმომადგენლების (მათიკაშვილი, გიორგაძე, ეგოროვი) ერთობლივი დადგენილება:

1. სამეგრელო „გაფორმდეს“, როგორც საქართველოს სსრ შემადგენლობაში შემავალი კულტურულ-ტერიტორიული ერთეული.

¹³ „ნოთე“ დაიხურა 1925 წელს. საინტერესოა: ამ სახელით 1990 წელს „საქართველოს სახალხო ფრონტის“ ზუგდიდის რეგიონალურმა ორგანიზაციამ ზუგდიდში გამოსცა ორკვირეული გაზეთი; რედაქტორი: ჯამბულ არქანია. ამავე სახელით გაზეთი გამოიციმოდა 1997-1998 წლებში.

¹⁴ ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, „მეგრული საკითხი“ (რედაქტორი ოთარ ჯანელიძე; რეცენზენტები: დავით სანდომე, გურამ კუტალაძე), თბ., 2009 : 117

2. ნება დაერთოს პარტკომის ორგანოს სახით ყოველდღიური გაზეთის და სხვ, პოლიტიკურ-ლიტერატურული და სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ბროშურების გამოცემას.

3. პირველი საფეხურის სკოლებში შემოღებულ იქნას მეგრული ენით სწავლება.

4. ყველა დაწესებულებაში საქმისწარმოება შემოღებულ იქნას მეგრულ „ენაზე“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 226 ფურც. 53/3)¹⁵.

დასახელებული მოთხოვნები გაიმეორა 1925 წლის 3 სექტემბერის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის (წევრები: კახიანი, ოკუჯავა, ელიავა, გეგეჭკორი, ორჯონიკიძე, მათიკაშვილი, სუხიშვილი, ივანოვ-კავკასკი) დადგენილებამ „**მეგრული საკითხის შესახებ**“. დადგენილება ითვალისწინებდა:

1. სამეგრელოს იმ რაიონებში/სოფლებში, სადაც მოსახლეობამ არ იცის ქართული ენა, „აუცილებლად ჩაითვალოს ურთიერთობა მეგრულ ენაზე“;

2. რაიონის სასამართლოში, სადაც არ ესმით ქართული ენა, დაშვებულ იქნას სასამართლო ლაპარაკი და სასამართლო განაჩენისა და დადგენილების გაცემა მეგრულ ენაზე;

3. შესაძლებლად ჩაითვალოს გლეხების გაზეთის და სააგიტაციო ხასიათის ფურცლების გამოცემა მეგრულ ენაზე;

4. შესაძლებლად ჩაითვალოს სამეგრელოს პირველი საფეხურის სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება¹⁶.

1925 წლის 8 სექტემბრის გაზეთ „**კომუნისტში**“ სამეგრელოს ავტონომიის მხარდამჭერთა წინააღმდეგ გაილაშქრა ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორმა წერილით: „**იანოვსკი-ვოსტორგოვის ღირსეულ მემკვიდრეებს**“. მოთხოვნას ალ. გეგეჭკორმა შემდეგი არგუმენტებით უპასუხა:

1. სამეგრელოს არასოდეს უცხოვრია საქართველოსგან მოწყვეტით; სამეგრელო არის საქართველოს ისტორიული და განუყოფელი ნაწილი, ისეთივე, როგორც ქართლ-კახეთი, მთა, გურია, იმერეთი.

¹⁵ მსჯელობისათვის იხ.: ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, „მეგრული საკითხი“ (რედაქტორი ოთარ ჯანელიძე; რეცენზენტები: დავით სანდომე, გურამ კუტალაძე), თბ., 2009 : 108.

¹⁶ საარქივო დოკუმენტის განსხვავებული ინტერპრეტაციისათვის იხ.: ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, „მეგრული საკითხი“ (რედაქტორი ოთარ ჯანელიძე; რეცენზენტები: დავით სანდომე, გურამ კუტალაძე), თბ., 2009 : 90-92 (საარქივო დოკუმენტი: ფონდი 14, აღ. 2, ს.359, ფურც. 29).

2. მეგრელები წარმოადგენს ქართველი ერის ისეთივე შტოს, როგორცაა: იმერლები, გურულები, ფშავ-ხევსურნი... მეგრელი არ არის ცალკე ეროვნება, როგორც ამას აცხადებდა იანოვსკ-ვოსტორგოვ-აშორდია; გარდა ამისა, მეგრელი დასაბამითვე შემოქმედია ქართული სალიტერატურო ენისა (ალ. გეგეჭკორი იმოწმებს ანტონ ჭყონდიდელისა და თედო ჟორდანას ისტორიულ სახელებს, ასევე, სამეგრელოდან გამოსული პარტიული და უპარტიო ინტელიგენციის პოზიციას, რომელიც დაფიქსირდა 1924 წელს); ქართული ენა არის მეგრელთა „სამშობლო ენა“; შესაბამისად, მეგრულს ვერ ვუწოდებთ დამოუკიდებელ ენას, რადგან მეგრულში ძირითადად იგივე ქართული სიტყვებია; მეტიც, მეგრულის „უკლებლივ ყველა ძირის სიტყვები მთლად ეთანაბრება ქართული სიტყვების ძირებს იმდენად, რომ ქართული ლიტერატურული ენის შესასწავლად აუცილებელია მეგრული დიალექტიკის გაცნობა... მეგრული მართლა დიალექტია, მხოლოდ დიალექტი, ქართული ენის ერთ-ერთი შტოთაგანია"... „არავითარ დამოუკიდებელ მეგრულ კულტურაზე არ შეიძლება ლაპარაკი. სამეგრელოს კულტურა მთლიანად ქართულია, ქართულ საფუძველზეა მოქარგული, ქართული ფესვებითაა მოარსებე“¹⁷ (გაზ. „კომუნისტი“, 1925, №203)¹⁸.

ალ. გეგეჭკორის მსგავსი არგუმენტებით 1925 წლის 13 სექტემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ჩეკას საიდუმლო ოპერატიული განყოფილების უფროსის **ლავრენტი ბერიას** სტატია: „მეგრელი ავტონომისტების შესახებ“¹⁹. ლ. ბერიამ წერილში სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა გააკრიტიკა.

¹⁷ ალ. გეგეჭკორის წერილის კრიტიკული ანალიზისათვის იხ., ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, „მეგრული საკითხი“, თბ., 2009: 5; კერძოდ, ავტორები წერენ, რომ გეგეჭკორის ეს სიტყვები სიმართლეა, მაგრამ „ამ სიმართლესთან ერთად მან (გეგეჭკორმა) არაფერი სთქვა, რომ ისტორიის ბედუკუდმართობის გამო სამეგრელოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი რეალურად მხოლოდ მეგრული ენით ფუნქციონირებდა, რადგან სამეგრელო-ავხაზეთის მოსახლეობის მეგრელების ერთ ნაწილს არ ესმოდა სხვა ენა, გარდა თავისი მშობლიური მეგრული ენისა, საჭირო იყო იმ თავისებურების გათვალისწინება. ამასთანავე მეგრელ მოსახლეობას უხსოვარი დროიდან ჰქონდა შესისხლხორცეული სალაპარაკო მეგრული ენა, რომელიც დამახინჯებული ქართული კი არ იყო, როგორც ეს ზოგიერთ საბჭოთა ჩინოვნიკს გამოჰყავდა, არამედ ქართული ენის პარალელურ, **ძმა ენას** წარმოადგენდა“ (ფუტკარაძე... 2017ბ).

¹⁸ ფუტკარაძე... 2017ბ; სრული ტექსტი იხ. დანართი № 1

¹⁹ იხ. დანართი №2.

ალ. გეგეჭკორისა და ლ. ბერიას სტატიებს მოჰყვა ქართველთა ეროვნულ-ენობრივ ერთიანობასა და სეპარატიზმის მხილებაზე ორიენტირებული სხვა წერილებიც, რომელთა ავტორები იყვნენ: დ. თოფურიძე, სოფ. ხობში დაბადებული უხუცესი სოციალ-დემოკრატი („სამეგრელო და აშორდისტები“: გაზ. „კომუნისტი“, 15.09.1925); მ.კვარაცხელია („უპასუხისმგებლო გამოსვლის შესახებ“: გაზ. „კომუნისტი“, 16.09.1925); ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის ყოფილი გამგე ბ. შოგირაძე („ახალი აღმოჩენა“: გაზ. „კომუნისტი“, 17.09.1925)²⁰ და სხვ.

ისინი ცდილობენ დაამტკიცონ სამეგრელოს ცალკე ავტონომიად გამოცხადების უსაფუძვლობა.

დ. თოფურიძე აღნიშნავს, რომ „საქართველო ისტორიულად და კულტურულად მთლიანი ორგანიზმია და ამ მთლიანობის დარღვევა ნიშნავს მთელი ერის და მისი ნაწილების ეკონომიკურად და კულტურულად დაშლას“ (გაზ. „კომუნისტი“, 1925, №211: 2). ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მეგრული ენა არ არის ცალკე ენა, ის ქართული ენის ერთ-ერთი კილოკავია“. ამ აზრის დასადასტურებლად მას მოაქვს ვრცელი ამონაწერი ნ. მარის თხზულებიდან, სადაც ის მდიდარი მასალებით ამტკიცებს საქართველოს და ქართული ენის მთლიანობას²¹.

ბ. შოგირაძე ასახელებს ოთხ პუნქტს (ენა, ტერიტორია, ეკონომიური ცხოვრება, ნაციონალური კულტურა), რომლის მიხედვითაც ასკვნის, რომ „მეგრული ენა ეს ქართული ენის შტოა... უმრავლესობა ქართული სიტყვებია მეგრულში, ძირები ყველა ერთი და იგივე წარმოშობისაა... არასოდეს არ ყოფილა მეგრული მწერლობა, მეგრული ლიტერატურა. ქართული ლიტერატურა, მწერლობა - იგივე მეგრული ლიტერატურა და მწერლობა, მეგრული მწერლები და პოეტები ქართველი მწერლები და პოეტებია...

²⁰ ეს ის შოგირაძეა, რომელიც ამ წერილის გამოქვეყნებამდე რამდენიმე თვით ადრე ყრილობაზე მეგრულად გამოვიდა. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების პოლიტიკა სერიოზულად მერყეობდა „მეგრული თემის“ საკითხში; ეს გაორება მალე გადაიზარდა ისაკ ჟვანიასა და ლავრენტი ბერიას სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში; თავდაპირველად ი. სტალინი ი. ჟვანიას მხარეს იჭერდა, მაგრამ შემდეგ, დიდი ალბათობით, ლ. ბერიამ ი.სტალინი გადაარწმუნა.

²¹ იხ. დანართი №13

ერთი სიტყვით ცალკე მეგრული ენა არ არსებობდა და არც არსებობს...“ (გაზ. „კომუნისტი“, 1925, №213: 2)²².

სამეგრელოს მკვიდრი, სენაკელი მ. კვარაცხელია წერს: „სამეგრელო განუყოფელი ნაწილია საქართველოსი როგორც ეკონომიკურად, აგრეთვე კულტურულად. სამეგრელოს ხალხი მუდამ ყოფილა და არის მჭიდროდ დაკავშირებული მთელ ქართველ ხალხთან... ხელოვნურად გამოყოფილი ნაწილი ვერ იცოცხლებს და მოკვდება... ყოველი მეგრელი, რომელიც თავის მოქმედებაში არ ხელმძღვანელობს ფარული, პირადი ინტერესებით, თავის სამშობლო ენათ თვლის მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენას, სწავლობს ამ მშობლიურ ენას“. წერილის ავტორი კარგად ფლობდა სამეგრელოში არსებულ ვითარებას, რადგან ამტკიცებდა, რომ „დღეს სენაკის მაზრაში იშვიათად შეხვდებით ისეთ გლეხს, რომელსაც არ ესმოდეს ქართული ენა, ხოლო ზოგიერთ ოჯახებში უფრო ეხერხებათ ქართულ ენაზე ლაპარაკი. მართალია, ზუგდიდის მაზრა ამ მხრივ უფრო ჩამორჩენილია, მაგრამ მთელმა ახალგაზრდობამ იცის ქართულად ლაპარაკი“ (გაზ. „კომუნისტი“, 1925, №212: 2)²³.

საქართველოს ხელისუფლებისათვის ეს კურსი რომ პრიორიტეტული იყო, ამას ცხადყოფს იმავე პერიოდში ორგანიზებული ორი მასშტაბური შეხვედრა:

- 1925 წლის 22 სექტემბერს ახალსენაკში ჩატარდა „მასწავლებელთა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა“ კრება, რომელსაც 60 წარმომადგენელი ესწრებოდა. წარმომადგენელთა ყრილობამ დაადგინა, რომ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა არის საქართველოს დანაწევრების მცდელობა (რეზოლუცია დაიბეჭდა 24 სექტემბერის გაზ. „კომუნისტში“).

- 1925 წლის 23 სექტემბერს თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში ჩატარდა სამეგრელოდან წამოსული საზოგადო მოღვაწეების, მწერლებისა და სხვა ცნობილი ადამიანების შეკრება, სადაც ცნობილი სიტყვით გამოვიდა **თედო სახოკია**:

„სამეგრელო საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო ყოველთვის. მეგრული ენა არ არის ცალკე ენა, ის მხოლოდ ქართული ენის ერთ-ერთი კილოკავია, რომელსაც ხმარობენ შინაურ ცხოვრებაში სამეგრელოს მკვიდრნი“.

²² იხ. დანართი №14

²³ იხ. დანართი №15

„მეგრული ენის საკითხი არასოდეს არ წამოჭრილა საქართველოში. ის დაისვა მხოლოდ რუსების შემოსვლის შემდეგ, როდესაც გაუქმდა საქართველოს სხვადასხვა სამთავროები. რუსეთის თვითმპყრობელურმა მთავრობამ იგრძნო საქართველოს გაერთიანების საშიშროება და ის ხელოვნურად ცდილობდა გამოეწვია საქართველოს დაქუცმაცება. სწორედ ამ მიზნით იყო წამოყენებული მეგრული ენის საკითხი” (გაზ. „კომუნისტი“, 1925, №219: 2)²⁴.

საყურადღებოა პრეზიდიუმის შემადგენლობა: ცნობილი ეროვნული მოღვაწე გიორგი ჟორდანიას (თედო ჟორდანიას შვილი), თედო სახოკია (პრეზიდიუმის თავმჯდომარე), აკაკი ფაღვა (პრეზიდიუმის წევრი), დიომიდე თოფურიძე (პრეზიდიუმის წევრი), ბართლომე პატარია (პრეზიდიუმის წევრი), ანდრო თოდუა (პრეზიდიუმის წევრი) და ალ. გეგეჭკორი, პრეზიდიუმის საპატიო წევრი. ცნობილი ადამიანების ამ შეკრებამ დაგმო როგორც სამეგრელოს ავტონომიის, ასევე, მეგრულად სწავლების დაწყების მოთხოვნაც²⁵.

მეგრულთან დაკავშირებით საინტერესოა კრებაზე სიტყვით გამოსული კონსტანტინე გამსახურდიას შეფასება:

„აშორდია-ლევიცკის აგენტებს - ამ გამოთაყვანებულ ხალხს - უნდათ, რომ ჩვენ უარვყოთ რუსთაველის, ჩახრუხაძის, გურამიშვილის ენა და მის ნაცვლად შემოვიღოთ აშორდიას მიერ შეთითხნილი მეგრული მართლწერა. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვსპოთ საქართველოსაგან სამეგრელოს ჩამოშორებისა და საქართველოს დაქუცმაცების ყოველი ცდა“ (გაზ. „კომუნისტი“, 1925, №219: 2).

ცნობილია, რომ „მეცნიერი ნ. მარი 1912 წლამდე ქართველობას იცავდა ცარიზმის მიერ დაგეგმილი „სამეცნიერო“ შემოტევებისაგან, ხოლო შემდეგ თავად გახდა ქართველთაგან მოსაგერიებელი“ (ფუტკარაძე 2006 : 149). მისი ეს პოზიცია კარგად ჩანს გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე, სადაც თ. სახოკია წერს: „სასულიერო უწყების სკოლებს სათავეში ჩაუდგა მღვდლის ანაფორაში გახვეული კაციჭამია დეკანოზი ივანე ვოსტორგოვი. ის ამტკიცებდა, რომ მეგრელებს არავითარი ნათესაობა

²⁴ იხ. დანართი №4

²⁵ კრების მასალები დაიბეჭდა 25 სექტემბრის გაზეთებში: „კომუნისტი“, „მუშა“. საგანგებო მასალა გამოქვეყნდა ასევე 27 სექტემბრის გაზეთ „მუშის“ დამატებაში სათაურით: „ტარტაროზი“. კრების რეზოლუციის კრიტიკული ანალიზისათვის იხ.: გვარამია.... 2009: 28-32.

არა აქვთ ქართველებთან, მეგრელები ცალკე ერს შეადგენენო... მას გამოეკამათა პროფესორი ნიკო მარი, რომელმაც ნაცარტუტად აქცია და მიწასთან გაასწორა ვოსტორგოვის საბუთები“. ნ. მარის ამგვარ პოზიციას ასახელებს დ. თოფურიძეც. მოვიყვანთ ციტატას მისი გამოსვლიდან: „მეგრული ენა არ არის ცალკე ენა, რომ ის მხოლოდ ქართული ენის ერთ-ერთი კილოკავია, რისთვისაც მას მოჰყავს ვრცელი ამონაწერი პროფ. ნიკო მარის თხზულებიდან, სადაც მარი მდიდარი მასალით ამტკიცებს საქართველოს და ქართული ენის მთლიანობას“ (გაზ. „კომუნისტი“, 1925, №219: 2).

ალ. გეგეჭკორისა და ლ. ბერიას წერილების შემდეგ აქტიურად ჩანს მხოლოდ ისაკ ჟვანია და მისი ჯგუფი; მეტიც, ისაკ ჟვანია საჯაროდ დაუპირისპირდა ლ. ბერიას; კერძოდ, 1925 წლის 15 სექტემბერს გამოქვეყნდა ისაკ ჟვანიას პასუხი სათაურით: „სამეგრელოს ავტონომისტების შესახებ“ (ვრცლად იხ. ფუტკარაძე... 2017ბ). ჩანს, იმხანად კრემლი ი. ჟვანიას მხარეს იყო: 1928 წელს მოსკოვიდან ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი პშენიციანი, რომელმაც შემოიარა სამეგრელოს სოფლები და დაასკვნა: **„მეგრულ გლეხებს უნდა მივცეთ სკოლა, სასამართლო და პოპულარული ბროშურა მშობლიურ ენაზე“**. კრემლის მითითებით 1929 წლის 25 მარტს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კახიანმა მიიღო **დადგენილება მეგრული ენის პრივილეგიების აღსადგენად სკოლაში, სასამართლო საქმის წარმოებისა და გამოძიების საქმეში**. ამ დადგენილების მიხედვით, იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცოდა (!), საქმის წარმოება და სასამართლოს წარმოება მეგრულ ენაზე უნდა შესრულებულიყო... (ჟვანია 1931 :147). ნიშანდობლივია: დადგენილების I და II პუნქტებში ერთმანეთს უპირისპირდება ქართული და მეგრული; მაგ., IV პუნქტში მითითებულია, რომ დადგენილებები, განკარგულებები უნდა გამოქვეყნდეს როგორც ქართულად, ისე მეგრულად... რუსული იმპერიული მანქანა XVIII საუკუნეში დაწყებულ სვლას განაგრძობდა;

„მავრის“ როლის შემსრულებელი კი სხვები იყვნენ (ბოლშევიკები: იოსებ სტალინი, ფილიპე მახარაძე, ისააკ ჟვანია...)»²⁶.

ჩანს, ლავრენტი ბერიას წინააღმდეგობის გამო არც 1929 წლის დადგენილებას მოჰყოლია რეალური შედეგი; ამიტომ 1929 წლის 12 სექტემბერს სოჭში ი. სტალინს შეხვდა ი. ჟვანია, რომელიც წერს:

„ამხ. სტალინს ვთხოვე, რომ მას თავისი მითითებები მოეცა შემდეგ საკითხებზე:

1. მეგრულ ოლქთან, ან საოლქო აღმასკომთან დაკავშირებით,
2. მეგრულ ენაზე გაზეთის და სხვა გლეხური ლიტერატურის გამოცემის შესახებ,
3. სამეგრელოს პირველი საფეხურის სკოლებში მეგრული ენით სწავლების შემოღების შესახებ.

ყველა სამივე საკითხზე ამხ. სტალინმა დადებითი მითითება გასცა»²⁷.

ამ შეხვედრის შემდეგ ი. ჟვანიასა და მის თანამზრახველებს ხელ-ფეხი გაეხსნათ. დაიწყო მეგრული ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა და დაფუძნდა მეგრული დაწყებითი სკოლები. 1931 წ. დიდი ტირაჟით იბეჭდება ი. ჟვანიას წიგნიც: „როგორ იბრძოდა სამეგრელოს მშრომელი გლეხობა საბჭოების ხელისუფლებისათვის“.

მოულოდნელად ი. ჟვანიას და მის ჯგუფს ზუგდიდში სერიოზული ოპოზიცია გამოუჩნდა: სამაზრო კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე, ბიუროს წევრი **ბოკუჩავა** და მაზრის პროფკავშირული ორგანიზაციის თავჯდომარე **პერტახია**. ისინი ბრალს სდებდნენ ი. ჟვანიას. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნავდნენ, რომ მან გაზეთის გარშემო შემოიკრიბა ცნობილი „მაფალუელები“: ა. ჭანტურია, გ. ჟვიტია და სხვები. მათ ხმარებაში შემოჰქონდათ არქაული მეგრული სიტყვები, ხელოვნურად თხზავდნენ სიტყვებს, ქართული სიტყვების განდევნის საფუძველზე ხმარებაში ნერგავდნენ რუსულ სიტყვებს და ა.შ. (შსს არქივი, ფ.14, აღ. 6. ს. 266, ფურც. 47).

²⁶ ი. ჟვანია ნამდვილად არ გამოხატავდა სამეგრელოს მოსახლეობის პოზიციას. მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტყარაძე... ევროპული ქართია რეგიონული ან უმცირესობის შესახებ და საქართველო, ქუთაისი, 2010 : 29-48. <http://www.putkaradze.ge/cigni%20dasrulebuli/links/shesavali.htm>

²⁷ ვიმოწმებთ წიგნიდან: ვ. გვარამია.... „მეგრული საკითხი“, 2009: 262.

ბოკუჩავა და პერტახია აღნიშნავენ, რომ „სამეგრელოს არასოდეს არ ჰქონია საქართველოსაგან დამოუკიდებელი კულტურა. მეგრულ ენაზე არ არსებობდა არც ლიტერატურა, არც დამწერლობა“ (შსს არქივი, ფ.14, აღ. 6. ს. 266, ფურც. 48). შსს არქივში მოძიებული დოკუმენტები ადასტურებს ბოკუჩავას ამ შეხედულებას²⁸ (შსს არქივი, ფ.14, აღ. 6. ფურც. 98).

საინტერესოა პარტიული აქტივისტის აკაკი კობახიძის შეფასება. ის წინააღმდეგია სამეგრელოს ავტონომიისა და უარყოფითად აფასებს ი. ჟვანიას და მისი გუნდის წევრების მოქმედებას. 1931 წელს პარტიული კომიტეტის სახელზე გაგზავნილ წერილში წერს: „არსებობს თუ არა სამეგრელოსათვის ეროვნული საკითხი. ვინც ლენინიზმის ანბანი იცის, მისთვის არ არსებობს და არც იარსებებს. ისტორიულად იჩაგრებოდა თუ არა სამეგრელოს მკვიდრნი საქართველოს დანარჩენი ტომებისაგან? არა და არა.... შესაძლებელია გამოჩნდეს ისეთი თავხედი, რომელმაც მოინდომოს მტკიცება იმისა, რომ სამეგრელოს ეკონომიკურ-პოლიტიკური ან კულტურული მდგომარეობა იმდენად განირჩევა სხვა/საქართველოს/რაიონებიდან, რომ მიზანშეწონილი იყოს ავტონომია: აი მაგალითი - რა განსხვავებაა ან თავისებურებაა ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად მარტვილის და ხონის რაიონებს შორის. აბაშა და სამტრედიას, სენაკი და ლანჩხუთის, ზუგდიდის და ონის - ან ლეჩხუმის შორის და საერთოდ ამ რაიონების მოსახლეობას შორის. ამ კითხვაზე პასუხი ერთია - თვალსაჩინო არავითარი... მეცნიერული თვალსაზრისით უდავოა, რომ სამეგრელო ეს არის ტომი და არა ერი და შტო საქართველოსი“²⁹ (შსს არქივი, ფ.14, აღ. 6. ს. 266, ფურც. 104).

1.2.2. არნ. ჩიქობავა მეგრული მეტყველების სტატუსისა და მეგრულად (სვანურად) სწავლების შესახებ

²⁸ იხ. დანართი №11

²⁹ იხ. დანართი №12

მოცემულ პარაგრაფში შევხებით იმ დისკუსიას, რომელიც მიმდინარეობდა 1925-1932 წლებში ქართველური კუთხური მეტყველების გამოყენების სფეროს შესახებ, კერძოდ, სამეგრელოში მეგრულად სწავლებისა თუ ქართულ სკოლებში მეგრული და სვანური მეტყველებების გამოყენებით ქართულენოვანი სწავლების შესახებ. წინასწარვე შევნიშნავთ, რომ იმხანად ფართომასშტაბიანი დისკუსია დასრულდა არნ. ჩიქობავას მიერ ჩამოყალიბებული დასკვნით.

1931 წლის 20 ნოემბერს ისაკ ჟვანიამ დაწერა ოფიციალური წერილი „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ლ. ბერიას“, სადაც ჩამოყალიბა თავისი ხედვა სამეგრელოსა და მეგრულის შესახებ; მისი მოთხოვნები ასე გამოიყურება:

1. გაფორმდეს მეგრული ოლქი იმ რაიონებისაგან, რომლებშიც მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობას არ ესმის ქართული ენა.
2. ნება დაერთოს მითითებული რაიონების დაწყებით სკოლებში სწავლებას მშობლიურ, ე.ი. „მეგრულ ენაზე“; იქვე ჩამოთვლილია შემდეგი რაიონები: ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ხობი, სენაკი; ხოლო ნაწილობრივ მარტვილი, აბაშა და ფოთი³⁰.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ი. სტალინისა და სხვა ცნობილი ბოლშევიკების ამ კურსს წინ აღუდგა ლავრენტი ბერია (ვფიქრობთ, თედო სახოკიას, კონსტანტინე გამსახურდიასა და სამეგრელოს სხვა ღირსეული შვილების მოსაზრებების გათვალისწინებით); კერძოდ, მან განათლების სახალხო კომისარიატის სახელით, 1932 წელს სამეგრელოში მიავლინა ცნობილი ენათმეცნიერი არნოლდ ჩიქობავა. სწორედ არნ. ჩიქობავას დასკვნის საფუძველზე შეწყდა მეგრულენოვანი სკოლების ფუნქციონირება (ფუტკარაძე... 2018)³¹.

³⁰ საარქივო დოკუმენტი: პრეზიდენტის არქივი, ფონდი 14, აღ. 6, ს 266, ფურც. 103. ვიმოწმებთ წიგნიდან: ვ. გვარამია... „მეგრული საკითხი“, თბ., 2009: 90-92. არქივში დაცულია, ასევე, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1931 წლის 28 ნოემბრის საიდუმლო გზავნილი (№82/87/ს), რომელიც გვამცნობს: „საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს წევრებსა და წევრობის კანდიდატებს: ამხანაგ ბერიას დავალებით გასაცნობად გეგზავნებათ მეგრული საკითხის შემდეგი მასალები“.

³¹ ფორმალურად დასკვნას ხელს სხვებიც აწერდნენ (იხ. დანართი №7).

1932 წლის მარტშივე ლ. ბერიამ წამოიწყო ფართომასშტაბიანი კამპანია მეგრული სკოლების წინააღმდეგ; პირველ რიგში, დიდი ალბათობით მისი ინიციატივით მომზადდა შაბლონი, რომელიც 1932 წლის მარტის პირველ ნახევარში დაიგზავნა სამეგრელოს სოფლებსა და რაიონებში (ფუტკარაძე... 2017ბ); შაბლონში ვკითხულობთ:

„1. პარტ. კომკავშირის გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა ინფორმაციული მოხსენება კომ. უკრედის მდივანი ამხ. სამეგრელოს საკითხის შესახებ. პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება აღნიშნავს, რომ ზუგდიდის რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგები ამხანაგ ი. ჟვანიას მეთაურობით დიდი ხანია ცდილობენ, რომ სამეგრელო გამოაცხადონ ავტონომიურ ოლქად. ამ მიზნით ისინი მიმართავენ ყოველგვარ ღონესა და საშუალებას. ზოგ შემთხვევაში თავს აცხადებენ სამეგრელოს წარმომადგენლებად და ლაპარაკობენ მთელი სამეგრელოს სახელით. პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება კატეგორიულ პროტესტს აცხადებს ზუგდიდის რაიონის ზოგიერთ ხელმძღვანელ ამხანაგების მიერ უფლებების უკანონოდ მითვისების გამო და გადაჭრით აცხადებს, რომ ამ. ი. ჟვანიას და მის თანამოაზრეებს არავითარი უფლება არა აქვთ ილაპარაკონ მშრომელი მოსახლეობის სახელით.

2.. პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება კატეგორიულად აცხადებს, რომ სამეგრელოს ავტონომიურ ოლქად გამოცხადება ან ყოფილი ზუგდიდის მაზრის რაიონების ერთ რაიონად გაერთიანება არ არის მშრომელი მოსახლეობის სურვილი...

3. პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება იწონებს საქ. კ. პ. /ბ/ საქართველოს მთავრობის დადგენილებას სამეგრელოს რაიონებში პირველ დაწყებით სასწავლებლებში გამოყენებული იქნეს მეგრული ენა, როგორც დამხმარე ენა ქართული ენის სწავლებით. მაგრამ არ იზიარებს სამეგრელოს პირველ დაწყებით სკოლებში მეგრული ენით დაწყების ცდას“. ამ ყოველივეს შესასწავლად მოითხოვენ:

„..... ყოველივე მიზეზის გარეშე მიავლინონ ავტორიტეტის კომისია, რომელიც გამოარკვევს და შეისწავლის... მთელი მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნილებას ამ საკითხში...“³² (შსს არქივი, ფ. 14, აღ. 6. ს. 266, ფურც. 220-223).

როგორც აღვნიშნეთ, 1932 წლის აპრილის დასაწყისში საქართველოს სახალხო განათლების კომიტეტის სახელით სამეგრელოში მიავლინეს არნ. ჩიქობავა. მან სამეგრელოში არსებული რეალური ვითარების შესწავლის საფუძველზე მოითხოვა დახურულიყო მეგრული და სვანური დიალექტების მიხედვით შექმნილი მეგრული და სვანური სკოლები. ეს ინფორმაცია ჩვენთვის ცნობილი იყო, მაგრამ არ გვექონდა შესაბამისი დოკუმენტი. წლების მანძილზე ვეძებდით საარქივო მასალას. ბოლოს საქარ-თველოს ეროვნულ არქივში მივაკვლიეთ საჭირო 4 დოკუმენტს³³. ოთხივე დოკუმენტი უცნობია სამეცნიერო საზოგადოებისთვის და შეიცავს საინტერესო ინფორმაციას³⁴.

უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში მოვიძიეთ დოკუმენტი, რომელიც შექმნილია 1933 წელს და შედგენილია ქართულ ენაზე. დოკუმენტში ვკითხულობთ: არნ. ჩიქობავას როგორც განსახკომის წარმომადგენელს, საქმის ვითარების სწორად და სრულად გაშუქების მიზნით, დავალებული ჰქონდა „1. მეგრული პირველი ჯგუფების გარდა კომისიას გამოეკვლია ქართული პირველი ჯგუფებიც, რომ მეგრული და ქართული პირველი ჯგუფების მუშაობის შედეგთა შეპირისპირება შესაძლებელი ყოფილიყო; 2. გაეთვალისწინებინა უფროსი ჯგუფების მუშაობა ქართულის

³² შაბლონის გამოტოვებულ ადგილებში იწერებოდა შესაბამისი სოფლებისა თუ რაიონების სახელი და ამ რაიონების/სოფლების წარმომადგენელთა (მირითადად, პარტიულ აქტივისტთა და დეპუტატთა) გვარები, ვინც ბოლოს ხელს აწერდა ამ დოკუმენტს (იხ. თანდართული დოკუმენტი, დანართი №6).

³³ 1.სსსრ განათლების სახალხო კომისარს. მოხსენება

(უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი - ფ. 300, ა.12, ს.26, ფურც. 1-6)

2. მოხსენება მეგრული პირველი ჯგუფის შემსწავლელი კომისიისა

(უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი - ფ. 300, ა.12, ს.26, ფურც. 44-47)

3. მეგრულ ენაზე სწავლების შესახებ

(უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი - ფ. 300, ა.12, ს.26, ფურც. 41-41ა)

4. განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება ხდომაზე 1933 წლის 25 მაისი

(უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ.300, აღ.12, ს.26. ფურც. 63-123)

³⁴ დოკუმენტების ანალიზისათვის იხ.: ფუტკარაძე, თედორაძე, 2017

პრაქტიკულად ცოდნა-მოხმარების მხრივ და 3. რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, გაერკვია როგორ უყურებენ - მოსახლეობა (მშობლები პირველ ყოვლისა), მასწავლებლები და ნაწილობრივ თვით ბავშვები მეგრულად სწავლებას“.

ამ დოკუმენტების მიხედვით არნ. ჩიქობავას არგუმენტები ასეთია:

1. „საბჭოთა საქართველოს მშრომელთათვის (მხედველობაში გვყავს ქართული გვარტომობის მოსახლეობა) მეცნიერებისა და ლიტერატურის ენა იყო და არის ქართული ენა, საქართველოს სახელმწიფო ენა. სოციალისტური მშენებლობისა და კულტურული რევოლუციის ენა“ (უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი - ფ. 300, ა.12, ს. 26, ფურც. 44-47).

2. „ძირითადი პედაგოგიური საკითხი, რომელიც ამჟამად ისმის, ამ ხასიათისა არის: წარმოადგენს თუ არა მეგრულად მოლაპარაკე ბავშვებისთვის ქართული ისეთ იარაღს, რომელიც მის ბუნებრივ განვითარებას ზღუდავს?

უნდა ითქვას, რომ ფსიქოლოგია მეგრულ მეტყველებებისა იმდენადვე ახლო სდგას ქართულთან, რამდენად ახლო სდგას ქართულთან რომელიმე ხევსურის ფსიქოლოგია. იმდენადვე მეგრულად მოლაპარაკე ბავშვებისათვის ქართული ენა ნორმალურ იარაღს წარმოადგენს, როგორც ვსთქვი, წარმოადგენს იმავე ხევსურისათვისა, სვანისათვის. ქართული ენა მეგრელი და სვანი ბავშვების ნორმალური განვითარებისათვის ისეთივე ბუნებრივი და პედაგოგიურად მიზანშეწონილი იარაღია, როგორც ხევსური და გურული ბავშვებისათვის“ (უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი - ფ. 300, ა.12, ს.26, ფურც. 1-6). „არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ სალიტერატურო ქართული ენა განსხვავდება (ზოგჯერ თვალსაჩინოდაც) თვით ქართული კუთხური მეტყველებისაგან (მაგ. თუშური, ხევსურული გურულისაგან). სალიტერატურო ქართულს თვით ქართულად მოუბარნიც სწავლობენ“ (უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი - ფ. 300, ა.12, ს.26, ფურც. 44-47)³⁵.

3. „ისტორიულად მეგრულის უფლებებისათვის იღვწოდა (ანბანის შედგენა და სხვა) თვითმპყრობელობა (იგულისხმება მეფის რუსეთი! - მ. თ.), ე.ი. სწორედ ის ძალა, რომლებიც ქართული ენის უფლებებს ხმაავდა: მეგრულის უფლებებისათვის ზრუნვა

³⁵ იხ. დანართი №7.

ქართულის შევიწროების საშუალება იყო. კულტურულ-ისტორიულად საზოგადოებრივ-პოლიტიკურად მეგრული ენის უფლებების საკითხის გაჩენა საქართველოში ისევე წარმოუდგენელია, როგორც წარმოუდგენელია „დაჩაგრული მეგრული“. ამჟამად მეგრული ენის ქართული სალიტერატურო ენისათვის დაპირისპირება საუკეთესო შემთხვევაში არის ფეოდალური საქართველოს კუთხური კარჩაკეტილობის და წეწა-გლეჯის ფსიქოლოგიის რეციდივი“ (უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი - ფ. 300, ა.12, ს. 26, ფურც. 1-6)³⁶.

4. „ქართულად სწავლება სავსებით შესაძლებელია პირველი ჯგუფებიდანვე. პედაგოგიურად საჭიროა და პრაქტიკულად აუცილებელი სწავლების პროცესში გამოვიყენოთ მეგრული, როგორც დამხმარე საშუალება ქართულად მოცემული მასალის შეთვისების გასაადვილებლად“ (უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი - ფ. 300, ა.12, ს. 26, ფურც. 44-47)³⁷; მეორე დოკუმენტში უფრო დაზუსტებულია ეს საკითხი:

„მეგრულის საკითხი არის პრაქტიკული საკითხი. სამეგრელოს მოსახლეობა აღმოსავლეთ სანაპიროს გამოკლებით ოჯახში ქართულად არ ლაპარაკობს (იქაც კი, სადაც ყველას ესმის ოჯახში ქართული). ბავშვები სკოლაში რომ მოდის, მან ქართული ჩვეულებრივად არ იცის, ამიტომ პრაქტიკულად აუცილებელია მეგრული იქნეს გამოყენებული, როგორც დამხმარე საშუალება ქართულის შეთვისებისას და შესათვისებლად. არა თუ პირველ ჯგუფში, უფროს ჯგუფშიაც მასწავლებელს მოუხდება მეგრულის წაშველიება³⁸; ამისათვის, რა თქმა უნდა, არც მეგრული

³⁶ იხ. დანართი №8.

³⁷ იხ. დანართი №7.

³⁸ გერმანულის მასწავლებლები ჯერ კიდევ დავობენ იმ საკითხის შესახებ, თუ როგორ შეუთავსონ სალიტერატურო ენა და დიალექტი საგაკვეთილო პროცესში ჰარმონიულად ერთმანეთს. დიალექტის ფუნქციის განსაზღვრის, გაკვეთილზე მისი შესაძლებლობების შესახებ ჯერ კიდევ დიდი გაუგებრობა სუფევს, ამიტომ მკვლევრები პ. ბრაუნი და მათაიერი აყალიბებენ 4 ძირითად კონცეფტს ამ საკითხთან დაკავშირებით:

- დიალექტის რაც შეიძლება სწრაფი და ძლიერი შევიწროება და განდევნა ცხოვრების ყველა სფეროდან, რათა მოსწავლეებმა საერთოდ აღარ ილაპარაკონ დიალექტზე.
- დიალექტისა და სალიტერატურო ენის თანაბარი სწავლება სკოლაში, რადგან მოსწავლეებმა იცოდნენ ორივე ვარიანტი.
- სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის აღმოფხვრა იმ მიზნიდან გამომდინარე, რომ ხალხური ენისა და სხვადასხვა სასაუბრო ენის ვარიანტების შესწავლა და გაცნობა შეძლონ მოსწავლეებმა.
- დიგლოსიის პრინციპის დამკვიდრება დიალექტის ენობრივ ბაზაზე დაყრდნობით, რადგან წერის, საუბრისა და კითხვის სალიტერატურო ვარიანტები სისტემურად მიეწოდება მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში, ხოლო დიალექტი მართალია არ ისწავლება, თუმცა სრულიად

სახელმძღვანელოა საჭირო და არც მეგრული ტერმინოლოგია, რომელთაც ებლაუჭებიან სწორედ ისინი, ვისაც სურს მეგრულის საკითხი პრინციპულ-პოლიტიკურ საკითხად აქციოს და მეგრული ქართულისაგან გასამიჯნ საშუალებად გამოიყენოს, რასაც, რა თქმა უნდა, არაფერი აქვს საერთო ლენინურ პოლიტიკასთან“ (უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი - ფ. 300, ა.12, ს. 26, ფურც. 1-6)³⁹.

ამ მოხსენებითი ბარათის შინაარსი მალევე ცნობილი გახდა სტალინელი კოლაბორაციონისტებისათვის, რასაც მოჰყვა ტარასი შენგელიას საჩივარი, რომელიც 1933 წლის აპრილში გაეგზავნა სკკპ (ბ) ცკ-ს მდივანს ამხ. ი. სტალინს, სსრ კავშირის ცკ-ის თავმჯდომარეს ამხ. კალინინს და სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მოლოტოვს. ი. სტალინის ზემოთ დამოწმებულ კონცეფციაზე დაყრდნობით, ტ. შენგელია სამეგრელოს მოსახლეობის სახელით ითხოვდა აჭარის ავტონომიის მსგავს ავტონომიას სამეგრელოსათვის და მეგრული ენისა და ლიტერატურის შექმნას⁴⁰. ამავე საჩივარში გალანძვლილია არნ. ჩიქობავა; კერძოდ ვკითხულობთ:

„საქართველოს განათლების სახალხო კომიტეტმა ზუგდიდის რაიონში მიავლინა „მეგრელი“ ჩინოვნიკი „პროფესორი“ ჩიქობავა დავალებით, რომ ამ „მეგრელ ვაი მეცნიერს“ „მეცნიერული“ თვალსაზრისით შეეჯამებინა დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება. ამ მეცნიერმა ზუსტად შეაჯამა შედეგები და დაწერა: „მართალია მეგრელი ბავშვები უკეთ ითვისებენ მშობლიური მეგრულით, ვიდრე მათთვის გაუგებარი ქართული ენით, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შემდგომში მეგრულიდან ქართულ ენაზე გადასვლა გამწველდებოდა, ამიტომ მეგრული სკოლების პირველივე ჯგუფებიდან ამოღებული უნდა იქნას მეგრულ ენაზე სწავლება; ანუ სამომავლო „პერსპექტივისათვის“, უკვე დღეს გავწიროთ//შევწიროთ მეგრული ენა“. ასეთ „საფუძვლიან“ მეცნიერულ ანტილენინურ გამოსვლას დაეთანხმა ზუგდიდის პარტიის რაიკომის ახალი ხელმძღვანელობა და

შესაძლებელია ყოველდღიური სიტუაციების აღწერისას თავად მასწავლებელმა ჩაურთოს დიალექტური მეტყველება გაკვეთილზე (ბრაუნი და მატაიერი წიგნში - უ. ამონი, 1972:160) Ammon, U. Dialekt, soziale Ungleichheit und Schule. 2 Auflage, Weinheim und Basel 1973.

³⁹ იხ. დანართი №8.

⁴⁰ იხ. დანართი №3.

გადაწყვიტა მომავალი სასწავლო წლიდან სამეგრელოს დაწყებით სკოლებში დაეკანონებინა ქართულ ენაზე სწავლება⁴¹.

ამ საჩივრის დაწერიდან 1 თვეში, 1933 წლის 25 მაისს **სსსრ განათლების სახალხო კომისარს** არნ. ჩიქობავამ **წარუდგინა** დამატებითი მოხსენება⁴², 1933 წლის 25-27 მაისს შექმნილი ზუგდიდის რაიონში ჩასული ვუკოლ ბერიძის⁴³ კომისიის დასკვნაც. ახალი კომისია ასე გამოიყურება: ხობის რაიკომის მდივანი, ჩხოროწყუს რაიონის განათლების განყოფილების გამგე, გალის რაიონის განყოფილების გამგე, ენისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის კომისიის თავმჯდომარე ვუკოლ ბერიძე, ხობის რაიონული განყოფილების გამგე. კომისიის დასკვნა ხელმოწერილია 1933 წლის 27 მაისს. ამ კომისიის დასკვნაში გამეორებულია არნ. ჩიქობავას კომისიის ძირითადი პუნქტი:

„მეგრულ ენაზე სწავლების შემოღება თუნდაც 1-ლ ჯგუფში არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნას. სწავლება პირველი ჯგუფიდანვე ქართულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს, ხოლო მეგრული ენა გამოყენებული უნდა იქნას, როგორც დამხმარე არა მარტო პირველ ჯგუფში, სადაც მეგრული ენა უფრო ფართოდ გამოიყენება, არამედ ზედა ჯგუფებშიაც“⁴⁴.

სამივე დასკვნა განიხილა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ 1933 წლის 25 მაისს სხდომაზე. სხდომას ესწრებოდნენ: განათლების

⁴¹ წერილის ამ მონაკვეთის განსხვავებული თარგმანისა თუ კომენტარებისათვის იხ.: ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, "მეგრული საკითხი", თბ., 2009, გვ. 299-300; 192-294; შდრ., თარგმანი: "საქართველოს განსახკომმა ზუგდიდის რაიონში მოავლინა "მეგრული" ჩინოვნიკი "პროფესორი" ჩიქობავა იმ მიზნით, რომ ამ ვაი "მეცნიერს" "მეცნიერული" თვალსაზრისით შეეჯამებინა დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე ბავშვების სწავლება. ამ "მეცნიერმა" ზუსტად შეაჯამა შედეგები და დაწერა: მართალია, მეგრული ბავშვები მშობლიური მეგრული ენით უკეთ ითვისებენ, ვიდრე გაუგებარი ქართული ენით. მაგრამ მხედველობაში მისაღებია. რომ შემდეგ მეგრულიდან ქართულზე გადასვლა ძნელი იქნება, ამიტომ მეგრულ სკოლებში პირველივე ჯგუფებიდან ამოღებული იქნას მეგრული ენა... ასე დამაჯერებელ "მეცნიერულ" დასკვნას დაეთანხმა ზუგდიდის პარტიის რაიკომის ახალი ხელმძღვანელობა და გადაწყვიტა მომდევნო სასწავლო წლიდან დაწყებით მეგრულ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების დაკანონებას".

როგორც ვხედავთ, გვარამია-ციციშვილის თარგმანში რამდენიმე ფრაზა ხელოვნურად დამახინჯებულია; მაგ., ფრაზა "მეგრული ვაი მეცნიერი" შეცვლილია ფრაზით: "ვაი მეცნიერი".

⁴² იხ. დანართი № 9.

⁴³ ვუკოლ ბერიძემ 1912 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1922–1932 წლებში ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში კითხულობდა ქართული ენისა და ლიტერატურის კურსს. **1932 წლიდან მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.** მისი უშუალო მონაწილეობით დამუშავდა სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონები.

⁴⁴ იხ. დანართი № 9

სახალხო კომისარი ამხ. ერმილე (ერიკი) ალექსის ძე ბედია /საქ. კპ(ზ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტურის განყოფილების გამგე/, გაბრიელ გოგუაძე (კოლეგიის მდივანი), ზუგდიდის განათლების განყოფილების გამგე ამხ. შალვა ფაჟავა (ბრიგადის წევრი), განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, **ენათმეცნიერი** არნ. ჩიქობავა (ბრიგადის წევრი), **ენათმეცნიერები**: ვუკოლ ბერიძე, ვარლამ თოფურია, გიორგი ახვლედიანი; ასევე: ამხ. გვიჩია (ქართული ჯგუფის მასწავლებელი), ბერიძე, ამხ. ანჯაფარიძე (მეგრული ჯგუფის მასწავლებელი); განათლების განყოფილების გამგეები: ხობის, ჩხოროწყუს, გალის რაიონებიდან და აფხაზეთიდან: ამხ. პერტაია, ამხ. ზამთარაია (გალის რაიონი), ამხ. დანელია (ხობის რაიონი), ამხ. ქაცარავა, ამხ. კარპეზ ბერიძე, ამხ. ისაკ ჟვანია... ჩვენთვის საინტერესოა ამ სხდომაზე გამოსული ვუკოლ ბერიძის, გიორგი ახვლედიანისა და არნ. ჩიქობავას მოსაზრებები მეგრულის სტატუსის შესახებ:

ვუკოლ ბერიძე (გვ. 29-30): არქივში არის დაცული (ცნობები), საიდანაც რუსი მოხელეები ამტკიცებენ, რომ მეგრულზე შესაძლებელი არის მწერლობა დაფუძნდეს, 1884 წელს ცირკულიარი არის გაგზავნილი იანოვსკის მიერ; მათი მიზანი იყო არა მეგრულის დამკვიდრება, არამედ ქართულის განდევნა სკოლებიდან: „მეგრელების ჩამოშორება, რომ ქართველების მთლიანი ოჯახი დასუსტებულიყო“... რაც შეეხება კითხვას: არის თუ არა მეგრული დამოუკიდებელი ენა?

„არის მიდგომა **ლინგვისტიკური** და არის მიდგომა **საზოგადოებრივ პოლიტიკური** (ხაზი ჩვენია - მ.თ.)... უდიდესი მეცნიერი ნიკო მარი გარკვევით ლაპარაკობს: "მეგრული ლინგვისტურად ენაა, რომელიც საინტერესო მასალას იძლევა საერთო ქართულის შესასწავლად, მაგრამ **საზოგადოებრივ კულტურულ-ისტორიულად იგი დიალექტია** (ხაზი ჩვენია - მ.თ.). **საზოგადოებრივ-კულტურულად მეგრელთა მშობლიური** სამრეწველო კულტურული ენა არის ქართული...“ (ხაზი ჩვენია - მ.თ.).

გიორგი ახვლედიანი (გვ. 41): „ენის ფსიქოლოგია ქართულსა და მეგრულს ერთი და იგივე აქვთ. ეს ის არის, რომ აზროვნების იარაღი ჩვენთვის და მეგრელებისათვის ერთი და იგივე არის ძირითადად. მაშასადამე, აზროვნების იარაღი არ მახინჯდება. მხოლოდ აქ არის ლექსიკის ამბავი: აქ კი დამახინჯება არის. მაშასადამე, კვადრატში აყვანილი დამახინჯების, რადგან /ენის/ სტრუქტურა ერთი და იგივე ყოფილა“.

არნ. ჩიქობავა (გვ. 52): „ქართული ენა მეგრელი ბავშვის კულტურული განვითარებისათვის არის ბუნებრივი იარაღი“.

სხდომას აჯამებს კოლეგიის თავმჯდომარე, განათლების სახალხო კომისარი **ერმილე ბედია** (გვ. 59): „ნუთუ ისეთი ბრძენები ვართ, რომ არ დავინახოთ, რომ სამეგრელოს ახალგაზრდობის აღზრდა საშუალო, უმაღლესი უნდა მოხდეს ქართულ ენაზე. რა საჭიროა ნიკო მარის თეორია მეგრული დამოუკიდებელი ენის შესახებ?!“⁴⁵

არნ. ჩიქობავა იყო ის ენათმეცნიერი, რომელმაც გაბედა განსხვავებული პოზიცია ჩამოეყალიბებინა. ის თავიდანვე დაუპირისპირდა ნ.მარის თეორიებს: მეგრული და ლაზური მიიჩნია არა დამოუკიდებელ ენებად, არამედ ერთი ენის - ზანური ენის - კილოებად გამოაცხადა: „ცნობილია, რომ ქართველური ენების ჯგუფი შედგება სამი ერთეულისაგან: ესენია: ა) ქართული თავისი კილოებით (ქართლური, კახური, ხევსურული, თუშური... გურული, იმერული, რაჭული, აჭარული...); ბ) ჭანურ-მეგრული და გ) სვანური. ამათგან ქართულთან ყველაზე ახლოს დგას ჭანურ-მეგრული (ორი კილო ერთი ენისა). ახლოს დგას საერთო და ნასესხები სიტყვებით და გარდა ამისა, რაც მთავარია, მთელი თავისი ბუნებით და აგებულებით, ერთი სიტყვით იმით, რასაც ენობრივი ფსიქოლოგია ეწოდება“ (უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი - ფ. 300, ა.12, ს. 26, ფურც. 1-6).

1932-33 წლებში შემუშავებული წარმოდგენილი თვალსაზრისი არნ ჩიქობავამ შემდგომ პერიოდში უფრო სრულყო; კერძოდ, **სტალინის თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ**, გაითვალისწინა რა რეალური ისტორია, მეგრელთა, ლაზთა, სვანთა ისტორიულ სამწიგნობრო ენად (/დედაენად, ეროვნულ ენად) გამოაცხადა ქართული ენა; თუმცა, ბოლომდე ვერ შეეწინააღმდეგა რა ი. სტალინს, სვანური და ზანური (მეგრულ-ლაზური) ტომობრივ ენებად ჩათვალა, თუმცა, სტატუსით ისინი გაუთანაბრა ქართველთა სხვა დიალექტებს⁴⁶; შდრ., ამ თემაზე სხვადასხვა დროს არნ. ჩიქობავას მიერ გამოთქმული თვალსაზრისები:

⁴⁵ კოლეგიაზე სიტყვით გამომსვლელების ტექსტები ვრცლად იხ. დანართი № 10.

⁴⁶ ბოლშევიკური დიქტატურის პერიოდში შეუძლებელი იყო, ვინმე რადიკალურად დაპირისპირებოდა ი. სტალინს. პეტრ ჭარაიასა და სილოვან ხუნდაძისაგან განსხვავებით, არნ. ჩიქობავამ (ასევე, აკ. შანიძემ,, გ. ახვლედიანმა, ვ. თოფურია) შუალედური პოზიცია არჩიეს: არ უარყვეს უმწერლობო (ტომობრივი) ქართველური ენების სტალინური იდეა, მაგრამ უარყვეს მეგრულის, როგორც ტომობრივი (უმწერლობო) ენის, არსებობა.

არნ. ჩიქობავა, 1936 წელი (ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936 : 3): „ჭანური და მეგრული ორივე კილოა ერთი ენისა, რომელიც ქართველურ ენათა ჯგუფის მესამე წევრს წარმოადგენს; ცალკე ენებად ჭანურსა და მეგრულს ისევე ვერ მივიჩნევთ, როგორც ხევსურულსა და გურულს; ეს უკანასკნელნი, როგორც ცნობილია, ქართული ენის კილოებს წარმოადგენენ; ფონეტიკურად, მორფოლოგიურად და სინტაქსურად, ლექსიკითაც კი, ჭანური და მეგრული, როგორც ქვევით დავინახავთ, უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან, ვინემ გურული და ხევსურული; ხევსურული და გურული კილოებია ქართული ენისა; ჭანურიცა და მეგრულიც კილოებია, ოღონდ ქართული ენისა კი არა, არამედ ცალკე ენისა, რომელიც ქართულთან გაცილებით უფრო ახლოსა დგას, ვინემ სვანური. ამ ენას **პ ი რ ო ბ ი თ ზანურს ვუწოდებთ**“.

არნ. ჩიქობავა, 1938 წელი (ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. XII): „ზანური (ჭანურ-მეგრული) მიჩნეულია ქართულის (ზუსტად რომ ვთქვათ, იმ ენისა, რომლის გაგრძელებასაც ისტორიულად ცნობილი ქართული წარმოადგენს) დიფერენციაციის შედეგად (და არა დიფუზური ბგერების მქონე რაღაც X-მეტყველების დიფერენციაციის შედეგად); ამ ქართულს ჩამოყალიბებული სახით უკვე გააჩნდა ყველა ის ფონება, რაც მასში დღეს მოგვეპოვება (რ, ჰ და ს-ს გარდა).

1952 წელს გამოცემულ „ენათმეცნიერების შესავალში“ ვკითხულობთ:

„ქართული სალიტერატურო ენა ყველა ქართველი ტომის მწიგნობრობის ენა იყო ისტორიულად და არის ამჟამადაც, ქართლელი და აჭარელი, კახელი და იმერელი, თუში და მეგრელი, ხევსური და აფხაზი, ფშაველი და სვანი, ინგილო და ლაზი... ამ ენაზე სწავლობს სკოლაში, ამ ენას იყენებს კულტურული წინსვლის იარაღად. ასეა ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს; ასე იყო ეს მრავალი საუკუნის მანძილზე: არც აფხაზებს, არც სვანებს, არც მეგრელებსა და არც ჭანებს (ლაზებს) სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ. მეფის მთავრობის ცდა (მეცხრამეტე საუკუნის მეოთხმოცე წლებში) მეგრულად შემოეღო სწავლა სამეგრელოს სკოლებში და მით ქართული ენა სამეგრელოს სკოლებიდან განედევნა, მარცხით დამთავრდა: თუ დედა-ენას ასწავლიდნენ ქართველ ბავშვს სკოლაში, ეს ენა ქართული იყო ყველა ქართველი ტომისათვის (ჩიქობავა 1952: 363). იქვე წერს: „ტომობრივი ენების ნიმუშად ჩვენი სინამდვილიდან შეიძლება დავასახელოთ ქართველ ტომთა ენები: სვანური, ზანური

(მეგრულ-ჭანური)... ტომობრივი ენებია, აგრეთვე დაღესტნის ენები: ალულური, წახურული, რუთულური, ანდიური, დიდოური... (ჩიქობავა 1952: 99-101).

თ. ბოლქვაძე არნ. ჩიქობავას მიერ გამოყენებულ ტერმინ - „ქართველი ტომის მიერ“- ასეთ შეფასებას აძლევს: „ის, რომ არნ. ჩიქობავა ტომობრივი ხალხის ენების ნიმუშებად იმოწმებს სსრკ-ის ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის ენებს, როგორც: ადიღური (ადიღეს ავტონომიური ოლქი) და ა. შ. ეს დაყოფა ასახავს საბჭოთა კავშირში - როგორც უნიტარულ სახელმწიფოში - მოქცეული ჰეტეროგენული საზოგადოების აღსაწერად გამოყენებულ ოფიციალურ ტერმინებს: Народ (რაც ეთნიკურ ჯგუფს გულისხმობს), Народность (გულისხმობდა გარკვეული დონის ეკონომიკურ ტერიტორიულ და კულტურულ ერთიანობას) და Нация (რომელიც ხასიათდებოდა მაღალგანვითარებული ეკონომიკური, ტერიტორიული და ენობრივ-კულტურული ცხოვრების სტაბილურობით). აქედან გამომდინარე, ტომი შეიძლება ყოფილიყო ამ სამიდან ნებისმიერის შემადგენელი ნაწილი, ოღონდ არა დამოუკიდებელი ერთეული. სწორედ ამიტომ აკუთვნებდა არნ. ჩიქობავა სვანურსა და მეგრულს ტომობრივ ენებს. ამით კიდევ ერთხელ აჩვენა, **ქართველი ერის ცნება მოიცავს მეგრულ-ლაზებსა და სვანებს**“ (ბოლქვაძე 2007: 222).

ჩვენი აზრით, გაუმართლებელია მეგრულისა და სვანურის მიმართ ტერმინის „ტომობრივი ენა“ გამოყენება, რადგან ეთნოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში ტომი არის ველური, გაუნათლებელი საზოგადოება, რომელსაც არ გააჩნია სამწერლობო ტრადიციები; მეგრულ-სვანების სამწიგნობრო ისტორია კი, სხვა ქართველების თანასწორად, სულ მცირე, 16 საუკუნეს ითვლის.

საინტერესოა: არნ. ჩიქობავა მეგრულსა და სვანს თუმისა თუ იმერელის რანგში, ხოლო მეგრულს და სვანურს ქართული ენის დიალექტთა რიგებში ასახელებს 1958 წელს:

„ქართული სალიტერატურო ენა შექმნილია მთელი ქართველი ხალხის მიერ, იგი კუთვნილებაა მთელი ქართველობისა, - იქნება ეს ქართველი - ხევსური თუ სვანი, კახელი თუ მეგრელი, ქართლელი თუ აჭარელი... თვით დაქუცმაცებულ ფეოდალურ საქართველოშიც კი სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ არც მეგრელებსა და არც სვანებს. ქართული სალიტერატურო ენა ერთადერთი ეროვნული ენაა მთელი ქართველობისათვის; ასე იყო წარსულში და მით უფრო ასეა ახლა, როცა

საბჭოთა საქართველოში სოციალისტურ ქართველ ერში შედუღაბებულია როგორც ქართველობის განუყრელი ორგანული ნაწილი, მეგრელი, ჭანი და სვანი ისევე, როგორც ქართლელი, კახელი, აჭარელი, თუში... დიდმა ქართველმა პედაგოგმა ი. გოგებაშვილმა დედა-ენა უწოდა იმ წიგნს, რომელსაც ყოველი კუთხის ქართველი ბავშვი, სვანი ისევე, როგორც ფშაველი, მეგრელი ისევე, როგორც აჭარელი, ქართლელი და კახელი... იღებს პირველად ხელში, რომ ერთიან ნაციონალურ ქართულ ენას დაეუფლოს, დაეუფლოს იმ ენას, რომლითაც ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ შექმნეს ქართული ლიტერატურის შესანიშნავი ნიმუშები, იმ ენას, რომელიც განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა საბჭოთა დროის სახელოვანი ქართველი პროზაიკოსებისა და პოეტების შემოქმედების წყალობით".... (გაზ. „კომუნისტი“, 1958: 3)⁴⁷.

ხოლო 1969 წელს გაზეთ „სამშობლოში“ წერს:

კუთხური კილოკავების მთელი წყება გვაქვს, სალიტერატურო ქართული ენა კი ერთია ყველა კილოკავზე მოუბართათვის, ერთობლივ ყველა კუთხის ქართველთათვის. ქართლელი იქნება იგი, აჭარელი, ფშაველი თუ სვანი, ხევსური თუ მეგრელი. ეს ერთი სალიტერატურო ქართული ენა ქართველობის ეროვნული ენაა, სკოლისა და სასამართლოს ენა, თეატრისა და რადიოგადაცემათა ენა, იგი საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ენას წარმოადგენს (გაზ. „სამშობლო“, 1969: 4)⁴⁸.

1.2.3. ქართველური ქვესისტემების კვალიფიკაცია XX საუკუნის 50-80-იან წლებში

⁴⁷ იხ. დანართი №16

⁴⁸ იხ. დანართი №17

ქართველური ქვესისტემების კვალიფიკაციის მიმართულებით საბჭოთა პერიოდში ფაქტობრივად გაბატონდა ერთი თვალსაზრისის ორი ვარიანტი:

- არსებობს სამი ქართველური ენა: ერთი სამწიგნობრო ენა - ქართული; ორი უმწერლობო ენა: ზანური (/კოლხური) და სვანური;
- არსებობს ოთხი ქართველური ენა: ერთი სამწიგნობრო ენა - ქართული; სამი უმწერლობო ენა: მეგრული, ლაზური და სვანური.

კერძოდ:

აკაკი შანიძე მეგრულ-ლაზური (ჭანური) მეტყველების აღსანიშნავად გამოიყენებდა ტერმინ „კოლხურს“. მეცნიერი გვთავაზობს ქართული ენის დიალექტთა კლასიფიკაციას, თუმცა მათ რიგში არ შეაქვს მეგრულ-ლაზური და სვანური კილოები, რადგან იმ პერიოდში ეს კილოები „უმწერლობო ენებად“ იყო გამოცხადებული (შანიძე 1957:828-832).

მეგრულ-ლაზური და სვანური არ შეაქვს დიალექტთა კლასიფიკაციაში შ. ბიძიგურს (ბიძიგური 1975 : 139), ვ. თოფურიას (თოფურია 1963), არნ. ჩიქობავას (ჩიქობავა 1965 : 5-6), გ. ნებიერიძეს (ნებიერიძე 1965:21). ბ. ჯორბენაძე 1989 წელს გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ქართული დიალექტოლოგია“ (ტ.1) გამოიყენებს ტერმინოლოგიურ შესიტყვებებს „ეთნიკური დიალექტები“, „ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტები“ და დიალექტების საკლასიფიკაციო კრიტერიუმის სახელწოდება „ეთნიკური ნიშანი“; დამოუკიდებელ ეთნოსებადაა ჩათვლილი კახელი, გურული, ქართლელი და სხვა (ჯორბენაძე 1989: 29, 42). ეს ტერმინები გაუმართლებლად მიაჩნია პროფ. ტ. ფუტკარაძეს, რადგან „ეთნოსი“, „ეთნიკური ჯგუფი“ არის ისტორიული დედაენის, ისტორიული კულტურის, ისტორიული მეხსიერების, ისტორიული ფსიქიკური წყობისა და ისტორიული ტერიტორიის მქონე საზოგადოება. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველები ერთიანად ქმნიან ერთ ეთნოსს - ქართველებს, ქართველ ერს; შესაბამისად, არასწორია ცალკე გურულების, იმერლების, მეგრელების თუ კახელების წარმოდგენა დამოუკიდებელ ეთნოსებად; ასევე არალოგიკურია სხვადასხვა კუთხის ქართველების კუთხური მეტყველების გამოცხადება ეთნიკურ დიალექტებად, მით უმეტეს, „ეთნიკურ ენებად“ (ფუტკარაძე... 2017ა: 89).

50-იანი წლებიდან მოყოლებული, გამუდმებით იბეჭდებოდა წერილები, რომლებშიც მეგრელებს, სვანებს, აჭარლებს დანარჩენი ქართველებისგან განსხვავებულ ეთნოსებად იხსენიებდნენ.

საბჭოური იდეოლოგიის მეხოტბეები, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ ეწეოდნენ ანტიქართულ პოლიტიკას საქართველოში, ქართული ენის უფლებების დაცვას არაქართველ ეთნოსთათვის (რომლებშიც მეგრელებსა და სვანებს აერთიანებდნენ) საფრთხედ განიხილავდნენ, თუმცა ამგვარ საფრთხეს არ ხედავდნენ რუსული ენის მიმართ. მაგალითად, 1988 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ე. ზეიმალი, საბჭოთა კავშირში ჩატარებული მოსახლეობის აღწერების შესახებ მსჯელობისას, შემფოთებული იყო იმის გამო, რომ აღწერიდან აღწერამდე მოსახლეობის ეთნიკური ჯგუფების რაოდენობა იკლებდა. ავტორის აზრით, მცირე ეროვნებები თანდათანობით ერწყმოდნენ დიდ ეთნიკურ ჯგუფებს. მრავალრიცხოვან აგრესიულ ერებად კი, რომლებმაც შთანთქეს მცირე ეროვნებანი, ასახელებდა ქართველებს, ლატვიელებს, ტაჯიკებს: „თუ კონკრეტულად ვიტყვით, ქართველი ერის შემადგენლობაში შერწყმული აღმოჩნდნენ მეგრელები (1926 წ. - 243 ათასი ადამიანი), ლატვიელებს მიათვალეს ლატგალელები (1940 წლისათვის - 400 ათასზე მეტი ადამიანი, ანუ, დაახლოებით, ლატვიელების მესამედი). (ზეიმალი 1988: 7). მეცნიერის მიხედვით, 1939 წელს ერთ ერად „შერწყმული“ აღმოჩნდნენ ეროვნებები „ურთიერთგაუგებარი ენებით“, მაგალითად კი მოჰყავდა: ქართველები და სვანები, ტაჯიკები და პამირის ხალხები“ (ზეიმალი 1988: 7).⁴⁹

რუსი ისტორიკოსის ამ მოსაზრებას დაუპირისპირდნენ ქართველი მეცნიერები და მწერლები. კერძოდ, **ბ. ჯორბენაძემ**, **ე. კოდუამ** და **დ. მუსხელიშვილმა** ასეთი პასუხი გასცეს: „მეგრელებსა და სვანებს ქართველებთან შერწყმა სულაც არ სჭირდებოდათ, რადგან ისინი ქართველები არიან და არასოდეს ყოფილან მათგან მოკვეთილი. მეგრელებსა და სვანებს არასოდეს დაუკარგავთ მშობლიური ენის შესწავლის შესაძლებლობა, რადგან მათი მშობლიური ენა ქართული ენა გახლავთ. ე. ზეიმალს არა მარტო არა აქვს წარმოდგენა ქართველურ ენებზე, მათს დიალექტურ დანაწევრებაზე, საქართველოს ეთნიკურ ჯგუფებზე, არამედ ის თითქმის

⁴⁹ მასალას ვიმოწმებთ ნ. მარკოზიას გამოკვლევის მიხედვით (მარკოზია 2015: 5).

სიტყვასიტყვით იმეორებს ცარიზმის მიერ თითქმის ამ ერთი საუკუნის წინათ წამოყენებულ და სადღეისოდ მეცნიერების მიერ პირწმინდად უკუგდებულ შეხედულებებს. მეგრელთა და სვანთა ტომებიდან გამოსული მწერლები, მეცნიერნი, ხელოვანნი, ქართველთა სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა მხარდამხარ ქმნიდნენ თავიანთ ნაწარმოებებს ქართულ ენაზე, რითაც თავიანთი წვლილი შეჰქონდათ ერთიანი ეროვნული ლიტერატურული ენის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში. მეგრელებისა და სვანების (ისევე, როგორც გურულების, კახელების, თუშების, იმერლების და სხვათა) გამოყოფა და განკერძოება ამ საერთო ეროვნული კულტურის, V საუკუნიდან მომდინარე დიდი ქართული ლიტერატურის, საკუთარი ისტორიის გარეშე მათს დატოვებას ნიშნავს. გასაგებია, რომ ასეთი ავანტიურისტული მიზნები და ჩანაფიქრი ამოდრავებდათ ცარიზმის დამქაშებს, მაგრამ მსგავსი რამ საბჭოთა მეცნიერს არ ეკადრება“ (ჯორბენაძე... 1988: 6).

ტარიელ ჭანტურია წერდა: „არაფერი არ უნდა იცოდე კაცმა საქართველოს შესახებ, სხვადასხვა ერის წარმომადგენლებად რომ ჩათვალო: ქართველი და... ფშაველი; ქართველი და... ხევსური; ქართველი და... რაჭველი; ქართველი და... სვანი; ქართველი და... მეგრელი; ქართველი და... თუში; ქართველი და... აჭარელი!... ისტორიკოსი ბრძანებულა ე. ზეიმალი, მაგრამ არაფერი დაუშავდებოდა, მხატვრული ლიტერატურისკენაც რომ გაეპარებინა თვალი - იქნებ კონსტანტინე გამსახურდია წაეკითხა, ან ლეო ქიაჩელი, ან დემნა შენგელაია, ან შალვა დადიანი, ან სიმონ ჩიქოვანი, ან თედო სახოკიას უნიკალური ლექსიკონი გადაეფურცლა, - ესენი ხომ უკლებლივ ყველანი - „მეგრელი“ მწერლები არიან! რევაზ მარგიანის წიგნში ჩაეხედა, ან მირზა გელოვანის ლექსი წაეკითხა - „სვანი“ პოეტების ლექსები!... ეს მოძრაობა ახალი არაა. ასე იბრძოდა მეფის რუსეთი ჩვენ წინააღმდეგ რენეგატებითა და მოღალატეებით, ამორდიებითა და ჟვანიებით, ქელაიმ ახმედ ბეგ შარვაშიძეებით, მეხუთე კოლონით, ცალმხრივი პრივილეგიებით, მოსყიდვით, გადაბირებით, ამკარად, ფარულად. გულუბრყვილო და საქმეში ჩაუხედავ მკითხველს შესაძლოა მოეჩვენოს, რომ იგი მცირერიცხოვანი ხალხების დასაცავადაა დაწერილი, მაგრამ სინამდვილეში იგი მიმართულია სწორედ მცირერიცხოვანი ხალხების, კერძოდ, მცირერიცხოვანი ქართველი ხალხის წინააღმდეგ“ (ჭანტურია 1988: 6).

უცხოელი ლინგვისტები, რომლებიც ეცნობოდნენ ქართველ მეცნიერთა მიერ ქართველური ენობრივი სამყაროს არასწორ კვალიფიკაციებს, ქართულს, მეგრულსა და სვანურს სრულიად დამოუკიდებელ, სხვადასხვა ენებად აღიქვამდნენ, შესაბამისად, ამ ენათა მატარებლებსაც სხვადასხვა ეროვნებად მიიჩნევდნენ. მათთვის ქართველი სხვა ეთნოსი იყო, სვანი - სხვა და მეგრელი კიდეც - სხვა. ინგლისელი ქართველოლოგი, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი **ჯორჯ ჰიუიტი** მეგრულს მეგრელების დედა-ენას უწოდებს: „1979 წელს ქართველები წარმოადგენდნენ აფხაზეთის მოსახლეობის 43 პროცენტს. მაგრამ უნდა დავსვა კითხვა - ვინ და ვინ არიან ეს „ქართველები“? თითქმის გამონაკლისის გარეშე ესენი გახლავან მეგრელები და მეგრელთა დედა-ენა გახლავთ მეგრული: - უმრავლესობამ კი იცის ქართულიც, მაგრამ ეს არის მათი მეორე ენა (მესამე იქნება რუსული). როგორც ენათმეცნიერმა და კავკასიოლოგმა უნდა გითხრათ, რომ გადაჭარბებული არ არის იმის თქმა, რომ აფხაზური გადაშენების პირას დგას, და, თუ თქვენ არ მიიღებთ შესაბამის ზომებს, რათა უზრუნველყოთ აფხაზურის სწავლა და ხმარება, რამდენიმე თაობის შემდეგ გაქრება, როგორც გაქრა მისი და-ენა (უბიხური). სხვათა შორის როგორღა უზრუნველვყოთ სვანურისა და მეგრულის მომავალი, თუკი ნებას დამრთავთ ცხვირი ჩავყო ამ საქმეში?!“ (ჰიუიტი 1989: 2).

ჰიუიტის ამ სტატიას აღშფოთებით გამოეხმაურნენ ქართველი მეცნიერები: ბესარიონ ჯორბენაძე, თეიმურაზ გვანცელაძე, კახა გაბუნია და სხვ.

ბ. ჯორბენაძემ უპასუხა: „ბატონი ჯორჯი დაჟინებით იმეორებს იმ ყალბ, ვერაგულ აზრს, რომელიც ქართველი ერისაგან მეგრელების გამოცალკევებას ისახავს მიზნად. გაუგებარია, რატომ აძლევს ბატონი ჯორჯი თავის თავს უფლებას, ჩაერიოს იმ საკითხში, რომლისა მას ცოტა რამ თუ გაეგება და რომელიც მთლიანად ეფუძნება ქართველებისადმი აშკარად მტრულ პოზიციას, შემაგრებულს ქართველების არაკეთილმოსურნეთაგან ყურმოკრული „დასაბუთებებით“. ნუთუ ბატონმა ჯორჯმა არ იცის, ქართულ ეროვნულ კულტურას ქართულ ეროვნულ ენაზე ერთობლივ ქმნიდნენ კახელები, ქართლები, გურულები, იმერლები, მეგრელები, სვანები, ფშაველები და ქართველთა სხვა ტომის ხალხი, რომლებიც მთლიანობაში ქართველ ერს წარმოადგენენ. თუ იცის და მაინც სხვას ამბობს, რბილად რომ ვთქვათ, არ

ეკადრება; თუ არ იცის, მაშინ იქნებ, როგორც თვითონ ბრძანებს, მორიდებოდა „ცხვირის ჩაყოფას ამ საქმეში“ (ჯორბენაძე 1989ბ: 3)⁵⁰.

1.3. დისკუსია ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის შესახებ პოსტსაბჭოთა პერიოდში

1.3.1. ქართველთა საშინაო მეტყველებების სტატუსის შესახებ დისკუსიის განახლება

ენათმეცნიერთა წრეში ქართველური ენა-კილოების კვალიფიკაციის შესახებ დისკუსია განახლდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ და გრძელდება დღესაც; კერძოდ, კამათის საგანია ის, თუ რამდენ ენაზე ლაპარაკობენ ქართველები: ერთზე, სამზე თუ ოთხზე. ანუ, საქმე ეხება მეგრული, ლაზური და სვანურის ლინგვისტური სტატუსის გარკვევას.

ამჟამად არსებობს ქართველური ენობრივი სამყაროს დანაწევრების სამი გამოკვეთილი ვარიანტი:

1. ქართველური ენობრივი სამყარო ნაწევრდება **ოთხ ენად**: ქართული, მეგრული, ჭანური (ლაზური) და სვანური (ალ. ცაგარელი, ნ. მარი, ი. ყიფშიძე, გ. კარტოზია, ჯ. ჰიუიტი, რ. ქურდაძე, ი. კორიაკოვი, ი. გიპერტი...).
2. ქართველური ენობრივი სამყარო ნაწევრდება **სამ ენად**: ქართული, მეგრულ-ჭანური (ანუ ზანური) და სვანური (გ.როზენი, ფ. ბოპი, ფრ. მიულერი, არნ. ჩიქობავა, ა. შანიძე, შ.ძიძიგური, ვ. თოფურია, კ. დანელია, ბ. ჯორბენაძე, ალ. ონიანი, კ.გაბუნია, ვ.ბოედერი, გ. გოგოლაშვილი, მ. ჩუხუა, ნ.დობორჯგინიძე...).
3. ქართველური ენობრივი სამყარო წარმოდგენილია ერთ, **ზოგადქართულ ენად** და **მრავალ დიალექტურ ჯგუფად**; კერძოდ: **ზანური, სვანური, ფხოური, კახური,**

⁵⁰ მასალას ვიმოწმებთ ნ. მარკოზიას გამოკვლევის მიხედვით (ნ. მარკოზია 2015: 5).

გურული, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური კილოები (ტ. ფუტკარაძე, თ. გვანცელაძე, რ. შეროზია, მ. ტაბიძე, მ. ნაჭყებია, ე. დადიანი, მ. ლაბაძე...).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, რომ მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან 2000 წლამდე, ანუ დისკუსიის ახალი - თანამედროვე ეტაპის - დაწყებამდე, ქართველი თუ უცხოელი ავტორები საკამათოდ არ მიიჩნევდნენ სამი (ან ოთხი) ქართველური ენის არსებობას და მიჰყვებოდნენ რუსეთის საბჭოთა იმპერიის მიერ დამკვიდრებულ კვალიფიკაციას⁵¹. არაიშვიათად, ნებისთ თუ უნებლიედ, ყალბდებოდა წინა თაობების მეცნიერთა შეხედულებებიც; მაგ., 1997 წელს დ. თვალთვაძემ გამოაქვეყნა პეტრე ჭარაიას მიერ 1910 წელს შექმნილი „მეგრული სალექსიკონო მასალა“ და დაარქვა მეგრულ-ქართული ლექსიკონი; სინამდვილეში პ. ჭარაია თვლიდა, რომ მეგრული ქართულის დიალექტია!

პარალელურად, 90-იან წლებში დაიწყო ე.წ. მრავალენოვანი ლექსიკონების გამოცემა, სადაც მეგრული, სვანური, ლაზური გათანაბრებული იყო ქართულ და ინგლისურ ენებთან (იხ., მაგ., პროფ. ქურდაძის პროექტი: ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი). ამავე პერიოდში შეიქმნა საქართველოს ენობრივი სიტუაციისადმი მიძღვნილი არაადეკვატური რუკები⁵²; მაგ., პროფ. იური კორიაკოვის მიერ განხორციელებულ პროექტში: „მსოფლიოს ენათა რეესტრი“⁵³ ქართველური ენობრივ-ეთნიკური სამყარო წარმოდგენილია 5 ცოცხალ და 1 მკვდარ ენად; კერძოდ: დამოუკიდებელი ენებია: მეგრული, ლაზური, ახალი ქართული, ზემოსვანური (ბალური ენა) და ქვემოსვანური; მკვდარი ენაა ძველი ქართული. მისივე აზრით, დამოუკიდებელი ეთნოსებია (EG): მეგრული, ლაზი, ქართველი, ბალელი (ზემო სვანი) და ქვემო სვანი.

ი. კორიაკოვი ქართველთა 6 ენას გამოყოფს: მეგრული, ლაზური, ძველი ქართული, სამუალა ქართული, საეკლესიო ქართული, სვანური (კორიაკოვი 2006: 39-

⁵¹ რამაც თავისი შედეგი გამოიღო: გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში გახშირდა ქართველთა ერთი ნაწილის (მეგრელების, ლაზების, სვანების, მესხების...) არაქართველებად გამოცხადება.

⁵² ვრცლად იხ.: ფუტკარაძე 1990; ფუტკარაძე... 2018

⁵³ <http://linguarium.iling-ran.ru/maps/1-all.gif>

42; შდრ., აქვე ი. კორიაკოვი 1 დარგული ენის ნაცვლად 18 ენას გამოყოფს: დარგულ კილოებს ენებად აცხადებს).

საერთაშორისო ველში საქართველოს შესახებ არსებობს ი. კორიაკოვის მესამე რუკაც, სადაც თანამედროვე ენობრივი „რეალობის“ ამსახველ რუკაზე სამეგრელოს სახელად მითითებულია Colkhis:

ამ არსებითი „სიახლით“ (**Colkhis = სამეგრელო**) ხაზგასმულია ქართულისა და მეგრულის დაცალკევება-დაშორების თითქოსდა ხანგრძლივი ისტორია: ი. კორიაკოვის რუკის მიხედვით გამოდის, რომ მეგრელები ენობრივ-კულტურულ-ეთნიკურად სხვა ქართველებისგან გამიჯნულნი არიან სულ მცირე 3 200 წელია (ფუტკარაძე 2008: 42-45).

თითქმის ანალოგიურია პროფ. ი. გიპერტის მრავალწლიანი ნამუშევარიც.⁵⁴ მეცნიერი ამ რუკაზე მუშაობდა 10 წლის მანძილზე (1993-2003 წლები), მაგრამ შედეგი მაინც არაობიექტური და არამეცნიერული აღმოჩნდა, რადგანაც ავტორი ეყრდნობოდა გასული საუკუნის 30-იანი წლების შემდგომ და დღემდე გაბატონებულ ე.წ. 4 ქართველური ენის არსებობის თეორიას. ამ რუკის მიხედვით სამეგრელოში, სვანეთში, აფხაზეთში, ლაზეთში, იმერხევსა და ცხინვალის მხარეში ქართული ენა არ არის ავტოქთონი ქართველების დედაენა (იქვე).

პროცესი უფრო შორს წავიდა:

პროფ. **ჯ. ჰიუიტი** 1999 წელს წერილში: „თანამშრომლობა კავკასიის საკეთილდღეოდ“ „ახალი“ ინიციატივით გამოვიდა:

ჯ. ჰიუიტის აზრით, მეგრული ენის სახელმწიფო ენად აღიარებით უნდა შეიქმნას სამეგრელოს ბუფერული სახელმწიფო, რომელიც ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებას... ასევე, უნდა შეიქმნას კავკასიის კონფედერაცია (რომლის სუბიექტებადაც ივარაუდება: აფხაზეთი, სამეგრელო, საქართველო, აზერბაიჯანი, ყარაბაღი, სომხეთი, სამხრეთი ოსეთი...).

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდანვე ქართველმა მეცნიერებმა (ტ. ფუტკარაძე, თ. გვანცელაძე, რ. შეროზია, მ. ტაბიძე, ე. დადიანი, მ. ლაბაძე და სხვა) დაიწყეს სამი ან ოთხი ქართველური „ენისა“ და რამდენიმე ქართველური ეთნოსის არსებობა-

⁵⁴ <http://titus.uni-frankfurt.de/didact/karten/kauk/kaukasm.htm>

არარსებობის საკითხის კრიტიკული განხილვა; კერძოდ, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა დაიწყო ქუთაისში, აკაკი წერეთლოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტში, როდესაც დღის წესრიგში დაისვა ქართველური ენობრივი ერთეულების სტატუსისა და ზანურ-სვანური დიალექტური ტექსტების სამწიგნობრო ენაზე **თარგმანების** (და არა თარგმნის!) პრინციპების პრობლემა. საკითხი სამსჯელოდ წარმოდგენილ იქნა 1994 წელს „ქუთაისურ საუბრებზე“.

1997 წლის 4-11 აპრილის „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ წერილში: „ეთნოსის, ეთნონიმისა და სხვა ტერმინთა შესახებ“ ქართველური ენობრივი ერთეულის სტატუსი გერმანული ენის კილოებთან შეპირისპირებით იქნა განხილული პროფ. ტ.ფუტკარაძის მიერ. მეცნიერი აღნიშნავს: „ქართულ სინამდვილეში ბავარიელებისა და საქსონელების ენობრივი მიმართების ხარისხით შეიძლება განვიხილოთ ზანები და სვანები, ხოლო ბავარიელებისა და პრუსიელების ხარისხით - ქართველები და წოვათუშები, უდები, ქისტები და სხვა“.

1999 წელს სამეცნიერო კონფერენციაზე „ქუთაისური საუბრები - VI“ ტერმინ „ქართველური ენების“ პარალელურად უკვე გამოყენებულია ტერმინები: „ქართველური ენა“ და „ქართველური საშინაო სამეტყველო კოდები“ (ფუტკარაძე 1999).

სამწიგნობრო ქართულისა (ქართველური სამწიგნობრო ენისა) და ქართველური კილოების (და არა ქართველური ენების) ისტორიული მიმართების ამსახველი ახალი სქემა პირველად დაიბეჭდა „ქუთაისური საუბრები-VII“-ის მასალებში, რომელიც სტატიის სახით გამოქვეყნდა ჟურნალში „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. V, 2001.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა განსაკუთრებით გააქტიურდა 2000 წლიდან.

ქართველური ენა-კილოების კვალიფიკაციის თაობაზე ოფიციალური კამათი პირველად დაიწყო ზუგდიდში ტ. ფუტკარაძისა და მ. ტაბიძის მოხსენებების ფონზე. ავტორები მიუთითებდნენ ერთადერთი ქართველური ენის და ათეულობით დიალექტის შესახებ: „ქართველთა სამწიგნობრო ენა დაეფუძნა არა რომელიმე ჩვენთვის ცნობილ დიალექტს, არამედ საერთოქართველურ ენას; თანამედროვე ქართული სალიტერატურო (ნორმირებული) ენა კი ინარჩუნებს საერთოქართველური ენის სტრუქტურას. თანამედროვე ქართველური დიალექტები მეტ-ნაკლებად

განსხვავდებიან საერთოქართველურისაგან, რამდენადაც საშინაო სამეტყველო კოდები უფრო თავისუფლად ვითარდებიან (მით უმეტეს, ის განაპირა კილოები, რომლებზეც ძლიერია სხვა ენების გავლენა). სულ მცირე 30 საუკუნეა, ქართველური ენობრივი სამყარო მოიცავს ერთადერთ ენასა და ათეულობით დიალექტს. ეს ერთადერთი ენაა საერთოქართველური ენა, რომლის უშუალო გაგრძელებაა ქართველთა სამწიგნობრო ენა. ქართველთა სამწიგნობრო ენა ძვ.წ. პირველი ათასწლეულის შუა პერიოდში ეფუძნება საერთოქართველურ ენას და დღემდე არსებობს, როგორც ქართველი ერის მაკონსოლიდირებელი ფენომენი. ისტორიული მიმართება ასეთი სქემით შეიძლება გამოისახოს:

- საერთოქართველური ენა > ზოგადქართული (ქართველური) სალიტერატურო ენა;
- საერთოქართველური ენა > ქართველთა საშინაო სამეტყველო კოდები - ქართველური დიალექტები (ფუტკარაძე 2000: 102-106).

მსგავსი შეხედულება აქვს პროფ. თ. გვანცელაძეს: „ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინ გამოთქმული და ახლახანს აღდგენილი თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც მეგრულ-ჭანური და სვანური ენები კი არა, ერთი ენის დიალექტებია (უკეთ დიალექტთა ჯგუფებია), გამოირჩევა ლოგიკურობით. ვგულისხმობთ იმას, რომ ერთ ერს ერთი ენა უნდა ჰქონდეს. გიულდენშტედტ-ფუტკარაძის თვალსაზრისი ლოგიკურად მისდევს ამ წესს: რაკი მეგრელები, ლაზები, სვანები, ქართლებთან, კახელებთან, რაჭველებთან, თუშებთან, ტაოელებთან, ინგილოელებთან ერთად ერთ ერს ქმნიან, მათი შინაური სამეტყველო კოდებიც ერთი და იმავე ენის ნაწილები, მისი ტერიტორიული ვარიანტებია“ (გვანცელაძე 2003:131).

ქართველური ენა-კილოების შესახებ 2003 წელს ოდნავ განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა მერაბ ჩუხუამ; კერძოდ, ის წერს: „საერთოქართველური (იბერიული) სამწერლო ენა შეიქმნა წინარექართველური (იბერიული), დიალექტურად ჯერ კიდევ გაუდიფერენცირებული ენის ბაზაზე, როცა სამწერლო ენა და ცოცხალი მეტყველება მეტ-ნაკლებად ერთმანეთის იდენტურ-იგივეობრივი იყო. მხოლოდ მომდევნო ეტაპზე სამეტყველო ენის ბაზაზე იკიდებს ფეხს ქართულ-ზანურ-სვანური დიალექტური სხვაობა ანუ კილოურად დიფერენცირებული საერო (ხალხური) ზეპირმეტყველება“ (ჩუხუა 2003: 8).

წინამორბედთა შეხედულებას იზიარებს **მ. ნაჭყებია**: „ცალკეული დიალექტების ენებად გამოცხადება ხელს შეუშლის ქართველთა ერთიანობას, დაარღვევს მათი მრავალსაუკუნოვანი კულტურის უმთავრეს საფუძველს - საერთოქართველურ კოინეზე აღმოცენებულ ქართველთა სამწიგნობრო ენას - როგორც ყველა ქართველის ერთიანობის საძირკველს, ისევე როგორც მათი საერთო წარმომავლობა, ფსიქიკა, ისტორია, კულტურა, ინტერესი და ბედი“ (ნაჭყებია 2005: 68).

მეცნიერი **თანამედროვე ქართულ ენას უწოდებს ქართველურ ენას** და ამ ენის ველში სამწიგნობრო ქართულის გარდა „ისტორიულ-ტრადიციული“ და „ლინგვისტურ-გეოგრაფიული“ საფუძველის მიხედვით გამოყოფს **ხუთ დიალექტურ ჯგუფს** (იქვე). მათ შორის განიხილავს **მეგრულ, ჭანურ, სვანურ დიალექტებს**.

2002 წელს ჩატარდა ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმი („ქუთაისური საუბრები“), რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ ენათმეცნიერები, ეთნოლოგები, არქეოლოგები და ფოლკლორისტები. კონფერენციის თემა იყო: „დიალექტი, ენა, კულტურა: ენობრივი (კულტურული) სისტემისა და ქვესისტემების გამიჯვნის ზოგადთეორიული პრობლემა“. სიმპოზიუმზე აღინიშნა, რომ საქართველოს, ქართველი ერისა და ქართული ენობრივი სისტემის მიმართ როგორც უცხოეთში, ისე ჩვენში, არცთუ იშვიათად შეინიშნება „ორმაგი სტანდარტით“ მიდგომა, რაც რეალურ საშიშროებას უქმნის ქართველთა ენობრივ-კულტურულ ერთიანობას, საერთოდ, საქართველოს მთლიანობას. სიმპოზიუმზე წარმოდგენილი მოხსენებებიდან წარმოჩნდა, რომ ბევრ გაუგებრობას უდებს სათავეს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ტერმინოლოგიური სიჭრელე. აქედან გამომდინარე, გაფორმდა **მემორანდუმი**, რომელზედაც ხელმომწერ ქართველოლოგებს (პროფ. ტ. ფუტყარაძე, პროფ. ნ. ქუთელია, პროფ. თ. გვანცელაძე, პროფ. მ. ტაბიძე, პროფ. ა. ლომთაძე, პროფ. თ. უთურგაძე, პროფ. რ. თოფჩიშვილი და სხვანი) საჭიროდ მიაჩნდათ:

1. ჰუმანიტარულ დარგში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა პოზიციების შეჯერება და საერთო თვალსაზრისის გამომუშავება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით;
2. წარმოდგენილი პრობლემატიკის შესახებ საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და სემინარების ორგანიზება;
3. საქართველოს ეთნოლინგვისტურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული უცხოური პუბლიკაციების მუდმივი მონიტორინგი;

4. სპეციალური ვებ-გვერდის შექმნა, მისი სისტემატური განახლება;
5. მრავალენოვანი სამეცნიერო ჟურნალის საინტერნეტო ვარიანტის მომზადება, სადაც ასახული იქნება ქართველოლოგთა სიმპოზიუმის მუშაობის შედეგები...
6. შეიქმნას ცნობილ ქართველოლოგთა საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს.

ქართველთა საშინაო მეტყველებების სტატუსის შესახებ კიდევ ერთხელ აღინიშნა 2003 წელს ტ. ფუტკარაძის სტატიაში „მონათესავე ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის საკითხისათვის თანამედროვე ენათმეცნიერებაში“. ავტორი განმარტავს: „ერების, ხალხების ისტორიებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ენა და ეთნოსი (ტომი, ეთნიკური ჯგუფი, ერი) ერთმანეთს განსაზღვრავს; ერთი ერის შვილებს ერთი ენა აქვთ, სწორედ ამიტომ, რომ მაგ., ძველი მემატინენი და ჩვენი დიდი მოღვაწენი (გრიგოლ ხანძთელი, ლეონტი მროველი, ვახუშტი, სულხან-საბა, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია...) არასოდეს საუბრობდნენ ქართველთა რამდენიმე ენის არსებობაზე; მეტიც ჩვენი მწიგნობარი წინაპრები ხაზგასმით წერდნენ, რომ ქართველთა ისტორიული კულტურის ტრადიციული ენაა - დედა ენაა - სამწიგნობრო ქართული, ხოლო ოდიშური (მეგრული), მესხური, კახური, სვანური და ქართველთა სხვა მეტყველებანი კუთხურ-სოფლური კილოებია (ფუტკარაძე 2003: 213).

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ცალკე შევხებით „ენათმეცნიერების საკითხებში“ მიმდინარე დიაკუსიას.

1.3.2. ქართველთა საშინაო მეტყველებების სტატუსის შესახებ დისკუსია ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხებში“

ენისა და კილოს გამმიჯნავ კრიტერიუმებზე ორიენტირებით ქართველური საშინაო მეტყველებების სტატუსის შესახებ დისკუსია გაიმართა ჟურნალ

„ენათმეცნიერების საკითხებში“. კერძოდ, ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი მხარე, ერთი მხრივ, ტ. ფუტკარაძე და თ. გვანცელაძე, მეორე მხრივ კი - ალ. ონიანი, ვ. გაბუნია, ვ. ბოედერი.

დისკუსია დაიწყო იმით, რომ 2003 წლის ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხების“ №1 ნომერში დაიბეჭდა ტ. ფუტკარაძის სტატია „მონათესავე ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის პრობლემა და ქართველური დიალექტების დაჯგუფების საკითხი“, რომელშიც მეცნიერი ასაბუთებს: „ენისა და დიალექტის გამიჯვნის პრობლემა მხოლოდ ლინგვისტიკის სფეროში ვერ მოთავსდება; კულტურული ტრადიციის მქონე არც ერთი ენა საკუთრივ ლინგვისტური ნიშნებით არ არის სახელდებული ენად... მონათესავე ენობრივი ერთეულების ერთი ენის ვარიანტებად თუ სხვადასხვა ენებად ჩათვლა უშუალოდ უკავშირდება მოცემული საზოგადოების მიჩნევას ერთი ისტორიული კულტურის მქონე ეთნოსად (ერად თუ ნაციად). არაიშვიათად ენის სტატუსი განისაზღვრება რელიგიური ან პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მიდგომის მიხედვითაც“⁵⁵ (ფუტკარაძე 2003: 119).

ამავე წერილში მეცნიერი დასძენს: „ენისა და დიალექტის მიმართების პრობლემა სინქრონიულადაა განსახილველი საზოგადოებრივ-ისტორიული, ეთნიკურ-კულტურული, რელიგიური და საკუთრივ ლინგვისტური ასპექტებით“ (იქვე).

დასახელებულ წერილში ავტორი კრიტიკულად განიხილავს ენისა და დიალექტის სტატუსის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს და გვთავაზობს ქართველთა საშინაო მეტყველებების ახლებურ კლასიფიკაციას.

ტ. ფუტკარაძის აზრით, „ქართველთა სამეტყველო კოდების მაგალითზე ერთი ისტორიული სამწიგნობრო ენის, ერთი ეთნოკულტურული სისტემის მრავალფეროვანი კუთხური მეტყველებებისა და ეთნოგრაფიული თავისებურებების მქონე ხალხის (ერის) ენობრივი ერთეულების თანაარსებობა ისეთ ე.წ. **მონოლინგვურ დიგლოსიად** შეიძლება წარმოვადგინოთ, სადაც სამწიგნობრო ენა (სტანდარტული ენა) დედა ენაა, ხოლო საშინაო მეტყველება - მშობლიური დიალექტი“ (იქვე: 128).

პირველი, ვინც მწვავე რეაქცია გამოხატა, იყო ალ. ონიანი. ის ხმამაღლა აცხადებს: „ქართველურ ენათმეცნიერებაში (და, საერთოდ, საქართველოში) სადავო არასდროს

⁵⁵ საკითხის მიმოხილვისათვის იხ.: ტაბიძე 2002.

ყოფილა, რომ ქართველი ხალხი მეტყველებს, როგორც მინიმუმი, სამ ქართველურ ენაზე - ქართულად, მეგრულ-ლაზურად (ზანურად, კოლხურად) და სვანურად. სადავო იყო მხოლოდ ერთი საკითხი: მეგრული და ლაზური (ჭანური) სხვადასხვა ენებია, თუ - ერთი ენის დიალექტები? მკვლევართა ერთი ნაწილი მათ სხვადასხვა ენებად მიიჩნევს, მეორე ნაწილი კი - ერთი ენის დიალექტებად, თუმცა რომელიმე მათგანის რამდენიმე საფუძვლიანი მეცნიერული დასაბუთება დღემდე არ არსებობს...“ (ონიანი 2003ა: 133-134).

მეცნიერი ღრმად არის დარწმუნებული იმ აზრის სისწორეში, რომლის თანახმადაც „საერთოქართველურ ფუძე-ენას ჰქონდა დიალექტები, რომლებიც შემდეგ, თანდათანობით ცვლის საფუძველზე, დამოუკიდებელ ენებად იქცნენ. ამის შემდეგ, მათი სახით, საქმე გვაქვს არა ქართველურ დიალექტებთან, არამედ - ქართველურ ენებთან. ენათა ამ ჯგუფმა, რომელიც მთელ მსოფლიოში ქართველურ ენათა სახელით არის ცნობილი, ჩვენამდე ასეთი სახით მოაღწია: ქართული, მეგრულ-ლაზური (ან მეგრული და ლაზური) და სვანური...“ (იქვე).

ვფიქრობთ, ამ კონტექსტში საინტერესოა გერმანული ენისა და დიალექტების მიმართების ჩვენება. ანალოგიურ სიტუაციაში გერმანული ენის დიალექტები, რომლებიც ისტორიულადაც და ახლაც დიალექტებად იწოდებიან, არ ქცეულან ენებად და ინარჩუნებენ დიალექტის სტატუსს.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ გერმანულ ენას ახასიათებს სოციუმის ეთნოპოლიტიკური და ეთნოკულტურული ინტერესების არსებობა, ძლიერი სახელმწიფოს ქონა. ერთიანი იდეოლოგია⁵⁶ განსაზღვრავს გერმანული ენის დამოუკიდებელ ლინგვისტურ ერთეულად შეტანას. რაც შეეხება ტერიტორიულ მიკროვარიანტებს: საქსონური, ჰესენური, ბავარიული, შვაბური და ა. შ., ყოველთვის და ყველგან გერმანული ენის დიალექტებად მოიხსენიება და ამ დიალექტებს შორის ბგერათმესატყვისობაც არსებობს და გაგებინებაც შეუძლებელია⁵⁷.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა კვლავ გაგრძელდა 2004 წლის „ენათმეცნიერების საკითხების“ №1 ნომერში. ტ. ფუტკარადის თვალსაზრისს იმთავითვე დაუპირისპირდა **კახა გაბუნია**. მეცნიერი ენისა და დიალექტის მიმართების საკითხს

⁵⁶ „იდეოლოგიასთან“ დაკავშირებით მესამე თავში გვექნება მსჯელობა.

⁵⁷ კრიტიკიუმების შესახებ ვრცლად მეორე თავში ვიმსჯელებთ.

განიხილავს სოციოლინგვისტურ ჭრილში: „სოციოლინგვისტური კვლევა გულისხმობს, არა საკუთარი ენის შინაგანი სტრუქტურა-შემადგენლობის ანალიზს, არამედ იმის აღწერას, თუ როგორ გამოიყენებენ ადამიანთა სოციალური ჯგუფები ამ ენას“.

კ. გაბუნია აღ. ონიანის მსგავსად იზიარებს თეორიას სამი ქართველური „ენის“ არსებობის შესახებ და აცხადებს, რომ „როგორც ცარიზმის, ისე საბჭოთა პერიოდში ენობრივ სახესხვაობათა (დიალექტი - მ.თ) სტატუსის საკითხი პოლიტიზირებული არ იყო და არ კონტროლდებოდა ხელისუფლების მიერ: „...ზანურ-სვანურ-ქართული სოციოლინგვისტური ურთიერთმიმართება გადაჰქონდათ წმინდა პოლიტიკურ ჭრილში, რაც ხშირად არაადეკვატური დასკვნების გაკეთების საშუალებას აძლევდათ მკვლევრებს“ (გაბუნია 2004: 166). ის იზიარებს ბ. ჯორბენაძის თვალსაზრისს: „სვანური და ზანური წმინდა ენათმეცნიერული განსაზღვრით ენებია, სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ფუნქციონირებენ მხოლოდ დიალექტების დონეზე“ (იქვე: 176).

„პოლიტიკური მოტივაციით ქართველური ეთნიკური ჯგუფები - მეგრელები და სვანები ცხადდებოდნენ ცალკე ერებად, მათი ავტონომიის (ლაპარაკია პოლიტიკურ ავტონომიურობაზე) სტატუსის გამოყოფის უფლებით. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ რუსული სპეცსამსახურების მიერ მართული ანგაჟირებული მეცნიერ-მკვლევრები“ (გაბუნია 2004: 166-167).

მართალია, კ. გაბუნია დასძენს, რომ: „ტერმინები „ენა“ და „დიალექტი“ სრულიად უნდა იყოს დაცლილი პოლიტიკური თუ სოციალური დატვირთვისაგან“ (გაბუნია 2004: 166-167), თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსოფლიოს არც ერთი ენის თუ დიალექტის სტატუსი არ არის კვალიფიცირებული მხოლოდ ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური კრიტერიუმებით, მთავარი არის პოლიტიკური და ეთნოკულტურული მიდგომა.

ქართველური ენა-კილოების სტატუსის შესახებ არსებულ დისკუსიებში 2003 წელს ჩაერთო გერმანელი ქართველოლოგი **ვინფრიდ ბოედერი**. ის იზიარებდა საბჭოთა პერიოდში „დოგმად“ ქცეულ შეხედულებას სამი ქართველური „ენის“ - საკუთრივ ქართული, ზანური და სვანურის არსებობის შესახებ. რომ ამათგან ორ დიდ ჯგუფს აქვს უმწერლობო ენები - ე.ი. თავიანთ დედაენაზე დამწერლობა არა აქვთ.

მეცნიერს ავიწყდება, რომ ქართველთა სამწიგნობრო კულტურა ყველა ქართველის 15 საუკუნოვანი შემოქმედებაა და არა გვაქვს უფლება რომელიმე კუთხის ქართველი გამოვაცხადოთ დამწერლობის არმქონე ხალხად და ვეცადოთ მათთვის დამწერლობის შექმნას. ვ. ბოედერი აცხადებს: „...მეცნიერული და არამეცნიერული ენის ხმარების ჩვეული კალაპოტიდან გადახვევა გაუგებრობებსა და დეზორიენტაციას იწვევს. ვინც ენასა და კილოს სხვაგვარად განსაზღვრავს, ვიდრე მიღებულია, ვერაფერს იგებს, დაკარგვით კი ბევრს დაკარგავს“ (ბოედერი 2005: 197).

ერთი შეხედვით ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში ენობრივი ერთეულის სტატუსი არ გადაიჭრება პოლიტიკური ნიშნით, ვ. ბოედერი კი სავსებით ეთანხმება და იზიარებს **პიტერ ტრაჯილის** სიტყვებს, რომ ენის სტატუსი **პოლიტიკური და სხვა არალინგვისტური მახასიათებლების გათვალისწინებითაც დგინდება**. ვ. ბოედერი სერბულ-ხორვატიულის შესახებ წერს: „...იმ დიალექტთა კონტინუუმს შეადგენს, რომლებიც დღეს მრავალთაგან ისტორიული, **პოლიტიკური** და კულტურული მოსაზრებით ორ ენად, სერბულად და ხორვატიულად, ითვლება: ენას შეიძლება სტატუსი „იმდენად მისი ენობრივი თვისებების მიხედვით კი არ მიეცეს, არამედ მისი სოციალური, კულტურული და **პოლიტიკური** მახასიათებლების გათვალისწინებით“ (ბოედერი 2005: 221). ან კიდევ: „ვინმე ლაზს მაინც თუ შეუძლია არგუმენტირება, რომ აქვს ისტორიული, კულტურული და **პოლიტიკური** მოსაზრებებით ცალკე ენა... „განსხვავებული ენის“ სტატუსი არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ენობრივი მსგავსების საფუძველზე, მას **სოციალური კომპონენტიც** ახლავს“ (ბოედერი 2005: 224-225).

ნინო დობორჯგინიძე მეგრელებს და სვანებს უძველესი დროიდანვე საკუთარი „ენების“ მქონე „ხალხებად“ მიიჩნევს. ის ერთ-ერთ პირველ და სანდოდ მიჩნეულ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით ასკვნის სამი ქართველური ენის არსებობას. კერძოდ, განიხილავს ორ წყაროს: 1. იპოლიტე რომაელის 234/235 წელს შედგენილ ქრონიკას და 2. სექსტუს იულიუს აფრიკანუსის საისტორიო წყაროს (218-235 წლები).

მეცნიერი სამწერლობო ენად მიიჩნევს იბერიულს ანუ ქართულს, რომელიც დასტურდება იპოლიტე რომაელის ქრონიკაში, როდესაც ავტორი ჩამოთვლის იმ ენებს, რომელთაც დამწერლობა აქვთ/წერა-კითხვა იციან. იაფეტის შთამომავლები:

იბერიელები, ლათინები, ესპანელები და ა.შ. მსგავს ჩამონათვალს გვთავაზობს სექსტუს იულიუს აფრიკანუსი.

ნინო დობორჯგინიძე არასამწერლობო ქართველურ ენებად იხსენიებს მეგრულს და სვანურს და, ზემოთ ხსენებული წყაროების მოშველიებით, ასაბუთებს თავის თვალსაზრისს: „იპოლიტე რომაელი, სექსტუს იულიუს აფრიკანუსი და ის ავტორები, რომელთა თხზულებებში მსოფლიოს ხალხთა ენების ხსენებული კლასიფიკაცია აისახა, თვლიდნენ, რომ ბაბილონის გოდლის მშენებლობამდე ყველა ადამიანი იყო „ბაგე ერთ და ხმა ერთ“ (შესაქმე 10,32). ბაბილონში გაიყო ერთიანი მეტყველება სამოცდათორმეტ ენად, რომელთა შორის წყაროები ერთხმად ასახელებენ იბერიულს/ქართულს, კოლხურსა და სვანურს“ (დობორჯგინიძე 2007: 253-264).

მეგრულს და სვანურს ქართველურ „ენებად“ მოიხსენიებს თ. ბოლქვაძე. ის გაუმართლებლად მიიჩნევს ტ. ფუტკარაძისა და თ. გვანცელაძის მიერ ქართველური ენობრივი სამყაროს მიმართ გამოყენებულ ტერმინს „**მონოლინგვური დიგლოსია**“. მას ქართველური ენობრივი სამყაროს მიმართება **კლასიკური დიგლოსიის** მაგალითად ესახება: „ქართველური ენების ურთიერთობა სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ისეთ ენობრივ სიტუაციას ქმნის, რომელსაც **კლასიკური დიგლოსია** შეიძლება ეწოდოს“ (ბოლქვაძე 2007: 225). თუმცა, მეგრული და სვანური მეცნიერს იმ დონის ერთეულებად არ მიაჩნია, რომ ბილინგვიზმის რანგში განიხილოს: „...სადავო არ არის, რომ ქართულ-მეგრული, ქართულ-ლაზური, ქართულ-სვანური ურთიერთობა შეიძლება აღიწეროს დიგლოსიის და არა ბილინგვიზმის ტერმინებში.... ქართულის, მეგრულის და სვანურის ურთიერთობა სწორედ ისეთი სტაბილური, მრავალსაუკუნოვანი სოციოლინგვისტური სიტუაციის ნიმუშია, რომელსაც **დიგლოსიას** უწოდებენ“ (ბოლქვაძე 2007: 225).

ფაქტია:

ალ. ონიანი, კ. გაბუნია და სხვა მათი თანამოაზრენი დაუსაბუთებლად საუბრობენ „სოციოლინგვისტური“ და „ლინგვისტური“ კრიტერიუმების სხვადასხვაობაზე; კერძოდ, მოსაზრება, რომ მეგრულ-ლაზურ-სვანური სოციოლინგვისტური თვალსაზრისით დიალექტებია, ხოლო ლინგვისტური კრიტერიუმების მიხედვით - ენები, არალოგიკურია. მ. ტაბიძე, თ. გვანცელაძე, ტ. ფუტკარაძე... სამართლიანად მიიჩნევენ, რომ სოციოლინგვისტიკა ლინგვისტიკის დარგია, შესაბამისად,

სოციოლინგვისტური კრიტერიუმებიც ლინგვისტური კრიტერიუმებია; გარდა ამისა, არც ერთი კულტურული ენის სტატუსი არ განსაზღვრულა ფონეტიკის, მორფოლოგიისა თუ სინტაქსის, ასევე, არც ექსტრალინგვისტური კრიტერიუმის - გაგებინების მიხედვით.

რაც შეეხება დიგლოსიას:

როგორც წესი, დიგლოსიაში იგულისხმება ერთი ენის ორი სახეხვაობა, რომელთაგან ერთ-ერთი უფრო პრესტიჟულია.

1.3.3. ქართველთა საშინაო მეტყველებების სტატუსის შესახებ დისკუსია (2007-2017 წლების სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით)

ქართველთა საშინაო მეტყველებების სტატუსის შესახებ დისკუსია აქტიურდება 2007-2017 წლებში.

2007 წელს არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ “Volkswagen-Stiftung” პროექტის „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“ ფარგლებში, მარიამ მანჯგალაძის რედაქტორობით, გამოიცა უცნაური კრებული „ქართველური ენები და დიალექტები (ერთი „სამეცნიერო პოლემიკის“ გამო)“. აღნიშნული „კოლექტიური“ კრებული მიზნად ისახავს, დაგმოს პროფესორების: ტ. ფუტკარაძის, თ. გვანცელაძის, მ.ტაბიძის, რ. შეროზიას და სხვათა განსხვავებული სამეცნიერო თვალსაზრისი ქართველური ქვესისტემების სტატუსის შესახებ. მ. მანჯგალაძის ჯგუფის წევრები აცხადებენ: ზანური და სვანური უმწერლობო ენებია, რომ მათთვის „უდავოა ქართველური ენების არსებობა. წინამდებარე გამოცემა ამ მეცნიერული პოზიციის დაცვას ისახავს მიზნად“ (გვ. 2). Volkswagen-Stiftung-ის მიერ დაფინანსებული პროექტის მონაწილეებმა ამ თემაზე სადისკუსიოდ ენათმეცნიერების ნაცვლად სასაუბროდ მიიწვიეს მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე (!). შეხვედრას ესწრებოდნენ: მეუფე ანანია (ჯაფარიძე), მ. ქურდიანი, ლ. ეზუგბაია, მ. მანჯგალაზე, გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, დ. მელიქიშვილი, გ. კვარაცხელია, ზ.

ჭუმბურიძე, თ. უთრგაიძე, ნ. ქუთელია, კ. გაბუნია, მ. ჩუხუა, ვ. შენგელია, გ. ცოცანიძე, კ. კაკიტაძე... დამსწრეთა ნაწილმა ყოველგვარი არგუმენტების გარეშე დააფიქსირა თავისი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. საპასუხოდ, მიტროპოლიტმა ანანიამ (ჯაფარიძე) განაცხადა:

„1999 წელს ჩემი თვალსაზრისი გავაცანი ამ დარგის სპეციალისტს ბატონ ტ. ფუტკარაძეს. ბატონი ტარიელი დაეთანხმა ჩემს თვალსაზრისს. მან შემდგომ ის განავრცო და ფაქტიურად მოგვცა სრულიად ახალი მოსაზრება „რამდენიმე ქართული ენის შესახებ“, რომლის მიხედვითაც მეგრული და სვანური არა თუ ქართული კულტურის ფორმირების ეპოქაში (ე.ი. IV-X სს-ში) იყვნენ დიალექტები (ესაა ჩემი თვალსაზრისი), არამედ ისინი ამჟამადაც დიალექტები არიან (ესაა ბატონ ტ. ფუტკარაძის თვალსაზრისი). ამ საენათმეცნიერო თვალსაზრისს მე ვერ შევეხები, მისი განსჯა თქვენ უფრო შეგეფერებათ“ (ქართველური ენები და დიალექტები, 2007 : 31).

Volkswagen-Stiftung-ის პროექტის („ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“) და არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სახელით გამოქვეყნებული კოლექტიურს პასკვილს 2008 წელს გამოეხმაურა პროფ. ტ. ფუტკარაძე წიგნით: „ქართველთა დედაენა და დიალექტები“ (ქუთაისი, პედაგოგიური ინსტიტუტის გამომცემლობა „ლამპარი“); 2010 წელს კი გამოქვეყნდა გამოკვლევა: „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“ და საქართველო, განათლების ეროვნული ინსტიტუტი, ქუთაისი, ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი; ავტორები: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია). სადაც მოხმობილია არაერთი არგუმენტი, რომ მეგრულ-ლაზები და სვანები დიდი ქართული სამწიგნობრო კულტურის ავტორები არიან და ულოგიკოა, მათი მიჩნევა უმწერლობო ენის მქონე ეთნოსებად.

2017 წელს გ. გოგოლაშვილის რედაქტორობით გამოქვეყნებულ კოლექტიურ ნაშრომში: „ქართული ენის მორფოლოგია“ გ. ცოცანიძე ქართველურ ქვესისტემებს საერთოქართველური ხალხური ენიდან მომდინარედ მიიჩნევს. მისი აზრით, საერთოქართული სახალხო ენიდან წარმოქმნილია როგორც „სალიტერატურო ენა“, ასევე „სახალხო მეტყველება“. თუმცა აცხადებს, რომ „საერთო სახალხო ქართული ენის“ „სახალხო მეტყველება“ ტრანსფორმიდა „ზანურ ენად“, „სვანურ ენად“ და „ქართულ ენად“ (გოგოლაშვილი... 2016: 14). აღნიშნულია, რომ ქართული, სვანური და

ზანური ენების „დამოუკიდებელი სტატუსი განისაზღვრება იმით, რომ თითოეულ მათგანს აქვს თავისთავადი ორიგინალური ლექსიკური ფონდი, ურთიერთგანსხვავებული ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემები და ასევე, ორიგინალური სინტაქსური კონსტრუქციები” (იქვე: 6-10) .

გ. ცოცანიძის აზრით, „ქართულ საერთო სახალხო ენას... აქვს არსებობის ორი ძირითადი ფორმა - ენის ლიტერატურული ფორმა და სახალხო მეტყველება“ (გვ. 6). ავტორის სამართლიანი შეფასებით, „ქართველთა სახალხო მეტყველება იყოფა 19 ადგილობრივ ნაირსახეობად; ესენია: ქართლური, კახური, თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულური, მესხური, აჭარული, გურული, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, სვანური, მეგრული, ლაზური (ხაზი ჩვენია), ინგილოური, ფერეიდნული, იმერხელი ანუ კლარჯული (იქვე: 7). აქვე ავტორი უცნაურ დასკვნას აკეთებს: „სოციალური თვალსაზრისით, ე.ი. ენის მოხმარების ფაქტორის გათვალისწინებით, მეტყველების ეს ნაირსახეობები განიხილება, როგორც საერთო-ხალხური ქართული ენის სოციალური დიალექტები“.

შეუსაბამობაა ასევე შემდეგ მსჯელობაშიც: „ლინგვისტური კრიტერიუმების გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენოსი მეტყველებს სამ ურთიერთმონათესავე ენაზე: ქართული, სვანური და ზანურ ენებზე. ამგვარად, გამოდის, რომ სვანური და ზანური მეტყველებები, რომლებიც დიალექტებია მათი სოციალური ფუნქციონირების მიხედვით, ლინგვისტურად დამოუკიდებელ ენებს წარმოადგენენ“ (იქვე: 7); იქვე ჩამოთვლილია „ლინგვისტური კრიტერიუმები“: ორიგინალური ლექსიკა, განსხვავებული ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემები, განსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციები. ამგვარი „ორმაგი სტანდარტის“ მიუხედავად, დასახელებულ ავტორებს ზანური და სვანური მაინც ენების ჩამონათვალში შეაქვთ.

გ. ცოცანიძის მსჯელობა გააკრიტიკა ტ. ფუტყარაძემ; მისი აზრით, ენობრივი სტრუქტურების „განსხვავებულობა“ მეტად ფარდობითი ცნებაა: რეალურად განსხვავებული ლექსიკურ-ფონოლოგიურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური სისტემები აქვთ, მაგ., მონათესავე აფხაზურ და ქართულ ენებს; მით უფრო, არამონათესავე ქართულ და რუსულ ენებს; ქართველურ ქვესისტემებს კი გაცილებით მეტი აქვთ საერთო, ვიდრე - განსხვავებული; თუმცა, საკუთრივ ქართველურ ქვესისტემებს

შორისაც არ გვაქვს ერთგვაროვანი ვითარება: სამწიგნობრო ქართულისგან ყველაზე მეტად განსხვავდება სვანური კილოები, უფრო ნაკლებად - ზანური კილოები (მეგრული-ლაზური), უფრო ნაკლებად - ინგილოური და ტაოური, უფრო ნაკლებად - თუშური და ხევსურული; უფრო ნაკლებად - კახური, ქართლური და იმერული...“ (ფუტკარაძე 2017: 125).

მეცნიერის მიხედვით, ლექსიკურ-ფონოლოგიურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური სისტემების სხვაობის ხარისხის მიხედვით ჯერ მსოფლიოში არავის დაუდგენია არც ერთი მეტყველების სტატუსი; არც არავის დაუსახელებია ის პროცენტული ზღვარი, რომლის მიხედვით ზემოთ მონათესავე მეტყველებები ენებად უნდა ჩაითვალოს, ამ ზღვრამდე კი - დიალექტებად. ასეთი ზღვარის დადგენა შეუძლებელიცაა, რამდენადაც ბევრია შემთხვევა, როცა საუკუნეების მანძილზე ენად მიჩნეული ერთი მეტყველება „სისტემურად“ ძალიან მცირედით განსხვავდება მეორე მონათესავე ენისგან (მაგ., პოლონური უკრაინულისაგან) და პირიქით: საუკუნეების მანძილზე კილოებად მიჩნეულ ერთეულებს შორის შთამბეჭდავი სისტემური სხვაობაა (მაგ., რუსული, ბელორუსული, უკრაინული, პოლონური ენები). „მონათესავე იდიომების (მეტყველებების) ენობრივი სტრუქტურების განსხვავების ხარისხის მიხედვით ენისათუ კილოს კვალიფიკაციის მცდელობა ყოველთვის ჩიხში შევა“.

მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს:

„ლინგვისტიკის (ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სოციოლინგვისტიკის...) ცნებების სუბიექტური გააზრების მიხედვით არ უნდა ხდებოდეს საუკუნეების მანძილზე უკვე არსებული ტრადიციული კვალიფიკაციების თვითმიზნური გადასინჯვა, მაგ., უკრაინული დიდი ხანია დამოუკიდებელ ენადაა აღიარებული და რისი მომტანია მისი რუსული ენის დიალექტად გამოცხადება ერთი თუ ორი ლინგვისტის მიერ?

ანდა:

მეგრული (ოდიშური) მეტყველება მრავალი საუკუნის მანძილზე ქართველთა ერთ-ერთ დიალექტად ითვლება (ქართველთა სხვა კილოების მსგავსად) და რას მოემსახურება XXI საუკუნეში მისი სტატუსის შეცვლა და ე.წ. რეგიონულ ენად სახელდება?

პასუხი ერთია:

ამ გზით დასახელებულ ქართველთ გაუცხოვდებათ და, ფაქტობრივად, დაეკარგებათ ქართველური/ქართული მწიგნობრობის სახით არსებული საკუთარი დიდი კულტურული წარსული“ (ფუტკარაძე 2017: 126).

მსჯელობა გაგრძელდა ტ. ფუტკარაძისა და ე. დადიანის ერთობლივ ნაშრომში; კერძოდ, ისინი წერენ: „რაოდენობრივი სხვაობა მეტ-ნაკლებად ყველა დიალექტს შორის არსებობს; თვისობრივი ცვლილების საზღვრად რომელი პროცენტული მაჩვენებელი უნდა ავიღოთ? ის სხვაობა, რომელიც გვაქვს, მაგ., მეგრულსა და სამწიგნობრო ქართულს შორის, საკმარისია მეგრულის დამოუკიდებელ ენად მისაჩნევად? შდრ., სალიტერატურო არაბულსა და ბუხარულს შორის გაცილებით დიდი სხვაობაა; მეტიც, ბუხარულს ზოგი ტაჯიკური/სპარსული ენის დიალექტად მიიჩნევს; თუმცა, რამდენადაც ბუხარელები არაბები არიან, თავად არაბისტების მიერ ბუხარული არაბულის დიალექტად განიხილება. სისტემური სხვაობა კი ნამდვილად არის, მაგ., ქართულსა და მის მონათესავე აფხაზურს შორის, ქართულსა და არამონათესავე არაბულს შორის, და არა სამწიგნობრო ქართულსა და მეგრულს, ან თუშურს შორის“ (ფუტკარაძე... 2017ა: 92-93).

ტ. ფუტკარაძე გაუგებრად მიიჩნევს გ. ცოცანიძისეულ შეხედულებას, თუ „რატომ გამოცხადდა ტერიტორიული დიალექტები სოციალურ დიალექტებად?“ მეცნიერი შესაბამისი არგუმენტებით ასკვნის, რომ: „ა) როგორც ლექსიკის, ასევე ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემების მიხედვით ქართველური ენობრივი სამყაროს ყველა ქვესისტემა თვისობრივად ერთგვარია და არა განსხვავებული.

ბ) ქართული სამწიგნობრო ენა არსებითად ინარჩუნებს ამოსავალ საერთოქართველურ სისტემას, ზანური და სვანური კი ამ ენის აშკარად მეორეული სახესხვაობებია; შესაბამისად, ქართული, ზანური და სვანური ენობრივი კონტუნუუმები ნამდვილად არ არის თანაბარი მოცულობის „ენები“. როგორც ამბობს გ. ცოცანიძე, ზანური და სვანური მეტყველებების ქართულთან გათანაბრება შეუძლებელია ფუნქციურადაც: ქართული, საერთო-სახალხო ენა; მეგრულ-ლაზ-სვანები კი ქართველთა ძირითად ნაწილს წარმოადგენენ. ზანური და სვანური მეგრულ-ლაზთა და სვანთა საშინაო მეტყველებებია, ქართული კუთხური დიალექტებია, ხოლო ქართული ენა მათი დედაენა და ეროვნული ცნობიერების საფუძველია.

გ) ალოგიკურია ტერიტორიული დიალექტების გამოცხადება „სოციალურ დიალექტებად“ და ამის საფუძველზე სტატუსის განსაზღვრისას ორმაგი სტანდარტის დაშვება. გ. ცოცანიძის სხვა ენების კილოთა სტატუსების ისტორია რომ გაეთვალისწინებინა, დარწმუნდებოდა, რომ მონათესავე ენობრივ ერთეულთა სტატუსი განისაზღვრება მათი „სოციალური ფუნქციონირების“ საფუძველზე“ (დადიანი, ფუტკარაძე, 2018: 89-90).

ზემოთ განხილული დისკუსიის ფონზე საინტერესოა, თუ რას ემყარება ენათა კლასიფიკაცია.

არნ. ჩიქობავა ენათმეცნიერების, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბებას ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შექმნას აკავშირებს, რომლის ძირითადი ფუნქციაა ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია (ჩიქობავა 1983: 249). თუმცა ამ მეთოდმა არ გაამართლა, რადგან მიღებული შედეგები სხვადასხვა აღმოჩნდა...

თ. გვანცელაძეს ქართველური ენობრივი სამყაროს კლასიფიცირებისათვის მართებულად მიაჩნია ა. მეიეს გამონათქვამი: „ერთადერთი ენათმეცნიერული კლასიფიკაცია, რომელიც ფასეული და სასარგებლოა, ესაა გენეალოგიური კლასიფიკაცია, დაფუძნებული ენათა ისტორიაზე“ (მეიე 1924: 1).

თინათინ შარაძენიძე ვრცლად მსჯელობს ენათა კლასიფიკაციის პრინციპებზე. ის ხაზგასმით აღნიშნავ: „ერთი ენის დიფერენციაციით ახალი ენები მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პროვინციები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდება და ამ ხალხებს შორის **ერთიანობა გაწყდება...**“ (შარაძენიძე 1958: 42).

ჩვენი აზრით, სავსებით გასათვალისწინებელია ეს მსჯელობა ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციისას, რადგან სამეგრელო და სვანეთი არ არის პროვინცია, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდა, შესაბამისად, ამ კუთხის მკვიდრთ არ გაუწყვეტიათ კავშირი და ერთობა სხვა კუთხის წარმომადგენლებთან. პირიქით, დასაბამიდან დღემდე იმერელი, ქართლელი, მეგრელი, გურული, სვანი... ერთად ქმნიდნენ სალიტერატურო ენას.

თ. შარაძენიძის მიხედვით, „კილოების ენებად ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა ერთი საზოგადოების ნაწილების ერთმანეთისაგან მოწყვეტა: იმისთვის, რომ

ენის დიფერენციაცია განხორციელდეს, აუცილებელია, ამ ენაზე მოოლაპარაკე საზოგადოება დაიშალოს...” (შარაძენიძე 1958: 45).

ზემოთ დასახელებულ ნაშრომში მსჯელობს რა ენათა კლასიფიკაციის პრინციპებზე, მეცნიერი დასძენს: „დიფერენციაცია არ შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფოებრივი დაშლის, საზოგადოების ნაწილთა ერთმანეთისაგან მოწყვეტის გარეშე...” (იქვე: 43). ნიმუშად მოაქვს ქართული ენის დილექტები: იმერული და გურული, რომლებიც მხოლოდ დიალექტებად კვალიფიცირდნენ და არ იქცნენ დამოუკიდებელ ენებად, რადგან არ შეექმნათ ხელსაყრელი პირობა, იმერეთი და გურია არ გამოყოფილია საქართველოს.

ჩვენი აზრით, იმერეთისა და გურიის მსგავსად არც სამეგრელო და სვანეთი არ გამოყოფილია საქართველოს; შესაბამისად, იმერულისა და გურულის მსგავსად, მეგრულიცა და სვანურიც უნდა კვალიფიცირდნენ როგორც დიალექტები და არა დამოუკიდებელი ენები.

ქართული ენის მთლიანობაზე საინტერესოა ენათმეცნიერ მ. ტაბიძის შეხედულება: „ქართული ენა თავისი ისტორიული გზის მანძილზე მუდმივად წარმოადგენდა ერთ მთლიანობას, მრავალფეროვანი რთული სახესხვაობების სისტემურ ერთიანობას. აქ საქმე გვაქვს არა დიფერენციის ისეთ ფორმასთან, რომელსაც ევროპის ენათა უმრავლესობა გვიჩვენებს, როდესაც ერთი საერთოდან წამოსული განშტოებები დამოუკიდებელ არსებობას იწყებენ (თუმცა, ცხადია, არც ისინია მთლად ასე მარტივად წამოსული ერთი ფუძიდან), ანუ როდესაც ე.წ. ფუძე ენა ტოტებშირ ხედ გადაიქცევა, არამედ სრულიად სპეციფიკურ მოვლენასთან, როდესაც ერთი ენობრივი ბირთვი მუდმივ პულსაციაშია და მისგან ტალღებად წამოსული ვარიაციები ზღვის მოქცევა-უკუქცევის მსგავსად სულ მუდამ უბრუნდებიან საკუთარ წიაღს. დიახ, ქართველურ ენობრივ სამყაროში მოვლენები სპეციფიკურად ვითარდება. ქართული ენის ვარიანტული სხვადასხვაობები არასოდეს დაშორებიან ერთმანეთს დიდი ხნით, ისინი მუდმივად იყვნენ ურთიერთკავშირში და ზეგავლენას ახდენდნენ ერთმანეთზე“ (ტაბიძე 2015: 95-96).

როგორც განხილული დისკუსიებიდან გამოჩნდა, ენობრივი ერთეულის სტატუსის გასარკვევად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კრიტერიუმებს. სწორედ ამას ეძღვნება ჩვენი ნაშრომის მეორე თავი.

II თავი

თანამედროვე კვლევებში წარმოდგენილი ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერიუმები

2.1. ლინგვისტური კრიტერიუმები

2.1.1. შიდასტრუქტურული კრიტერიუმები

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ენისა და კილოს გასამიჯნად შემოთავაზებულია სხვადასხვა კრიტერიუმი. აქედან გამომდინარე, არ არსებობს

საყოველთაოდ აღიარებული უნივერსალური, სანდო კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც კვალიფიცირდება ენობრივი ერთეულის სტატუსი. განსაკუთრებით კი ჭირს უმწიგნობრო ენისა და კილოს/დიალექტის გამიჯნვა. უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ორი ასპექტი:

- ისტორიულად რა პრინციპების მიხედვით მოხდა უკვე არსებული ენობრივი ერთეულების სახელდება ენებად თუ დიალექტებად;
- თანამედროვე მეცნიერთაგან რა კრიტერიუმებია შემოთავაზებული ენისა და დიალექტის გასამიჯნავად.

სხვადასხვა დროს მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული იყო სხვადასხვა კრიტერიუმი. მათ შორის ზოგი იყო ლინგვისტური, ზოგი - ექსტრალინგვისტური. შესაბამისად, ჩვენ ცალ-ცალკე განვიხილავთ სხვადასხვა ქართველ თუ უცხოელ ენათმეცნიერთა მიერ შემოთავაზებულ კრიტერიუმებს და დავაჯგუფებთ მათ.

ტ. ფუტკარაძის აზრით, ენისა და კილოს გამმიჯნავი ლინგვისტური კრიტერიუმები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

-სტრუქტურული კრიტერიუმები (ბგერათშესატყვისობა, ენობრივი სტრუქტურების მსგავსება-განსხვავება...),

- ფუნქციური (სოციოლინგვისტური) კრიტერიუმები.

აღნიშნული კრიტერიუმების სანდოობის საკითხს მომდევნო თავებში შევეხებით.

პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე და პროფ. ტარიელ ფუტკარაძე, მართებულად მიუთითებენ, რომ კილოც და კილოკავიც, ცალკე აღებული, ისტორიულად ჩამოყალიბებულ და მოწესრიგებულ ნიშანთა სისტემას ანდა ფონოლოგიურ-ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ-სემანტიკურ თავისებურებათა ერთობლიობას წარმოადგენს. „სულ სხვა საქმეა, რომ სხვადასხვა დონის ენობრივი ვარიანტები ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდნენ კონკრეტულ ენობრივ სისტემათა თავისებურებებით: ვთქვათ, ერთი დიალექტი სხვებისაგან შეიძლება სხვაობდეს მხოლოდ ფონოლოგიურ-ფონეტიკური მახასიათებლებით, მხოლოდ მორფოლოგიის მხრივ, მხოლოდ სინტაქსურად, მხოლოდ ლექსიკურ-სემანტიკურად, ანდა, ზოგიერთი ყველა ენობრივი სისტემის მხრივ“ (გვანცელაძე 2006: 52-53); მიუხედავად ამისა, „საკუთრივ ენათმეცნიერული განმარტების მიხედვით, ენა და კილო ვერ იმიჯნება“ (ფუტკარაძე 2008: 58).

ენისა და დიალექტის გასამიჯნ კრიტერიუმებზე მსჯელობამდე, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ სამეცნიერო სივრცეში არსებული ენის, დიალექტის, სამწერლობო ენისა და უმწერლობო ენის სხვადასხვა დეფინიციები:

1. ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებინებას (სტალინი). ენა ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა (ლენინი). 2. მეტყველების უნარი, აზროვნების სიტყვიერად გადმოცემა, მეტყველება, ლაპარაკი. 3. მეტყველების ნაირსახეობა, რომელსაც მოეპოვება თავისი დამახასიათებელი ნიშნები. გადმოცემის თავისებურება, სტილი, რითაც განირჩევა ერთი მწერალი ან ნაწარმოები ერთმანეთისაგან (ქეგლ 1953: 1357).

სამწიგნობრო ენა ხელოვნურია, იდეაში არსებობს: წარმოადგენს „ნაწრობ ფოლადს“ (ბახი 1969).

ენა ეროვნული თვითშეგნების უპირველესი გამოვლინებაა (ჯორბენაძე 1989: 170).

ენა შემეცნებითი (კოგნიტიური) პროცესების საფუძველზე, სოციალურად საჭირო, ისტორიულ განვითარებას დამორჩილებული საშუალებაა. იგი ემსახურება აზრების გამოხატვას, უფრო სწორად გაცვლას; წარმოადგენს, იდეებისა და ინფორმაციის დაფიქსირებას და ცოდნისა და გამოცდილების გადაცემას. ამ თვალსაზრისით, ენა არის სპეციფიკური, ადამიანისათვის დამახასიათებელი გამოხატვის საშუალება, რომელიც მისი კრეატიულობითა და შესაძლებლობებით, ასევე, მეტაფიზიკური რეფლექსიებით, კომუნიკაციის სხვა საშუალებებისაგან განსხვავდება (ბუსმანი 2002: 616-617).

ენა არის ადამიანთა მნიშვნელოვანი და სპეციფიკური საკომუნიკაციო საშუალება, რომელიც ინფორმაციის გაცვლისა და ასევე ფიქრის, აზრის სათანადო ორგანიზებას ემსახურება და კოგნიტიურ და ეფექტურ ფუნქციებს ასრულებს (გლუკი 2005: 611).

ენა არის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ბგერით ნიშანთა სისტემა, რომელიც გამოიყენება სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, შემოქმედების, განათლების, კომუნიკაციისა (ინფორმაციის გაცვლისა) და ცოდნის შენახვის საშუალებად; ენა არის კონკრეტული საზოგადოების (ეთნოსის, ერის) ერთიანობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი (ფუტკარაძე 2017: 118).

ასევე განსხვავებულია კილოს/დიალექტის დეფინიციები:

კილო/დიალექტი ამა თუ იმ ენის კუთხურ ნაირსახეობად პირველად განმარტა გერმანელმა პოეტმა ფილიპ **ფონ ცეზენმა** (1619-1689; იხ. ჰარბრეხტი 1912:12); ამგვარი განმარტება სპეციალურ ლიტერატურაშიც არაიშვიათია: „ენის განკერძოებული ფორმა, წარმოქმნილი გარკვეულ ტერიტორიაზე“ (მარუზო 1943:12); „ნიმანთა სისტემა, გამოყოფილი რომელიმე ცოცხალი ან მკვდარი საერთო ენისგან და ჩვეულებრივ, არსებული განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, ოღონდ ნაკლებად განსხვავებული სხვა, საერთო წარმოშობის სისტემათაგან“ (ალვარი 1961:54).

კილო - 1. საერთო-სახალხო ენის განშტოება, რომელზედაც ლაპარაკობენ ამა თუ იმ კუთხეში, კუთხური მეტყველება, დიალექტი. 2. ამა თუ იმ კილოსათვის თუ კილოკავისათვის დამახასიათებელი თავისებური წარმოთქმა, ინდივიდისათვის დამახასიათებელი ლაპარაკის მანერა (ქეგლ 1953: 1160).

დიალექტი საერთო ეროვნული ენის ნაირსახეობაა და არა დამოუკიდებელი სისტემა (ჯორბენაძე 1989: 16). „ამა თუ იმ ენის მეტყველებრივი ნაირსახეობა, გავრცელებული გარკვეულ ტერიტორიაზე, ან ეთნიკურ, სოციალურ, პროფესიულ, ასაკობრივ ჯგუფში“ (იქვე: 8) „ტერიტორიული ან სოციალური ნაირსახეობა ამა თუ იმ ენისა“ (ოჟეგოვი... 1992: 234).

„**კილოს** აქვს თავისი ენობრივი სტრუქტურა, მაგრამ ამავე დროს ბუნებრივია. დიალექტზე ლაპარაკობენ, მაგრამ არ წერენ“ (ზახი 1969).

„**დიალექტები** არის სახელმწიფო ენის გეოგრაფიული ვარიანტები, რომლებიც განსხვავდებიან ბგერადობით, ფლექსიით, სიტყვაწარმოებით, ლექსიკით, სტილისტიკით, ფრაზეოლოგიით, სინტაქსით“ (ნასერი 1986).

„**დიალექტები** სტანდარტულ ენაზე ნაკლებ კანონზომიერებებს არ ავლენენ კომუნიკაციურად ორივენი ქმედითნი არიან. შესაძლებელია სტანდარტული ენისა და დიალექტის ფუნქციური დიფერენციაციის დადგენა: კერძოდ პირველი გამოიყენება ოფიციალური ინფორმაციისათვის, მეორე კი - არაოფიციალური ურთიერთობისათვის“ (ლევანდოვსკი 1979).

„მოცემული ლინგვისტური ერთეული მაშინ არის **დიალექტი**, თუ ის ატარებს შემდეგ ოთხ თვისებას: 1. სამეტყველო „ენად“ ყოფნა. 2. ვარიანტად ყოფნა. 3.

მცირერეგიონალურად ყოფნა. 4. არასტანდარტულად ყოფნა (არანორმირებულობა)“ (ამონი 1983: 36).

შლოსერი დიალექტს განიხილავს როგორც ოფიციალური კომუნიკაციისათვის მიუღებელ ენობრივ ვარიანტს, რომელიც შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალში გამოიყენება და სისტემურად სალიტერატურო ენისგან განსხვავდება (შდრ. შლოსერი 1985: 21).

დიალექტი არის ენობრივი ვარიაცია შეზღუდულ სივრცეში; ენის სისტემა (ლინგვას გაგებით), რომელიც (ა) სხვა სისტემებთან მაღალი ხარისხით სიახლოვეს ადასტურებს, სულ მცირე, შესაძლებელია, (ბ) მხოლოდ რეგიონით შემოიფარგლებოდეს, და ასევე შესაძლებელია ამ სისტემის გაფართოება სხვა რეგიონს გადაფარავდეს. და (გ) მჟღავნდება არა წერილობითი, არამედ, უფრო სწორედ ოფიციალურად ნორმირებულ ორთოგრაფიულ და გრამატიკულ წესებში (ბუსმანი 2002: 162-163).

დიალექტი (სასაუბრო ენა, ჟარგონი). განსაკუთრებული სალაპარაკო ენა ეროვნული ან სტანდარტული ენის ფარგლებში. თავისებურება თავს იჩენს ენის ყველა დონეზე (ბგერის დონეზე, ფონოლოგიაში, მორფოლოგიაში, ლექსიკაში სინტაქსში, იდიომატიკაში), მაგრამ აქვს ბგერათა და სიტყვათა მარაგში მნიშვნელოვანი თავისებურებები, რომლებიც მას სტანდარტული ენისაგან განასხვავებს (გლუკი 2005: 139).

დიალექტი - მოცემული ენის ერთ-ერთი განშტოება (ქვესისტემა) - მოცემული საზოგადოების (ეთნოსის, ერის) დედაენის ზეპირი სახესხვაობა, რომელიც წარმოადგენს შედარებით მცირე ტერიტორიაზე განფენილი ამ საზოგადოების ნაწილის, ან ამ საზოგადოების რომელიმე სოციალური ფენის მეტყველებას.

სახელმწიფო ენა - მოცემული სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ოფიციალური ურთიერთობის (სახელმწიფო სტრუქტურების, მეცნიერების და კულტურის) ენა.

დედაენა - წინაპრების მიერ შექმნილი კულტურის ენა, რომელიც როგორც სამყაროს ხედვა-აღქმის სისტემა, მრავალ თაობას აერთიანებს.

უმწერლობო ენად მიიჩნევა ენობრივ-ეთნიკური ერთობის მქონე იმ საზოგადოების მეტყველება, რომელსაც საკუთარ დედაენაზე არა აქვს წერილობითი კულტურა და შემოქმედების თუ საქმისწარმოების პროცესში იყენებს სხვათა მიერ

შექმნილ სამწიგნობრო ენას. უმწერლობო ენა ზეპირი ფორმით (დიალექტების, კილოკავების, თქმების, ჟარგონების სახით...) არსებობს (ფუტკარაძე 2005: 60-70).

თანამედროვე ენათმეცნიერებაში თანდათან მკვიდრდება ის აზრი, რომ ზემოთ დასახელებული განმარტებები ენისა და დიალექტისა უნივერსალურად ვერ ჩაითვლება, რადგან მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, საერთო-ეროვნული ენის პარალელურად არსებობს ისეთივე სამეტყველო ენობრივი ერთეული, რომელიც უპირატესად ისტორიულ-პოლიტიკური მიზეზით მიიჩნევა კილოდ, მიუხედავად იმისა, რომ საერთო-ეროვნულ ენაზე ძველი სამწიგნობრო ტრადიციებიც კი გააჩნდეს.

მაგალითად: იტალიაში კილოებად მიჩნეული მეტყველებებიც (რომაული, სიცილიური, ვენეციური, ნეაპოლური, ლუკანური...) და სალიტერატურო ენაც (რომელიც ტოსკანური ჯგუფის ფლორენციულ კილოს ეფუძნება), ისტორიულად თანაბარი დონის ენობრივი ერთეულებია. ასე რომ, ამჟამინდელი იტალიური კილოები სამწიგნობრო იტალიურის კუთხურ მეტყველებრივ ნაირსახეობებს (განშტოებებს) არ წარმოადგენენ, მაგრამ მათ სატატუსს მეტყველთა თვითაღქმა განსაზღვრავს - ყველა კუთხის იტალიელს თავი მიაჩნია ერთი ერის შვილად, ერთიანი კულტურის მემკვიდრე-შემოქმედად და თვლის, რომ ერთი დედაენა და სამშობლო აქვს. აქედან გამომდინარე, იტალიელთა ყოველი კუთხური თემის საშინაო სამეტყველო ერთეული უპირობოდ კილოა (ლაბაძე 2014: 105).

აქედან გამომდინარე, იტალიელი ენათმეცნიერები „კილოს“ შემდეგნაირად განმარტავენ: „ტერმინი კილო გამოიყენება ისეთი არასტანდარტული ენობრივი ვარიანტის აღსანიშნავად, რომელზედაც გარკვეული კუთხური თემი მეტყველებს და რომელიმე ოფიციალური ურთიერთობის დროს, სკოლებში, ადმინისტრაციაში არ იხმარება“ (ლიპორკანო 2009: 3).

ასეთივე ვითარებაა გერმანიაში.

თვით სიტყვა დიალექტი (Mundart) შედგენილია პოეტ ფილიპ ფონ ცეზენის მიერ. სამხრეთ გერმანული დიალექტის სახეობებს აღნიშნავენ სიტყვით დიალექტი (Dialekt), ხოლო ჩრდილოგერმანულს პლატი (Platt).

ჟან გოსენი სალიტერატურო ენასთან მიმართებით დიალექტს განსაზღვრავს როგორც პოლარულ სიდიდეს (გოსენი 1977: 18). დიალექტსა და სამწერლობო ენას შორის მოიპოვება დიალექტის ბევრი განსხვავებული დონე, რომელიც საჭიროების

შემთხვევაში საუბრისას მონაცვლეობით იჩენს თავს და რეგიონალური სასაუბრო ენის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ერთიანი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებამდე დიალექტს მიიჩნევდნენ ერთადერთ ენად ამა თუ იმ რეგიონში. დღესდღეობით დიალექტი აღიარებულია როგორც სალიტერატურო ენას დაქვემდებარებული ვარიანტი „ენა“ (შდრ. მატკაიერი 1980: 12–13). აღნიშნულიდან გამომდინარე, შლოსერი დიალექტს განიხილავს როგორც ოფიციალური კომუნიკაციისათვის მიუღებელ ენობრივ ვარიანტს, რომელიც შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალში გამოიყენება და სისტემურად სალიტერატურო ენისგან განსხვავდება (შდრ. შლოსერი 1985: 21).

გერმანულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებს შორის მიმართება ასე შეიძლება დახასიათდეს: ყველა კუთხის გერმანული თავს თვლის ერთი ერის შვილად. ისინი მიიჩნევენ, რომ ერთი დედაენა და სამშობლო აქვთ. აქედან გამომდინარე, გერმანიის ყოველი კუთხური სახესხვაობა, იქნება ეს ძლიერ დისტანცირებული დიალექტი, როგორცაა ჩრდილოეთ გერმანიის რეგიონის პლატდოიჩი (ქვემოგერმანული), საშუალოდ დისტანცირებული დიალექტები - შვაბური, ბავარიული და ა.შ., მცირედ დისტანცირებული დიალექტები საქსონური და სხვა, ყოველთვის კილოებად//დიალექტად მოიხსენიება, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად არ წარმოადგენენ საერთო-ეროვნული ენის განშტოებებს. მეცნიერებს (ქართული ენისგან განსხვავებით) მათი სტატუსი სადავოდ არასოდეს გაუხდიათ.

ამათგან განსხვავებით, ისეთი სამეტყველო ერთეულები, როგორცაა, მაგალითად აფრიკანსი, მალტური, სამწიგნობრო ნორვეგიული (ბუკმოლი), ინდონეზიური, ჰაიტური... წარმოადგენს შესაბამისად ჰოლანდიურის, არაბულის და დანიურის, მალაიურის და ფრანგულის... განკერძოებულ ფორმებს, წარმოქმნილს გარკვეულ ტერიტორიაზე, გარკვეულ ეთნოსოციალურ ჯგუფებში; მაგრამ მათ არც ერთი ენათმეცნიერი არ მიიჩნევს კილოებად - ყოველი მათგანი დამოუკიდებელ ენად განიხილება იქიდან გამომდინარე, რომ აფრიკანერები, მალტელები, ნორვეგიელები, ინდონეზიელები, ჰაიტები ამჟამად დამოუკიდებელი ერებია (ლაბაძე 2014: 106).

ზემოთ წარმოდგენილი ზოგადი მიმოხილვის ფონზე საინტერესოა იმ კრიტერიუმების მიმოხილვა, რომლებითაც შესაძლებელია გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ენა და დიალექტი.

მკვლევართა ნაწილი - პ. ფინკე, ბ. ჯორბენაძე, გ. ნეზიერიძე... მიიჩნევენ რომ, ენა ძირითადი სისტემაა, **დიალექტი** კი არის ამ სისტემის (ეროვნული ენის) ნაირსახეობა, ვარიანტი; დიალექტის მფლობელთა შორის გაგებინება უნდა იყოს.

ვ. ჟირმუნსკი, ე. ცოსერიუ, ი. ქლოუპევი, კ. ჰერგენი: დიალექტებს შორის გაგებინება არარსებითია.

გ. ბელმანის, ვ. კონიგისა და სხვათა აზრით, დიალექტსა და ენას შორის ზღვარი ძნელი გასავლება; დიალექტიდან ენაში გადასვლა თავისუფლად ხდება.

ჰ. ჰარმანისა და პ. აუერის მიხედვით, ენობრივი ერთეულის სტატუსი მისმა მფლობელმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს.

ჩვენი აზრით, ენობრივი ერთეულის სტატუსის განსაზღვრა უფრო სანდო ჩანს მოცემული ეთნოსის სამწიგნობრო კულტურის ისტორიის გათვალისწინებით.

2.1.1.1. ბგერათშესატყვისობა

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ენისა და დიალექტის გამმიჯნავ საკუთრივ **ლინგვისტურ კრიტერიუმებად** სახელდება: **სტრუქტურული კრიტერიუმები** (ბგერათშესატყვისობა, ენობრივი სტრუქტურების მსგავსება-განსხვავება...) და **ფუნქციური (სოციოლინგვისტური) კრიტერიუმები**. თუმცა რიგი ენათმეცნიერებებისა საკუთრივ ლინგვისტურ კრიტერიუმად „გაგებინების“ კრიტერიუმსაც მიიჩნევენ (ვრცლად იხ. ქვემოთ).

ლინგვისტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ენისა და კილოს გამიჯვნა პირველად ირლანდიელმა ენათმეცნიერმა **სერ ჯორჯ აბრაჰამ გირსონმა** სცადა. მისი ცნობილი ნაშრომის „ინდოეთის ენობრივი მიმოხილვა“ (Linguistic Survey of India) პირველი ტომის (1927, კალკუტა) შესავალში ცალკე ქვეთავი ეძღვნება ენისა და კილოს გამიჯვნის პრობლემას.

ა. გირსონის აზრით, „**ცნებები** „**ენა**“ და „**კილო**“ ერთმანეთისაგან იმგვარადვე განსხვავდება, როგორც მაგალითად, „**მთა**“ და „**გორაკი**“ - მაგალითად, ეჭვგარეშეა,

რომ ევერესტი მთაა, ხოლო ჰოლბორნი გორაკი, მაგრამ ამავე დროს, „დარჯილინგის გორაკების“ სიმაღლე 7 500 ფუტია და „სნოუდონის მთისა“ კი მხოლოდ 3 500; ანალოგიურად, ცნებები „ენა“ და „კილო“ ხშირად გამოიყენება ერთსა და იმავე კონტექსტში. საერთოდ მიიჩნევა, რომ კილოთა შორის გაგებინება მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, ენებს შორის კი შეუძლებელია... (გრირსონი 1927: 22-23).

ენისა და კილოს უნივერსალური განმარტების პრაქტიკული არარსებობა გამომდინარეობს იქიდან, რომ სამეტყველო ერთეულები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვა კრიტერიუმით იმიჯნება. თავის მხრივ, ყოველი კრიტერიუმი გარკვეულ კონტექსტურ მონაცემებს ეფუძნება და განსაზოგადებლად არ გამოდგება. ამაზე მართებულად მიუთითა ცნობილმა ენათმეცნიერმა **ეუჯენ კოშერიუმ** (1983: 37), რომელიც წერს: „როგორ განვსაზღვრავთ ამა თუ იმ კილოურ სისტემას? იშვიათად ეს [წმინდა] ენათმეცნიერული კრიტერიუმებით ხდება: ასე მაგალითად, პორტუგალიურად (და არა ესპანურად) მივიჩნევთ [ისეთ] სამეტყველო ერთეულებს, რომლებშიც ლათინურის თავკიდური **f** უცვლელად შენარჩუნდება ყოველთვის (Feito, Falar, Fogo...Sdr. [esp.]: Hecho, Hablar, Fuego); ლათინურის **ct** კომპლექსი კი წარმოდგენილია როგორც **it** და არა როგორც **ch** (Oito, Direito... Sdr. [esp.]: Ocho, Derecho); ლათინურის **pl, cl** კომპლექსები მოგვცემს **S-ს** - დაიწერება **ch** - და არა [პალატალიზებულ] **ლ“-ს** - დაიწერება **ll** (Chave, Chover...Sdr. [esp.]: Llave, Llover); ხოლო ცხვირისმიერ თანხმოვნის კომპლექსები, შესაბამისად, მოგვცემს ცხვირისმიერ ხმოვან ფონემებს (Irmão, Manhã...Sdr. [esp.]: Hermano, Mañana)... თუმცა ზოგჯერ ამგვარი კრიტერიუმები გადამწყვეტი აღარ არის ხოლმე - მაგალითად, ქ. ტრიესტიდან შავ ზღვამდე გავრცელებული სამხრეთსლავური [ენების] კილოები [წმინდა] ენათმეცნიერული კრიტერიუმებით მკვეთრად ვერ იმიჯნება: შესაძლოა, სლოვენურის და ბულგარულის კილოები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, როგორც დაშორებულნი, თუმცა ურთიერთმოსაზღვრე [ენათა] კილოებს შორის ზღვარი ფაქტობრივად, არც კი არსებობს - ისინი თანდათანობით გადადიან ერთმანეთში. ასეთ შემთხვევებში, ენათმეცნიერს მოუწევს არაენათმეცნიერულ (პოლიტიკურ, ანდა კულტურულ) მონაცემთა გათვალისწინებაც (ლაბაძე 2014: 106).

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ენისა და კილოს გასამიჯნ კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს „**ბგერათმესატყვისობა**“. ანუ: თუკი ენობრივ ერთეულებს შორის

არსებობს ისტორიულად ჩამოყალიბებული ბგერათმესატყვესობა, ეს ენობრივი ერთეულები უკვე დამოუკიდებელი ენებია. მაგ., მ. ქურდიანის აზრით, თუკი სამეტყველო ერთეულებს შორის არსებობს „ბგერათმესატყვესობა“, ისინი მონათესავე ენებია, თუ არადა - დიალექტები. მეცნიერი ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ სვანური სვანების დედაენაა, ხოლო ქართული - ეროვნული ენა. ასევე უარგუმენტოდ აცხადებს, „წმინდა ენათმეცნიერული“ განსაზღვრით სვანური და ზანური დამოუკიდებელი ენებია, ხოლო სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ქართული ენის დიალექტები (ქურდიანი 2007: 6-9).

მ. ქურდიანის მტკიცებით, რამდენადაც გერმანელთა საშინაო სამეტყველო ერთეულებს შორის არსებობს „ბგერათმესატყვესობა“, ისინი მონათესავე ენებია და არა დიალექტები. მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიოს მიხედვით შვებური და ბავარიული გერმანული ენის დიალექტებია და არა ენები.

ამ შეხედულებას არგუმენტირებული მსჯელობით უარყოფს პროფ. ტ. ფუტკარაძე. მისი აზრით, ბგერათმესატყვესობის არსებობა-არარსებობის მიხედვით მსოფლიოში არსებული არცერთი ენისა თუ დიალექტის სტატუსი არ არის განსაზღვრული; რაც მთავარია, **ბგერათმესატყვესობით დგინდება იდიომთა ნათესაობა და არა - სტატუსი.** გარდა ამისა, მრავალ მონათესავე ენას შორის ბგერათმესატყვესობა არ გვაქვს (მაგ., რუსული, ბელორუსიული, ჩეხური, სლოვაკური...), მაგრამ ენებად არიან კვალიფიცირებული და პირიქით: კანონზონიერი და რეგულარული ბგერათმესატყვესობები გვაქვს დიალექტებად მიჩნეულ ენობრივ ერთეულებს შორის (მაგ., გერმანიაში, ჩინეთში, იაპონიაში...), კილოკავებს შორისაც და იდიოლექტებს შორისაც კი.

ამასთანავე, ხშირად ბგერათმესატყვესობა თავს იჩენს არა მარტო ენებს, არამედ დიალექტებს, კილოკავებსა და თვით იდიოლექტებს შორისაც“ (ფუტკარაძე 2003; 2005; 2017: 121).

თ. გვანცელაძეს, ტ. ფუტკარაძის მსგავსად, ბგერათმესატყვესობა არ მიაჩნია ენისა და დიალექტის გამიჯვნის სანდო კრიტერიუმად. მეცნიერის აზრით, „გაურკვეველია, როგორი ბგერათფარდობა უნდა იქნეს მიჩნეული ბგერათმესატყვესობად. მაგ.: ხომ შეიძლება შესატყვესობად გამოცხადდეს მოიტანა//მეიტანა//მაიტანა, თუკი ო:ე:ა:

ფარდობა კანონზომიერიცაა და რეგულარულიც? ბგერათშესატყვისობას კრიტერიუმად გამოცხადებას აზრკოლებს ის გარემოებაც, რომ ორი ან მეტი ენობრივი კონტუნუმი აშკარად სხვადასხვა ენებია, მაგრამ მათ შორის არ ვლინდება კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობანი. მაგ.: აფხაზურ-აბაზური, უბიხური და ადიღეურ-ყაზარდოული ენები. ესენი რეალურად სამი სხვადასხვა ენაა, მაგრამ მათ შორის არ ვლინდება ბგერათშესატყვისობანი“ (გვანცელაძე 2002: 39).

ბგერათშესატყვისობის თვალსაზრისით საინტერესოა არაბული ენობრივი სამყაროს ვითარება. საერთო არაბულ **q** ბგერას ეგვიპტურ დიალექტში ენაცვლება **ჰამზა**, მაგ.: qalbii – ‘elbi (ჩემი გული), საერთო-არაბულ **j** ბგერას ენაცვლება **g**, მაგ.: jamiila- gamiila (ლამაზი ქალი) (იუმმანოვი 1985: 30).

გერმანული და ფრანგული ენების დიალექტებიც ამჟღავნებენ სხვაობებს ფონოლოგიურ, ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზე და ამ სხვაობებსაც სისტემური ხასიათი აქვთ, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს დიალექტები არასოდეს გამოცხადებულან ენებად.

ბგერათშესატყვისობის მიხედვით სალიტერატურო გერმანულსა და შვაბურ დიალექტს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორც სალიტერატურო ქართულსა და მეგრულს შორის. მაგალითად, სალიტერატურო ქართულისა და მეგრულის ხმოვანთშესატყვისობის მსგავსად, სალიტერატურო გერმანულსა და შვაბურ დიალექტს შორისაც არსებობს შესატყვისობები.

ს.ქართვ. ა > მეგრ.-ჭან.ო:

კაცი - კოჩი; ასი - ოში

ს.ქართვ. ე > მეგრ.-ჭან. ა:

მე - მა, დღე - დღა.

შდრ. სალიტ. გერმანული **i** > შვაბური **e**:

immer - emmer (ყოველთვის); **geschwind - gschwend** (სიჩქარე)

სალიტ. გერმანული **u** > შვაბური **ó**:

unser - ónserá (ჩვენი), **Junge - Jónge** (ბიჭი), **gesund - gsónd** (ჯანმრთელი)

სალიტ. გერმანული **a** > შვაბური **ä** ან **e**:

alles - ällles (ყველაფერი); **man - mer**

სალიტ. გერმანული **a** > შვაბური **ò**

da - dè (აქ), Jahr - Jòhr (წელიწადი).

ბგერათშესატყვისობის არასანდობაზე მეტყველებს ალ. ჟორდანას მიერ დასახელებული სალიტერატურო გერმანულისა და პლატდოიჩის მიმართება. პლატდოიჩისა და სალიტერატურო გერმანულის (ზოგადად, სამხრეთ გერმანულის - ჰობდოიჩის) რეგულარული ბგერათშესატყვისობის მაგალითებია: **p - f, k- ch, t - d...** კონკრეტულად: **loopen - laufen** (სირბილი), **ik mook-ich mache** (მე ვაკეთებ), **deel - teil**(ნაწილი)... რეგულარული ბგერათშესატყვისობის თვალსაზრისით თვისობრივად ანალოგიურია სალიტერატურო ქართულისა და მეგრული კილოს მონაცემებიც; თუმცა, რაოდენობრივად მეგრულში უფრო ცოტა შეიძლება იყოს სახეცვლილი ფორმები (ჟორდანია 2012:177).

ალ. ჟორდანას მიერ ზემოთ დასახელებული მაგალითების მსგავსად, სალიტერატურო გერმანულსა და შვაბურ დიალექტს შორისაც არსებობს შესატყვისობები: სალიტერატურო გერმანული **p, k, t, >** შვაბური დიალექტი **b, d, g**. ანალოგიური ვითარება გვაქვს, ერთი მხრივ, საერთოქართველურსა და, მეორე მხრივ, მეგრულ-ლაზურ-სვანურს შორის თანხმომავანთშესატყვისობის კუთხით, მაგალითად:

ს.ქართვ. **ძ, ც, წ** > მეგრულ-ლაზურ-სვანური **ჯ, ჩ, ჭ**:

საილუსტრაციო მასალა:

ს.ქართვ. **ძ** > მეგრულ-ლაზურ-სვანური **ჯ**:

ძმა - მეგრ. **ჯიმა** - ლაზ. **ჯუმა** - სვან. **ჯიმილ/ჯიმილ**

ძალ-ლ-ი - მეგრ.-ლაზ. **ჯოდორი** - სვან. **ჟალ/ჟელ**

ს.ქართვ. **ც** > მეგრულ-ლაზურ-სვანური **ჩ**:

ცხრა - მეგრ.-ლაზ. **ჩხორო** - სვან. **ჩხარა**

მცენარე - მეგრ.-ლაზ. **ჩანს** „ხარობს” - სვან. ხე-შ@ნ „ასხია”

ს.ქართვ. **წ** > მეგრულ-ლაზურ-სვანური **ჭ**

ანწლი - მეგრ.-ლაზ. **ინჭირია** - გ@ნჭE

წვავს - მეგრ.-ლაზ. **ჭუნს** - ლი-ჭ-ი „ცხოზა”.

სალიტერატურო გერმანული **p, k, t, >** შვაბური დიალექტი **b, d, g**:

Gespart-gschbard (დაზოგვა), **Pampers -Pembers** (პამპერსი), **Paar - baar** (წყვილი),

hekktar - Heggdar (ჰექტარი), **Mark- Marg** (მარკა), **klein- glaené** (პატარა),

Tag - Daag (დღე), **Wetter - Wedder** (ამინდი), **Zeit - Zeid** (დრო), **Bett - Bedd** (საწოლი)

მასასადამე, ბგერათშესატყვისობები არსებობს გერმანულ სალიტერატურო ენასა და შვაბურ დიალექტს შორისაც, რომლებიც კანონზომიერიცაა და რეგულარულიც. მათ შორის გაგებინებაც პრობლემაა, მაგრამ ისინი, ქართულისაგან განსხვავებით, არ აღიარებენ, რომ შვაბური დამოუკიდებელი ენაა; ყველა გერმანელისათვის შვაბური გერმანული ენის დიალექტია.

მსგავსი პრინციპით უნდა მივუდგეთ ქართველურ ქვესისტემებსაც. შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესაბამისი სტანდარტული ვარიანტებისგან შვაბურიც და მეგრულიც თვისობრივად ერთგვაროვნად განსხვავდება.

2.1.1.2. ენობრივი სტრუქტურების მსგავსება-განსხვავება

ბგერათშესატყვისობის გარდა, სამეცნიერო ლიტერატურაში ენისა და დიალექტის ერთმანეთისაგან გასამიჯნად დასახელებულია კიდევ ერთი კრიტერიუმი - **ენობრივი სტრუქტურების მსგავსება-განსხვავება**. ამ კრიტერიუმის მიხედვით, სხვადასხვა ენებად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ენობრივი ერთეული, რომლებიც ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურების მიხედვით განსხვავდებიან.

ამ კრიტერიუმის თანახმად, მეგრული მეტყველება კილოდ მიიჩნია ცნობილმა ქართველმა განმანათლებელმა, ეთნოგრაფმა და ენათმეცნიერმა **პეტრე ჭარაიამ**. ის წერს: „დიალექტებს ერთსა და იმავე ძირ-ენისას აქვთ ძლიერ ახლო და მჭიდრო ნათესაობა ურთიერთ შორის. მხოლოდ სვანური ცოტათი უფრო განირჩევა სხვებისაგან; მაგრამ ისიც იმდენად არა, რომ მისი ნათესაობა ქართულ გვარ ენებთან, როგორც სიტყვებისა და სიტყვის ფესვების, ისე გრამატიკული ფორმების მიხედვით არა თუ ენის მეცნიერთათვის, არამედ ყველა დამკვირვებელ ქართველთათვისაც აშკარა არ იყოს. რაც შეეხება მეგრულსა, ეს ღვიძლი ძმია ქართულის ენისა, რომელსაც იგი არა „ძლიერ წააგავს“, არამედ რომელთან თითქმის „იგივეობს“, თუ ქართულის ქვეშ ვიგულისხმებთ არა იმერულს, ქართლურს, გურულს, რაჭულს, მთიულ/ურ/ს და

სხვ. ცალ-ცალკე, არამედ - სრულიად საერთო ქართულს ძველის მწიგნობრულითურთ აღებულსა” (ჭარაია 1895: 23).

პროფ. თ. გვანცელაძის მითითებით, ჭარაიას ეს მსჯელობა ჩვენს დროში წინააღმდეგობრივად მოჩანს (იხ. გვანცელაძე 2004), მაგრამ საერთო კონტექსტი და თვით ნაშრომის დასახელებაც - „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან” ცხადად გვიჩვენებს, რასაც გულისხმობდა ავტორი.

კ. გაბუნია, რომელიც იცავს თვალსაზრისს სამი ქართველური „ენის“ არსებობის შესახებ, ცდილობს, ენის სტატუსის გამრკვევი „საკუთრივ ლინგვისტური“ კრიტერიუმის შემოტანას. ასეთად მას „სისტემურობის“ კრიტერიუმი მიაჩნია. მეცნიერი „გაგებინებას“ სოციოლინგვისტურ კრიტერიუმად მიიჩნევს, ხოლო ბგერათმესატყვისობებს - ფონოლოგიური დონის შესატყვის „საკუთრივ ლინგვისტურ“ კრიტერიუმად. მისი აზრით, „ბგერათმესატყვისობა ერთი სისტემიდან გასვლის და სხვა სისტემური მიმართების ჩამოყალიბების თვალსაჩინო მაგალითია. ასევე სისტემური ხასიათის ცვლილებებია მომხდარი მონათესავე ენათა ენებად დიფერენცირების ისტორიულ პროცესში ენობრივი იერარქიის სხვა დონეებზე: მორფოლოგიაში, კერძოდ, სახელთა ბრუნების, ზმნური უღლების ქვესისტემებში, სინტაქსში, ლექსიკოლოგიაში - სემანტიკაში...“ (გაბუნია 2004: 169-170).

ჩვენი აზრით, ეს კრიტერიუმი მართებული იქნებოდა ისეთი ენობრივი ერთეულების კვალიფიკაციისას, როგორცაა გერმანული, სპარსული, რუსული ენების მიმართება, რადგან ისინი მართლაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ენობრივ-იერარქიული დონის სისტემებით. თუმცა იმავე გერმანული, ფრანგული და სპარსული ენებიც ამჟღავნებენ სხვაობებს ფონოლოგიურ, ფონეტიკურ, სინტაქსურ, ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზე და ამ სხვაობებსაც სისტემური ხასიათი აქვთ. ანუ, „სისტემურობის კრიტერიუმი“ ზუსტად ისე მოქმედებს დიალექტთა დონეზე, როგორც დამოუკიდებელ ენათა შემთხვევაში.

ტ. ფუტყარაძის, თ. გვანცელაძის, მ. ტაბიძისა და სხვა მეცნიერთა აზრით, „ენისა და დიალექტის გამიჯვნის პრობლემა ვერ გადაიჭრება საკუთრივ ლინგვისტური კრიტერიუმებით, მეტიც, კულტურული ტრადიციის მქონე მსოფლიოს არც ერთი ენა საკუთრივ ლინგვისტური ნიშნით (ბგერათმესატყვისობა, მორფოლოგიური და სინტაქსურ-სემანტიკური კატეგორიები, ლექსიკა) არ არის სახელდებული ენად.

გარდა ამისა, ჯერ არავის დაუდგენია ენობრივ ცვლილებათა თუ თავისებურებათა ის ზღვარი, რის შემდეგაც მონათესავე ენობრივ ერთეულთა შორის არსებული რაოდენობრივი განსხვავებანი გადადის თვისობრივში.

რაოდენობრივი სხვაობა მეტ-ნაკლებად ყველა დიალექტს შორის არსებობს; თვისობრივი ცვლილების საზღვრად რომელი პროცენტული მაჩვენებელი უნდა ავიღოთ? ის სხვაობა, რომელიც გვაქვს, მაგ., მეგრულსა და სამწიგნობრო ქართულს შორის, საკმარისია მეგრულის დამოუკიდებელ ენად მისაჩნევად? შდრ., სალიტერატურო არაბულსა და ბუხარულს შორის გაცილებით დიდი სხვაობაა; მეტიც, ბუხარულს ზოგი ტაჯიკური/სპარსული ენის დიალექტად მიიჩნევს; თუმცა, რამდენადაც ბუხარელები არაბები არიან, თავად არაბისტების მიერ ბუხარული არაბულის დიალექტად განიხილება. **სისტემური სხვაობა კი ნამდვილად არის, მაგ., ქართულსა და მის მონათესავე აფხაზურს შორის, ქართულსა და არამონათესავე არაბულს შორის, და არა სამწიგნობრო ქართულსა და მეგრულს, ან თუშურს შორის** (ფუტკარაძე 2017: 126).

გ. ცოცანიძის აზრით, ქართული, სვანური და ზანური ენების „დამოუკიდებელი სტატუსი განისაზღვრება იმით, რომ თითოეულ მათგანს აქვს თავისთავადი ორიგინალური ლექსიკური ფონდი, ურთიერთგანსხვავებული ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემები და ასევე, ორიგინალური სინტაქსური კონსტრუქციები“ (გოგოლაშვილი... 2016: 6-10).

მეცნიერი ასევე აღნიშნავს, რომ მაგ., მეგრულ და ქართულ ფონოლოგიურ სისტემებს შორის განსხვავებაა, კერძოდ, ქართული ენის ვოკალურ სისტემაში ხმოვან ფონემათა პარადიგმატულ მიმართებებს ქმნის ხმოვანთა ლოკალური რიგი და აწეულობა, „ზანურ ენაში კი ამ ორ ნიშანს ემატება კიდევ ერთი - პალატალურობის ნიშანი. რის შედეგადაც ხუთწევრიანის მაგივრად ვიღებთ ექვსწევრიან სისტემას. სვანურ ენაში ხმოვან ფონემათა კორელაციური მიმართებები რთულდება იმით, რომ ემატება პალატალიზაციისა და სიგრძის ნიშნები, რის შედეგადაც ხმოვან ფონემათა რაოდენობა 18-მდე აღწევს“ (გოგოლაშვილი... 2016: 8).

სისტემურ-სტრუქტურული კრიტერიუმის შესახებ ვრცლად მსჯელობს **მ. ლაბაძე** სტატიაში „ენისა და კილოს გამიჯვნის პრობლემა: სისტემურ-სტრუქტურული კრიტერიუმის კრიტიკული ანალიზი“. ავტორი საგანგებოდ მსჯელობს იტალიის

ენობრივი სამყაროს შესახებ და ანალიზებს ამ კრიტერიუმის სანდოობას. ის აღნიშნავს, რომ სისტემურ-სტრუქტურული კრიტერიუმი, ენობრივ ერთეულთა სტატუსის განსაზღვრისათვის პირველად გამოიყენა იტალიური ლიტერატურის ფუძემდებელმა **დანტე ალიგიერმა** - ლათინურად დაწერილ ტრაქტატში „მდაბიური მჭერმეტყველებისათვის“ („De Vulgari Eloquentia“, 1302-1305 წწ.). მან საგანგებოდ მიმოიხილა იმდროინდელი იტალიის ენობრივი ვითარება, რომელიც იქ ხალხური ლათინურის (Sermō Vulgaris) კილოებად დაქუცმაცების შედეგად წარმოიქმნა და არსებითად მართებული ანალიზი გააკეთა: „აქ მოსახლეთა ენა თანმიმდევრულად იცვლება როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდანაც: სიცილიელთა ენა უკავშირდება აპულიელებისას, აპულიელებისა - რომაელებისას, რომაელებისა - სპოლეტოელებისას, რომლებიც თავის მხრივ, {ენობრივად} ტოსკანელებს უახლოვდებიან, ხოლო ტოსკანელთა {ენა} უახლოვდება გუნუელებისას, გუნუელებისა - სარდინიელებისას; კალაბრიელთა {ენა} უახლოვდება ანკოლებისას ამ უკანასკნელებისა - რომანიელებისას. რომანიელები {ენობრივად} ახლოს დგანან ლომბარდიელებთან, ლომბარდიელები - ტრევიზოელებსა და ვენეციელებთან; თავის მხრივ, ეს უკანასკნელები აკვილიელებს უახლოვდებიან, აკვირიელები კი ისტრიელებს. ასე რომ, არც ერთი ჩვენგანი {ენობრივად} ძველ ლათინებს აღარ შეესაბამება“ (ლაბაძე 2016: 143-144).

აქედან გამომდინარე, მ. ლაბაძე ასკვნის, რომ მთავარი პრინციპი, რასაც ეყრდნობა სისტემურ-სტრუქტურული კრიტერიუმი, უკვე XIV საუკუნიდან იყო ცნობილი, მაგრამ მეცნიერებაში ის დაამკვიდრა გერმანელმა კილოთმცოდნეობის ფუძემდებელმა, **იოჰან ანდრეას შმელერმა** (1821: 4): „სახელები და ფორმები იმთავითვე დადგენილი წესებითა და მუდმივად მხოლოდ **სამწიფნობრო ენაში** უკავშირდება ერთმანეთს. ცხოვრებაში ეს დამოკიდებულია კლიმატურ თუ ათასგვარ სხვა ფიზიკურ გავლენაზე. გარდა ამისა, {სასაუბრო ენაში} არსებობს ისეთი სახელები და ფორმები, რომელთა წარმოქმნა რაიმე პირდაპირ თუ ირიბ გავლენას ვერ უკავშირდება. ასე რომ, ყოველი ენა - {გავრცელების არეალის} კლიმატურ-გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე - იყოფა რამდენიმე მსხვილ კილოდ ანუ დიალექტად“ (ლაბაძე 2016: 143-144).

შმელერის ეს შეხედულება გაიზიარა მისმა მოსწავლემ - ენათმეცნიერმა და ისტორიკოსმა კარლ ვაინჰოლდმა: მისი აზრით, ქვესისტემა (ანუ ენობრივ ელემენტთა ურთიერთკავშირის ნებისმიერი ქვედა დონე) დიაქრონიულად შესაძლოა შეიცვალოს, მაგრამ თუკი მისი შიდასისტემური მახასიათებლები სისტემურ ფარგლებს არ გასცდა, დამოუკიდებელ სისტემად ვერ იქცევა: „როცა აღმოსავლეთ-ფრიზიელი და შვეიცარიელი, ლუქსემბურგელი და შტირიელი ერთმანეთს {თავ-თავის} კილოზე გაესაუბრებიან, ადაფრთოვანებთ ერთიმეორის გერმანული ხმიანობა, მაგრამ იმასაც მიხვდებიან, რომ მათსა და მათ წინაპარებს შორის, რომელთა მეტყველებაც დაყოფილი არ ყოფილა, ისეთივე მანძილია, როგორც დიუნებსა და ალპების მწვერვალებს შორის“ (ვაინჰოლდი 1853: 2).

ვაინჰოლდის დებულებიდან გამომდინარე, მ. ლაბაძე წერს: „ვაინჰოლდი „გერმანულ ხმიანობაში“ (Der deutscher Klang) გულისხმობს როგორც საერთო-სისტემურ ნიშნებს, ისე შიდასისტემურ მახასიათებლებსაც, რომლებიც გერმანული ენობრივი სისტემის (გერმანული ენის) ფარგლებში ერთიმეორისგან ასხვავებს ქვესისტემებს (კილოთა ჯგუფებს, კილოებს...). გერმანული კილოები ერთიანი სისტემის ძლიერ ცვლილი ქვესისტემებია, რამდენადაც მათში საერთო-გერმანულ სისტემურ ნიშნებთან ერთად მოიპოვება ისეთი შიდასისტემური ნიშნებიც, რომლებიც გერმანული ენობრივი სისტემის ფარგლებს არ სცდება“ (ლაბაძე 2016: 145).

მ. ლაბაძის აზრით, შმელერ-ვაინჰოლდის დებულებები მართებული იქნებოდა, დამატებით ისიც რომ დაედგინათ, არსებობს თუ არა ზღვარი, რომლის შემდეგაც რაოდენობრივი განსხვავებანი თვისობრივში გადადის: 1984 წელს ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში ოფიციალური ენის (გერმანულთან და ფრანგულთან ერთად) სტატუსი მიენიჭა ლუქსემბურგულს (Das Lëtzebuersch), რომელსაც კარლ ვაინჰოლდი გერმანულ კილოდ განიხილავდა: გერმანელი მკვლევრის მიერ XIX საუკუნის 50-იან წლებში მოპოვებული და თანამედროვე მონაცემები ერთმანეთს რომ შევუდართო, აშკარად დავინახავთ, რომ რაიმე მნიშვნელოვანი სისტემურ-სტრუქტურული ცვლილებები არ მომხდარა, მაგრამ ლუქსემბურგული ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში დღესდღეობით სრულფასოვან ენას წარმოადგენს - მიუხედავად იმისა, რომ თვისობრივად მასთან მეტად ახლომდგომი ქვესისტემები მომიჯნავე გერმანიაში კვლავინდებურად გერმანულ კილოებად მიიჩნევა (ლაბაძე 2016: 143-145).

გერმანული ენის შვაბური დიალექტის შესწავლის ფონზე, აღმოჩნდა, რომ სალიტერატურო გერმანული და შვაბური დიალექტი ამჟღავნებს სხვაობებს ფონოლოგიურ, ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ-სემანტიკურ დონეებზე:

1. არსებითი სახელები გერმანულ სალიტერატურო ენასა და შვაბურ დიალექტში ბრუნების თვალსაზრისით ავლენენ მცირე, მაგრამ გადამწყვეტ ცვლილებებს. ისინი ძირითადად მჟღავნდებიან დაბოლოებების შემოკლებისა და ამოგდების სახით, რაც რეგულარულად ჩნდება დიალექტში. მაგალითად:

ა) მამრობითი სქესის სახელებთან მხოლოდ რიცხვში დაბოლოება **-n** ამოვარდება. მაგ: Wein-Wae (ღვინო).

დაბოლოებები **-en**, **-em** და **-e** მოკლე **-á** გადაიქცევიან ან იშვიათად ამოვარდებიან: Wagá (მანქანა), Rechá (მოფოცხვა), Hahná (ქათამი)

ბ) მდედრობითი სქესის სახელებთან მხოლოდ რიცხვში შვაბურ დიალექტში დაბოლოება **-e** გამოიტოვება ან კიდევ მოკლე **-á**-დ გადაიქცევა: Wies (მდელო), Wasáméhl (წისკელი), Haubdsach (მთავარი საქმე), Wóch (კვირა) და სხვები.

თუმცა სტანდარტული ვარიანტებიც საკმაოდ მოიპოვება, განსაკუთრებით ახალგაზრდა ინფორმანტებთან: Geldschbéndé (შესაწირი), Schulé (სკოლა), Kadaschdrophé (კატასტროფა), Schnáuzé (ნისკარტი), Middé (შუაცენტრი), Nähé (სიახლოვე), Nodé (ნიშანი), Békánndé (ნაცნობი), Hälfde (ნახევარი) და სხვები.

გ) საშუალო სქესის არსებითი სახელები როგორც მამრობითი და მდედრობითი სქესის შემთხვევაში მოკლე **-á**-დ გადაიქცევა: Haeá (მოთიბვა), Rauchá (მოწვეა), Turná (ვარჯიში), Essá (ჭამა).

2. მრავლობითის წარმოების 9 წესიდან, რომელიც სალიტერატურო გერმანულშია დაცული, შვაბური მხოლოდ 6 წესს იყენებს.

ა) მრავლობითის ფორმა ემთხვევა მხოლოდ დაბოლოების გარეშე:

Ring (ბეჭდები), Jòhr (წლები), Fisch (თევზები).

ბ) მრავლობითი რიცხვის წარმოება **-á**-ს დართვით, ან კიდევ **-e**-ს შეცვლა **-á** -თი (სალიტერატურო გერმანულში გვხდება **-n** ან კიდევ **-en**):

Frauá (ქალები), Sachá (საქმეები), Pflaumá (ქლიავი), Achsá (ხარები), Filialá (ფილიალები), Klámoddá (ტანსაცმელი), Minuddá (წუთები), Wiesá (მდელოები).

გ) მრავლობითის წარმოება **-er** სუფიქსით:

Göeschder (სტუმრები).

დ) მრავლობითი რიცხვის წარმოება მახვილიანი ხმოვნის დიფტონგიზაციით საწყის სიტყვაში, რომლის მაგალითები ნაკლებად მოიძებნა:

Kiá-Kühe (ძროხები), Briáder- Brüder (ძმები).

ე) მრავლობითი რიცხვის წარმოება მახვილიანი ხმოვნის გაუმლაუტებით საწყის სიტყვაში (სალიტერატურო გერმანულში უმლაუტის წარმოქმნა სუფიქსი **-e-ს** დახმარებით):

Meéheef (ეზოები), Abflbaem (ვაშლის ხეები), Stedt (ქალაქები), Leid (ხალხები).

ვ) მრავლობითი რიცხვის წარმოება უმლაუტის შექმნით, ან კიდევ **-er** სუფიქსის დართვით:

Heiser (სახლები), Gräser (მოხუცები), Greider (ბალახები) და სხვა.

თუმცა გვხვდება სალიტერატურო გერმანულთან მიახლოებული ფორმებიც: Kinder (ბავშვები), Filmé (ფილმები), Freundé (მეგობრები), Pferdé (ცხენები).

3. შვაბური ცნობს დროის მხოლოდ ორ ფორმას: ახლანდელს, ანუ პრეზენს და წარსულს ანუ პერფექტს. ახლანდელ დროში შვაბურში ყველა პირისათვის მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში დაბოლოებები განსხვავდებიან სალიტერატურო გერმანულისგან:

ა) პირველი პირი, მხ.რ.: დაბოლოების გარეშე, სალიტერატურო გერმანულში დაბოლოება **-e**:

i wòeß (ვიცი), i gang (მივდივარ), i déngg (ვფიქრობ), i mach (ვაკეთებ), i be(n) (ვარ), i werd (ვიქნები, გავხდები).

ბ) მეორე პირი, მხ.რ.: დაბოლოება **-sch** ან **-schd**, სალიტერატურო გერმანულში **-st**:

du lensch (სწავლობ), kennsch (შეგიძლია), siehschd (ხედავ), kriegsch (იღებ), machsch(d) (აკეთებ), fahrsch(d) (მიემგზავრები), kómmsch (მოდიხარ).

გ) მესამე პირი, მხ.რ. ემატება ყრუ **-d**, ზოგჯერ **-t**, ან ბოლო მარცვალში ხმოვანი ძლიერდება:

er/se/'s/mer... schreibd (წერს), gibd (აძლევს), ligd (წევს, დევს), machd (აკეთებს), rägned (წვიმს), fahrd (მიემგზავრება), wohnd (ცხოვრობს), báut (აშენებს), kómmd (მოდის), laufd (გარბის).

4. შვაბურ დიალექტს გააჩნია სიტყვების ძალიან დიდი რაოდენობა, რომლებმაც სალიტერატურო ენაში ვერ დაიმკვიდრეს თავი, განსაკუთრებით იმ არსებითმა სახელებმა, ზმნებმა და ზედსართავებმა, რომლებიც ყოველდღიური ცხოვრების სფეროს განეკუთვნება, მაგალითად, საყოფაცხოვრებო ნივთები, სოფლის მეურნეობის, დაავადებებისა თუ საკვების აღმნიშვნელი სახელები. არსებობს ლექსიკონები სპეციალურად შვაბური ლექსიკისათვის, რომლებშიც გვხვდება სპეციალური სიტყვები. თუმცა ამ ლექსიკონებში შეტანილია ასევე ისეთი სიტყვებიც, რომლებიც მთელს დასავლეთ გერმანულ ენობრივ არეალში არის გავრცელებული და სასაუბრო ენაშიც იხმარება.

შვაბური სიტყვები:

Kámin (Schornstein, ბუხრის მწმენდი), álls (manchmal, ab und zu, ხანდახან), Riábá (Karotten, Mohrrüben, სტაფილო).

განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვა-გამონათქვამები შემდეგი სახით გვხვდება:

Gfschäfd (Arbeit, სამუშაო), ám ándrá Daag (am nächsten Tag, მეორე დღეს), Schdebbsl (Stöpsel, ჩამრთველი),schaffá (arbeiten, მუშაობა), gánz arg (sehr, ძალიან)⁵⁸ (მიულერი 2003: 59-74).

გერმანული სალიტერატურო ენისა და შვაბური დიალექტის მსგავსი ვითარებაა ქართულ სალიტერატურო ენასა და თითოეულ დიალექტში (მეგრული, კახური, იმერული...). კერძოდ, ტ. ფუტკარაძე ასახელებს შემდეგ კონკრეტულ ფაქტებს: „ქართველთა თითოეულ დიალექტში (მეგრულში, კახურში, იმერულში, ბალსზემოურში...) არსებული **სალექსიკონო მასალა** თვისობრივად ერთნაირად მიემართება ქართულ სამწიგნობრო ენაში არსებულ ლექსიკურ მარაგს, კერძოდ, დიალექტებში ძირითადი ლექსიკური ფონდი უცვლელად ან მცირეოდენი ფონეტიკური ცვლილებებითაა შემონახული; არაიშვიათად, მხოლოდ ცალკეულ დიალექტებში დასტურდება ის ფორმა, რომელიც ადრე სალიტერატურო ქართულისთვის იყო დამახასიათებელი. განსხვავება ისაა, რომ რაც უფრო განაპირაა დიალექტი, მით მეტია მასში შემოჭრილი სხვა ენის ლექსიკური ერთეულები.

⁵⁸ Jochen Müller - Der mittelschwäbische Dialekt am Beispiel der Urbacher Mundart, Dialektologie ibidem 2003

ყველა ქართველურ ქვესისტემაში ერთგვაროვანია **ფონემატური** სტრუქტურა. ფონოლოგიური სისტემის მიხედვით ქართული სალიტერატურო ენაც და ქართულ კილოთა უმრავლესობაც არსებითად არ განსხვავდება მეგრულისაგან; შესაბამისად, ხელოვნურია ფონოლოგიურ საფუძველზე ქართულისა და მეგრულის გამოცხადება დამოუკიდებელ ენებად; იგივე ითქმის **ლექსიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის** შესახებაც. ასევე:

მეგრული **სახელური პარადიგმაც** ძირითადად იმეორებს არა მხოლოდ ადრინდელი სამწიგნობრო ენის ბრუნვათა სისტემას, არამედ ახლოსაა თანამედროვე ქართული ენის მთის კილოების არქაულ მონაცემებთან; მაგ., თვისობრივად ერთგვარია მეგრულისა და იმერულის ზმნურ ფორმათა სისტემა და სხვ. რა თქმა უნდა, გარკვეული სხვაობებიც არსებობს, მაგრამ ისინი საკმარისი არ არის მეგრულისა და იმერულის (ქართლურის, კახურის...) თვისობრივი სხვაობის სამტკიცებლად; მით უმეტეს, როგორც აღინიშნა, არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული ენობრივ ცვლილებათა თუ თავისებურებათა (სისტემურ სხვაობათა!) ისეთი ზღვარი, რომლის შემდეგაც მონათესავე ენობრივ ერთეულთა შორის არსებული რაოდენობრივი განსხვავებანი გადადის თვისობრივში (ფუტკარაძე 2017: 127).

მაშასადამე, გერმანული ენის დიალექტებიც ამჟღავნებენ სხვაობებს ფონოლოგიურ, ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ-სემანტიკურ დონეებზე და ამ სხვაობებსაც **სისტემური** ხასიათი აქვს, ე. ი. „სისტემურობის კრიტერიუმი“ ისევე მოქმედებს დიალექტთა დონეზე, როგორც დამოუკიდებელ ენათა შემთხვევაში. ასევე არსებობს საპირისპირო შემთხვევაც, ენებად სახელდებული ერთეულები სისტემურად თვისობრივად თითქმის იგივეობრივია, მაგ. აზერბაიჯანული და თურქული, მოლდავური და რუმინული.... ეს ყველაფერი კი იმის დასადასტურებელია, რომ „სისტემურობის კრიტერიუმს“ არ შეუძლია განასხვავოს ენა და მისი ქვესისტემები.

2.1.2. სოციოლინგვისტური კრიტერიუმები

2.1.2.1. დამწერლობის ქონა-არქონა; სტანდარტულობა

სამეცნიერო ლიტერატურაში ენისა და დიალექტის გასამიჯნად ასახელებენ ასევე, **სოციოლინგვისტურ (ფუნქციურ) კრიტერიუმებს**, რომელშიც იგულისხმება: დამწერლობის ქონა-არქონა; სტანდარტულობა, როგორც კრიტერიუმი; პრესტიჟულობა; სახელმწიფო ენის სტატუსი; რეესტრული კრიტერიუმი; თვითშეფასებითი კრიტერიუმი; მოცემული ეთნოსის კულტურული ისტორია; დაქვემდებარებითი კრიტერიუმი.

ენისა და დიალექტის ერთმანეთისაგან გასამიჯნად ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს **დამწერლობის ქონა-არქონას**. კერძოდ, თუკი მოცემულ მეტყველებას აქვს სამწიგნობრო ტრადიცია და სპეციალისტთა მიერ დადგენილი ნორმები, ენაა. თუკი მეტყველება უმწიგნობროა, ბუნებრივად ვითარდება და მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციის საშუალებაა, მაშინ ის დიალექტად უნდა კვალიფიცირდეს.

როგორც ტ. ფუტკარაძე აღნიშნავს, დამწერლობის ქონა-არქონა ენისა და კილოს გამიჯვნის კრიტერიუმად არ გამოდგება, რადგან მსოფლიოში ბევრი ენაა, რომლის მფლობელ ხალხს არა აქვს სამწიგნობრო ტრადიცია და საქმისწარმოებისა თუ ლიტერატურული შემოქმედებისათვის მათთვის უცხო ენას იყენებენ. მაგ.: ამერიკის ავტოქტონი მოსახლეობის დიდი ნაწილი დღეს ინგლისურს, ესპანურს, ფრანგულს ან პორტუგალიურს იყენებს. დამწერლობის ნორმირებულობის (სტანდარტულობის) მიხედვით შეუძლებელია უმწერლობო ენისა და დიალექტის გამიჯვნა.

კონკრეტული სამეტყველო ერთეული მსგავსი სტრუქტურის მქონე ოფიციალური, სამწიგნობრო (სტანდარტული) ენის დიალექტად ჩაითვლება, თუკი ამ სამეტყველო კოდის მფლობელ საზოგადოებას ისტორიულად მონაწილეობა მიღებული აქვს მოცემული სამწიგნობრო ენის შექმნაში. შესაბამისად, უმწერლობო ენად უნდა მივიჩნიოთ ენობრივ-ეთნიკური ერთობის მქონე იმ საზოგადოების მეტყველება, რომელსაც საკუთარ დედაენაზე არა აქვს წერილობითი კულტურა და შემოქმედების თუ საქმისწარმოების პროცესში იყენებს სხვათა მიერ შექმნილ

სამწიგნობრო ენას. უმწერლობო ენა ზეპირი ფორმით (დიალექტების, კილოკავების, თქმების, ჟარგონების სახით...) არსებობს. **დამწერლობის ქონა/არქონა ნამდვილად ვერ განსაზღვრავს ენის სტატუსს.** შდრ., საბჭოთა პერიოდში გაბატონებული თვალსაზრისის მიხედვით, მეგრულ-ჭანური და სვანური უმწერლობო (უმწიგნობრო) ენებია.

ჩვენი აზრით, მეგრულ-ჭანური და სვანური მეტყველებები არ შეიძლება ჩაითვალოს უმწერლობო ენებად იმის გამო, რომ ქართული ენის ამ სახესხვაობების მფლობელთ სულ მცირე 16-საუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიცია აქვთ საკუთარ დედაენაზე; შესაბამისად, მეგრულ და სვანურ მეტყველებას „უმწერლობო/უმწიგნობრო ენა“ ვუწოდოთ მიუღებელია, რადგან ამ კუთხის წარმომადგენლები იოვანე ლაზი, ჭყონდიდლები, მარტვილელი იოვანე მინჩხი, იოვანე აფხაზი და მრავალი სხვა სამწიგნობრო კულტურას ქმნიდნენ არა (მეგრელის) მშობლიური კუთხეების მცხოვრებთა - მშობლიური დიალექტისათვის, არამედ სამწიგნობრო ქართულისათვის.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ უცხოელი მკვლევრებიც დიალექტისათვის ცალკე **დამწერლობის შექმნას** სერიოზულ არგუმენტად არ მიიჩნევენ ამა თუ იმ დიალექტის ცალკე ენობრივ ერთეულად გამოყოფისათვის. მაგალითად ჩილესა და არგენტინაში გავრცელებული ენა მაპუდუნგუნი რამდენიმე ათეულ ისეთ გრაფემას შეიცავს, რომლებიც სალიტერატურო ენაში უკვე აღარ გამოიყენება, თუმცა ეს მხოლოდ რეგიონული ენობრივი ვარიანტის არსებობას ადასტურებს და არა დამოუკიდებელი ენისა (ამონი, 1983:27-36).

2.1.2.2. პრესტიჟულობა

ენათმეცნიერთა ნაწილი ცალკე კრიტერიუმად ასახელებს **პრესტიჟულობას**, რომლის მიხედვითაც მეტყველებას, რომელსაც გამოყენების მაღალი ხარისხი აქვს, ენაა, ხოლო რომელსაც ნაკლებად გამოიყენებენ - დიალექტია.

პრესტიჟულობის მიხედვით მეტყველების სტატუსის განსაზღვრა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია შესაძლებელი (სხვა ფაქტორებთან ერთად). მაგ., ორ დიალექტს შორის თუ ერთ-ერთის პრესტიჟი ამაღლდა პოლიტიკური (რომელიმე მხარის პოლიტიკური ჰეგემონობა) ან კულტურული გარემოების გამო (მაგ., რომელიმე ნიჭიერი პოეტის, მწერალის შემოქმედების პოპულარობით), პრესტიჟამაღლებული შეიძლება ენად დამკვიდრდეს, მეორე კი ისევ დიალექტად დარჩეს.

თანამედროვე პირობებში იდიომის პრესტიჟი შეიძლება ამაღლდეს იმ შემთხვევაში, თუკი მოცემულ საზოგადოებას არა აქვს სამწიგნობრო კულტურა თავის დედაენაზე და მას შეუქმნიან დამწერლობას; შდრ.: პრესტიჟულობის კრიტერიუმით შეუძლებელია უმწერლობო ენისა და დიალექტის გამიჯვნა (ფუტკარაძე 2017: 129).

გერმანელი მეცნიერის ულრიხ ამონის აზრით, ენობრივი ვარიანტის ტერიტორიული გავრცელება დამოკიდებულია მოსაუბრეთა რაოდენობაზე და გამოყენების სფეროებზე. ენის გამოყენება საგაკვეთილო ენად თითქმის ყოველთვის თავად ენის გაკვეთილისთვის არის დამახასიათებელი. მდგომარეობის შესაბამისად შეიძლება სხვადასხვა ფაქტორი და კრიტერიუმი იყოს რელევანტური (ამონი 1983: 27-36).

2.1.2.3. სახელმწიფო ენის სტატუსი; რეესტრული კრიტერიუმი

არსებობს კიდევ ერთი კრიტერიუმი - **სახელმწიფო ენის სტატუსი; რეესტრული კრიტერიუმი**. ამ კრიტერიუმის მიხედვით, თუკი მოცემული მეტყველება სახელმწიფო ენაა, ან ამ ენობრივ ერთეულს აქვს რომელიმე რეგიონის/ავტონომიის ოფიციალური ენის სტატუსი, დამოუკიდებელი ენაა, ხოლო მეტყველება, რომელსაც არა აქვს სახელმწიფო/რეგიონული სტატუსი - დიალექტია.

საინტერესოა, რომ ხელისუფლების მიდგომის, ანუ ე. წ. რეესტრული კრიტერიუმის შედეგით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ კარპატულ-რუსინული მეტყველება უკრაინაში უკრაინულ დიალექტად მიიჩნევა, ხოლო სერბიაში -

დამოუკიდებელ ენად, რამდენადაც სერბიის ერთ-ერთ მხარეში იგი მეორე სახელმწიფო ენაა.

ზოგიერთი მკვლევარი ენობრივი ერთეულის განსაზღვრის მიზნით მისი **იურიდიული სტატუსის განსაზღვრას** ცდილობს. მკვლევართა ეს ჯგუფი (მარტინეტი, კლოსი) ცდილობს ენობრივი ვარიანტები **სახელმწიფო ენის სტატუსით აღჭურვონ**, რითაც მას ხალხური ენისგან, ანუ დიალექტისგან, განასხვავებენ. ამას მოწმობს რუსინულისა და რუთენულის ენობრივი ვარიანტები. უკრაინაში, სლოვაკეთში, პოლონეთსა და ჩრდილოეთ უნგრეთში გავრცელებული ენობრივი ვარიანტები სახელმწიფო სტატუსს არ ფლობენ, რაც მათთვის ერთადერთი კრიტერიუმია, რომ ენად აღიარონ. ამიტომ უკრაინაში ისინი უკრაინული ენის დიალექტებად მიიჩნევა. რადგან რუთები დღევანდელი სერბეთისა და ხორვატიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში გადმოსახლდნენ და იქ ე.წ. ენობრივი კუნძულის სიტუაცია შეიქმნა, რუთენულს იუგოსლავურ-რუმინულთან ერთად სერბეთში სახელმწიფო სტატუსი აქვს. XX საუკუნიდან მოყოლებული მას უკვე საკუთარი დამწერლობა აქვს, სკოლებსა და უნივერსიტეტებში ისწავლება და საკუთარი ენის აკადემია გააჩნია. მოსაუბრეთათვის რუთენულს სრულყოფილი ენის სტატუსი გააჩნია სერბეთში.

უ. ამონი სტატუსის კრიტერიუმის პრობლემატიკის საილუსტრაციოდ განიხილავს მექსიკის მაგალითს. მექსიკური კანონმდებლობა მექსიკაში გავრცელებულ ყველა ენას განსაკუთრებულად იცავს. პრობლემას წარმოადგენს ის საკითხი, რომელი აღიქმება გავრცელებულ ენობრივ ვარიანტებს შორის ენად და რომელი დიალექტად. თუმცა მექსიკური ენების კატალოგში მითითებულია ისიც, რომ ყველა ენობრივი ვარიანტი შეიძლება განვიხილოთ ენად, რომელთა გამოყენება შეიძლება საჯარო და კერძო დაწესებულებებში თანაბრად. ამ კატალოგზე დაყრდობით, მექსიკაში 364 ენაა გავრცელებული, რომელიც ლინგვისტებისთვის აბსურდია, რადგან ამდენი ენობრივი ვარიანტის ენად აღიარებამ და შესწავლამ შეიძლება დივერსია გამოიწვიოს (ამონი 1983: 27-36).

2.1.2.4. თვითშეფასებითი კრიტერიუმი

ექსპერტთა ნაწილის აზრით, ენისა და დიალექტის გასამიჯნად მნიშვნელოვანია **თვითშეფასებითი კრიტერიუმი (თვითიდენტიფიკაცია)** - ენისა და დიალექტის სტატუსის განსაზღვრა თავად მოცემული ენობრივი კოლექტივის მიერ.

ამ კრიტერიუმს პლებისციტურ კრიტერიუმსაც უწოდებენ. ჰ.ჰარმანი, ჰ.აუერი და სხვანი თვლიან, რომ ენობრივი ერთეულის სტატუსი მისმა მფლობელმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს.

რუმინელი ენათმეცნიერი **ეუგენ კოშერიუ** ასახელებს ანტუან მეიეს კრიტერიუმს, რომელიც **მოსაუბრის ენობრივ თვითშეგნებას** უკავშირდება (რომელ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს დიალექტი და როდის სალიტერატურო ენა). მოსაუბრის ენობრივი თვითშეგნება დამოკიდებულია იდეოლოგიაზე და ასევე სხვა ბევრ ფაქტორსა და გარემოებაზე, და არა მხოლოდ ენისა და დიალექტის დამოკიდებულების აღიარებაზე. ერთი მოსაუბრის შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ ერთი ენის ფარგლებში ორ განსხვავებულ დიალექტზე, ან კიდევ ორ ენობრივ ვარიანტზე, რომელთა გაგებაც მას მეტად თუ ნაკლებად შეუძლია (კოშერიუ 1980: 104).

მ. ტაბიძის აზრით: „ეროვნული თვითაღქმის (იდენტობის) სისრულეს სხვადასხვა სოციოლინგვისტური ფაქტორი განაპირობებს. მათ შორისაა ისტორიული წარსულის ხსოვნა, საერთო სიმბოლოებისა და გმირების ერთგვაროვანი შეფასება, ერთიანი ეროვნული მსოფლალქმა, ტრადიციათა ერთობა, სოციალურ ღირებულებათა ერთობლიობა და სხვა“ (ტაბიძე 2015: 214).

ტ. ფუტკარაძის მიხედვით: „ადამიანების ენობრივი თუ ეთნიკური თვითაღქმა არსებითად განისაზღვრება მათი განათლების დონით. ენისა და დიალექტის სტატუსის განსაზღვრა თავად მოცემული ენობრივი კოლექტივის მიერ ადეკვატურ შედეგებს მოგვცემს ახალშექმნილი მწიგნობრობის მქონე ან წერილობითი კულტურის არმქონე ენობრივი ერთეულის შემთხვევაში:

წერილობითი კულტურის არმქონე ხალხის თვითაღქმა ხდება გაგებინების მიხედვით განსაზღვრული უმწერლობო ენის ფარგლებში (შდრ., ჩრდილოკავკასიური ენები). ამ კრიტერიუმს გადაულახავი პრობლემები შეექმნება ხანგრძლივი წერილობითი კულტურის მქონე საზოგადოების გამოკითხვისას, რადგანაც, საზოგადოების განათლებული ფენისთვის თუ გასაგები და მშობლიური იქნება

არქაული ენა და კულტურა, საზოგადოების გაუნათლებელი ფენისთვის ის უცხო აღმოჩნდება; მაგ., სალიტერატურო იაპონურის არმცოდნე გაუნათლებელმა ადამიანმა შეიძლება ჩათვალოს, რომ რადგან არ ესმის სალიტერატურო ენა, მისი დედაენაა ბავშვობიდან შეთვისებული დიალექტი; თუმცა, ასე არ იფიქრებს განათლებული იაპონელი. საქართველოში იშვიათა სალიტერატურო ქართულის არმცოდნე სვანი, მეგრული თუ ხევსური, მაგრამ არიან ტაოელი, იმერხეველი, ფერეიდნელი ქართველები, რომელთაც არ ესმით ისტორიული დედაენა და მხოლოდ თავიანთ ქართულ დიალექტზე მეტყველებენ; ასეთი პირი თუკი ჩათვლის, რომ, რამდენადაც მას არ ესმის ქართული სალიტერატურო ენა, მათი დედაენაა მშობლიური კილო, ეს არ იქნება ისტორიული რეალობის ამსახველი; რეალობა ასეთია:

თვითმიკუთვნებულობის საფუძველი არგუმენტირებული შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ საკუთარი ისტორიის მცოდნე განათლებულ საზოგადოებას; მაშასადამე, ენისა და დიალექტის გამიჯვნა შეუძლებელია ე.წ. **პლებისციტური მეთოდით**; სერიოზულად არც არავინ ცდილობს ამ კრიტერიუმის გამოყენებას. შდრ., როგორც წესი, ენობრივი თვითმიკუთვნება შედეგია ეროვნულ-ეთნიკური თვითმიკუთვნებისა“ (ფუტკარაძე 2017: 129-130).

აქვე საინტერესოა ფოლკსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“ (პროექტის ავტორები - ი. გიპერტი, მ. თანდაშვილი), რომლის შედეგები კ. გაბუნიას, ჭ. ქირიას და ლ. ეზუგბაიას თანაავტორობით წიგნის („ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“) სახით გამოიცა 2010 წელს. გარდა თეორიულ-სამეცნიერო შედეგებისა, პროექტი მიზნად ისახავდა ქართული დიალექტოლოგიური კორპუსის კომპიუტერული ბანკის შექმნას, კოდების ცვლისა და ინტერფერენციების კვლევას. მასში გათვალისწინებული იყო აგრეთვე, არა საკუთრივ ენის შინაგანი სტრუქტურა-შემადგენლობის ანალიზი, არამედ იმის აღწერა, თუ როგორ გამოიყენებენ ადამიანთა სოციალური ჯგუფები ამ ენას.

დასახელებულ წიგნში ცალკე თავად გამოყოფილია „ენა და დიალექტი (ქართველური ენები თუ ქართული ენის დიალექტები)“. ავტორთა თქმით, „თვითიდენტიფიკაციის თვალსაზრისით: ენაა თუ დიალექტი მეგრულ-ლაზური და სვანური? - ეს იყო რესპონდენტებთან ჩვენი საუბრის ერთ-ერთი თემა, თუმცა, ცხადია,

ამ საუბრის მიზანი არ ყოფილა და ვერანაირად იქნებოდა საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა და სათანადო არგუმენტების მოთხოვნა-წარმოდგენა. საინტერესო იყო უბრალო ადამიანების (რომელთაც ენათმეცნიერებასთან არაფერი აკავშირებთ) დამოკიდებულება მეგრულ-ლაზურთან და სვანურთან, მის როლთან დაკავშირებით. ეს და სხვა თემატიკა სპეციალურ კითხვარებში ჩამოიწერა, მაგრამ პირადი გასაუბრება მაინც მეტის მომცემი აღმოჩნდა, ვიდრე კითხვარის საკითხებზე მშრალად გაცემული პასუხები.

გამოკითხვის შედეგად ნათელი გახდა, რომ რესპონდენტებისათვის **მეგრულ-ლაზური და სვანური, ჩვეულებრივ, კუთხურ-ტომობრივი ენა ან ქართული ენის დიალექტია (კუთხურ ენად კვალიფიცირებისას თვითიდენტიფიკაციის საკითხიც თავისთავად ამოტივტივდება, ხაზი ესმება ქართველობას) (გაბუნია... 2010: 62).**

კითხვებზე: - **მეგრული ენაა თუ დიალექტი? პასუხი ერთია - დიალექტი.**

მკვლევართა განმარტებით, პირდაპირ დასმული კითხვა, **რომელია თქვენთვის მშობლიური ენა?** რესპონდენტებში ხშირ შემთხვევაში იწვევდა დაფარულ თუ დაუფარავ აგრესიას, შესაბამისად, უნდობლობას კითხვარის მიმართ (200-მდე კითხვარი შეივსო ამ რედაქციით და ორასივე რესპონდენტმა „მშობლიურ ენად“ დაასახელა ქართული, იქვე არგუმენტსაც მიუთითებდა: „მე ქართველი ვარ და ჩემი მშობლიური ენა ქართულია! - რა საჭიროა ასეთი მაპროვოცირებელი კითხვების დასმა?“. კითხვაზე - **რომელია თქვენთვის პირველი ენა? ქართული დაასახელა 46-მა პროცენტმა, მეგრული - 28%, სვანური - 18%.**

რომელ ენაზე/ენებზე მეტყველებთ? - 1189 პირმა გასცა პასუხი. მათგან მონოლინგვურად წარმოადგინა თავი მხოლოდ 7-მა პროცენტმა (87 რესპოდენტი - 81 ქართული, 4 - მეგრულ-ლაზური, 2- სვანური). ორენოვნად ყველა დანარცენმა (53%- ქართული და მეგრულ-ლაზური), 28% - ქართული და სვანური, 6,5% - სამივე ქართველური (იქვე: 90-91).

კითხვაზე - **რომელია შენი მშობლიური ენა?** გამოირკვა, რომ ვისაც მიაჩნია ქართული მშობლიურ ენად, მისთვის მეგრული დიალექტია, ხოლო ვისაც მშობლიურ ენად მეგრული მიაჩნია, მისთვის - მეგრული ენაა (იქვე: 95).

გამოკითხის მიხედვით დადგინდა, რომ არავინ დავობს იმის შესახებ, რომ **მეგრული ეროვნება არ არის.**

როგორც გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, საკითხი გადაწყდა იმ შეხედულების „სასარგებლოდ“, რომელიც თვლის, რომ მეგრული არის დიალექტი - განმარტავენ პროექტის ავტორები (გაბუნია... 2010: 72).

2.1.2.5. ეთნოსის მეტყველების სტატუსის კვალიფიკაცია სამწიგნობრო კულტურის ისტორიის გათვალისწინებით

ენისა და კილოს გასამიჯნად ლოგიკური კრიტერიუმია მოცემული ეთნოსის კულტურული ისტორია: თუ მოცემულ ერს/ეთნოსს აქვს ტრადიციული სამწიგნობრო ენა და ამ ერის ცალკეულ თემთა საშინაო მეტყველებები სამწიგნობრო ენის სახესხვაობებია, ასეთ შემთხვევაში ეს საშინაო მეტყველებები დიალექტებად უნდა კვალიფიცირდეს; როგორც წესი, ენა აქვს ეთნოსს, დიალექტი კი - ამ ეთნოსის ნაწილს.

ზემოთ განხილული შეხედულებების საფუძველზე, საინტერესოდ მიგვაჩნია ტ.ფუტკარაძის მსჯელობა:

„ენებისა და კილოების სტატუსის ისტორიის შესწავლა ცხადყოფს: როგორც წესი, კონკრეტული სამეტყველო ერთეული მონათესავე სტრუქტურის მქონე ოფიციალური, სამწიგნობრო (სტანდარტული) ენის ნაირსახეობად - დიალექტად - ითვლება, თუკი ამ სამეტყველო კოდის მფლობელ საზოგადოებას ისტორიულად მონაწილეობა მიღებული აქვს მოცემული სამწიგნობრო ენის შექმნაში. სამწიგნობრო ენა არის ოფიციალური ენა - ელიტარული მეტყველება (მაგ., სამეგრელოში „ჟინოსქუას“ ენა იყო სალიტერატურო ქართული), დიალექტი კი საშინაო ენაა; შესაბამისად, უმწერლობო ენად უნდა მივიჩნიოთ ენობრივ-ეთნიკური იდენტობის (მეობის, თვითობის) მქონე იმ საზოგადოების მეტყველება, რომელსაც საკუთარ დედაენაზე არა აქვს წერილობითი კულტურა და შემოქმედების თუ საქმისწარმოების პროცესში იყენებს სხვათა მიერ შექმნილ სამწიგნობრო ენას. უმწერლობო ენა ზეპირი ფორმით (დიალექტების, კილოკავების, თქმების, ჟარგონების სახით...) არსებობს; მაგ., მეგრულ-ჭანური და სვანური მეტყველებები ვერ

ჩაითვლება უმწერლობო ენებად იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სამწიგნობრო ქართულის ამ სახესხვაობების მფლობელთ სულ მცირე 20-საუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიცია აქვთ საკუთარ დედაენაზე (ფუტკარაძე 2017: 132).

ამგვარი მიდგომა ტრადიციულია: მსოფლიოს ენათა გენეალოგიურ სქემებშიც, თანამედროვე ეთნოლოგიურ ენციკლოპედიებშიც და ევროსაბჭოს დოკუმენტებშიც (მაგ., „რეგიონული ან უმცირესობის ენათა ევროპულ ქარტიაში“) ენა ერის/ეთნოსის მეობის განმსაზღვრელადაა მიჩნეული. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა **თ. შარაძენიძის** მსჯელობა:

„მონათესავე კილოთაგან ან ერთი ენის დიფერენციაციით ახალი ენები მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პროვინციები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდება და ამ ხალხებს შორის ერთიანობა გაწყდება“ ... „კილოების ენებად ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა ერთი საზოგადოების ნაწილების ერთმანეთისგან მოწყვეტა: იმისათვის, რომ ენის დიფერენციაცია განხორციელდეს, „აუცილებელია ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოება დაიშალოს და შეწყდეს ურთიერთობა გამოყოფილ ნაწილებს შორის“ (შარაძენიძე 1958: 42-45).

მსგავსია სხვა მეცნიერთა მსჯელობანიც; შდრ.: **ჯორჯ აბრაჰამ გირსონი** წიგნში „ინდოეთის ენობრივი მიმოხილვა“ წერს: „საყოველთაოდ ცნობილია, რომ მავან ინგლისელ გლეხს სულ არ გაუჭირდება, გააგებინოს ჰოლანდიელებს თავისი ნაუბარი, ან გაიგოს მათიც, მაგრამ არავის შეუძლია უარყოს, რომ ჰოლანდიური და ინგლისური დამოუკიდებელი ენებია; ამასთან, ეს ფაქტორი განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება მაშინ, როდესაც თითოეული ერი დამოუკიდებლად ქმნის მწიგნობრობას. ამისი ბრწყინვალე მაგალითია ასამური - ეს მეტყველება დღეს ცალკე ენად მიიჩნევა. მიუხედავად ამისა, სანამ მისი გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებანი საბოლოოდ არ ჩამოყალიბდება, ვერ უარვყოფთ, რომ [ასამური] ბენგალურის კილოა - ხსენებული მაჩვენებლების მიხედვით, ის ამ უკანასკნელი ენის სტანდარტულ ფორმას უახლოვდება ისევე, როგორც ქ. ჩიტაგონგის კილო; [მეორე მხრივ], უდავოა ისიც, რომ [ასამური] დამოუკიდებელი ერის მეტყველებაა, აქვს საკუთარი ისტორია და შესანიშნავი მწიგნობრობა, რომელიც განსხვავდება ბენგალურისგან როგორც სტანდარტით, ისე თვისობრივადაც. ესაა მაგალითი, როცა

მომიჯნავე ენები სხვაობს არა ორმხრივი გაგებინების არარსებობის, არამედ ეროვნული თვითშეგნებისა და მწიგნობრობის მიხედვით“ (გრიროსონი 1927: 24).

გრიროსონის თვალსაზრისის მსგავსად, **კაროლ დეინა ეროვნულ თვითშეგნებას** მიიჩნევს ენობრივი ერთეულის სტატუსის განმსაზღვრელად: „კილო განისაზღვრება არა მარტო დღევანდელ დიალექტოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, არამედ იმ არაენათმეცნიერული ფაქტორების (მაგალითად, უწინდელი ან ამჟამინდელი პოლიტიკური საზღვრები, ეროვნულ-თემობრივი დაყოფა, კულტურული ანდა გეოგრაფიული გარემო...) გათვალისწინებითაც, რომლებმაც იმთავითვე გადამწყვეტი როლი შეასრულეს მასზე მეტყველი ჯგუფის ჩამოყალიბებაში“ (დეინა 1968: 39).⁵⁹

ამ კონტექსტში აქტუალურია **არნოლდ ჩიქობავას** მიდგომა: „გარდაუვალი წესია: ერთი თაობა მიდის, მეორე - მოდის... ხალხი კი უკვდავია. უკვდავია მისი ენაც, თუკი მას ხალხმა ზურგი არ შეაქცია; ენა თაობიდან თაობას გადაეცემა, და მისი წყალობით ეს თაობები ერთ ხალხად ითქმის: ხალხის მეობას მისი ენა გვანიშნებს“. ტერმინი „ხალხი“ აქ ერის სინონიმია: ერის მეობას დედაენა განსაზღვრავს (რამიშვილი 2000 : 9, 70, 172).

დედაენა ენობრივი სოციუმის - ერის - თვისებაა (და არა - ინდივიდისა!); ენა ეროვნულობის დამცველი და შემნარჩუნებელია... ენა და ერი ერთმანეთს განსაზღვრავს... (რამიშვილი 2000: 9, 70, 172).

ბოშური ენის მაგალითიც (ლაბაძე 2016: 147), რომლის კილოთა შორის მნიშვნელოვანი სისტემურ-სტრუქტურული სხვაობა დასტურდება: თითოეული კილო ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში განიცდის იმ უცხო ენის შესამჩნევ გავლენას, რომელზეც მეტყველთა შორისაც უწევთ ცხოვრება ბოშათა შესაბამისი ლოკალური ჯგუფის წარმომადგენლებს. მაგალითად, კელდერარულ კილოში რუმინული ენის გავლენა შეინიშნება, მაჩვანურში - სერბულისა, ჩრდილო რუსეთის ბოშათა კილოში - რუსულისა, ლოვანურ-სერვიულში - უკრაინულისა, სანტის კილოში - ფრანგულისა და გერმანულისა და ა.შ. ჩამოთვლილ კილოთა ერთობა მხოლოდ დიაქრონიულ დონეზე დასტურდება, სინქრონიულად კი

⁵⁹ მასალას ვიმოწმებთ მ. ლაბაძის სტატიიდან „ენისა და კილოს გამიჯვნის პრობლემა: სისტემურ-სტრუქტურული კრიტერიუმის კრიტიკული ანალიზი, ქართველური მემკვიდრეობა, ტ.20, გვ. 140-152

თითოეული მათგანი, როგორც უკვე აღინიშნა, ისეთი დონის სხვაობას გვიჩვენებს, როგორც რუმინული და ფრანგული, რუსული და გერმანული... მიუხედავად ამისა, მკვლევრები უპირობოდ თანხმდებიან იმაზე, რომ რამდენადაც კელდერარულ, მაჩვანურ, ლოვარულ-სერვულ... კილოებზე მეტყველნი **ეთნოკულტურული** თვალსაზრისით ბოშები არიან, მათი მეტყველებაც ბოშურია (მატრასი 2002: 19).

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ:

ამჟამად მსოფლიოში არსებული ენების სტატუსი უმთავრესად სწორედ სოციოლინგვისტური (/ეთნოკულტურული) და პოლიტიკურ-რელიგიური კრიტერიუმებით არის განსაზღვრული.

2.1.2.6. დაქვემდებარებითი კრიტერიუმი

ენობრივი ერთეულის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია დაქვემდებარებითი კრიტერიუმი, რომელზეც მსჯელობს მ. ლაბაძე. მისი განმარტებით, „დაქვემდებარებითი კრიტერიუმი მეტად მნიშვნელოვანია როგორც სოციოლინგვისტური, ისე ეთნოლინგვისტური, ფსიქოლინგვისტური და ენობრივი სისტემატიკის თვალსაზრისით: ის უკავშირდება, ერთი მხრივ, ენობრივ და ეთნიკურ თვითაღქმას, მეორე მხრივ კი - ნიველირებასა და ენობრივ კოდთა შერევა/აღრევას“ (ლაბაძე 2017: 187).

დაქვემდებარებით კრიტერიუმს საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა გერმანელმა სოციოლინგვისტმა და უმცირესობათა ენების სპეციალისტმა **ჰაინც კლოსმა** (1904-1987). ის ენობრივი ერთეულის სტატუსის განსაზღვრისას გადამწყვეტად მიიჩნევს დაქვემდებარებას (კლოსი 1978: 23).

კერძოდ, ისტორიულად დამოუკიდებელი მეტყველება, რომელსაც აქვს სტანდარტული ნორმა, მაგრამ ამასთანავე, ექვემდებარება სხვა ახლომონათესავე (ჰომოგენურ) ენობრივ ერთეულს, ვერ ჩაითვლება სრულფასოვან „ენად“, ხოლო

ისტორიული კილო, რომლის საფუძველზე დამუშავებული სტანდარტული ნორმა დამოუკიდებლად ფუნქციონირებს, უკვე სრულფასოვანი „ენაა“.

მრავალი ენობრივი სისტემა შეიძლება შეიცავდეს ქვესისტემას, რომელზე მეტყველი თემიც ძირითადი სოციუმისაგან გამიჯნულია პოლიტიკურად, რელიგიურად ან სოციალურად; ამგვარ ქვესისტემებს ჰაინც კლოსი იხსენიებს ტერმინით „უსაფარო გარე კილო“ (Die dachlose Aussermundart). მათ შესახებ იგი საინტერესო მოსაზრებას ავითარებს: „ფაქტი, რომ კილო „უსაფაროა“, თავისთავად არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რა მიზეზით დარჩა ის საკმარისი ენობრივი საფარის გარეშე. ამგვარი ვითარება შეიძლება იყოს შედეგი სახელმწიფო [ენობრივი] პოლიტიკისა, რომელმაც სკოლებში აკრძალა სამწიგნობრო ენა. არაიშვიათად, ეს სურს თვით თემს, რომელიც „უცხო“ სამწიგნობრო ენას, ასევე - სახელმწიფო ენას საკუთარ სამწიგნობრო ენაზე წინ აყენებს; ზოგჯერ ეს შესაძლოა იყოს შედეგი იმისა, რომ განსაზღვრული დროის განმავლობაში, სანამ საკუთარი კილოს ენათმეცნიერულად ფარდი სამწიგნობრო ენა არ არსებობდა, თემი [რომელიმე] „უცხო“ სამწიგნობრო ენას იყენებდა, ან კიდევ ცალკეულ თემს არასოდეს ჰქონია მისწრაფება [ზოგადად სამწიგნობრო ენის] გამოყენებისადმი“ (კლოსი 1978: 61).

გერმანელი მეცნიერის აზრით, ნებისმიერი „უსაფარო გარე კილო“, რომელზე დაყრდნობითაც შეიქმნება სტანდარტული ნორმა, ჯერ იქცევა „კულტურულ კილოდ“ (der Kulturdialekt) ანუ „განზოგადებულ კილოდ“ (der Ausbaudialekt), მერე კი - თუ თანდათან სამწიგნობრო ენის ყველა ფუნქციას იტვირთავს - დაქვემდებარებულ ან დამოუკიდებელ აბშტანდ-ენად: „აბშტანდ-ენათა შორის მნიშვნელოვანია სწორედ ისეთი სხვაობა, როგორც არსებობს დახვეწილ და დაუხვეწავ მწერლობათა შორის. [გამოიყოფა] „ოდნავ განცალკევებული ენები“ და გაფართოებული „მეტად განცალკევებული ენები“ - ისინი, რომელთაც შესაძლოა კილოური ელფერი [ძალუმად] ჰქონდეთ და ისინი, რომელთაც ამგვარი ელფერი არა აქვთ. ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ: რომლებიც კილოებს ეფარდება და რომლებიც კილოებს არ ეფარდება“ (კლოსი 1978: 67). ანუ, როგორც ზემოთაც უკვე აღინიშნა, სტანდარტული ნორმის დამუშავება კილოს პრესტიჟს უმატებს, მაგრამ თუ ნორმას დამოუკიდებლად ფუნქციონირების საშუალება აღარ მიეცა, კილო სრულფასოვან „ენად“ ვერ იქცევა.

მაშასადამე, **ჰაინც კლოსი** დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეთნოკულტურულ და პოლიტიკურ მონაცემებს: **აუსბაუ-პარადიგმა** შესაძლოა დაირღვეს, თუ სტანდარტულ-სამწიგნობრო ნორმასა და კილოსთან გათანაბრებულ აბშტანდ-ენას შორის ეთნოკულტურულ-პოლიტიკური კავშირი შესუსტდება, მაგრამ იმავდროულად აუსბაუ-პარადიგმის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილ აბშტანდ-ენას სხვა სისტემა ვეღარ დაიქვემდებარებს: ბრაზილიაში ქვემოსაქსონური და კანადაში - ქვემოგერმანული, ცხადია, აღარ ქცეულან პორტუგალიურ ან ინგლისურ სამწიგნობრო ენებს დაქვემდებარებულ აბშტანდებად, მიუხედავად იმისა, რომ მათზე მეტყველნი დაბადებით უკვე ბრაზილიელები და კანადელები არიან და არა გერმანელები.

ამდენად, **დებულებათა მიხედვით, დაქვემდებარებითი კრიტერიუმი ერთგვარად შუალედურ ადგილს იკავებს სისტემურ-სტრუქტურულ და ეთნოკულტურულ კრიტერიუმთა შორის.**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ენობრივი დაქვემდებარება**, როგორც ასეთი, ენობრივ კოდთა შერევის ერთ-ერთი ეტაპია. ის არ შეიძლება იყოს ენა-კილოს გამმიჯნავი უნივერსალური კრიტერიუმი, რამდენადაც მისი შედეგი - რას მივიღებთ დაქვემდებარებული ენობრივი ერთეულისაგან: კილოს თუ ენას, - დამოკიდებულია პოლიტიკურ და ეთნოკულტურულ ფაქტორებზე.

მიუხედავად ამისა, ხსენებული კრიტერიუმი შეიძლება გამოდგეს ნებისმიერი ასიმეტრიული სისტემის შემთხვევაში: დაქვემდებარებული მეტყველება უპირობოდ ქვესისტემა (კილო) იქნება, ხოლო დამქვემდებარებელი - ორიენტირი (სამწიგნობრო-ეროვნული ენა); როგორც აღინიშნა, დღესდღეობით სწორედ ამგვარ სისტემებს წარმოადგენს იტალიური, ესპანური, ფრანგული, ჩინური... ენები (ლაბაძე 2017:187-207).

2.2. ექსტრალინგვისტური კრიტერიუმები

2.2.1. გაგებინება

ექსტრალინგვისტური კრიტერიუმებია: გაგებინება; რელიგიური და პოლიტიკური ფაქტორები.

ენათმეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ენისა და დიალექტის გამიჯვნა შესაძლებელია **გაგებინების** ნიშნით.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ გაგებინება, არ არის ლინგვისტური კრიტერიუმი, ის უფრო ექსტრალინგვისტური კრიტერიუმია.

ალ. ონიანი ენისა და დიალექტის გამიჯვნისათვის მთავარ და სანდო კრიტერიუმად ასახელებს **ლინგვისტურ კრიტერიუმებს**: „ლინგვისტური ცნებებისა (ენის, დიალექტის, სალიტერატურო ენის და ა.შ.) და მათი ურთიერთმიმართების დადგენა ლინგვისტიკაში მხოლოდ **ლინგვისტური** კრიტერიუმებით არის შესაძლებელი, ექსტრალინგვისტური ცნებებისა და კრიტერიუმების შემოტანას აქ მხოლოდ ქაოსისა და არევ-დარევის გამოწვევა შეუძლია“ (ონიანი 2003ა: 136). უფრო კონკრეტულად კი **გაგებინება** მიაჩნია ენისა და დიალექტის გამიჯვნის საშუალებად: „რადგან ენა ურთიერთგაგებინებათა სისტემაა, ხოლო დიალექტი ენის ნაირსახეობაა და მისი შემადგენელი ნაწილი, ამიტომ მათი (ენისა და დიალექტის) ერთმანეთისაგან გამიჯვნა სწორედ გაგებინების პრინციპიდან ამოსვლით უნდა მოხდეს, როგორც ეს ტრადიციულად ხდებოდა კიდევ... თუ ორ ან მეტ ერთმანეთისაგან ცოტად თუ ბევრად განსხვავებულ ენობრივ სისტემაზე მეტყველნი ამ სისტემათა გამოყენებით ურთიერთგაგებინებას აღწევენ, თუნდაც ერთგვარი შეფერხებით, მაშინ საქმე გვაქვს ერთი ენის დიალექტებთან. თუ ორი (ან მეტი) ენობრივ სისტემაზე მეტყველნი ამ სისტემების გამოყენებით ურთიერთგაგებინებას ვერ აღწევენ, მაშინ საქმე გვაქვს არა ერთი ენის დიალექტებთან, არამედ სხვადასხვა ენებთან (ონიანი 2003ა: 137).

გაგებინების კრიტერიუმთან დაკავშირებით პროფ. **თეიმურაზ გვანცელაძე** ნაშრომში „ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში“ აღნიშნავს: „არც ერთი სერიოზული და პროფესიონალი ენათმეცნიერის არც ერთ ნაშრომში არასოდეს ყოფილა მცდელობა **მხოლოდ გაგებინების ნიშნით** გამიჯნულიყო ერთმანეთისაგან კონკრეტული ენა და დიალექტი“ (გვანცელაძე 2006: 32-33). ეს არ ხდება „მხოლოდ გაგებინების ნიშნით“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მიზნით გაგებინებასთან ერთად, ჩვეულებრივ, სხვა ფაქტორებსაც იყენებენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერი **სამ არგუმენტს** გვისახელებს: **პირველი**, რომ გაგებინება არ არის წმინდა ლინგვისტური მოვლენა (ისეთი მოვლენების თანაბარი, როგორცაა: ასიმილაცია, დისიმილაცია, სინტაგმა, აბლაუტი, ბრუნება,

ულღება...). გაგებინება ანუ კომუნიკაცია ენის ერთ-ერთი წმინდა სოციალური ფუნქციაა და არა ლინგვისტური მოვლენა. მეორე, ენისა და დიალექტის გამიჯვნა ენობრივ სახესხვაობათა კლასიფიკაციაა, მათი კლასიფიკაცია კი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ფუნქციაა. ერთი ფუნქციით მეორე ფუნქციის კვლევა შეუძლებელია. მესამე, გერმანიის მაგალითი. გერმანულ დიალექტთა ჯგუფებს შორის ასრებობს ბგერათმესატყვისობები, რომელიც კანონზომიერიცაა და რეგულარულიც; მათ შორის გაგებინებაც პრობლემაა. ზემოგერმანულსა და ქვემოგერმანულს ლინგვისტებიც და არალინგვისტებიც ენას ეძახიან, მაგრამ ძირითადად საშინაო სიტყვათხმარებაში, უცხოთან გერმანელებს არ სურთ იმის აღიარება, რომ მათ ქართულისაგან განსხვავებით ორი დამოუკიდებელი ენა აქვთ, ვინაიდან კარგად აქვთ გაცნობიერებული რას მოუტანს გერმანულ ერს მათი ენებად გამოცხადება, ე.ი. მკაცრად მოქმედებს არა ლინგვისტური, არამედ ექსტრალინგვისტური ფაქტორი.

საანალიზო საკითხთან დაკავშირებით პროფ. თ. გვანცელაძემ მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი ჩაატარა 2000 წლის 25 აგვისტოს იმერეთში, სოფელ გელათში. იმერელ ცდისპირებს, რომელთაც პრაქტიკულად არ უხდებოდათ ურთიერთობა სხვა დიალექტზე მეტყველ პირებთან, უნდა წაეკითხათ 64 წინადადებისაგან შემდგარი ორი ხევსურული ტექსტი იმის შესახებ, თუ როგორ ეგებებოდნენ ძველად არხოტელი ხევსურები ახალ წელს. ცდისპირებს ყოველი წინადადების წაკითხვის შემდეგ იმერულად უნდა გადმოეცათ ამ წინადადებათა შინაარსი. შედეგები კი ასეთი აღმოჩნდა: ტექსტის პირველი წაკითხვისას იმერელმა ცდისპირებმა მთლიანად სწორად გაიგეს 64 წინადადების 18,7%, ანუ წინადადებათა მეხუთედზე ნაკლების შინაარსი, ხოლო ვერ გაიგეს წინადადებათა 81,3%-ის შინაარსი. რაც მთავარია, იმერელი ცდისპირებისათვის გაუგებარი დარჩა, რა იყო აღწერილი ტექსტში: ვინ, როდის, სად და რა პირობებში მოქმედებდა და როგორი იყო ეს მოქმედება. პირველ ცდაზე გაირკვა, რომ იმერელმა არ იცის ხევსურული. ცდის მეორე ეტაპზე რამდენიმე ხევსურული საკვანძო სიტყვის განმარტების შემდეგ ტექსტის გაგების ხარისხი რადიკალურად შეიცვალა და ცდისპირებმა გაიგეს ტექსტის 87,5% (გვანცელაძე 2006: 32-33).

განხილული ექსპერიმენტის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გაგებინების, როგორც ენისა და დიალექტის გამიჯვნის ერთადერთ კრიტერიუმად ჩათვლის შემთხვევაში, პირველივე ცდის დასრულების შემდეგ იმერული და ხევსურული სხვადასხვა ენებად უნდა ჩათვლილიყო.

ტ. ფუტყარაძე მიიჩნევს, რომ „გაგებინება არ არის ლინგვისტური კრიტერიუმი. ცნობილია, რომ გაგებინების არარსებობის თუ საკუთრივ ლინგვისტურ მახასიათებლებში დიდი განსხვავების მიუხედავად, არაბთა, გერმანელთა, ჩინელთა, იტალიელთა და სხვა ხალხთა საშინაო მეტყველებანი საერთოეროვნული სამწიგნობრო ენის დიალექტებად ითვლება. აქვე მითითებულია, რომ ზეპირი ტრადიციის მქონე საზოგადოების ზეპირი მეტყველების სტატუსის განსაზღვრისას გაგებინების კრიტერიუმს ვერ დავეყრდნობით, ვინაიდან გაგებინება მეტად პირობითი ცნებაა და ამგვარი, ე.წ. არაპროფესიონალურ-ხალხური მიდგომით, იძულებული ვხდებით, წერილობითი ტრადიციის მქონე თითქმის ყველა ენა რამდენიმე ენად დავშალოთ: მსოფლიოში არსებულ თითქმის ყველა ენას მოეპოვება ისეთი დიალექტი, რომლის გაგება გაუჭირდება სხვა დიალექტის მფლობელს. მომიჯნავე მონათესავე ენობრივ ერთეულებს შორის გაგებინება რთულდება მთაგორიანი ლანდშაფტის პირობებში (სამეგრელო და სვანეთი, კახეთი და თუშეთი...) ბუნებრივი ბარიერი ხელს უშლის ინტენსიურ კომუნიკაციას; შდრ., თითქმის ყველა ენაში მკვეთრად განსხვავებულია არამომიჯნავე კილოებიც“ (ფუტყარაძე 2005: 56-57).

საინტერესოა **ნ. ი. კონრადის** დასკვნა:

„იაპონიასა და ჩინეთში არა მხოლოდ სოფელში, არამედ ქალაქშიც მოსახლეობის ნაწილი საერთოდ ვერ ფლობს საერთო სალიტერატურო ენას და ზეპირი ურთიერთობების დროს იყენებს თავის დიალექტს“ (კონრადი 1960)... ბუნებრივია, ვერავინ იტყვის, რომ იაპონელს, რომელიც ვერ ფლობს იაპონურ სამწიგნობრო ენას და მხოლოდ დიალექტზე მეტყველებს, დედაენა არა აქვს, ან მისი დედაენაა მისივე დიალექტი: საერთოსამწიგნობრო ენის არმცოდნე იაპონელისთვისაც დედაენა არის სალიტერატურო იაპონური.

აქვე განსახილველია **ე. წ. „ჯაჭვური გარდამავლობის“** კრიტერიუმი: ზოგი ფიქრობს, რომ თუკი მოცემულ ენას ახასიათებს გაგებინების უწყვეტობა - მოცემული

ერის მოსაზღვრე თემებს ერთმანეთის ესმით, ამ ენის არამომიჯნავე მეტყველებებიც დიალექტებად ითვლება გაგებინების მიუხედავად... ლანდშაფტის გამო მსოფლიოს ბევრი ენის დიალექტებს შორის გაგებინება არ არსებობს; მაგ., ქვემოიმერულსა და მეგრულს შორის ცხენისწყლის ზონაში არსებული გარდამავალი მეტყველება შემაერთებელ ხიდს წარმოადგენს მეგრულსა და იმერულს შორის, მაგრამ სვანური კილოები იზოლირებულია სხვა ქართველური მეტყველებებისაგან და გარდამავალი ზონა არ არსებობს, მაგ., სვანურსა და მეგრულს, სვანურსა და ლეჩხუმურს შორის... სხვა ენების მომიჯნავე დიალექტებს შორისაც პრობლემურია გაგებინება მთაგორიანი ლანდშაფტისა და კუნძულის იზოლირების გამო: ბუნებრივი ბარიერები ხელს უშლის ინტენსიურ კომუნიკაციას... ამ და სხვა მიზეზთა გამო გაგებინებას არასანდო კრიტერიუმად თვლიან: ვ. ჟირმუნსკი, ე. კოსერიუ, ი. ქლოუპეკი, ჯ. ჰერგენი და მრავალი სხვა (ფუტკარაძე 2017: 119).

გერმანიაში ცალკეულ კუთხეებსა თუ ოლქებში მცხოვრებლებს სალიტერატურო ენისგან განსხვავებული მეტყველება აქვთ, მაგრამ მათ გერმანიაში, როგორც წესი, უწოდებენ დიალექტს და არა დამოუკიდებელ გერმანულ ენებს.

ჯერ კიდევ პ. ჭარაია, რომელიც კარგად იცნობდა როგორ ქართულ ენობრივ სინამდვილეს, ასევე გერმანიის ვითარებას, პარალელს ავლებს ამ კუთხით: ის მიიჩნევს, რომ ქართველთათვის ისტორიული ქართული სალიტერატურო ენა ერთადერთია და თითოეული კილო არ უნდა გავიხადოთ სალიტერატურო ენად. იგი წერს:

„გერმანიის თითოეულ კუთხეში, ოლქში და თითქმის სოფელში სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ სალიტერატურო ენა ყველგან არის ერთი: მწიგნობრულ ენად მიაჩნიათ ის ენა, რომელიც შეუმკიათ და განუმშვნიერებიათ ლიუტერს, ლესსინგს, გიოტესა და სხვ. თუ ასეთ მრავალრიცხოვან ერს, როგორც გერმანელები არიან, რომლებიც ამასთანავე სდგანან განათლების სათავეში, ერთი საყოველთაო სალიტერატურო ენა საჭიროდ უცვნიათ, ჩვენ რადანი ვართ, რომ თითოეული სალიტერატურო ენად გავიხადოთ...“ (ჭარაია 1997: 203).

საინტერესოა აგრეთვე იტალიური ენისა დიალექტების ურთმიერთმიმართების საკითხი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „სალიტერატურო იტალიურსა და დიალექტებს შორის, მნიშვნელოვანი სხვაობა დასტურდება, რაც ხშირად

საერთოდ გამორიცხავს გაგებინებას. ერთმანეთისაგან დიდად სხვაობს ასევე, არა მარტო სხვადასხვა ჯგუფის, არამედ ერთსა და იმავე ჯგუფში გაერთიანებული დიალექტებიც. მეტიც, ზოგ დიალექტს უფრო მეტი საერთო აქვს მეზობელ ფრანგულ ენასთან, ვიდრე სალიტერატურო იტალიურთან, მაგრამ ისტორიულ-პოლიტიკური მიზეზების გათვალისწინებით, მაინც იტალიურ მეტყველებად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ არაიშვიათად, გაგებინება მათ შორის სულაც გამორიცხულია“ (ლაბაძე 2013: 71-78).

მოსახლეობის განათლებული ფენა პოლიტიკური დაქუცმაცების დროსაც კი მიიჩნევდა, რომ მთელს იტალიაში არსებობდა ერთი ენა - იტალიური, რომელიც მდაბიური ლათინურის მემკვიდრე იყო და რომელსაც მრავალი დიალექტი ჰქონდა. მაგ., ასე თვლიდა ცნობილი ფილოლოგი და საზოგადო მოღვაწე ლიონარდო ვიგო კალანა (1799-1879) - 1861 წლის 10 მაისით დათარიღებულ პირად წერილში ის მეგობარს სწერდა: „ჩვენ ჩვენს სახლში ვართ და უცხოელებს ვუჯერებთ, რომლებიც ამბობენ, ეს ასე არააო. ჩემთვის ერთგვარად მშობლიურია რომი, მილანი ან ფლორენცია... დანტეს მშვენიერი ენაც ჩვენთან ყველგანაა და არც ერთ ცალკე აღებულ პროვინციას არ ეკუთვნის... და მაინც: მე იტალია სიცილიაში ვიპოვე!“

ქართულ და იტალიურ ენობრივ სამყაროთა შორის ის მსგავსებაა, რომ კუთხური დიალექტების აშკარა განსხვავებულობის ფონზე, მყარია ქართველთა და იტალიელთა ერთიანი ეროვნული თვითაღქმა: ყველა კუთხის ქართველს, ისევე როგორც ყველა კუთხის იტალიელს, თავი მიაჩნია ერთი ერის შვილად, ერთიანი კულტურის მემკვიდრე-შემოქმედად და თვლის, რომ ერთი დედაენა და სამშობლო აქვს (ლაბაძე 2013: 71-88).

აქვე წარმოვადგენთ გერმანელი ენათმეცნიერების შეხედულებებს გაგებინების კრიტერიუმის სანდოობასთან დაკავშირებით.

3. ბირტი წერს: „შეუძლებელია ურთიერთგაგებინება ზემოგერმანელსა, შვაბებსა და ბავარიელებს შორის... თვით მე ვერ ვუგებ ბადენელს, ბავარიელსა და ზემოგერმანელს, როცა ისინი თავის დიალექტზე ლაპარაკობენ“.

3. პაული: „შვეიცარიელი (რომელიც გერმანულად საუბრობს) ვერ გაიგებს არა მხოლოდ შოტლანდიელის, არამედ ბავარიელის მეტყველებას“.

ვ. ჟირმუნსკი: „წმინდა რაოდენობრივი თვალსაზრისით, სხვაობანი ადგილობრივ (გერმანულ) დიალექტებს შორის - არა მხოლოდ ქვემოგერმანულს და ზემოგერმანულს შორის, რაც ისტორიულად ადის განსხვავებამდე დასავლეთგერმანულ ტომობრივ კილოებს შორის, არამედ თვით ზემოგერმანულის ფარგლებშიც კი. მაგ. ბავარიელს, შვაბურსა და ჰესენურს შორის, არანაკლებ ღრმად, ვიდრე სხვაობა ზოგიერთ დამოუკიდებელ ენას შორის, მაგ. პოლონურსა და ჩეხურს, ან სერბულსა და ბულგარულს შორის“.

ე.კოშერიუ: მთავარ პრობლემას წარმოადგენს დიალექტის ენისგან გამოყოფის კრიტერიუმები. გეორგ ფონ გაბელენცის შეთავაზება, გამოყოფილი იქნეს დიალექტი მისი გაგებინების ხარისხის მიხედვით, უარყოფილი იქნა. ეს ნიშნავს: თუ მე მოსაუბრის ენას ვერ ვიგებ, მაშინ ის სხვა ენაზე საუბრობს, თუ ოდნავ ვიგებ, შესაბამისად ის სხვა დიალექტზე საუბრობს, ხოლო თუ მე მის საუბარს სრულყოფილად ვიგებ, მაშინ ერთ ენაზე (დიალექტზე) ვსაუბრობთ. ეს ყოველად გამოუსადეგარი არგუმენტია. რადგან ერთ ენას შეიძლება ჰქონდეს ისეთი დიალექტები, რომლებზეც მოსაუბრეებს ერთმანეთის გაგება არ შეუძლიათ, თუმცა ისინი მაინც ერთი ენის დიალექტებად რჩებიან და არა გასხვავებულ ენებად, მაგალითად, როგორც იტალიური ენის შემთხვევაში. და არის საპირისპირო შემთხვევებიც, მიუხედავად გაგებინების გარკვეული ხარისხისა, ენობრივი ვარიანტები დამოუკიდებელ ენებად მიიჩნევიან: მაგალითად პორტუგალიური და ესპანური, დანიური, ნორვეგიული და შვედური. ასევე ანტუან მეიეს კრიტერიუმი, რომელიც მოსაუბრის ენობრივ თვითშეგნებას უკავშირდება (რომელ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს დიალექტი და როდის სალიტერატურო ენა), ხშირად გამოიყენება. მოსაუბრის ენობრივი თვითშეგნება **დამოკიდებულია იდეოლოგიაზე** და ასევე სხვა ბევრ ფაქტორსა და გარემოებაზე, და არა მხოლოდ ენისა და დიალექტის დამოკიდებულების აღიარებაზე. ერთი მოსაუბრის შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ ერთი ენის ფარგლებში ორ განსხვავებულ დიალექტზე, ან კიდევ ორ ენობრივ ვარიანტზე, რომელთა გაგებაც მას მეტად თუ ნაკლებად შეუძლია (კოშერიუ 1980: 104).

უ. ამონი ასახელებს ენასა და დიალექტს შორის ურთიერთგაგებინების ხარისხს, რომელიც შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილი ხასიათის, ანუ რამდენად შეუძლიათ

ერთმანეთის ნაწერისა და მოსმენილის გაგება. მაგალითად ჩინური ენის ზოგიერთი ვარიანტი სტანდარტულ ჩინურთან მხოლოდ დამწერლობით არის დამოკიდებული, ხოლო სასაუბრო ვარიანტები განსხვავდებიან, თუმცა ეს კრიტერიუმიც საკვებით საკმარისია, რომ ისინი ერთ სტანდარტულ ენას დაუქვემდებარონ. ამის საპირისპიროდ სერბული და კროატიული, მოლდაური და რუმენული, ჰინდი და ურდო მხოლოდ ზეპირი ფორმით უკავშირდებიან ერთმანეთს. ერთმანეთისგან განასხვავებენ მხოლოდ ორი ტიპის ენას, რომლებიც ენობრივი ვარიანტების დაჯგუფებას სხვადასხვანაირად ახერხებენ: 1) ენა და სტანდარტული ენობრივი ვარიანტები, რომელთაც სხვაგვარად სტანდარტულ ენებს ვუწოდებთ, მაგალითად დღევანდელი სლოვაკური ან იტალიური იგივედგა სლოვაკურ ან იტალიურ სტანდარტულ ენასთან. 2) ენა და სტანდარტული ენობრივი ვარიანტები, რომლებსაც არასტანდარტულ ენებს ვუწოდებთ, მაგალითად ბასკური და ალბანური სტანდარტული ვარიანტის გარეშე. პირველი ტიპის ენები იმით ხასიათდებიან, რომ სტანდარტულ ვარიანტს ყველა ის ენობრივი ვარიანტი შეესაბამება, რომელთაც მოსაუბრეები, თავიანთი საუბრის მანერიდან გამომდინარე, ამა თუ იმ ენობრივ სტანდარტში ათავსებენ. მეორე ტიპის ენების შემთხვევაში მხოლოდ ცალკეული ენობრივი ვარიანტები არიან, რომელთაც ავტონომიურობაზე აქვთ პრეტენზია. ერთი ენის ფარგლებში შეიძლება ორი დამოუკიდებელი ენობრივი ვარიანტი არსებობდეს, მაგალითად სტანდარტული ბრიტანული და სტანდარტული ამერიკული ინგლისური ენის ორი დამოუკიდებელი ვარიანტია. მეცნიერები ასახელებენ რამდენიმე კრიტერიუმს, რის საფუძველზეც ბრიტანული და ამერიკული ინგლისური ენის ვარიანტებად მიიჩნევა: გენეტიკური და ლინგვისტური ფაქტორები, ასევე ურთიერთგაგებინების შეზღუდული ხარისხი. მეცნიერს შემოაქვს ახალი კრიტერიუმი - დისტანციის კრიტერიუმი, რომელიც მნიშვნელოვანი ხდება, რადგან ის ენობრივი ვარიანტების ბუნებრივ დაჯგუფებას უწყობს ხელს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ენობრივი ვარიანტისათვის დამახასიათებელი ელემენტები მხოლოდ მოსაუბრეთა გარკვეული ჯგუფისთვის არის გასაგები. დისტანციური კრიტერიუმი ემპირიული ხასიათისაა და ის მარტივად უწყობს ხელს ერთმანეთისგან დისტანციურად გამიჯნული ენობრივი ვარიანტების გამოყოფასა და მათ კლასიფიკაციას (ამონი 1983: 27-36).

განხილული მასალებიდან ვასკვნით, რომ ენისა და დიალექტის გამიჯვნა შეუძლებელია გაგებინების ნიშნით.

2.2.2. ენის სტატუსის განსაზღვრა რელიგიური ნიშნით

რელიგიით განსხვავებული ერთი ეთნოსის სხვადასხვა თემი დამოუკიდებელ ეთნოსად იაზრებს თავს და, შესაბამისად, თავის კუთხურ მეტყველებასაც დამოუკიდებელ ენად აცხადებს; მაგ., ასეთი გზით დამოუკიდებელ ენებად მიიჩნევა: ბოსნიური - მუსლიმან სლავთა მეტყველება, სერბიული - მართლმადიდებელ სლავთა მეტყველება და ხორვატიული - კათოლიკე სლავთა მეტყველება (მონტენეგროულის გამოცალკევებას სხვა ფაქტორებიც განაპირობებს).

დასახელებული სლავური მეტყველებები ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდებიან; შდრ., იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დაშლამდე არსებობდა მხოლოდ ერთი ენა - სერბულ-ხორვატული ენა. კომუნისტური იდეოლოგიის დამარცხების შემდეგ წინა პლანზე წამოვიდა რელიგიური იდენტობა, რამაც განაპირობა დიალექტების ენებად გამოცხადება თვით ამ დიალექტების მფლობელთა მიერ (შდრ., თვითიდენტიფიკაცია); ამას კი მოჰყვა ფედერაციის საბოლოო დაშლა და სერბ-ხორვატთა ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა.

რელიგიური ნიშნით ენისა და დიალექტის კვალიფიკაციის თვალსაზრისით საინტერესო ვითარებაა არაბულ ენობრივ სამყაროში. მათ ყურანის ენა აერთიანებთ. ზოგადად კი, ენობრივი სიტუაცია ასეთ სურათს გვიჩვენებს: მაგ.:

დიალექტის როლი არაბთა ცხოვრებაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი სცილდება ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების, ზეპირი ურთიერთობის ფარგლებს და გამოიყენება რადიოგადაცემებში, თეატრსა და კინოში. XIX საუკუნის ბოლოს დრამატურგიაში ეგვიპტური დიალექტის გამოყენების პირველ ცდებს ვხვდებით. არაბული ენის ეს დიალექტი გარკვეულ სიტუაციებში სრულიად დამოუკიდებელი ენის როლში გამოდის. ჯერ კიდევ 1897 წელს სცადეს ეგვიპტური მეტყველების

ლათინური დამწერლობის საშუალებით ფიქსაცია და, ამრიგად, დიალექტის სალიტერატურო ენად გადაქცევა. დაიწყეს მისი სწავლება, მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა, რადგანაც ამ შემთხვევაში ინიციატორები უცხოელები, ინგლისელები იყვნენ. უფრო სერიოზული იყო გამოჩენილი არაბი მწერლის მაჰმუდ თეიმურის ცდები. მან დაიწყო ბრძოლა არაბული ენის ეგვიპტიზაციისათვის, მაგრამ მოგვიანებით მწერალი ასეთ დათმობაზე წავიდა: ვწერთ სალიტერატურო ენაზე, ხოლო დიალექტიდან ვისესხოთ ლექსიკა. ბოლოს მან სრულიად შეწყვიტა დიალექტზე წერა. 1956 წელს არაბ ლინგვისტა I ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება, მწერლობაში უპირატესობა მინიჭებოდა სალიტერატურო არაბულს. სკოლებშიც სწავლება სალიტერატურო ენაზე უნდა წარმართულიყო, ამასთან საჭიროდ ცნეს ხალხში გავრცელებული სიტყვების შეკრება მათი შემდგომი გამოყენებისათვის (ჟორდანია 1976 :160-163).

ზოგი არაბული დიალექტი ისე დაშორდა სალიტერატურო ენას, რომ მისი გაგება მხოლოდ სალიტერატურო ენის ცოდნით ძნელია. ასევე დაშორდნენ ერთმანეთს დიალექტებიც. მაგალითად, ალჟირელსა და ერაყელს ერთმანეთის თითქმის არ ესმით. თუმცა სირიელს შეუძლია გაუგოს ერაყელს ან ეგვიპტელს (შარბატოვი 1965 : 58).

ზოგი მეცნიერის აზრით, სალიტერატურო ენისა და არაბული დიალექტების ურთიერთმიმართება ისეთივეა, როგორც მონათესავე ენებისა ერთიმეორესთან. მიმართება კოდიფიცირებულ, სალიტერატურო არაბულსა და მის დიალექტებს შორის განიხილება არა როგორც ურთიერთობა ორ განსხვავებულ სისტემას შორის, არამედ როგორც ვარიანტულობა ერთი ერთეულის ფარგლებში (ჟორდანია 1976 :155).

დღეს მოსახლეობის დიდი ნაწილი ბუხარისა და კამკადარიის რეგიონში მშობლიური არაბულის პარალელურად ფლობს და იყენებს ტაჯიკურ და უზბეკურ ენებს. რაც შეეხება საუდის არაბეთს, აქ ინგლისური წარმოადგენს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ენას. ფრანგულის არცოდნის შემთხვევაში, მაროკოში შეუძლებელია ადმინისტრაციულ სფეროში მუშაობა, რადგან აქ დოკუმენტაციის დიდი ნაწილი იწერება და ქვეყნდება ფრანგულ ენაზე. მსგავს მოვლენას ადგილი აქვს სუდანში, სადაც ფრანგულს ინგლისური ენაცვლება. აღნიშნული ენობრივი სიტუაცია ამ ქვეყნებში განპირობებულია ევროპელი დამპყრობლების პოლიტიკით, რომელიც მიმართული იყო არაბული ენის განდევნასა და ფრანგულისა და ინგლისურის

გავრცელება-დამკვიდრებაზე. არაბული რჩებოდა მხოლოდ რელიგიისა და ყოველდღიური სასაუბრო ურთიერთობის ენად.

არაბი ხალხის აზრით, ცალკეული დიალექტების ენებად გამოცხადება ხელს შეუშლის არაბთა ერთიანობას, დაარღვევს მათი მრავალსაუკუნოვანი კულტურის უმთავრეს საფუძველს. არაბული სალიტერატურო ენა წარმოადგენს ყველა არაბის ერთიანობის საფუძველს, ისევე როგორც მათი საერთო ისტორია, კულტურა, ინტერესები და ბედი (ავალიანი... 2003 :19-20).

მიუხედავად წარმოდგენილი ენობრივი სიტუაციისა, არაბული სალიტერატურო ენა დომინირებს ყველა არაბულ ქვეყანაში და მათ რელიგია აერთიანებთ.

2.2.3. ენის სტატუსის განსაზღვრა პოლიტიკური ნიშნით

საბჭოთა რუსეთის იმპერიას იოლად რომ მოეხდინა რუმინეთის ნაწილის ანექსია, რუმინული ენის მოლდოვურ დიალექტს ენის სტატუსი მიანიჭა, მოლდოვის მოსახლეობა კი დამოუკიდებელ ნაციად გამოაცხადა. დღესაც მეცნიერთა დიდი ნაწილი მოლდოვურ მეტყველებას რუმინული ენის კილოდ მიიჩნევს, ერთი ნაწილი კი - საბჭოთა ინერციით დამოუკიდებელ ენად თვლის... მსგავსია აზერბაიჯანული ენის შექმნის „ისტორიაც“:

კავკასიის (ბაქოს ნავთობის) კონტროლის მოსურნე რუსეთის იმპერია დიდი ხანია ცდილობს, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გავრცელებული თურქული ენის დიალექტი აზერბაიჯანულ ენად გამოაცხადოს. „აზერბაიჯანული ენის“ შექმნის ასწლოვანი მცდელობის მიუხედავად, დღესაც კი აზერბაიჯანულ ენას ბევრი აზერბაიჯანულ თურქულს უწოდებს...

ნათელია, რომ ამგვარი მიდგომით არალოგიკურია ენისა და კილოს სტატუსის განსაზღვრა (ფუტკარაძე 2017: 133).

ზემოთ განხილული სხვადასხვა კრიტერიუმის ანალიზის შემდეგ განვიხილავთ გერმანული ენობრივი სამყაროს ვითარებას, საინტერესოა, არის თუ არა ერთი

კონკრეტული კრიტერიუმი დასახელებული, რის მიხედვითაც გერმანული სალიტერატურო ენა და დიალექტები მიემართებიან ერთმანეთს?

ლიოფლერი ასახელებს 6 კრიტერიუმს, რომლებიც დიალექტის დეფინიციისას, და განსაკუთრებით, ენისა და დიალექტის ერთმანეთისგან გამიჯვნისას გარკვეულ როლს თამაშობენ:

ა) **ლინგვისტური კრიტერიუმი;**

ბ) **გამოყენებითი კრიტერიუმი** - დიალექტის გამოყენება ძირითადად სამუშაოზე, ზეპირი მეტყველებისას, სალიტერატურო ენა - ოფიციალურ საუბარში, წერით და ზეპირ მოხსენებებში, ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, საჯარო გამოსვლები, ღვთისმსახურება, სკოლები;

გ) **მოსაუბრეზე დამოკიდებული კრიტერიუმი** - დიალექტის გამოყენება ისეთ ფენებში, როგორცაა მუშები, გლეხები, ხელოსნები, დაბალი რანგის მოხელეები და ქვედა საფეხურის სასკოლო დაწესებულებები, დიალექტის გამოყენება საშუალო და მაღალ ფენებში - ჩინოვნიკები, საჯარო მოხელეები, აკადემიური პერსონალი, მაღალი საფეხურის სასკოლო დაწესებულებები,

დ) **ენის ისტორიით განპირობებული კრიტერიუმი**, რაც იმას ნიშნავს ერთი კონკრეტული სალიტერატურო ენა შექმნილია სხვადასხვა ენობრივი გაერთიანების (დიალექტის) შერწყმის საფუძველზე, მაგალითად ბერძნული დიალექტების - ატიკურის, იონიურის, დორიულისა და აეოლიურის წარმოშობა გახდა ელინისტური კულტურული ენის წარმოშობის საფუძველი.

ე) **სივრცეზე დამოკიდებული კრიტერიუმი**, რამდენად დიდ ტერიტორიაზე არის გავრცელებული დიალექტი და რა განსაზღვრავს მის გამოყენებას, ადგილობრივი, ლანდშაფტ-სპეციფიკური, რეგიონალური თუ ზერეგიონალური ტერმინების სიჭარბე, ეს კრიტერიუმი ყველაზე აქტიურად განსაზღვრავს დიალექტის გამიჯვნას ენისგან.

ვ) ადგილის კრიტერიუმთან მჭიდროდ არის დამოკიდებული **გამოყენების რადიუსის კრიტერიუმი**, რადგან თუ დიალექტს გამოყენების მინიმალური რადიუსი და საკომონიკაციო საშუალებების შეზღუდული რაოდენობა გააჩნია, სალიტერატურო ენას მისგან განსხვავებით შეუზღუდავი, ფართო, და ყველასათვის

გასაგები საკომუნიკაციო საშუალებები გააჩნია, რაც მის ფართოდ გავრცელებას უწყობს ხელს.

ლიოფლერი 1982 წელს გამოცემულ შრომაში ამ კრიტერიუმებს ამატებს კიდევ სამს: 1. პრესტიჟი და შეფასება, 2. სტანდარტი და არასტანდარტი, 3. ზედენობრივი ზღვარი ენობრივი სინამდვილისა და თეორიული კონსტრუქციის განსხვავებაში. საგულისხმოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ყველა ეს ცალკეული პრინციპი საერთო უნდა იყოს, თორემ სხვა შემთხვევაში დიალექტი არ გამოიყოფა ცალკე ენობრივ ერთეულად, არამედ ის მხოლოდ არა-დიალექტს გამოეყოფა.

ჩამოთვლილი კრიტერიუმების უმრავლესობა თავს იჩენს ენისა და დიალექტის გამიჯვნის შესახებ მიმდინარე მსჯელობებში. მაგრამ თუ გადავხედავთ ენისა და დიალექტის გამიჯვნის ჩამოთვლილ კრიტერიუმებს, ახალი ენობრივი ერთეულის გამოყოფისას მაინც განსხვავებული კრიტერიუმები იჩენს თავს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი ხდება. ასეთია მაგალითად ლოკალური ოპოზიციები, რაც მოსაუბრის წარმომავლობასა და შემდგომ დაუფლებულ საუბრის მანერაზეა დამოკიდებული. ასეთ კრიტერიუმებს განეკუთვნება შემდეგი შემთხვევები:

➤ გენეალოგიური ნათესაობა, ანუ ერთი ენობრივი ჯგუფიდან წარმომდგარი ვარიანტები,

- ენის ისტორია და მისი განვითარება,
- ავტონომიურობა, ენობრივი დისტანცია და ენობრივი სიახლოვე,
- ორმხრივი გაგებინება
- ენის ტერიტორიული გავრცელება, ან გეოგრაფიული შეზღუდვა,
- მოსაუბრეთა რაოდენობა,
- განსაზღვრულ ადგილებში ენის გამოყენება,
- გამოყენების სფეროები, სოციოლინგვისტური და კულტურული სფეროები,
- ოფიციალური ენის სტატუსი,
- მოსაუბრეთა მხრიდან ენის აღიარება,
- მოსაუბრეთა ჟესტ-მიმიკები,
- დამწერლობის შექმნა,
- ნორმების სტანდარტიზაცია და დაწესება,
- გრამატიკისა და ლექსიკონების შექმნა,

- საგაკვეთილო ენად დიალექტის გამოყენება,
- ენის ინსტიტუციური გაკვეთილი,
- დამწერლობის შექმნა, ლიტერატურული ტრადიციები (პროზა, პოეზია, ლიტერატურა),
- მედიებში გამოყენება

ეს ფაქტორები, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან და ერთმანეთს განაპირობებენ, სხვადასხვა კომბინაციებსა და იერარქიულ ფორმებში იჩენენ თავს (სინერი 2014: 96-102).

გერმანელი ენათმეცნიერები განიხილავენ რა ლინგვისტურ კრიტერიუმებს, მიუთითებენ მათ არასანდოობაზე; ასევე ასახელებენ იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც ასრულებენ დიდ როლს ენისა და დიალექტის გამიჯვნისას. ისინი ერთხმად თანხმდებიან იმაზე, რომ **პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და ისტორიული ფაქტორები ასრულებენ დიდ როლს...**

მათი აზრით, რომ განვსაზღვროთ ცალკე ენობრივი ერთეულის კვალიფიკაცია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. ენობრივი ვარიანტის ისტორიული განვითარება (ანუ მოგვეპოვება თუ არა ტექსტები ამ ვარიანტზე?)
2. სტანდარტიზაციის ხარისხი (აქვს თუ არა ერთიანი მართლწერა, მოგვეპოვება თუ არა ლექსიკონები?)
3. აღიარების ხარისხი (აღიარებულია ოფიციალურ ენად?)
4. მოლაპარაკის შეფასება, გამოიყენება თუ არა მედიის ენად?⁶⁰

ზემოთ განხილული ევროპელი თუ ამერიკელი მკვლევრების ნაშრომებში ნათლად ჩანს საკითხისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება და შეუძლებელია, ერთი რომელიმე კრიტერიუმით მიღებული კვალიფიკაცია უდავო ჭეშმარიტებად გამოცხადდეს და განსხვავებული მოსაზრების ბოლშევიკური დაგმობის საბაზად

⁶⁰ Für eine Darstellung der Unterscheidung zwischen Sprache und Dialekt siehe z.B. Boves/Gerritsen (1995: 39ff) oder Nachschlagwerke wie Trudgill (2003) oder Crystal (1993: 24ff).

იქნეს გამოყენებული. ევროპელი თუ ამერიკელი კოლეგების, ზოგადად, ენობრივი პოლიტიკის სფეროში დასავლური ქვეყნების გამოცდილება და საკითხისადმი დამოკიდებულება გასათვალისწინებელია ქართველური ენობრივი სამყაროს წევრთა სტატუსის განსაზღვრისას.

III თავი

ქართველური ქვესისტემების კვალიფიკაცია/კლასიფიკაცია

3.1. სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი სისტემის საკითხი

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ქართული სალიტერატურო ენის საყრდენი ენობრივი სისტემის შესახებ, ანუ რომელი დიალექტი თუ ქვესისტემა არის ამოსავალი ქართული სალიტერატურო ენის საყრდენად. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სამწიგნობრო ქართული ეფუძნება საერთოქართველურ ენას, ხოლო

მეორე ნაწილის აზრით, სამწიგნობრო ქართული ემყარება ქართლურს (ქართლ-კახურს) ან ქართლურის ბაზაზე შექმნილ ქალაქურ კოინეს. ეს თეორია საფუძვლად დაედო ე. წ. **ქართიზაცია-ქართველიზაციის** თეორიას.

XIX საუკუნის II ნახევარში, ბოშურ-სომხური წარმომავლობის რუსმა მეცნიერმა, არმენოლოგმა **ქეროფე პატკანოვმა** (1833-1889) წამოაყენა ე.წ. „**ქართიზაციის თეორია**“, რომლის თანახმადაც, თანამედროვე ქართული ენა სწორედ ენობრივი დაქვემდებარების შედეგად წარმოქმნილ ასიმეტრიულ სისტემად იქნა მიჩნეული. პატკანოვს საკუთარი მოსაზრების დამამტკიცებელი უტყუარი არგუმენტები არ წარმოუდგენია, მაგრამ სწორედ მისეულ თეორიაზე დაყრდნობით ქართველოლოგიაში დამკვიდრდა მცდარი თვალსაზრისი, თითქოს სამწიგნობრო ქართულ ენას საფუძვლად დაედო აღმოსავლური (ქართლური და კახური) კილოები (ლაბაძე 2017: 204).

არნ. ჩიქობავა: „სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული დიალექტის საფუძველზე, ასე, მაგალითად, რუსულ ეროვნულ ენას, როგორც აღნიშნავს ი. სტალინი, საფუძვლად დაედო კურსკ-ორიოლის მეტყველება... ძველი სალიტერატურო ქართული ენა შეიქმნა ისტორიული ქართლის მეტყველების საფუძველზე; ახალი ქართული სალიტერატურო ენა ქართლურის გარდა კახურსაც ემყარება“ (ჩიქობავა 1952: 114-115).

შდრ., გ.მელიქიშვილი: „არაბობის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრი ქართის ეროვნების მიერ მოხდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის „ენობრივ-ეთნიკური“ დაახლოება-შერწყმა“ (მელიქიშვილი 1973: 124-128).

ა. შანიძისა და ზ. სარჯველაძის აზრით, სალიტერატურო ენას საფუძვლად დაედო ე. წ. ხანმეტური დიალექტი, VIII საუკუნის II ნახევრიდან კი ხანმეტურ დიალექტს ცვლის ე. წ. ჰაემეტი დიალექტი, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს პოლიტიკური ცენტრის არაბთა მიერ დაპყრობილი ქართლიდან სამხრეთ-დასავლეთით გადანაცვლებას (შანიძე 1923; სარჯველაძე 1984).

გ. ახვლედიანი და გ. ნებიერიძის მიხედვით, „ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ქართლ-კახური დიალექტი, მაგრამ სალიტერატურო ქართული არ ემთხვევა მთლიანად ქართლ-კახურ დიალექტს. სალიტერატურო ენას საფუძვლად ედება ის დიალექტი, რომლის წარმომადგენლებიც დაწინაურებული არიან

კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით; ასე მაგალითად, ლათინურს საფუძვლად დაედო რომის დიალექტი, რადგან რომს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა რომის იმპერიაში. ამავე მიზეზის გამო ფრანგულს საფუძვლად დაედო პარიზის დიალექტი, ძველ ბერძნულს - ატიკური დიალექტი, ქართულს - ქართლ-კახური და ა.შ.“ (ახვლედიანი 1972: 27).

ბ. ჯორბენაძე ქართულ სალიტერატურო ენას თბილისური კოინედან მომდინარედ თვლის: „ის, რომ ქართულ სალიტერატურო ენასთან ყველაზე ახლოსაა ქართლური და კახური დიალექტი, სადავო არაა: სალიტერატურო ენა ორიენტაციას იღებს ეთნიკურ (ტერიტორიულ) დიალექტებზე; თუმცა, უფრო ლოგიკურია ვთქვათ, რომ ქართული სალიტერატურო ენა შეიქმნა თბილისური კოინეს ბაზაზე“ (ჯორბენაძე 1989: 173-175).

რ. გორდეზიანის მიხედვით: „ქართველი აღმოსავლეთ საქართველოში არიან; ამათ (ქართულ) ენაზე იქმნება დამწერლობა; ქართული ენის ფუნქცია შემდგომ გაფართოვდა...“ (გორდეზიანი 1993: 58-61).

ამ თვალსაზრისს იცავს **ო. ჯაფარიძე**; მისი აზრით, უძველესი პერიოდიდან (ძვ.წ. III-II ათასწლეულებიდან) არსებობდა სამ მონათესავე ენაზე მოლაპარაკე სამი ქართველური ტომი: ქართი, ზანი და სვანი. ამავე თეორიის მიხედვით, შემდეგ პერიოდში ქართველების/ქართვების ენის ბაზაზე შეიქმნა სალიტერატურო ენა, რომელიც, მოგვიანებით, მეგრულ-ლაზთა და სვანთა კულტურის ენადაც იქცა: „სალიტერატურო ენა ემყარება აღმოსავლეთ საქართველოს მეტყველებას - „ქართის“ ენას“ (ჯაფარიძე 2006: 353-366).

ამ თეორიებზე დაყრდნობით სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა ფრაზა **„ქართი-ტომიყლაპია“**, რომელიც ორგვარი ინტერპრეტაციით გვხვდება:

1. **იძულებითი ქართიზაცია** - ვარაუდობენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებმა მოსახლეობამ - ქართველებმა - თავიანთი ენა და კულტურა ძალით მოახვიეს თავს დასავლეთ საქართველოს ბარში მცხოვრებ მეგრელებს, ლაზებს, კავკასიონის კალთებზე მცხოვრებ სვანებს, ფხოველებს, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მცხოვრებ ჰერებს, სამხრეთ ამიერკავკასიაში მცხოვრებ მესხებს და სხვ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს „კონცეფცია“ მომდინარეობს

პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, ქეროპე პეტროსის ძე პატკანიანისგან (პატკანიანისგან).

2. **ნებაყოფლობითი ქართიზაცია:** ზანური და სვანური „ენების“ მფლობელებმა თავიანთ სალიტერატურო ენად ნებაყოფლობით მიიღეს მოძმე „ქართების“ სალიტერატურო ენა. ამ მოსაზრების თვალსაჩინო ნიმუშად წარმოვადგენთ ციტატას ა. ონიანის ერთ-ერთი ბოლო ნაშრომიდან: „ქართულთან, მეგრულთან და ლაზურთან ერთად სვანური არის ქართველურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი წევრი. ქართველურ ენებზე, ბევრი სხვა მონათესავე ენათა ჯგუფისაგან განსხვავებით, არ წარმოქმნილა სხვადასხვა ეროვნული კულტურა (მეცნიერება, ხელოვნება). ქართული იყო მთელი ქართველი ხალხის **ბუნებრივი (და არა - თავსმოხვეული)** საერთო-სახალხო ეროვნული ენა, მეცნიერების, კულტურის ენა და ერთადერთი სალიტერატურო ენა. ეს არის ის დიდი ტვირთი, რაც **ისტორიამ ქართველურ ენათაგან მხოლოდ ქართულს დააკისრა** და რის გამოც ის არის სწორედ სრულიად საქართველოს საერთო-სახალხო ეროვნული ენა და ქართველი ხალხის ერთიანობის ბურჯი. დანარჩენი ქართველური ენები კი, რომლებიც ლინგვისტური თვალსაზრისით ჩვეულებრივი ენებია, ფუნქციონალურად (საზოგადოებრივი ფუნქციის მიხედვით) **ქართული ენის დიალექტებს უტოლდებიან**. ნათქვამიდან ჩანს, რომ სვანური (მეგრულისა და ლაზურის მსგავსად) უმწერლობო ენაა“ (ონიანი, 1998: 3-4).

5. **ბერძენიშვილი** განმარტავს: „ქართის ტომის მიერ დაპყრობა-შერწყმა სხვა ტომებისა და შემდეგ თანდათან მისი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად გარდაქმნა (კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნა) მას განუზომელ უპირატესობას ანიჭებდა სხვა ტომებთან შედარებით და მოხდა უდიდესი ნახტომი: **ქართის ტომმა** მცხეთა დაიპყრო და აქ შეიქმნა ახალი ქართლი. ამის შემდეგ ამ ტომთა შერწყმა კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით წავიდა. **ქართი ტომიყლაპია:** იბერები, მესხები, ზიდრიტები, კეხები, ჰერები, ფხოვი, წართალი, ბაზალი, დუალი, ეგრე, სვანი, აფხაზი, აფშილი, სანიგი“ (ბერძენიშვილი 1990: 237).

სამეცნიერო ლიტერატურაში ე.წ. ქართიზაციის თეორია პირველად გააკრიტიკა ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ, ისტორიკოსმა, პროფესორმა **ანანია ჯაფარიძემ**,

რომელმაც, ქართულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, თავისი ხედვა ასე ჩამოაყალიბა:

„ნ.მარისგან მომდინარეობს იდეა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის „ქართიზაციისა“ ანუ გაქართველების შესახებ. [ხელოვნურია ტერმინი და იდეაც ასეთივეა; სინამდვილეში კი, ძველი წყაროების თანახმად, მთიანეთის, კახეთ-ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას „ქართიზაცია“ არ ესაჭიროებოდა, რადგან ძველთაგანვე (და ფარნავაზის დროსაც) აღნიშნულ კუთხეთა მცხოვრებნი, როგორც მთიელები, ისე ეგრისელები (მესხებსა და ჰერ-კახელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ქართველი ხალხის ძირითად ნაწილად განიხილებოდნენ. ეს ასე ესმის „ქართლის ცხოვრებას“, ძველ ქრონიკებს და ძველ ავტორებს. დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ქრისტიანობამდე ყველა ქართულ ტომთათვის (სამეგრელოსა და სვანეთშიც) კულტმსახურების ენა იყო ქართული ენა, შესაბამისად, ამ ტომებს ქართიზაცია არ სჭირდებოდათ“ (ჯაფარიძე 1996: 195-197, 213, 215-216; იხ., აგრეთვე, ჯაფარიძე 1998: 261-263; ჯაფარიძე 2003).

ტ. ფუტყარაძე რამდენიმე არსებითი ფაქტის დასახელებით ცხადყოფს „ქართიზაციის“ თეორიის უსაფუძვლობას:

ა) არც ერთ საისტორიო (თუ სხვა სახის) ქართულ თუ უცხოურ წყაროში არ დასტურდება **ქართის ტომი**; ვინც არ არსებობდა, როგორ შეეძლო სხვისი დაპყრობა? ფაქტია ისიც, რომ საისტორიო წყაროების მიხედვით, ქართველური ტომების/თემების თუ სამთავროების გაერთიანების იდეა თითქმის ყოველთვის დასავლეთ ან სამხრეთ საქართველოს მოსახლეობისგან (მათი წინამძღოლებისგან) მოდიოდა.

ბ) ქართველთა სამწიგნობრო ენა არ ეფუძნება ჩვენთვის ცნობილ რომელიმე ქართველურ კილოს, მათ შორის, არც ქართლ-კახურს. ქართველთა სამწიგნობრო ენა დაეფუძნა ზოგადქართულ საერთოქართულ ენას; ის ყველა ქართველური თემის შემოქმედება და საკუთრებაა. შესაბამისად, არც ერთ ქართველურ ტომსა თუ თემს თავისი კუთხური ენა თუ კულტურა არ გაუვრცელებია სხვა ქართველურ ტომებსა თუ თემებზე.

გ) „ქართიზაციის“ თეორიას ეწინააღმდეგება ქართველთა ავტოქთონობის მტკიცების შესაძლებლობაც (ფუტკარაძე 2014: 143-147).

წარმოდგენილი მოსაზრება გარკვეულწილად აგრძელებს ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისს; კერძოდ, მისი აზრით, ქართული სამწიგნობრო ენა ქართლელ-კახელ-გურულებისა და მეგრულ-სვანებისთვის საერთო ენაა... წარმართობისდროინდელი საერთო შემოქმედებაა (ჯავახიშვილი 1979: 154-156). შდრ., „ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებული მწერლობის ენა ქართლურია... ქართველთა ძველი მწერლობის ენა კი შეიძლება ეკუთვნოდეს მეგრულ-ლაზურ, ან სვანურ შტოს; შდრ., „საერთოქართველური ენა და მწერლობა ყველა ქართველმა ტომმა შექმნა“ (ჯავახიშვილი 1908: 4, 20)⁶¹.

პროფ. ტ. ფუტკარაძე სარწმუნოდ არ მიიჩნევს, რომ ქართული სალიტერატურო ენა ეფუძნება თბილისურ კოინეს, ქართლურს, კახურს ან სხვა რომელიმე ქართველური კილოს, არამედ ქართული სალიტერატურო ენის საყრდენი ენობრივი სისტემა არის საერთოქართველური. „საერთოქართველური ენის არქაული სამწიგნობრო ენისა და ქართველური კილოების ენობრივი ფაქტების შეპირისპირებით, ასევე წელთაღრიცხვათა მიჯნაზე ქართულიდან სხვა ენებში და სხვა ენათაგან ქართულში ნასესხები ლექსიკა მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ქართველთა ისტორიული სამწიგნობრო ენა - სასულიერო მწერლობის ენა (ე.წ. ძველი ქართული ენა) შექმნილია ძველი წელთაღრიცხვის დასასრულს და ეფუძნება ძვ.წ. II-I ათასწლეულებში არსებულ საერთოქართველურ ენას. ქართველთა ისტორიული სამწიგნობრო ენა - სასულიერო მწერლობის ენა (ე.წ. ძველი ქართული ენა) ეფუძნება საერთოქართველურ ენობრივ კოინეს; ქართული სამწიგნობრო ენის თანამედროვე

⁶¹ შდრ.: ქართული სალიტერატურო ენის საყრდენი ენობრივი მოდელის შესახებ ვრცლად მსჯელობს ვაჟა-ფშაველა. ის ქართლურს არ მიიჩნევს ახალი ქართულის საყრდენ დიალექტად. მისი დასკვნით, ახალი ქართული აგრძელებს ძველ ქართულ სამწიგნობრო ენას, კერძოდ, შოთასა და გურამიშვილის ენას და მდიდრდება ხალხური შენაკადებით: „მოდის ენა მდინარესავით... სათავეში თუ არ დაშრა, ბოლოდან მისის დაშრეტა შეუძლებელია და ძალაც მისი სწორედ რომ სათავეშია. სათავე ჩვენი ენისა, ვგონებ ყველამ კარგად იცის, სად არის... ეს სათავე ენისა გახლავთ ძველთა ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებნი, ის ქართული თემები, სადაც დღევანდლამდე შემონახულა შეუბღალავად, უმწიკლოდ ქართული ენა“ (გაზ. „ივერია“, 1901, №146: 2).

ვარიანტი და ქართველური დიალექტები (ლაზურ-მეგრული, სვანური, მესხური, ქართლ-კახური, რაჭული, ჰერული, ფხოური...) უშუალო გაგრძელებაა საერთოქართველურისა და ისტორიული სამწიგნობრო ენისა; შესაბამისად, ნაკლებსარწმუნოა მოსაზრება, რომ ქართული სალიტერატურო ენა ეფუძნება ქართლურს, კახურს ან სხვა რომელიმე ერთ ქართველურ კილოს“ (ფუტკარაძე 2005: 325).

სამწიგნობრო ქართულის საყრდენ ბაზად საერთოქართველური მიაჩნია მ.ჩუხუასაც. ის სამწიგნობრო ენის ტერმინოლოგიის ანალიზით ასეთ დასკვნას აკეთებს: „უძველეს წარსულში არსებობდა საერთოქართველური სამწერლობო ენა, რომლის ბუნებრივ გაგრძელებასაც წარმოადგენს ძველი ქართული სამწერლობო ენა. როდესაც ის შეიქმნა, ზანური და სვანური, როგორც დამოუკიდებელი ერთეული არ არსებობდა. ქართველებში სამწერლობო ტრადიციის არსებობა საერთოქართველური ენობრივი ერთობის ხანისათვის ივარაუდება, რასაც ასევე მხარს დაუჭერდა ფუძე-ენაში ისეთი კულტურული პროტოტიპების პოვნა, როგორცაა: წიგნ - „წიგნი“, ქერტ - „ქაღალდი“, ძალ - „საღებავი“... (ჩუხუა 2006: 158-160).

სამწიგნობრო ქართულის საყდენი ბაზის შესახებ ვრცლად მსჯელობს მ. ლაბაძე: „აშკარაა, რომ სამწიგნობრო ქართული ენის საფუძველი ვერანაირად იქნება რომელიმე ქართველური კილო, რამდენადაც თავად ქართველური კილოები (მეგრული, ლაზური, სვანური, ხევსურული, თუშური, ლივანური, ტაოური...) წარმოქმნილია იმ ენის ტერიტორიული დიფერენციაციის შედეგად, რომლის სამწიგნობრო ფორმა დღესაც ცოცხალია და კვლავინდებურად ყოველი ქართველის დედაენას წარმოადგენს“. მაშასადამე, ქართული (ქართველური) ენა წარმოადგენს სიმეტრიულ ენობრივ სისტემას, რომლის ორიენტირსაც ყოველი ქვესისტემა ერთგვარად მიემართება“ (ლაბაძე 2016: 140). აქვე მკვლევარი დასძენს იმასაც, რომ „ამგვარივე სიმეტრიულ სისტემებს წარმოადგენს თანამედროვე არაბული ან ჩინური ენებიც, რომელთაც, ქართულის მსგავსად, საუკუნეთა მანძილზე უწყვეტი სამწიგნობრო ტრადიცია აქვს. ზოგადად კი მსოფლიოში სიმეტრიულ ენობრივ სისტემებს მაინც ჭარბობს ასიმეტრიული სისტემები“ (ლაბაძე 2017: 205-206).

ქართულ სალიტერატურო ენას მეცნიერთა ნაწილი ერთ მთლიანობად აღიქვამს, განსხვავებით გერმანული ენისაგან.

თანამედროვე გერმანული ენა მიეკუთვნება გერმანიკულ ენათა ჯგუფს, რომელიც, თავის მხრივ, შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახში. გერმანულ ენას აქვს ისტორიულად ჩამოყალიბებული, ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული, სხვადასხვა საკომუნიკაციო სტატუსის მქონე სამი ფორმა: სალიტერატურო ენა, ტერიტორიული დიალექტები და სასაუბრო ენა.

თანამედროვე გერმანული ენა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ავსტრიისა და ლიხტენშტაინის სახელმწიფო ენაა. ერთ-ერთ სახელმწიფო ენად ითვლება იგი აგრეთვე შვეიცარიასა და ლუქსემბურგში. მაშასადამე, გერმანულ ენას სულ ცოტა სამი ეროვნული ვარიანტი აქვს: საკუთრივ გერმანული (ე. წ. Binnendeutsch - ერთიან გერმანიაში), ავსტრიული და შვეიცარიული. ვარიანტულობას განაპირობებს ის ცალკეული განსხვავებები, რომლებიც თავს იჩენს შესაბამის გერმანულოენოვან ქვეყნებში სალიტერატურო ენის გამოყენებისას.

გერმანული ეროვნული ერთობლიობა იქმნებოდა V/VI-XI საუკუნეებში დასავლეთ გერმანიკული ტომების: ფრანკების, ბავარების, ალემანების, თიურინგებისა და საქსების შეკავშირების საფუძველზე. ამ ერთობლიობის საბოლოო გამოკვეთას დიდად შეუწყო ხელი 843 წელს აღმოსავლეთ ფრანკთა სახელმწიფოს შექმნამ. გერმანელთა ეროვნულ გაერთიანებას თან სდევდა ტერიტორიული დიალექტების შეკავშირებაც, თუმცა ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანული ენის განვითარებისათვის. VIII საუკუნის II ნახევარში დაიწყო სასულიერო პროზის ჩამოყალიბება, გერმანული ენა თანდათან იმკვიდრებდა ადგილს ლათინურის გვერდით, როგორც ეკლესიისა და სახელმწიფო მმართველობის ენა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ტერიტორიული დიალექტები ამ დროისათვის ენის არსებობის ერთადერთ ფორმას წარმოადგენდა. დამწერლობის განვითარებას (გერმანული ტექსტების წერილობითი დაფიქსირება VIII საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო) ეს ვითარება არ შეუცვლია“ (გვენცაძე... 1993: 60)⁶².

შუა საუკუნეებში არ არსებობდა ერთიანი სალიტერატურო ენა, თუმცა ყოველთვის გამოირჩეოდა წამყვანი დიალექტი, რომელიც ზერეგიონალურ

⁶² მასალას ვიმოწმებთ, ნ. ქუთათელაძის სამაგისტრო ნაშრომიდან, სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის პრინციპები ქართულსა და გერმანულ ენებში, ქუთაისი, 2017

მნიშვნელობას იძენდა. შუა საუკუნეების ზემო გერმანული აღნიშნავს დიალექტებს, რომლებსაც ადრეულ და გვიანდელ შუასაუკუნეებში გერმანულენოვან სივრცეში სამხრეთით - კიოლნში, ლაიპციგსა და კიონიგსბერგში იყენებდნენ, ხოლო ამავე პერიოდის ქვემო გერმანულ დიალექტებში იგულისხმება ჩრდილოეთ ნაწილში გავრცელებული დიალექტები. სწორედ ამიტომ შუა საუკუნეებში არ შეიძლება ერთიან სალიტერატურო მაღალ გერმანულ ენაზე საუბარი, რადგან „მაღალი“ აქ აღნიშნავს არა ენის სრულყოფილებას და მის მაღალ ხარისხს, არამედ გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით იმ რეგიონებს, სადაც ის ენები გამოიყენებოდა, რომლებიდანაც მოგვიანებით სალიტერატურო გერმანული ენა ჩამოყალიბდა. შუა საუკუნეებში გავრცელებული ქვემო და ზემო გერმანულიდან სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი **ზემო გერმანულმა შეიტანა.**

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ძველი ზემოგერმანული დიალექტები ტერიტორიული დიალექტებია. ტერიტორიული დიალექტები ამ დროისათვის ენის არსებობის ერთადერთ ფორმას წარმოადგენდა. ძველ ზემოგერმანულ პერიოდში წერილობითი ძეგლი ერთ-ერთ დიალექტზე იქმნებოდა. ამიტომ თითოეულ ძეგლს ახლავს მითითება, თუ რომელ დიალექტს მიეკუთვნება.

ქართული ენა საუკუნეების მანძილზე ერთდროულად არის სახელმწიფო ენაც, საეკლესიო ენაც და სამწერლო ენაც, მაშინ როცა XVII საუკუნეში გერმანიის ისტორიაში პირველად სალიტერატურო ენამ, რომელიც გარკვეულ რეგიონთან იყო დაკავშირებული და რომლის საფუძველსაც ერთ-ერთი დიალექტი წარმოადგენდა, არა მარტო გადალახა ტერიტორიული შეზღუდულობა, არამედ გაიმარჯვა სალიტერატურო ენის სხვა ვარიანტზე. ეს არის საერთოგერმანული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საწყისი.

ქართული სალიტერატურო ენის საყრდენი ენობრივი მოდელის ჩამოყალიბების შესახებ მსჯელობის დროს საინტერესოა განვიხილოთ **იტალიის მდგომარეობა.** სალიტერატურო **იტალიურის** ჩამოყალიბების ხანად ითვლება XIV-XV საუკუნეები, როცა ხალხურმა მეტყველებამ მხატვრულ ლიტერატურაში საგრძნობლად შეავიწროვა ლათინური ენა. პირველი პოეტი, რომელმაც აქტიურად დაიწყო წერა „ხალხურ ენაზე, გახლდათ ფლორენციელი დანტე ალიგიერი (1265-1321) - ავტორი საყოველთაოდ ცნობილი პოემისა „ღვთაებრივი კომედია“ (La Divina Commedia),

პროზაში კი იტალიური ენის დამამკვიდრებლად ითვლება ასევე ფლორენციელი ჯოვანი ბოკაჩო (1313-1375). მისი ცნობილი თხზულება „დეკამერონი“ დღემდე სალიტერატურო იტალიურის ბრწყინვალე და მისაბამ ნიმუშად მიიჩნევა.

მოგვიანებით, დანტეს და ბოკაჩოს (რომლებიც მშობლიურ ფლორენციულ დიალექტზე წერდნენ) მრავალი მიმდევარი და მიმბაძველი გამოუჩნდა. გარდა ამისა, რამდენადაც აღორძინების ეპოქაში ფლორენცია მთელი იტალიური სამყაროს (მაშინ ერთიანი იტალია არ არსებობდა) მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად იქცა, **იტალიური ენის სამწერლობო ფორმა სწორედ ფლორენციულ დიალექტს დაეფუძნა.**

იტალიასა და საქართველოში არსებულ ვითარებათა შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა ის, რომ ჩვენთან ისტორიის მთელ მანძილზე დიალექტებზე არ შექმნილა მწიგნობრობა და არც სალიტერატურო-ეროვნული ენა წარმოქმნილა რომელიმე კუთხის დიალექტზე დაყრდნობით. იმთავითვე, ყველა ქართულ თემში მწიგნობრობა იმ ერთიან ენაზე იქმნებოდა, რომელიც ამოსავალია დიალექტთათვის (დაწვრილებით ამ საკითხთა შესახებ იხ. ფუტკარაძე 2005).

იტალიაში კი, ამის საპირისპიროდ, „მდაბიური ლათინურის“ დიალექტებად დაშლის შემდგომ აღზევდა ფლორენციული დიალექტი, მიუხედავად იმისა, რომ მწიგნობრობა თითქმის ერთდროულად შეიქმნა რამდენიმე მსხვილ დიალექტზე და ფლორენციულმა მათი შევიწროება მხოლოდ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო.

ამავე დროს, ქართულ და იტალიურ ენობრივ სამყაროთა შორის ის მსგავსებაა, რომ კუთხური დიალექტების აშკარა განსხვავებულობის ფონზე, მყარია ქართველთა და იტალიელთა ერთიანი ეროვნული თვითაღქმა: ყველა კუთხის ქართველს, ისევე როგორც ყველა კუთხის იტალიელს, თავი მიაჩნია ერთი ერის შვილად, ერთიანი კულტურის მემკვიდრე-შემოქმედად და თვლის, რომ ერთი დედაენა და სამშობლო აქვს (ლაბაძე 2013: 71-88).

მსოფლიოს თანამედროვე ერებისა და ენების ისტორიაში მოიპოვება უამრავი მაგალითი იმისა, რომ საერთო-ეროვნული სამწიგნობრო ენის ჩამოყალიბებას და საყოველთაოდ გავრცელებას წინ უსწრებდა მწიგნობრობის განვითარება ცალკეულ კუთხურ ენობრივ ერთეულებზე. მაგალითად, **საფრანგეთში**, სადაც ადგილობრივი ვულგარული ლათინურის დიფერენციაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა ორი

მსხვილი **მყოფე სისტემა**: „ლანგ დ'ოილ“ (Langue d'oïl, , ჩრდილოეთში) და „ლანგ დ'ოკ“ (Langue d'oc - სამხრეთში), მწიგნობრობა განვითარდა IX საუკუნიდან - როგორც ერთი, ისე მეორე სისტემის შემადგენელ **ცალკეულ ქვესისტემებზე (კილოებზე)**, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

XIV საუკუნიდან მოყოლებული, რიგი ისტორიული მიზეზების გამო, შესამჩნევად დაწინაურდა „ლანგ დ'ოილის“ ილ-დე-ფრანსის კილოს საფუძველზე შემუშავებული სამწიგნობრო ნორმა, რომელიც თანდათან იქცა საერთო-ეროვნულ ენად საფრანგეთის სამეფოს ყოველი ქვეშევრდომისთვის და, შესაბამისად, ეწოდა „ფრანგული ენა“ (La langue Française). იმავდროულად, „ლანგ დ'ოილის“ სხვა ქვესისტემათა (პიკარდიულის, ნორმანდიულის...) საფუძველზე შემუშავებული სამწიგნობრო ნორმები დაემცრო - თითოეული მათგანი ტრანსფორმირდა **კუთხურ კოინედ** ანუ იმგვარ ენობრივ ვარიაციად, რომელზეც როგორც წესი, იქმნება ხოლმე ხალხური შემოქმედება. მათი სტანდარტიზება შემდგომში აღარ გაგრძელებულა - ამაზე მართებულად მიუთითა ნორმანდიული მეტყველების ერთ-ერთმა პირველმა მკვლევარმა **ლუი-ფრანსუა ვანიემ** (ვანიე 1862: 3-4): „ესაა XII, XIII და XIV საუკუნეთა ენობრივი ფორმები, რომლებიც ჩვენმა გლეხებმა ტრადიციულად შეინარჩუნეს: ისინი საუბრობენ ისე, როგორც იმ დროს წერდნენ. თუკი [სხვაგან] შემდგომში ყველაფერი შეიცვალა, თუკი სადმე რაიმე ასო ჩაემატა, რათა ენა უფრო კეთილხმოვანი, ადვილი და დახვეწილი გამხდარიყო, თუკი გრამატიკოსებმა რამდენიმე ახალი წესი დაამკვიდრეს და აკადემიკოსებმაც თავიანთი დადგენილი ნორმები შემოგვთავაზეს, რომ ფრანგული ენა საბოლოოდ ჩამოყალიბებულიყო - აქვე დავძენ, რომ მისი დახვეწა, ისევე როგორც სხვა ენებისა, უნდა გაგრძელდეს, - სოფლელი ხალხი, რომლისთვისაც უცხო იყო ეს ცვლილებები, პრიმიტიული ენის ერთგული დარჩა“ (ლაბაძე 2017: 193).

აღსანიშნავია, რომ დღეს საფრანგეთში კილოები „წმინდა სახით“ შემოინახა მხოლოდ 50 წელზე მეტი ხნის თაობამ. უმცროსი თაობის მეტყველება, რაზეც ტრადიციულად, დიდ გავლენას ახდენს სამწიგნობრო ფრანგული და, განსაკუთრებით - პარიზული ჟარგონი, უკვე ნიველირებულია: „პარიზული სასაუბრო ენა და კილოთუედა ფორმები პარიზიდან სხვა მხარეებშიც გავრცელდა და იქამდე ჩაენაცვლა ადგილობრივ მეტყველებებს, ვიდრე იმათ საფუძველზე ქალაქური სასაუბრო ვარიანტები ჩამოყალიბდებოდა. **კუთხური ენები იმთავითვე**

სტიგმატიზებულ იქნა - განათლებულმა, ძალზე ურბანიზებულმა ფრანგმა მოქალაქეებმა ეროვნული ენა ირჩიეს. შესაბამისად, [საფრანგეთის კუთხეებში] 60-იანი წლების შემდგომ დაბადებულთა მეტყველებაში ოდნავდა შეინიშნება კუთხური თავისებურებანი ფონოლოგიაში. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი შესამჩნევად უახლოვდება საყოველთაო ენობრივ ერთფეროვნებას, ზოგი მკვლევრის აზრით, ჯერ კიდევ არსებობს „კუთხური ფრანგული“ - ერთობლიობა სამწიგნობრო ენასთან ახლომდგომი იმ სასაუბრო ფორმებისა, რომელთაც ძალზე ეტყობა კუთხური გავლენა“ (ვანდეკერკჰოვე, ბრიტენი, 2009: 4) (ლაბაძე 2017: 193).

საინტერესოა გერმანული და ესპანური ენობრივი ქვესისტემების კვალიფიკაციის ისტორია ე.წ. ენობრივი იდეოლოგიების მიხედვით:

პირველი მსოფლიო ომის მიწურულს საყოველთაოდ მიღებულ პრინციპად იქცა მე-19 საუკუნეში საფრანგეთისა და გერმანიის მიერ დაწესებული პრინციპი - **ერი/ნაცია** განისაზღვრება მისი **ტერიტორიითა და ენით**. მაშინ გამოწვევად იქცა კითხვა, თუ რა უნდა ეყოს უამრავი სხვა დიდი თუ მცირე ენისათვის, რომლებიც განისაზღვრებოდა როგორც „უმცირესობის“ ენა ახალი თუ ახლად განსაზღვრული/ჩამოყალიბებული ნაციების ფარგლებში.

ენობრივი პოლიტიკა ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც **ფრანგული მოდელი**, რომლის მიხედვითაც ერ-სახელმწიფოს სჭირდება საერთო-ეროვნული ენა მისი ერთიანობის შესანარჩუნებლად და **გერმანული მოდელი**, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ხალხი, რომელიც გერმანულად ლაპარაკობს, უნდა იყოს ერთიანი/უნიფიცირებული პოლიტიკური ერთეულის ნაწილი - გაბატონებული იდეოლოგიები იყო.

სულ სხვა კონცეფციით დაიგეგმა **ესპანეთის ენობრივი მოდელი**; აქ ანგარიში გაეწია ენათა პარალელურ არსებობას.

ენობრივი დაგეგმარების კვლევა მრავალენოვან ქვეყნებში მჭიდრო კავშირშია ეთნიკურობისა და იდენტობის, ნაციონალიზმის, გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის საკითხებთან. **ეთნიკური იდენტობა და ენა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს**. ერთიცა და მეორეც კომპლექსური და დინამიკური ფენომენია - პირველი მათგანი მუდმივად განიცდის მოდიფიკაციას ცვალებადი სოციალური, პოლიტიკური

და დემოგრაფიული პირობების გავლენის შედეგად, ხოლო ენა თვით ეთნიკური იდენტობის სიმბოლიზაციას და რეპრეზენტაციას ახდენს.

ეთნოლინგვისტური იდენტობისა და ენობრივი პოლიტიკის ურთიერთმიმართება არც ლინეარულია და არც ნეიტრალური. მათ შორის დინამიკური ურთიერთქმედება მყარდება. მაგრამ ეს ურთიერთზემოქმედება მყარდება სხვადასხვა პოლიტიკურ ეკონომიკაში მონაწილეობის საშუალებით, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს სხვადასხვა ენობრივ იდეოლოგიას⁶³(სპოლსკი 2012).

მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ქართულ სინამდვილეში შეიძლება გავითვალისწინოთ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოყალიბებული ის ენობრივი პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ენობრივი დაგეგმარების ფრანგულ თუ გერმანულ მოდელებს, რომლებიც თავის მხრივ ემყარება იდეოლოგიას - ერ-სახელმწიფოს სჭირდება საერთოეროვნული ენა ერთიანობის შესანარჩუნებლად⁶⁴.

ვფიქრობთ, ამგვარი პარალელი შეუსაბამოა, რადგანაც, როგორც ფრანგულ და გერმანულ, ასევე, ესპანურ ქვესისტემებს შორის არსებული მიმართება რადიკალურად განსხვავდება ქართველური სინამდვილისაგან; კერძოდ, დასახელებული ევროპული ქვესისტემები ფაქტობრივად პარალელურად თანაარსებობდნენ და რომელიმე სახესხვაობის გამოცხადება ენად, სხვებისა კი დიალექტებად (თანაბარ მონაცემებს შორის ერთ-ერთის გამოცხადება ენად) არის პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგი; ასევე, პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგია რამდენიმე ენობრივი სახესხვაობის პრესტიჟის განსაზღვრა თითქმის ერთი დონით.

სულ სხვაგვარია ქართველური ენობრივი ქვესისტემების ურთიერთმიმართების ისტორია:

როგორც ზემოთ ვნახეთ, საერთოქართველურთან მიმართებით ჩვენთვის ცნობილი ყველა ქვესისტემა შეცვლილია, გარდა სამწიგნობრო ქართული ენისა. არქაული სამწიგნობრო ქართული კი ფაქტობრივად სრულად იმეორებს საერთოქართველურ ენას (მსჯელობისათვის იხ., ფუტკარაძე 2005; ფუტკარაძე 2014).

⁶³ საკითხისათვის იხ. The Cambridge Handbook of Language Policy, Edited by Bernard Spolsky, First published 2012, Cambridge University Press

⁶⁴ ინფორმაცია მოგვაწოდა პროფ. თ. ლომთაძემ, რისთვისაც მადლობას ვუხდით!

ფაქტია, რომ ქართული სამწიგნობრო ენა ყოველთვის ასრულებდა სახელმწიფოს ერთიანობის განმსაზღვრელ ფუნქციას; შესაბამისად, ქართული სამწიგნობრო ენის გაბატონებული მდგომარეობის ახსნა ე.წ. გერმანულის ენობრივი იდეოლოგიის მსგავსი მიდგომით დიდი შეცდომაა. უზუსტობის ორი მიზეზი შეიძლება იყოს:

- ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორიის არცოდნა;
- მიზანმიმართული მცდელობა, გაყალბდეს ქართველთა ენობრივი ისტორია და პარალელურ მონაცემებად წარმოჩნდეს ამოსავალი საერთოქართველური ენობრივი სისტემა (რომელიც დაცულია სამწიგნობრო სახესხვაობაში) და მისგან განვითარებული ზეპირი (დიალექტური) სახესხვაობები.

აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ენათმეცნიერთა უმრავლესობას, რომელიც ერთი მხრივ, ე.წ. „ქართველური ენების“ თეორიას იზიარებს და შესაბამისად, ქართველ ერსაც მხოლოდ საერთო წარმომავლობის, მონათესავე ტომთა ხელოვნურ გაერთიანებად მიიჩნევს, მეორე მხრივ, ეჭვიც არ ეპარება, რომ მაგალითად, ბავარიული ანდა ქვემოფრანკული მეტყველება (რომლებიც უფრო მეტად განსხვავდება სალიტერატურო გერმანულისგან, ვიდრე მეგრული - სალიტერატურო ქართულისგან) გერმანული ენობრივი სისტემის განუყოფელი ნაწილია და გერმანელი ერიც ენობრივად, ისტორიულად და კულტურულად ერთიანია. საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში დამამტკიცებელ არგუმენტად ამ ენათმეცნიერებს ხშირად იგივე მენტალური ფაქტორი მოჰყავთ, რომელსაც პირველ შემთხვევაში ხელაღებით უარყოფენ, ან გადამწყვეტად არ თვლიან ხოლმე. ვფიქრობთ, არსებითია ის გარემოება, რომ სულ მცირე 16 საუკუნეა საქართველოს ყველა კუთხის ქართველი ერთ სამწიგნობრო ენას ქმნის (სულ სხვა რეალობაა გერმანულ თუ ესპანურენოვან სამყაროში); შესაბამისად, არალოგიკურია, ქართველთა რომელიმე ჯგუფი უმწერლობო ენის მქონედ მივიჩნიოთ.

3.2. ქართველური უმწერლობო ენა თუ ქართველური დიალექტი?

ქართველური ენობრივი სამყაროს კვალიფიკაციაზე მსჯელობის დროს აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ **უმწერლობო ენა და დიალექტი**.

სამეცნიერო ლიტერატურაში **დიალექტი** განიმარტება, როგორც მოცემული ერის/ნაციის საერთო-სახალხო (ოფიციალური) ენის განშტოება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის ერთი ნაწილის მოსახლეობის ან რომელიმე სოციალური ფენის ზეპირი (არაოფიციალური) ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს. სხვა სიტყვებით: კონკრეტული სამეტყველო ერთეული მონათესავე სტრუქტურის მქონე ოფიციალური, სამწიგნობრო (სტანდარტული) ენის დიალექტად ჩაითვალება, თუკი ამ სამეტყველო კოდის მფლობელ საზოგადოებას ისტორიულად მონაწილეობა მიღებული აქვს მოცემული სამწიგნობრო ენის შექმნაში (ფუტკარაძე 2005: 70).

უმწერლობო ენად მიიჩნევა ენობრივ-ეთნიკური ერთობის მქონე იმ საზოგადოების მეტყველება, რომელსაც საკუთარ დედაენაზე არა აქვს წერილობითი კულტურა და შემოქმედების თუ საქმისწარმოების პროცესში იყენებს სხვათა მიერ შექმნილ სამწიგნობრო ენას. უმწერლობო ენა ზეპირი ფორმით (დიალექტების, კილოკავების, თქმების, ჟარგონების სახით...) არსებობს (იქვე).

დიალექტისა და უმწიგნობრო ენის განმარტებების ფონზე შესაძლებელია ვიმსჯელოთ ქართველური ენობრივი სამყაროს ვითარების შესახებ. მეცნიერთა ნაწილს მეგრული და სვანური არა ქართული ენის დიალექტებად, არამედ უმწიგნობრო ქართველურ ენებად მიაჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ მეგრელებს და სვანებს არა აქვთ წერილობითი კულტურა და მათ წარმომადგენლებს ისტორიულად მონაწილეობა არ აქვთ მიღებული სამწიგნობრო ენის შექმნაში. ეს ყოველივე კი ეწინააღმდეგება რეალობას, რადგან ისტორიულად სამწიგნობრო ენის შექმნაში მონაწილეობას ყველა კილოს წარმომადგენელი იღებდა: მეგრელი, სვანი, ქართლელი, კახელი და სხვა...

აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი ქართული წარწერები იოანე ლაზისა და პეტრე იბერის სახელს უკავშირდება. სამწიგნობრო კულტურული მძლავრი კერები იყო ეგრისში, ლაზეთში, სვანეთში, ტაო-კლარჯეთში, მესხეთში, აფხაზეთში, ქართლ-კახეთსა და სხვა, რაც იმას მოწმობს, რომ ამ კუთხის წარმომადგენლებს ისტორიულად ჰქონდათ სამწიგნობრო კულტურა.

უმწერლობო ენებად მეგრულისა და სვანურის მიჩნევას ეწინააღმდეგება ის ფაქტიც, რომ ამ კილოთა წარმომადგენლებს მონაწილეობა აქვთ მიღებული ქართული სალიტერატურო ენის შექმნაში. დავიმოწმებთ **ნ. მარის** მოსაზრებას: „ქართული სალიტერატურო ენის შექმნა-განვითარებაში მონაწილეობას იღებდნენ: ქართლელები, იმერლები, მეგრელები, სვანები, ლაზ-ჭანები, და სხვანი... საღვრთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმინდა ჭანურ ანუ მეგრულ, იმერხელ და სხვა ტომთა სიტყვებს. ამ რეალურის კულტურულ-ისტორიულის შეხედულებით, ქართული სალიტერატურო ენა იმდენათვე სვანურია და მეგრული, იმდენათვე გურულია და იმერული, რამდენათაც ქართლური. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა საქართველოს ტომისათვის“ (მარი 1905: 9-10).

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ქართული სამწიგნობრო ენა ქართლელ-კახელ-გურულებისა და მეგრელ-სვანებისთვის საერთო ენაა... წარმართობისდროინდელი საერთო შემოქმედება“ (ჯავახიშვილი 1979: 154-156). შდრ., „ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებული მწერლობის ენა ქართლურია... ქართველთა ძველი მწერლობის ენა კი შეიძლება ეკუთვნოდეს მეგრულ-ლაზურ, ან სვანურ შტოს; შდრ., „საერთოქართველური ენა და მწერლობა ყველა ქართველმა ტომმა შექმნა“ (ჯავახიშვილი 1908: 4, 20).

არნ. ჩიქობავა 1958 წელს წერს:

„ქართული სალიტერატურო ენა შექმნილია მთელი ქართველი ხალხის მიერ, იგი კუთვნილებაა მთელი ქართველობისა, - იქნება ეს ქართველი - ხევსური თუ სვანი, კახელი თუ მეგრელი, ქართლელი თუ აჭარელი... თვით დაქუცმაცებულ ფეოდალურ საქართველოშიც კი სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ არც მეგრელებსა და არც სვანებს. ქართული სალიტერატურო ენა ერთადერთი ეროვნული ენაა მთელი ქართველობისათვის; ასე იყო წარსულში და მით უფრო ასეა ახლა, როცა საბჭოთა საქართველოში სოციალისტურ ქართველ ერში შედუღაბებულია როგორც ქართველობის განუყრელი ორგანული ნაწილი, მეგრელი, ჭანი და სვანი ისევე, როგორც ქართლელი, კახელი, აჭარელი, თუმი... (გაზ. „კომუნისტი“, 1958: 3).

ხოლო 1969 წელს გაზეთ „სამშობლოში“ წერს:

„კუთხური კილოკავების მთელი წყება გვაქვს, სალიტერატურო ქართული ენა კი ერთია ყველა კილოკავზე მოუბართათვის, ერთობლივ ყველა კუთხის

ქართველთათვის. ქართლელი იქნება იგი, აჭარელი, ფშაველი თუ სვანი, ხევსური თუ მეგრელი. ეს ერთი სალიტერატურო ქართული ენა ქართველობის ეროვნული ენაა, სკოლისა და სასამართლოს ენა, თეატრისა და რადიოგადაცემათა ენა, იგი საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ენას წარმოადგენს (გაზ. „სამშობლო“, 1969: 4).

ტ. ფუტკარაძე მართებულად მიუთითებს ქართული სალიტერატურო ენის შექმნაში ყველა კუთხის წარმომადგენლის მონაწილეობას, განსაკუთრებით, კი მეგრელისა და სვანის: „დიდი ქართული სამწიგნობრო კულტურის შექმნაში თვისობრივად ერთნაირი მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კუთხის ქართველებმა: მეგრელებმა, ლაზებმა, სვანებმა, აჭარლებმა, იმერლებმა, მესხებმა, ტაოელებმა, შავშელებმა, ლივანელებმა, მაჭახლელებმა, ინგილოებმა, რაჭველებმა, ქართლელებმა, კახელებმა, ხევსურებმა, ფშაველებმა, თუშებმა, მთიულელებმა, მოხევეებმა...“ (ფუტკარაძე 2014: 136-138).

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ უძველესი დროიდან დღემდე არსებობს მხოლოდ ოთხი ტომი თავისი ენით (ქართული, ლაზური, მეგრული და სვანური); ამ ავტორთა მიერ ლაზური, მეგრული და სვანური დღეს უმწერლობო ენებადაა მიჩნეული, რაც მავანთ საშუალებას აძლევს უმწერლობო ხალხებად ჩათვალონ ქართული მწიგნობრობის შემქმნელნი მეგრელები, ლაზები, სვანები.

თ. გვანცელაძე არგუმენტირებულად უსაბუთებს ამ შეხედულების ავტორებს აღნიშნული თეორიის უსაფუძვლობას: „ქართველი ერი მსოფლიოს უძველეს ხალხთა შორისაა: ჯერ კიდევ 3 300 წლის წინანდელი კაცობრიობის ყურადღების ცენტრში იყო კოლხური (საერთოქართველური) ცივილიზაცია, რომლის გავრცელების არეალი მოიცავდა დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს, ჩრდილო კავკასიის დიდ ნაწილს, რომლის კულტურაც ვითარდებოდა საერთოქართველურ ენაზე. ისტორიული ფაქტები მოწმობს, რომ ამ საერთო ენაზე დაფუძნებული არქაული სამწიგნობრო ქართული ენა საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა საქართველოს ყველა კუთხეში; იგი თვიდანვე მშობლიური და გასაგები იყო ყველა თემის ქართველისათვის; შესაბამისად, ქართული ენა დედაენა იყო და არის კახელისათვისაც, ეგრისელისთვისაც, სვანისთვისაც, ლაზისთვისაც, მესხისთვისაც და ა. შ. მრავალი საუკუნის მანძილზე ამ საერთოეროვნული სამწიგნობრო ენის

მასაზრდოებელი წყარონი იყვნენ და არიან დღესაც კუთხური ენაკავები: მეგრული, სვანური, მესხური, ფხოური, იმერული...

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან ერთად გაძლიერდა აღნიშნულ საერთოქართველურ ენაზე დაფუძნებული სამწიგნობრო კულტურა, რომელიც იოანე ლაზის, პეტრე იბერის, იოვანე პეტრიწის, ჭყონდიდლების (იოანე მინჩხის, სტეფანე სანანოიძის, ანტონის...), მთაწმინდელების და მრავალი სხვათა მიერ თვისობრივად ერთნაირად იქმნებოდა ისტორიულ ეგრისშიც, მესხეთშიც, სვანეთშიც, ჰერეთშიც და ქართლ-კახეთშიც“ (გვანცელაძე 2006: 142). შდრ.:

აკადემიური დოქტორი ნაზი მიქელაძე:

„ტომობრივი ენები ამჟამადაც არსებობენ, მაგალითად, ტომის ენებია: ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები ინდიელების ენა (მაია-ენა, აცტეკური და ირეკოზული ენები და სხვა). ჩვენი ენებიდან ტომის ენას წარმოადგენს: მეგრული, ჭანური (ანუ ლაზური) და სვანური. სხვა ტომობრივი ენებია მაგალითად: დაღესტნური ენები: დიდოური, ნახურული, რუთურული და სხვა“⁶⁵.

მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურის შემქმნელი სამეგრელოს მკვიდრების გამოხცადება ინდიელთა მსგავს ტომებად, მათი კუთხური მეტყველების - ქართული ენის კუთხური სახესხვაობის - გამოცხადება კი ტომის ენად (ტომობრივ ენად)⁶⁶ რომ დიდი შეცდომაა, ვფიქრობთ, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ნათელია.

აკადემიური დოქტორი რუსუდან გერსამია:

„ელექტრონული ბაზები უმწერლობო ქართველური ენებისთვის დღემდე არ არსებობს. ჩვენთან ციფრულმა ჰუმანიტარიამ ახლახან აიდგა ფეხი, უკვე შექმნილია რამდენიმე კორპუსი ქართული ენისთვის, ქართული ენის დიალექტებისთვის და

⁶⁵ <http://batumelebi.netgazeti.ge/news/5599> (დამოწმება: 11.04.2018)

⁶⁶ ტომობრივი ენა - tribal language; Indigenous language - An indigenous language or autochthonous language is a language that is native to a region and spoken by indigenous people, often reduced to the status of a minority language. This language would be from a linguistically distinct community that has been settled in the area for many generations. Indigenous languages are not necessarily national languages, and the reverse is also true. https://en.wikipedia.org/wiki/Indigenous_language.

племенной язык - Бесписьменный диалект, форма существования языка в первобытно-общинную эпоху, когда границы лингвистической и этнической группы совпадали <https://www.psyoffice.ru/5-sociolinguistics-518.htm>.

ჩვენი კოლეგები დღესაც აგრძელებენ მუშაობას. თუმცა სხვა ქართველური ენებისთვის ჯერ ამგვარი ბაზები არ ჩანს⁶⁷.

საინტერესო, თუმცა წინააღმდეგობრივია პროფესორ კახა გაბუნიას მსჯელობა:

„გფიქრობთ, სრულიად მართებულია მოსაზრება, რომელიც ბ. ჯორბენაძის მიერ არის ფორმულირებული: „ენათმეცნიერული (დავაზუსტებთ - საკუთრივ ლინგვისტური) თვალსაზრისით მეგრულ-ჭანური და სვანური ქართულის მოძმე ენებია, მაგრამ ეთნიკურ-პოლიტიკური (აქაც დავაზუსტებთ – სოციოლინგვისტური) თვალსაზრისით, მათ იგივე სტატუსი აქვთ, რაც დიალექტებს (ჯორბენაძე, 1989, გვ. 36). საინტერესოა ეს საკითხი თვითინდეტიფიკაციის თვალსაზრისით: ენაა თუ დიალექტი მეგრულ-ლაზური და სვანური? - ეს იყო რესპონდენტებისთვის დასმული ერთ-ერთი კითხვა ჩაღრმავებული ინტერვიუების ჩაწერისას. თუმცა, ცხადია, ამ საუბრის მიზანი არ ყოფილა და ვერანაირად ვერ იქნებოდა საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა და სათანადო არგუმენტაციების მოთხოვნა-წარმოდგენა. საინტერესო იყო უბრალო ადამიანების (რომელთაც ენათმეცნიერებასთან არაფერი აკავშირებთ) დამოკიდებულება მეგრულ-ლაზურთან და სვანურთან, მის როლთან დაკავშირებით. რესპონდენტებისთვის მეგრულ-ლაზური და სვანური, ჩვეულებრივ, **კუთხურ-ტომობრივი ენა** (ხაზი ჩვენია - მ. თ.) ან **ქართული ენის დიალექტია**⁶⁸.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ:

ჩვენთვის დაუსაბუთებელია ენათმეცნიერებისა და სოციოლინგვისტიკის გამიჯვნა: სოციოლინგვისტიკა ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგია! უფრო არსებითია ის, რომ **მსოფლიოში არსებული უკლებლივ ყველა ცივილიზებული ხალხის ენის სტატუსი დადგენილია სწორედ სოციოლინგვისტური ან ექსტრალინგვისტური კრიტერიუმებით** თანამედროვე რეალობაში პრობლემურია, ასევე, ტერმინი „კუთხურ-ტომობრივი ენა“.

⁶⁷ <https://sputnik-georgia.com/people/20180323/239777724/qartuli-ena-rusudan-gersamia.html>

ბუდაკეშტის კონფერენცია: მე-18 საერთაშორისო მორფოლოგიური შეხვედრა (18th International Morphology Meeting).

⁶⁸ კ. გაბუნია, ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში International Journal of Multilingual Education (IJME)საერთაშორისო ჟურნალი, მულტილინგვური განათლებისთვის, №3, 2014, გვ. 45-69
http://www.multilingualeducation.org/storage/uploads/articles_contents/141215024122.pdf
<http://www.multilingualeducation.org/>

დავძენთ: უმწერლობო ენა გულისხმობს იმას, რომ მის მფლობელ საზოგადოებას არ გააჩნია წერილობითი კულტურა, არ მიუღია მონაწილეობა სამწიგნობრო ენის შექმნაში; ე.ი. ის არის კულტურული თვალსაზრისით შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფი, ნაკლებად განვითარებული საზოგადოება. ამის თქმა მეგრელ-ლაზ-სვანთა მიმართ არამართებულად მიგვაჩნია, ვინაიდან მეგრელ-ლაზ-სვანები სხვა კუთხეების ქართველთა მსგავსად ქართული მწიგნობრული კულტურის შემქმნელები არიან.

3.3. ქართველურ ქვესისტემათა კლასიფიკაცია

3.3.1. ქართველურ ქვესისტემათა კლასიფიკაცია ქართველთა სამწიგნობრო ენასთან მიმართებით

სამეცნიერო ლიტერატურაში კამათია ქართველურ ქვესისტემათა კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ამ პრობლემას ქმნის ის, რომ სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვა პრინციპით აჯგუფებს დიალექტებს.

კერძოდ, კილოთა დაჯგუფებისას გამოყენებულია:

- დიალექტური მოვლენის გავრცელების არეალის ამსახველი იზოგლოსები;
- სამწიგნობრო ენასთან და ერთმანეთთან სისტემური მსგავსება-განსხვავება;
- დიალექტების გავრცელება გეოგრაფიული მხარეების მიხედვით;
- დიალექტების გავრცელება ისტორიული ეთნოგრაფიული კუთხეების მიხედვით.

იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა პირველმა განსაზღვრა კავკასიურ ენობრივ ერთეულთა სტატუსი და დააჯგუფა კავკასიის ენა-კილოები, მათ შორის ქართველური ქვესისტემებიც; მან პირადად იმოგზაურა სქართველოში და ადგილზე მოპოვებული ენობრივი მასალის (ლექსიკის) საფუძველზე იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახი რვა ჯგუფად დაყო. ერთ-ერთ ჯგუფს წარმოადგენს „ქართველური დიალექტები“ (Georgianische Mundarten) ქართულის, მეგრულისა და სვანურის შემადგენლობით (გიულდენშტედტი 1791: 496-504). ავტორი ქართველთა

სამწიგნობრო ენის გვერდით ასახელებს სამ ქართველურ დიალექტურ ჯგუფს: ქართულ დიალექტებს, მათგან გარკვეულწილად დაშორებულ მეგრულ დიალექტს და უფრო დაშორებულ სვანურ დიალექტს. იგი სვანურს და მეგრულს ერთი და იმავე ენის დიალექტებად მიიჩნევს. იქვე აღნიშნავს, რომ ქართლური, კახური, იმერული და გურული ერთი სახის მეტყველებაა მცირე დიალექტური სხვაობით, სამეგრელოსა და სვანეთში კი ძალიან განსხვავებული დიალექტებია. აქედან მეგრული ნაკლებად განსხვავდება, სვანური კი მეტად, მაგრამ ისე არა, რომ ფუძეენა ვერ ვიცნოთო. ის ფუძეენად სამწიგნობრო ქართულს მიიჩნევს (გიულდენშტედტი 1962: 209).

გიულდენშტედტისაგან განსხვავებით გეორგ როზენი ქართველურ ენობრივ სამყაროს სხვა ასპექტით განიხილავს. ის თავის კვლევებში მეგრულს და სვანურს ხან ენებად მიიჩნევს, ხან დიალექტებად. გ. როზენი „იბერიული ოჯახის“ ენებად ასახელებდა კოლხურს, სვანურს და ქართულს. ლაზურს მეგრულთან ერთად ერთი ენის, კერძოდ, კოლხურის დიალექტებს უწოდებდა. სწორედ მან გამოიყენა ტერმინი „კოლხური“ მეგრულ-ჭანურის აღსანიშნავად (როზენი 1946: 46-47).

გ. როზენისეული კლასიფიკაცია უკრიტიკოდ გაიზიარეს ფ. ბოჰმა, ფ. მიულერმა, ჰ. შუხარდტმა, ა. დირმა... ისინი ნაცვლად სამი ენისა, ოთხ ენას გამოყოფდნენ (ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური).

1798 წელს გამოცემულ წიგნში „Ueber Georgianische L'teratur“ ფ. ალტერი გვაწვდის ცნობებს ქართული ენის დიალექტების შესახებ. ის ქართული ენის შემდეგ ნაირსახეობებს ასახელებს: ქართული, ვულგარული ქართული (Vulgar-Georgianisch), იმერული (Imeretisch) (იგულისხმება მეგრული), „მეცნიერული ქართული“ (Gelehrtes Ceorgianisch).

მკვლევარი ერთი დონის ერთეულად განიხილავს „მეცნიერულ ქართულს“ (ანუ სალიტერატურო ენას) და ქართულ, იმერულ დიალექტებს. მის კლასიფიკაციაში მხოლოდ ეს ორი კილოა დასახელებული. ავტორი იმერულის სახელწოდებით მეგრულ მეტყველებას აღნიშნავს. ამასთან ცალ-ცალკეა გამოყოფილი ქართული და ვულგარული ქართული, რაც ქმნის ბუნდოვანებას და მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია (ფუტკარაძე... 2017: 81-82).

განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს მარი ბროსე. საინტერესოა 1834 წელს დაბეჭდილი წიგნი „De la langue georgienne“, რომელშიც ავტორი ქართულ ენას ყოფს

დიალექტებად და „პატუად“. ასახელებს ხუთ დიალექტს (კახური, იმერული, მეგრული, გურული და ცენტრალური ქართლური) და ოთხ „პატუას“ (კავკასიის სვანური, ლაზიკის ჭანური, აფხაზური, მესხური).

მ. ბროსე წინამორბედთა მსგავსად მეგრულ-ლაზურ-სვანურს სხვა კილოების გვერდით განიხილავს. განსხვავებულია დაჯგუფების პრინციპი და საკლასიფიკაციო ერთეულთა რაოდენობა.

რ. ერკერტის მიხედვით, ქართველური ენა-კილოების კლასიფიკაცია ასეთია: კავკასიურ ენათა ოჯახში ცალკე ჯგუფად გამოიყოფა სამხრეთკავკასიური ანუ იბერიული ენა. იბერიული ენის დიალექტურ შემადგენლობა ასე გამოიყურება:

- ა) ქართული მთავარი დიალექტი თავისი დიალექტებით (იმერულით, ინგილოური, ხევსურული...);
- ბ) მეგრული მთავარი დიალექტი ლაზური დიალექტითურთ;
- გ) სვანური მთავარი დიალექტი (ერკერტი 1891: 311, 361).

აღ. ცაგარელის ნაშრომებში ერთგვარი მერყეობა შეინიშნება. მაგ., 1873 წელს გამოცემულ ნაშრომში ის მეგრულს, ლაზურსა და სვანურს იბერიული ფუძე ენის დიალექტებს უწოდებს და სტატუსით არ განასხვავებს ამავე ენის გურული, თუშური, ფშაური, ხევსურული კილოკავებისაგან (ცაგარელი 1873: 8-9). სხვა შრომებში კი მეგრულს, ლაზურსა და სვანურს ენებს უწოდებს (ცაგარელი 1880 : 11).

პეტრე ჭარაია ნაშრომში „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან (მასალა)“ სამხრეთ კავკასიური ენების „ივერიულ ჯგუფში“ შემდეგ ერთეულებს გამოყოფს: 1. საკუთრივ ქართული, 2. მეგრული, 3. ლაზური და 4. სვანური. ავტორი მეგრულს, ლაზურს და სვანურს ქართული ენის დიალექტებად მიიჩნევს (ჭარაია 1997: 204).

აკაკი შანიძემ მეგრულ-ლაზური (ჭანური) მეტყველების აღსანიშნავად გამოიყენა გ.როზენის ტერმინი - „კოლხური ენა“. ის პირველია მათ შორის, ვინც შეეცადა, აკადემიური საფუძვლით დაეჯგუფებინა ქართველური ქვესისტემები; კერძოდ, მკვლევარმა საკუთრივ ქართული ენის კილოები დააჯგუფა მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის პრეფიქსების ხმარების წესის მიხედვით და გამოყო ორი მთავარი ჯგუფი:

I. აღმოსავლური: ქართლური, კახური, ქიზიყური, ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, ხევსურული, მოხეური, თუშური.

II. დასავლური: იმერული (ზემო და ქვემო), გურული, რაჭული (შანიძე 1920, §62: 144).

სანდო მასალის არქონის გამო კლასიფიკაციაში ვერ მოხვდა ქართული ენის სხვა კილოები. მოგვიანებით ა. შანიძე დიალექტთა სხვაგვარ კლასიფიკაციას გვთავაზობს; წინა კლასიფიკაციისაგან განსხვავებით, მან დიალექტები დააჯგუფა **სამწიგნობრო ქართულთან და ერთმანეთთან სისტემური მსგავსების მიხედვით**; გამოყო ექვსი ჯგუფი:

1. ფხოური: ხევსურული, მოხეური, თუშური (მათ შემონახული აქვთ მრავალი არქაული მოვლენა);
2. მთიულურ-ფშაური (ორივეს ბევრი საერთო აქვს ფხოურ დიალექტებთან: მთიულურს – მოხეურთან, ფშაურს – ხევსურულთან; ამ ჯგუფის დიალექტებთან ზოგიერთ მსგავსებას ავლენს ზემორაჭული);
3. ქართლურ-კახური (ორივე ახლოსაა თანამედროვე სალიტერატურო ქართულთან; ქართლურთან ახლოსაა მესხური და ჯავახური, ხოლო კახურთან – ქიზიყური);
4. დასავლური ჯგუფი: იმერული (ზემო-, შუა- და ქვემოიმერული), გურული და რაჭული;
5. სამხრეთ-დასავლური ჯგუფი: აჭარული და იმერხეული.
6. ინგილოური (შანიძე 1957: 828-832).

შოთა ძიძიგურის ქართული დიალექტების რიცხვში არ ასახელებს ზანურ და სვანურ კილოებს, მაგრამ ა. შანიძის ჩამონათვალს ამატებს ფერეიდნულს. ამასთან, ორ დიალექტად განიხილავს მთარაჭულსა და ქვემორაჭულს; სამწიგნობრო ქართულთან და ერთმანეთთან **სისტემური მსგავსების** მიხედვით ქართული ენის დიალექტების ხუთ ჯგუფს წარმოადგენს:

1. ინგილოური, ფერეიდნული;
2. თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულური, მთარაჭული;
3. კახური, ქართლური, მესხური;
4. ზემოიმერული, ქვემორაჭული, ქვემოიმერული;
5. გურული, აჭარული, იმერხეული (ძიძიგური 1935).

ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიას, ი. ქავთარაძის თანაავტორობით გამოცემულ ქართული დიალექტოლოგიის I ტომში (1961) ქართველთა დიალექტებში

დასახელებული არ არის მეგრულ-ლაზური და სვანური; სხვა კილოები კი ჩამოთვლილია ძირითადად ეთნოგრაფიული კუთხეების მიხედვით. ქართული ენის კილოების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

ხევსურული, მოხეური, მთიულური, გუდამაყრული, თუშური, ფშაური, თიანური, ყიზლარ-მოზდოკური, კახური, ინგილოური, ფერეიდნული, ქართლური, ჯავახური, მესხური, იმერხეული, აჭარული, გურული, იმერული, ლეჩხუმური, რაჭული (სულ 20 დიალექტური ერთეული).

არნ. ჩიქობავა ქართული ენის დიალექტებს გავრცელების არეალის რელიეფის - ლანდშაფტის, კერძოდ, მთისა და ბარის მიხედვით აჯგუფებს; გათვალისწინებულია სამწიგნობრო ქართულთან და ერთმანეთთან სისტემური მსგავსებაც; კლასიფიკაცია ასე გამოიყურება:.

I. ბარის კილოები: ქართლური (მესხურ-ჯავახურითურთ), კახური (ქიზიყურითა და ინგილოურით), იმერული (ლეჩხუმურით), გურული, აჭარული, იმერხევური, ფერეიდნული.

II. მთის კილოები: ხევსურული, თუშური, ფშაური, მთიულური (გუდამაყრულითურთ), მოხეური, რაჭული.

მთისა და ნაწილობრივ ბარის კილოებს უკავშირდება მოზდოკისა და ყიზლარის ქართველთა მეტყველება (ჩიქობავა 1965: 5-6).

გ. ნებიერიძე ლინგვისტური კრიტერიუმით, კერძოდ, ხმოვანთკომპლექსთა ცვლილების მიხედვით, ქართველურ ქვესისტემებს (ზანურ-სვანური კილოების გამოკლებით) ექვს დიალექტურ ჯგუფს გამოყოფს:

1. ძველი ქართული, გლოლური, მთარაჭული;
2. ქართული სალიტერატურო ენა, ქართლური, კახური, ქიზიყური, თიანური, ზემო აჭარული;
3. ხევსურული, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, ფშაური, ინგილოური, ფერეიდნული;
4. ზემო და შუაიმერული, ლეჩხუმური, ქვემორაჭული და იმერხეული;
5. ქვემო იმერული და თუშური;
6. გურული და აჭარული (ნებიერიძე 1965: 21) .

ბ. ჯორბენაძე 1989 წელს გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ქართული დიალექტოლოგია“ (ტ. I) ქართული ენის დიალექტებს აჯგუფებს სხვა მეცნიერების მიერ გამოყენებული თითქმის ყველა კრიტერიუმის შეჯერებით: გეოგრაფიული მხარეების მიხედვით დიალექტებს ყოფს ორ ჯგუფად, ქვეჯგუფებს კი გამოყოფს ლანდშაფტის, „ეთნიკური“ ნიშნისა და სამწიგნობრო ქართულთან თუ ერთმანეთთან სისტემური მსგავსება-განსხვავების მიხედვით:

I. აღმოსავლეთ საქართველოს კილოები:

- ა) მთის დიალექტები: ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული;
- ბ) ბარის დიალექტები: ქართლური, კახური, ინგილოური, ფერეიდნული;
- გ) სამხრეთ-დასავლური დიალექტი: მესხურ-ჯავახური.

II. დასავლეთ საქართველოს კილოები:

- ა) ზემო ზონის დიალექტი: რაჭული;
- ბ) შუა ზონის დიალექტები: იმერული, ლეჩხუმური;
- გ) ქვემო ზონის დიალექტები: გურული, აჭარული (ჯორბენაძე 1989: 216-220).

ქართველურ ენა-კილოთა დაჯგუფების რამდენადმე განსხვავებულ ვარიანტს წარმოგვიდგენს მ. ნაჭყებია. მკვლევარი თანამედროვე ქართულ ენას უწოდებს ქართველურ ენას და ამ ენის ველში სამწიგნობრო ქართულის გარდა „ისტორიულ-ტრადიციული“ და „ლინგვისტურ-გეოგრაფიული“ საფუძვლის მიხედვით გამოყოფს ხუთ დიალექტურ ჯგუფს:

- ა) ქართველური ენის ზანური ჯგუფი (დიალექტები): მეგრული, ჭანური.
- ბ) ქართველური ენის სვანური ჯგუფი (დიალექტები): ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლენტეხური, ლაშხური, ჩოლურული.
- გ) ქართველური ენის დასავლური ჯგუფი (დიალექტები): რაჭულ-ლეჩხუმური, გურული, იმერული, აჭარული.
- დ) ქართველური ენის აღმოსავლური ჯგუფი (დიალექტები): ქართლ-კახური, ქართლურთან ახლოს დგას მესხურ-ჯავახური (სამცხურ-ჯავახური), კახურთან - ქიზიყური.
- ე) ქართველური ენის ფხოვური ჯგუფი (დიალექტები): ხევსურული, მოხეური, თუშური, ფშაური, მთიულური (გუდამაყრულითურთ)“ (ნაჭყებია 2005: 68).

ქართული ენის დიალექტთა, კერძოდ, სამხრულ-დასავლური კილოების განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს პროფ. მ. ფაღავა. მეცნიერი ფონემატური სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე სამხრულ-დასავლურ კილოებში შემდეგ ერთეულებს გამოყოფს: აჭარული (თავისი კილოკავებით); შავშური (მაჭახლური და იმერხეული კილოკავებით); კლარჯული (იგივე ლივანური); ტაოური (ფაღავა 2004: 8-9).

გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე და ნ. ჭუმბურიძე ქართველურ იდიომთა ორგვარ კლასიფიკაცია არის წარმოგვიდგენილი გ. გოგოლაშვილის, ნ. შარაშენიძის, გ. ცოცანიძისა და ნ. ჭუმბურიძის ერთობლივ შრომაში „ქართული ენის მორფოლოგია. დიალექტები“; კერძოდ, გ. ცოცანიძის აზრით, „ქართულ საერთო სახალხო ენას აქვს არსებობის ორი ფორმა: ენის ლიტერატურული ფორმა და სახალხო მეტყველება“. მისივე შეფასებით, „ქართველთა სახალხო მეტყველება იყოფა 19 ადგილობრივ ნაირსახეობად; ესენია: ქართლური, კახური, თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულური, მესხური, აწარული, გურული, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, სვანური, მეგრული), ლაზური, ინგილოური, ფერეიდნული, იმერხეული ანუ კლარჯული (გოგოლაშვილი... 2016: 7).

გ. გოგოლაშვილი მიმოიხილავს ქართულ დიალექტთა დაჯგუფების ისტორიას და არგუმენტების გარეშე „მეცნიერული თვალსაზრისით“ მიუღებლად თვლის მარი ბროსეს თვალსაზრისს, რომელიც, სრულიად სამართლიანად, მეგრულს კახურისა და ქართლურის რანგში განიხილავდა. ის „ტრადიციულად“ მიიჩნევს საბჭოთა პერიოდში მიღებულ კვალიფიკაციებს: „ტრადიციულ დაჯგუფებას ქართული დიალექტებისას აქვს არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ მყარი ლინგვისტური საფუძველიც“. არ ითვალისწინებს ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორიას, ენისა და კილოს გამიჯვნის საერთაშორისო ველში არსებულ კრიტერიუმებს. მეცნიერი გვთავაზობს 3 დიალექტურ ჯგუფს: 1. დასავლური, 2. სამხრულ-დასავლური, 3. აღმოსავლური (გოგოლაშვილი... 2016: 25).

ტ. ფუტკარაძე ქართული ენის დიალექტების დასაჯგუფებლად ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნად იღებს კულტურულ ცენტრთან სიმორე-სიახლოვეს. შიდა კლასიფიკაცია კი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების და სამწიგნობრო ენასთან თუ ერთმანეთთან სისტემური მსგავსება-განსხვავების მიხედვით განსაზღვრეს. კულტურულ ცენტრთან სიმორე-სიახლოვის მიხედვით კლასიფიკაცია გულისხმობს

სამწიგნობრო ენის მონაცემებთან კონკრეტული სამეტყველო ერთეულის (დიალექტის) ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურების მსგავსება-განსხვავებას; ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების და სამწიგნობრო ენასთან თუ ერთმანეთთან სისტემური მსგავსება-განსხვავება კი გვეხმარება მეტ-ნაკლები სიზუსტით განვსაზღვროთ დიალექტების გავრცელების არე. ამის გათვალისწინებით, მეცნიერთა მიერ შემოთავაზებულია დიალექტთა დაჯგუფების ასეთი სქემა: **მეგრულ-ლაზურ(ჭანურ)-სვანური, დანარჩენ ქართულ კილოებთან ერთად, წარმოდგენილია ქართული/ქართველური ენის ქვესისტემებად და არა დამოუკიდებელ ენობრივ სისტემებად.**

კერძოდ, ეთნიკურ ქართველთა კუთხურ მეტყველებებს **სამ ძირითად** ჯგუფად ყოფენ:

ცენტრალური კილოები - დიალექტები, რომლებიც სამწიგნობრო ენასთან მეტ სიახლოვეს ინარჩუნებენ ინტენსიური ურთიერთგავლენების გამო (პოლიტიკური, საგანმანათლებლო თუ საეკლესიო ცენტრების სიახლოვეს უფრო ძლიერია სამწიგნობრო ენის გავლენა).

განაპირა კილოები - დიალექტები, რომლებიც მეტ-ნაკლებად დაშორებულნი არიან სამწიგნობრო ქართულს;

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული კილოები.

ქვემოთ წარმოდგენილ კლასიფიკაციას აქვს ლოგიკურობის პრეტენზია, მაგრამ როგორც ზემოთ განხილული ყველა დაჯგუფება, ესეც გარკვეულწილად პირობითია:

I. ცენტრალური კილოები: კახური, ქართლური, იმერული, ლეჩხუმური, გურული.

II. განაპირა კილოები:

ა) მესხური კილოები: აჭარული, ლივანური, მაჭახლური, იმერხეული (შავშური), ტაოური, სამცხური, ჯავახური.

ბ) ფხოური კილოები: ჩადმა-თუშური, წოვა-თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული.

გ) რაჭული კილოები: ბარის რაჭული, მთარაჭული .

დ) ჰერული კილოები: კაკური, ალიაბათური.

ე) ზანური კილოები: მეგრული (აღმოსავლური - სენაკური, დასავლური - ზუგდიდურ-სამურზაყანოული), ლაზური (ხოფური, ვიწურ-არქაბული, ათინური).

ვ) სვანური კილოები: ლაშხური, ლენტეხური, ჩოლურული, ბალსქვემოური, ბალსზემოური.

III. საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული ქართველთა კილოები:

- ფერეიდნული დიალექტი (სპარსეთში შაჰ-აბასის მიერ გადასახლებულ ქართველთა მეტყველება).

- „ჩვენებურების ქართული“ (ბურსა-ინეგოლში, ადაფაზარ-იზმითში, გონენში, კაიზერის მიდამოებში... გადასახლებულ მუჰაჯირთა ქართული მეტყველება);

- ყიზლარ-მოზდოკსა და სოჭის მხარეში მცხოვრებ ქართველთა მეტყველება (ფუტკარაძე... 2018: 95).

ჩვენთვის მისაღებია აღნიშნული კლასიფიკაცია, სადაც სრულადაა წარმოდგენილი ქართველური ქვესისტემები და დაცულია ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობა.

3.3.2. ქართველურ ქვესისტემათა კლასიფიკაცია საერთოქართველურ ფონემატურ სტრუქტურასთან მიმართებით

ცნობილია, რომ მონათესავე ენობრივ ერთეულებს შორის არსებული ბგერათმესატყვისობანი ისტორიულად ჩამოყალიბებული მოვლენაა (მსჯელობისათვის იხ. შენგელია 1999). სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოქართველური ენისაგან დიალექტთა გამოყოფის დროისა და თანმიმდევრობის შესახებ აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. ერთი მოსაზრების მიხედვით, საერთოქართველურისაგან ჩამოყალიბდა ყოველთა ქართველთა სამწიგნობრო ენა და პარალელურად ჩამოიკვეთა ორი დიალექტური წრე:

ე. წ. სისინა თანხმოვნების მქონე დიალექტები: ქართლურ-კახურ-მესხურ-ფხოურ-ჰერული კილოები.

ე. წ. შიშინა თანხმოვნების მქონე დიალექტები: ზანურ-სვანური კილოები.

იხ., მაგ, არნ. ჩიქობავა: „აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით, ქართულის წყება სისინაა, ჭანურისა და მეგრულისა კი - შიშინა; არტიკულაციის, კერძოდ, ენის მონაწილეობის მიხედვით მათ შორის შემდეგი განსხვავებაა: ს, ზ, ძ, წ, ც წარმოებისას ენის წვერი იღებს მონაწილეობას ბგერის არტიკულაციაში, შ, ჟ, ჯ, ჭ, ჩ-ს წარმოებისას კი იმავე როლში წინა ენის ზურგი გამოდის. ამას კი არტიკულაციის უკან გადაწევით ხსნის“ (ჩიქობავა 1938 : 6-7). მეგრულ-ჭანურის მსგავსია სვანურის ვითარებაც.

შდრ.: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი საერთოქართველურ ფონოლოგიურ სისტემაში გამოყოფს სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა სამი რიგის არსებობას:

1. წინა-სიბილანტური (სისინა): *ზ, *ს, *ძ, *ც, *წ;
2. შუა-სიბილანტური (სისინ-შიშინა): *ზ₁, *ს₁, *ძ₁, *ც₁, *წ₁;
3. უკანა-სიბილანტური (შიშინა): *ჟ, *შ, *ჯ, *ჩ, *ჭ (გამყრელიძე... 1965 :7).

ჩვენ ვიზიარებთ არნ. ჩიქობავას სკოლის მიდგომას. დროთა განმავლობაში, შიშინა კილოების ერთ ნაწილში სხვა ენობრივ ცვლილებებთან ერთად, რიგ შემთხვევაში, განხორციელდა ა-ს ლაბიალიზაცია ო-დ და ე-ს დეპალატალიზაცია; შედეგად მივიღეთ თანამედროვე ზანური დიალექტები. ჩრდილოკავკასიელ ეთნოსთა მეზობლად მცხოვრებ შიშინა ზანურ-სვანურ კილოზე მოლაპარაკე ქართველთა მეტყველებაში სხვა ენობრივ (ფონეტიკურ, მორფონოლოგიურ, მორფოლოგიურ...) პრინციპებთან ერთად განხორციელდა თანხმოვანთა და ხმოვანთა პალატალიზაცია (და სხვა მოვლენები), რამაც სათავე დაუდო სვანთა დიალექტების წარმოქმნას (სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ. ფუტკარაძე 2005). საერთო ენობრივი სისტემისაგან დიალექტური ვარიანტის ფორმირება ხანგრძლივი ფონეტიკური პროცესების შედეგია, ამდენად, ლოგიკურია, დავუშვათ, რომ ამოსავალი ფონემის კანონზომიერი და რეგულარული დიალექტური ბგერითი ვარიანტები ერთ ისტორიულ-ქრონოლოგიურ მონაკვეთში ჩამოყალიბდა. მაგ., საერთოქართველური *ს ფონემისაგან ზანურ-სვანური შ-ს წარმოქმნის პროცესი ერთდროულად განხორციელდა სუანი>შონი, ასი>ოში სიტყვებში, კაცი-ის>კოჩ-იმ ფორმანტებშიც და ქუთაისის საკუთარი სახელის კარგად ცნობილ ქართველურ ვარიანტშიც: ქუთაისი/ქუთეისი/ქუთეში/ქუთღშ (ფუტკარაძე 2005: 308-309).

მეცნიერის აზრით, დასავლურქართული (შიშინა) დიალექტური წრის ჩამოყალიბება შეიძლება დაუკავშირდეს ორ ისტორიულ მოვლენას:

- ძვ.წ. I ათასწლეულის დასასრულს ქართველური ტომებით დასახლებული ტერიტორია რამდენიმე სამეფოდაა წარმოდგენილი (პონტო, ლაზიკა, იბარია...); სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ველში მოქცევა აფერხებს ქართველური მოდემის თემთა (ეთნოგრაფიულ ჯგუფთა) კულტურულ თანაცხოვრებას; სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში უფრო კნინდება ქართული/ქართველური სამწიგნობრო-ოფიციალური ენის სტატუსი, შესაბამისად, აქტიურდება ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენები. ამიტომ ამ პერიოდიდან საერთოქართველური ენის აღმოსავლურ ვარიანტში გვაქვს პალატალიზებული ბგერების მქონე სპარსული ენის გავლენა (ძვ.წ. II საუკუნეში მტკვარ-არაქსის აუზში მძლავრობენ სპარსული ტომები), დასავლურ ქართველურ ზეპირ მეტყველებაში კი პირიქით: **აქტიურდება** წინაენისმიერი ლაბიოველარიზებული ბგერებისაგან ველარიზებული ჰარმონიული კომპლექსების (**ჟგ, შქ, ჯგ, ჩქ, ჭკ...**) წარმოქმნა, ლაბიოველარიზებულ **ძ,ც, წ, ზ, ს** ბგერებისაგან **ჯ, ჩ, ჭ, ჟ, შ** ფონემების ფორმირება. შემდეგ ეტაპზე დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობის მეტყველებაში მომიჯნავე თანხმოვანთა ლაბიალური კომპონენტის მონაწილეობით ხორციელდება **ა>ო, ე>ა** გადაბგერება; მთის მოსახლეობის მეტყველებაში ხმოვანთა ლაბიალიზაციის პროცესს აფერხებს (და ცვლის) პალატალიზაცია, რომელიც ახასიათებს სვანეთის მოსაზღვრე ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების ენებს (ფუტკარაძე 2005: 315-316).

3.3.3. ქართველურ ქვესისტემათა კლასიფიკაცია იზოგლოსების მიხედვით

სამეცნიერო ლიტერატურაში კილოთა დაჯგუფებისას გამოყენებულია დიალექტური მოვლენის გავრცელების არეალის ამსახველი **იზოგლოსები**.

3. გლისონის განმარტებით, დიალექტური ნაირსახეობანი განიხილება ენაში ვარიაციულობის პრობლემასთან დაკავშირებით. ენას საერთოდ ახასიათებს ვარიანტების (ნაირსახეობების) პოვნირება... ამ ვარიანტებს შორის სხვაობა დიდი არ არის, ისინი იწოდებიან დიალექტებად, არსებითი ხასიათის სხვაობისას კი - ენებად. ენობრივი ცვლილებები მოსახლეობის მეტ-ნაკლებად ჰომოგენურ ჯგუფში ყველაზე

უფრო ხელმისაწვდომად შეიძლება დახასიათდეს რუკაზე **იზოგლოსების** აღნიშვნითა და მათი მოძრაობის (გადანაცვლების) ჩვენებით. იზოგლოსები არსებითად სტატისტიკური აბსტრაქციებია, რომლებიც მხოლოდ იმას გვიჩვენებენ, რომ მოპოვებული ფაქტების საფუძველზე რუკის შემდგენელი მივიდა, ვთქვათ, ასეთ დასკვნამდე: ამ ხაზის (იზოგლოსის) ერთ მხარეს მეტად გავრცელებულია ერთი ტიპის გამოთქმა, მის საზღვრებს გარეთ კი - სხვაგვარი; ანუ: იზოგლოსა არის მეტყველების თავისებურებათა ტერიტორიული ცვალებადობის (მონაცვლეობის) გრაფიკული გამოხატვის საშუალება. იზოგლოსათა კონა კი მიგვითითებს მეტყველების შედარებით უფრო, არსებით ცვლილებებზე ამა თუ იმ ზონაში, ანუ: მიგვანიშნებს საკუთრივ დიალექტების საზღვრებზე. ეს საზღვრები არასდროს მკვეთრად არ გადადის ერთმანეთში, გადასვლა უმეტეს წილ თანდათანობით ხდება (ჯორბენაძე 1989: 115-116).

გერმანელი მეცნიერი **იოჰენ მიულერი** მსჯელობს **იზოგლოსების** შესახებ. ორი მეზობელი დასახლების გამოყენებულ სიტყვაში აღმოჩენილი სხვაობები **იზოგლოსებად** აღინიშნება რუკაზე. ასე იქმნება ენობრივი რუკები. ამ იზოგლოსების თანახმად შესაძლებელია მომიჯნავე დიალექტებს შორის საზღვრების დადგენა. რაც უფრო მეტი იზოგლოსა შეიმჩნევა ორ ადგილს შორის გავლებულ ერთ ხაზზე, მით უფრო მაღალია ენობრივი საზღვრების კატეგორია ამ ადგილებს შორის. ხოლო განსხვავებების დიდი რაოდენობით აღმოჩენის შემთხვევაში შეიძლება ორ დიალექტს შორის საზღვრის დადგენა, თუმცა ეს არ არის მყარი უძრავი ზღვარი, რომლის გადალახვაც მოსახლეობის ენას უცებ რადიკალურად შეცვლის, არამედ ეს გადასვლები ბუნებრივად ხდება და სხვა იზოგლოსების განსაზღვრისათვის გამოდგებიან. თუმცა გარკვეული განსხვავებები იქმნება თვით ერთი პატარა რეგიონის მასშტაბით, რაც განპირობებულია მოსაუბრე ჯგუფის ასაკით, ან კიდევ სოციალური ფაქტორებით. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თითქმის არ არსებობს ერთი საერთო წესი თვით ერთი დიალექტის ფარგლებში. შესაბამისად, იზოგლოსების აღმოჩენა ერთი დიალექტის ფარგლებშიც არის შესაძლებელი. ასე რომ ასეთი სხვაობანი ერთი სოფლის მახასიათებლადაც შეიძლება ჩავთვალოთ (მიულერი 2003).

სალიტერატურო ენა და მისი მიმართება დიალექტურ მეტყველებასთან **იზოგლოსების** მიხედვით საგანგებოდ არის შესწავლილი „პრადის ლინგვისტური

წრის თეზისებში“, რომელშიც ცალკე მონაკვეთები ეძღვნება სალიტერატურო ენისა და ლინგვისტური გეოგრაფიის პრინციპებს. მათი აზრით, ენობრივ მოვლენათა ტერიტორიული ლოკალიზაცია არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ცალკეული ავტონომიური იზოგლოსების (ანუ: ენობრივი თავისებურებების) ანარქია. იზოგლოსები ხშირად გადაიკვეთებიან ხოლმე, ემნიან კონებს, რაც შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს, როგორც ენობრივი ინოვაციების გავრცელების ცენტრი (წყარო), ასევე მისი (გავრცელების) პერიფერიები (ჯორბენაძე 1989: 113).

ენობრივი მოვლენის გავრცელების გეოგრაფიის მიხედვით ქართული კილოები პირველად დააჯგუფა ა. შანიძემ; დიალექტების ამგვარი კლასიფიკაცია მეტად პირობითია, რამდენადაც ლინგვისტურ რუკაზე იზოგლოსების მიხედვით დიალექტების იმდენნაირი დაჯგუფება შეიძლება მივიღოთ, რამდენი განსხვავებული ენობრივი მოვლენაც გვაქვს; ქართველური დიალექტების ასეთი დაჯგუფება საინტერესოა კონკრეტული ენობრივი მოვლენის გააზრებისას, თუნდაც დიალექტის შიგნით კილოკავების გამიჯვნისას და არა დიალექტების ზოგადი კლასიფიკაციისას.

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, იზოგლოსების შესწავლის გზით შესაძლებელი ხდება წარმოვიდგინოთ ზოგად ხაზებში საერთოქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციისა და მის წიაღში დამოუკიდებელ ქართველურ ენათა ფორმირების სურათი:

„ქართველურ დიალექტთა შორის გენეტურ მიმართებათა დასადგენად უნდა დავემყაროთ არა მარტო ფონოლოგიურ, არამედ აგრეთვე მორფოლოგიურ და **ლექსიკურ იზოგლოსებსაც**“ (გამყრელიძე... 1965: 4-5).

დიალექტური მოვლენის გავრცელების არეალის ამსახველი იზოგლოსების მიხედვით ყველა ენის დიალექტები შეიძლება დაჯგუფდეს, მაგრამ ასეთი დაჯგუფება ნაირგვარი შეიძლება იყოს; მაგ., ორი ენობრივი მოვლენის (მიცემითი ბრუნვის გამოხატვა და მეოთხე სერიის ფორმათა წარმოება) მიხედვით სრულიად განსხვავებულად დაჯგუფდება ქართველური დიალექტები. ნიმუშად განვიხილოთ ეს ორი შემთხვევა:

მიცემითი ბრუნვა როგორც თანამედროვე, ისე არქაულ სამწიგნობრო ქართულში -ს, -სა, 0 ალომორფებით არის გაფორმებული (განურჩევლად ფუძის დაბოლოებისა).

ისინი გარკვეულ პოზიციებში იხმარება. ძირითადია -ს ალომორფი (მხოლოდითსა და მრავლობითში): ქალ-ს, კაც-ს... ქალ-ებ-ს, კაც-ებ-ს...

სამეცნიერო ლიტერატურაში მიცემითი ბრუნვის -ს ნიშნის ალომორფად განიხილავენ ა ემფატიკურხმოვნიან -სა ვარიანტს (ა.ონიანი, თ.უთურგაიძე...).

ქართველურ ქვესისტემებში, სამწიგნობრო ქართულის მსგავსად, მიცემითი ბრუნვის ძირითადი ფორმანტია -ს სუფიქსი, რომელიც შემდეგი ფონეტიკური ნაირსახეობებით გვხვდება: -ს-ა, -ჰ, -~ (/~ს, ~ჰ, ~ჰს), -ც, 0.

მაგ.: წყარ-ს „წყალს“, ოსურ-ს „ქალს“, ბოში-ს „ბიჰს“, ბჟა-ს „მზეს“, თუთა-ს „მთვარეს“ (მეგრ.); კოჩი-ს „კაცს“, ოსურე-ს „ქალს“, ბერე-ს „შვილს“, კუჩხე-ს „ფეხს“ (ჭან.); მარა-ს „კაცს“, ჟელ-ს „ძალს“, ხოჩა-ს „კარგს“ (სვან.)...

-ს, -სა ვარიანტები ძირითადად სამწიგნობრო ქართულის იდენტურ პოზიციებში იხმარება.

0 (ნული) მორფემა, გარდა ზემოთ დასახელებული შემთხვევებისა, დიალექტებში (კახ., ქართლ., აჭარ., ჯავახ., კაკ., იმერ., რაჭ., ლაშხ., ლენტ., მეგრ.) რეალიზდება, აგრეთვე, ისეთ პოზიციაში, სადაც სამწიგნობრო ქართულში -ს ყოველთვის არის წარმოდგენილი, კერძოდ, თანხმოვანფუძიან სახელებთან, მაგ.: ას ნაბიჯზე კვერცხ-0 არტყამდა, ირმებ-0 ქამანდო იჭერდა (ქართლ.); პოლ-0 რეცხენ, ჩედიან ქორწილ-0 (კაკ.); ცხენ-0 სამოვარი მისცა, თათრებ-0 დაუძახა, ხურჯინ-0 პირი მოხსნა (ჯავახ.); მატყუარა ხალხ-0 ვერ იპონი იქა. ვექსილ-0 დოუწერდენ (ზ.იმერ.); მეზობლეფ-0 დურიგეს, კარდლეფ-0 მჟაკალიეფ (ზ.აჭარ.); იმა-0 მოყვებიან (რაჭ.)...

-ს > -~ ვლინდება: ქართლურში, კახურში, ინგილოურში, მაგ.: ბზე-~ რაღა-~ უზამ? (ქართლ.); იმა-~ უთხრა (კახ.); ენა~ ნუ უგდევ „ენას ნუ იჩლექ, ფენავს სუფრა~, იწყოვენ სახელეფ დადმა~ (ინგ.).

-ს > -ჰ გვხვდება სამცხურ-ჯავახურში: რას>რაჰ, ძმას>ძმაჰ, ხელმწიფეს>ხემწიფეჰ... (ჯორბენაძე 1998: 550).

-ს > -ჰ > -~/~ს/~ჰ/~ჰს იხმარება ზოგ კილოში (ქართლ., მთიულ.), მაგ.: დედას> დედაჰ>დედა~/დედა~ს/დედა~ჰ/დედა~ჰს (ქართლ.), სიზმარას > სიზმარა~ს (მთიულ.). ამ შემთხვევაში -~ს, -~ჰ, -~ჰს რთული ბგერებია, რომელსაც შემართვა ~-სი აქვს, ხოლო დამართვა ს-ს ან ჰ-სი. -ს > -ჰ .

ამგვარად, ქართველურ ქვესისტემებში, სამწიგნობრო ქართულის მსგავსად, მიცემითი ბრუნვის ძირითადი ფორმანტია -ს სუფიქსი და ის საერთოქართველურ მონაცემს წარმოადგენს. დანარჩენი ალომორფები ფონეტიკური ცვლილების შედეგად არის მიღებული. შესაბამისად, ქართველური ქვესისტემები მიცემითი ბრუნვის ნიშნის ალომორფების გავრცელების არეალის ამსახველი იზოგლოსების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად დაიყოფა.

IV სერიის ფორმათა მიხედვით ქართველური ენა-კილოების დაჯგუფება კი განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს:

ქართველურ ქვესისტემებში დამოუკიდებელი უღვლილების ერთეულებად გამოყოფილია **ნა-/ნო-** პრეფიქსიანი ზმნური ყალიბები. ამგვარი ფორმები გვაქვს: მეგრულში, იმერულში, გურულში, ლეჩხუმურში, რაჭულში და სვანურ კილოებში. აღნიშნული წარმოების ყალიბები საერთოქართველური წარმომავლობისაა.

ნო- პრეფიქსიანი ფორმები მეგრულში ცალკე სერიად გამოყო გ. როგავამ და მეოთხე სერიის ჯგუფში გააერთიანა, უწოდა აწმყოს თურმეობითის მწკრივები. კერძოდ, მეგრულში მეოთხე ჯგუფში შემდეგი მწკრივები შევიდა: III თურმეობითი, IV თურმეობითი, IV კავშირებითი, IV პირობითი (როგავა 1953: 23).

მეგრული **ნო-** პრეფიქსიანი აწმყოს თურმეობითის ანალოგიური წარმოება გვაქვს დასავლეთ საქართველოს დიალექტებში, კერძოდ, იმერულში, ლეჩხუმურში, რაჭულში, გურულში (ძიძიგური 1938: 129-130; ალავიძე 1941: 234; ძოწენიძე 1973: 91-92; კახაძე 1954: 173-174), სადაც **ნა-** პრეფიქსით ნაწარმოები სამი მწკრივი გამოიყოფა: III თურმეობითი, IV თურმეობითი, IV კავშირებითი. იმერ., ლეჩხ., რაჭ., გურ. **ნა-** პრეფიქსიანი ყალიბი მეგრ. **ნო-** პრეფიქსიანი ყალიბის იდენტურია როგორც წარმოების, ისე მნიშვნელობის თვალსაზრისით: **ნა-** პრეფიქსიანი წარსული **დროის მიმღობა + მეშველი ზმნა (ა<არს).**

IV სერია გამოიყოფა **სვანურ კილოებშიც**. წარმოდგენილია ორი მწკრივით: III თურმეობითი, IV თურმეობითი (როგავა 1953; ჭუმბურიძე 1986; ონიანი 1998; შდრ. თოფურია 1967: 130-136).

IV სერიის ფორმებს გამოყოფენ ჭანურშიც (ქირია..., 2015: 576, 584).

მაშასადამე, აწმყოს თურმეობითის სპეციფიკური წარმოება დამახასიათებელია არა მხოლოდ მეგრულ-იმერული... კილოებისათვის, არამედ ჭანური და სვანური

კილოებისთვისაც; ე.წ. IV სერიის ფორმები საერთოქართველური მოვლენა ჩანს და არა რომელიმე დიალექტის ან დიალექტური ჯგუფის კუთვნილება; შდრ.:

ვარაუდობენ, რომ ნა- პრეფიქსიანი ფორმები ქართული ენის დასავლურ დიალექტებში მეგრულის გავლენით არის დამკვიდრებული (ჩიქობავა 1936: 146). ამგვარი აზრის გაზიარების შემთხვევაში ძნელი ასახსნელია ნო- > ნა- პროცესი. ბგერათშესატყვისობის ცნობილი კანონზომიერების საფუძველზე უფრო ლოგიკურია ვივარაუდოთ პირუკუ პროცესი: ნა- > ნო-;

„თეორიულად მართლაც არსებობს ალბათობა იმისა, რომ მეგრ. ნო- პრეფიქსიანი ყალიბი იყოს ამოსავალი იმერ.-ლექს.-რაჭ. ნა- პრეფიქსიანი ფორმებისათვის (ამ შემთხვევაში ნა- პრეფიქსიანი წარმოება მეგრ. ნო- პრეფიქსიანი ფორმების სემანტიკური კალკირების შედეგად უნდა მივიჩნიოთ), მაგრამ აქვე დაისმის სვან. IV თურმეობითისა და მეგრ. III თურმეობითის მიმართების საკითხიც; მეგრულის უწინარესობის დაშვებით სვან. ლH- მეგრ. ნო- პრეფიქსის ფონეტიკური ვარიანტი გამოდის... ვფიქრობთ, სვან. ლH- მომდინარეობს ლა- პრეფიქსისგან, რომელიც საერთოქართველური ნა-/სა-ს ეკვივალენტი ჩანს” (დადიანი... 2018: 95).

რ. შეროზიას აზრით, მეგრ. ნო- პრეფიქსიანი ფორმები მას შემდეგ გაჩნდა, რაც მეგრული და ჭანური ერთმანეთს დაშორდა (შეროზია 2004: 86).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ქართველური კილოები IV სერიის ფორმათა იზოგლოსების მიხედვით ორ ჯგუფად შეიძლება დაჯგუფდეს:

I. მეგრული, იმერული, ლექსუმური, რაჭული, სვანური (რომლებსაც ახასიათებს აწმყოს თურმეობითის ფორმები);

II. ლაზური, აჭარული, გურული, იმერხეული, ტაოური, სამცხური, ჯავახური, ქართლური, კახური, თუშური, ინგილოური, ფერეიდნული... (სადაც არ გვხვდება აწმყოს თურმეობითის ფორმები) (ფუტკარაძე 2009: 31-34).

ქართველური ენა-კილოების დაჯგუფება ასევე შესაძლებელია სხვადასხვა იზოგლოსების მიხედვით.

დასკვნითი დებულებები

მსოფლიოში არსებულ ენათა რაოდენობა ზუსტად არ არის განსაზღვრული. ამის მიზეზი მარტივია: მოცემული იდიომის კვალიფიკაციისას სხვადასხვა მკვლევარი თუ ექსპერტი სხვადასხვა კრიტერიუმს იყენებს. ძირითადად ჭირს უმწიგნობრო ენისა და დიალექტის გარჩევა. არაიშვიათია მეტყველების სტატუსის განსაზღვრა მოცემული სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესის შესაბამისად. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მსოფლიოში არსებული იდიომების (/მეტყველებების) ენად თუ კილოდ სახელდების მოტივაციის შესწავლა მრავალი მიმართულებითაა საინტერესო. აზრთა სხვადასხვაობაა ქართველური იდიომების კვალიფიკაციის მიმართულებითაც, არადა, თანამედროვე რეალობაში ქართველური ენა-კილოების ცალსახა კვალიფიკაციის საკითხს აქტუალურს ხდის 1999 წელს საქართველოს მიერ ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულება „რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიკაციის შესახებ.

კვლევის პროცესში ჩატარებული ანალიზი შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს:

1. ქართველური ენობრივი სამყაროს შემადგენლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არ დასტურდება ქართული მრავალსაუკუნოვანი წერილობითი ძეგლების მიხედვით; კერძოდ, „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“; „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“ და სხვა წყაროების მიხედვით ქართველებს ერთი სამწიგნობრო ენა და მრავალი კუთხური კილო აქვს.
2. უძველესი დროიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე ცნობილი **საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები** (სულხან-საბა, ვახუშტი ბაგრატიონი, ილია, აკაკი, ი.გოგებაშვილი, დ. ბაქრაძე, ს. მესხი, რ. ერისთავი, მ. ჯანაშვილი, ს. ხუნდაძე, ვ. გუნია..) იზიარებდნენ შეხედულებას, რომ ქართველები ერთადერთ ენაზე ლაპარაკობენ, ხოლო მეგრული, ლაზური და სვანური ქართული ენის ისეთივე დიალექტებია, როგორც ქართლური, კახური, იმერული, გურული, ხევსურული, ფშაური... მე-19

საუკუნის 90-იანი წლების პრესაში („ივერია“, „დროება“, „კვალი“, „მოამბე“, „კომუნისტი“ და სხვა) გამართული დისკუსიებიდან ჩანს, რომ ქართველი მეცნიერები, მწერლები მეგრულს და სვანურს კილოებად განიხილავდნენ.

3. მეფის რუსეთის იმპერიაში საქართველოს იძულებით ყოფნის დროს ჩნდება მოსაზრება, რომ მეგრული, ლაზური და სვანური დამოუკიდებელი უმწერლობო ენებია. საბჭოთა პერიოდის დასაწყისიდანვე უფრო აქტიურდება ეს თემა; მეტიც, დაიწყო ფართომასშტაბიანი დისკუსია სამეგრელოსა და სვანეთში მეგრულად და სვანურად სწავლების აუცილებლობის შესახებ. დისკუსია დასრულდა არნ. ჩიქობავას მიერ მომზადებული მნიშვნელოვანი დასკვნებით:

ა) „საბჭოთა საქართველოს მშრომელთათვის (მხედველობაში გვყავს ქართული გვარტომობის მოსახლეობა) მეცნიერებისა და ლიტერატურის ენა იყო და არის ქართული ენა, საქართველოს სახელმწიფო ენა. სოციალისტური მშენებლობისა და კულტურული რევოლუციის ენა“ (უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი - ფ. 300, ა.12, ს. 26, ფურც. 44-47).

ბ) „ძირითადი პედაგოგიური საკითხი, რომელიც ამჟამად ისმის, ამ ხასიათისა არის: წარმოადგენს თუ არა მეგრულად მოლაპარაკე ბავშვებისთვის ქართული ისეთ იარაღს, რომელიც მის ბუნებრივ განვითარებას ზღუდავს? უნდა ითქვას, რომ ფსიქოლოგია მეგრულ მეტყველებისა იმდენადვე ახლო სდგას ქართულთან, რამდენად ახლო სდგას ქართულთან რომელიმე ხევსურის ფსიქოლოგია. იმდენადვე მეგრულად მოლაპარაკე ბავშვებისათვის ქართული ენა ნორმალურ იარაღს წარმოადგენს, როგორც ვსთქვი, წარმოადგენს იმავე ხევსურისათვისა, სვანისათვის. ქართული ენა მეგრული და სვანი ბავშვების ნორმალური განვითარებისათვის ისეთივე ბუნებრივი და პედაგოგიურად მიზანშეწონილი იარაღია, როგორც ხევსური და გურული ბავშვებისათვის“ (უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი - ფ. 300, ა.12, ს.26, ფურც. 1-6). „არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ სალიტერატურო ქართული ენა განსხვავდება (ზოგჯერ თვალსაჩინოდაც) თვით ქართული კუთხური მეტყველებისაგან (მაგ. თუშური, ხევსურული გურულისაგან). სალიტერატურო ქართულს თვით ქართულად მოუბარნიც სწავლობენ“ (უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი - ფ. 300, ა.12, ს.26, ფურც. 44-47).

გ) „ისტორიულად მეგრულის უფლებებისათვის იღვწოდა (ანბანის შედგენა და სხვა) თვითმპყრობელობა (იგულისხმება მეფის რუსეთი! - მ. თ.), ე.ი. სწორედ ის ძალა, რომლებიც ქართული ენის უფლებებს ხმავდა: მეგრულის უფლებებისათვის ზრუნვა ქართულის შევიწროების საშუალება იყო. კულტურულ-ისტორიულად საზოგადოებრივ-პოლიტიკურად მეგრული ენის უფლებების საკითხის გაჩენა საქართველოში ისევე წარმოუდგენელია, როგორც წარმოუდგენელია „დაჩაგრული მეგრული“. ამჟამად მეგრული ენის ქართული სალიტერატურო ენისათვის დაპირისპირება საუკეთესო შემთხვევაში არის ფეოდალური საქართველოს კუთხური კარჩაკეტილობის და წეწა-გლეჯის ფსიქოლოგიის რეციდივი“ (უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი - ფ. 300, ა.12, ს. 26, ფურც. 1-6)...

1933 წელს გამოქვეყნებული ამ დებულებების შემდეგ მეგრულად და სვანურად სწავლების საკითხი აღარ დასმულა, თუმცა, მეგრულ-ჭანურ და სვანურ იდიომებს დაუმკვიდრდათ „უმწერლობო ენების“ სტატუსი.

4. ქართველთა ენობრივი სამყაროს შესახებ დისკუსია განახლდა პოსტსაბჭოთა პერიოდში, კერძოდ, ქართველმა მეცნიერებმა (ტ. ფუტკარაძე, მ. ტაბიძე, თ. გვანცელაძე, რ. შეროზია, ე. დადიანი, მ. მიქაუტაძე, მ. ლაბაძე და სხვა) აღადგინეს საბჭოთა იმპერიის შექმნამდე გაბატონებული თვალსაზრისი: ქართველური ენობრივი სამყარო წარმოდგენილია ერთ ზოგადქართულ ენად და რამდენიმე დიალექტურ ჯგუფად. მათი შეხედულებები აისახა ცალკეულ გამოკვლევებში, ჟურნალ „ქართველურ მემკვდრეობასა“ და ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხებში“ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებში. პარალელურად, ამავე პერიოდში იბეჭდება 3/4 ქართველური ენის თვალსაზრისის მომხრე მეცნიერთა სტატიებიც. დისკუსია დღემდე გრძელდება. დისკუსიის გაგრძელების ერთ-ერთი მიზეზია ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერიუმების არასანდოობა. სამეცნიერო ლიტერატურაში აქტიურად განიხილება ენისა და კილოს გამმიჯნავი რამდენიმე კრიტერიუმი; კერძოდ, **ლინგვისტური კრიტერიუმები**: შიდასტრუქტურული: ბგერათშესატყვისობა, მორფოლოგიური ენობრივი სტრუქტურების მსგავსება-განსხვავება; ფუნქციური: დამწერლობის ქონა-არქონა, სტანდარტულობა, პრესტიჟულობა, სახელმწიფო ენის სტატუსი; რეესტრული კრიტერიუმი, თვითშეფასებითი კრიტერიუმი, სამწიგნობრო კულტურის შექმნაში მონაწილეობა... **ექსტრალინგვისტური კრიტერიუმები**:

გაგებინება, ენის სტატუსის განსაზღვრა რელიგიური და პოლიტიკური ნიშნით... ქართველ მეცნიერთა ნაწილი კრიტერიუმად თვლის გაგებინებას; ნაწილი - ბერათმესატყვისობას, ნაწილი - სამწიგნობრო ენის ისტორიასთან მიმართებას. უცხოელ მეცნიერთა დიდი ნაწილი თანხმდება, რომ ენობრივი ერთეულის სტატუსის განსაზღვრისას დიდ როლს ასრულებენ **კულტურული, სოციალური, ისტორიული** და პოლიტიკური ფაქტორები.

5. ქართული სინამდვილისათვისაც არსებითია კულტურულ-ისტორიული ფაქტორის გათვალისწინება: **ქართული სალიტერატურო ენა ეფუძნება საერთოქართველურ ენობრივ მოდელს**; ძველი ქართული ენა საერთოქართველური ენის უშუალო გაგრძელებაა: „განსხვავებით გერმანული, იტალიური, ესპანური და სხვა ენებისგან, ქართველთა სამწიგნობრო ენა საერთოქართველური ენის ბაზაზე შეიქმნა (და არა რომელიმე კილოს მიხედვით). საერთოქართველურთან მიმართებით ჩვენთვის ცნობილი ყველა ქვესისტემა შეცვლილია, გარდა სამწიგნობრო ქართული ენისა. არქაული სამწიგნობრო ქართული კი ფაქტობრივად სრულად იმეორებს საერთოქართველურ ენას (ტ. ფუტკარაძე). ქართული სამწიგნობრო ენა ყოველთვის ასრულებდა სახელმწიფოს ერთიანობის განმსაზღვრელ ფუნქციას; შესაბამისად, ქართული სამწიგნობრო ენის გაბატონებული მდგომარეობის ახსნა ე.წ. გერმანიის „ენობრივი იდეოლოგიის“ მსგავსი მიდგომით დიდი შეცდომაა. უზუსტობის ორი მიზეზი შეიძლება იყოს:

- ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორიის არცოდნა;
- მიზანმიმართული მცდელობა, გაყალბდეს ქართველთა ენობრივი ისტორია და პარალელურ მონაცემებად წარმოჩნდეს ამოსავალი საერთოქართველური ენობრივი სისტემა (რომელიც დაცულია სამწიგნობრო სახესხვაობაში) და მისგან განვითარებული ზეპირი (დიალექტური) სახესხვაობები.

6. **მეგრულ-ჭანური და სვანური მეტყველებები არ შეიძლება ჩაითვალოს უმწერლობო ენებად** იმის გამო, რომ სამწიგნობრო ქართულის ამ სახესხვაობების მფლობელთ სულ მცირე 16-საუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიცია აქვთ საკუთარ დედაენაზე; ქართული სალიტერატურო ენის შექმნაში თვისობრივად ერთნაირი მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კუთხის ქართველებმა: მეგრელებმა, ლაზებმა, სვანებმა,

აჭარლებმა, იმერლებმა, მესხებმა, მთიულებმა, მოხვევებმა... შესაბამისად, ქართველური ქვესისტემები ორ ძირითად ნაწილად დაიყოფა:

- მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენა;
- ქართველური ზეპირი იდიომები (/დიალექტები).

ქართველური დიალექტები კი შესაძლებელია დაჯგუფდეს სხვადასხვა კრიტერიუმით: ტერიტორიული პრინციპით (მაგ., სამწიგნობრო ენასთან სიმორე-სიახლოვის შესაბამისად), დიალექტური მოვლენის გავრცელების არეალის ამსახველი იზოგლოსების მიხედვით და სხვ.

დამოწმებული ლიტერატურა

ა. სამეცნიერო ლიტერატურა:

ადელუნგი 1793-1801 - Adelung J. (1793-1801). *Grammatisch-kritisches Wörterbuch der hochdeutschen Mundart. Mit beständiger Vergleichung der übrigen Mundarten, besonders aber der oberdeutschen.* 2., vermehrte und verbesserte Aufl. Leipzig, Bd. 3

ავალიანი... 2003 - ავალიანი ლ., ოდილავაძე ნ. (2003). ენობრივი სიტუაცია არაბულ ქვეყნებში, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. VII, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ამონი 1983 - Ammon U. (1983). *Vorbereitung einer Explizit-Definition von "Dialekt" und benachbarten Begriffen mit Mitteln der formalen Logik.* In: Klaus J. Mattheier (Hrsg.): *Aspekte der Dialekttheorie.* Tübingen

ამონი 1995 - Amoni U. (1995) *Die deutsche Sprache in Deutschland, Österreich und der Schweiz: Das Problem der nationalen Varietäten,* De Gruyter

ალტჰაუსი 1980 - Althaus H. (1980). *Lexikon der germanistischen Linguistik.* 2., vollst. neu bearb. und erw. Auflage, Tübingen

ბახი 1969 - Bach A. (1969). *Deutsche Mundartforschung; Ihre Wege, Ergebnisse und Aufgaben.* Heidelberg

ბელმანი 1986 - Belmann G. (1986). *Zweidimensionale Dialektologie.* In: Günter Bellmann (Hrsg.): *Beiträge zur Dialektologie am Mittelrhein.* Stuttgart

ბოედერი 2005 - ბოედერი ვ. (2005). *ენა და კილო ქართველოლოგიაში; ენათმეცნიერების საკითხები, № 1-2,* თბილისი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბატონიშვილი 1973 - ბატონიშვილი ვ. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა - ქართლის ცხოვრება,* ტ. IV, თბილისი

ბოლქვაძე 2007 - ბოლქვაძე თ. (2007). *ქართველური დიგლოსია:* კრ. ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამდეროვე მდგომარეობა, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს გამომცემლობა

ბუსმანი 2008 –Busman H. (2008). *Lexikon der Sprachwissenschaft*, Stuttgart

ბროსე 1834 - ბროსე მ. (1834). *L'art libareli ou grammaire georgienne (კელოვნება აზნაურობითი გინა ქართულისა ენისა თვთმასწავლებელი)*", პარიზი

გაბუნია 2004 - გაბუნია კ. (2004). *ქართველური ენების საკუთრივ ლინგვისტური და სოციოლინგვისტური კრიტერიუმების გამიჯვნისათვის*, ენათმეცნიერების საკითხები, №1, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

გაბუნია... 2010 - გაბუნია კ. ეზუგბაია ლ. ქირია ჭ. (2010). *ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში (ქართველური ენები)*, თბილისი, გამომცემლობა „საიმედო“

გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, ტ. I, ქუთ., 1913

გამსახურდია 1976 - გამსახურდია ზ. (1976). *წარმოუთქმელი სიტყვა ოქროს საწმისი*, №4, (ვიმოწმებ 2006 წელს მ. არჩვაძე-გამსახურდიას რედაქტორობით გამოქვეყნებული კრებულიდან „ოქროს საწმისი“, გვ. 406)

გამსახურდია 1983 - გამსახურდია კ. (1983). *თხზულებანი*, ტ. VII, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

გამყრელიძე... 1965 - გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ.(1965). *სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში*, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“

გვანცელაძე 2002 - გვანცელაძე თ. (2002). *ენათა კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები*, ქუთაისური საუბრები IX, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

გვანცელაძე 2003 - გვანცელაძე თ. (2003). *არის თუ არა გაგებინება ენის დიალექტისაგან გამიჯვნის კრიტერიუმი?* ენათმეცნიერების საკითხები, №2, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

გვანცელაძე 2006 - გვანცელაძე თ. (2006). *ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში*, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“

გვანცელაძე 2004 - გვანცელაძე თ. (2004). *აკადემიური პოლემიკა თუ იდეის დისკრედიტაციის მცდელობა?* ენათმეცნიერების საკითხები, №1, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

გვანცელაძე 2010 - გვანცელაძე თ. (2010). *ენა და ერი*, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, ტ. I, თბილისი, საქართველოს საპარტიარქოს გამომცემლობა

გვარამია... 2009 - გვარამია ვ., ციციშვილი გ. (2009). *„მეგრული საკითხი“*, თბილისი, გამომცემლობა „ლევა“

გვენცაძე... 1993 - გვენცაძე მ. ჭიჭინაძე ც. (1993). *გერმანული ენის ისტორია*, თბილისი, გამომცემლობა განათლება

გიგინეიშვილი... 1961 - გიგინეიშვილი ი. თოფურია ვ. ქავთარაძე ი. (1961). *ქართული დიალექტოლოგია*, I, თბ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

გიულდენშტედტი 1962 - გიულდენშტედტი ა. (1962) - *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, გერმანული ტექსტი თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., ტ. I - II

გიოტინგერი 2000 - Giocingeri, (2000). *Germaine Goetzinger, Lëtzebuergesch : eine Sprache geht ihren Weg: von „onst Däitsch“ zu „eis Sprooch“*. [Ausstellung] Centre National de Littérature, Maison Servais, Mersch, Luxembourg, Oktober 2000 - März 2001. Centre National de Littérature, Mersch, Luxembourg

გლუკი 2005 - Glück H. (2005). *Metzler Lexikon Sprache 3 Auflage*

გოგოლაშვილი 2008 - გოგოლაშვილი გ. (2008). *ქართველური ენობრივი სივრცე ი. გოგებაშვილის თვალთახედვით*, I რესპუბლიკური კონფერენციის ნაშრომები, ეძღვნება აკად. გ. ახვლედიანის ხსოვნას, წყალტუბო

გოგოლაშვილი... 2016 - გოგოლაშვილი გ. არაბული ა. (2016). *ახალი ქართული ენა*, ნაწილი 1, თბილისი, თსუ გამომცემლობის სტამბა

გოგოლაშვილი... 2016 - გოგოლაშვილი გ. შარაშენიძენ. ცოცანიძე გ. ჭუმბურიძე ნ. (2016). *თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია*, II. დიალექტები (გ. გოგოლაშვილის რედაქციით), თბილისი

გოგებაშვილი 1990ა - გოგებაშვილი ი. (1990ა). *რჩეული თხზულებანი*, ტ. 2 თბილისი, გამომცემლობა „განათლება“

გოგებაშვილი 1990 ბ - გოგებაშვილი ი. (1990 ბ). *თხზულებანი*, ტ.3, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“

გოგებაშვილი 1990 გ - გოგებაშვილი ი. (1990 გ). *თხზულებანი*, ტ.4, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“

გომელი 1980 - GÖSCHEL J. (1980). *Dialekt und Dialektologie. Ergebnisse des Internationalen Symposions "Zur Theorie des Dialekts"*, Wiesbaden

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება 1960 - გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება (1960). ჩვენი საუნჯე, *ძველი მწერლობა*, ტ. I, თბილისი, საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის სახელმწიფო გამომცემლობა

გრირსონი 1927 - Grirsoni G.A.(1927), *Linguistic Survey of India*, vol. I, Calcutta

გუუსენსი 1977 - GOOSSENS J.(1977). *Deutsche Dialektologie*. Berlin 1977

დადიანი 2009 - დადიანი (2009). *მეგრულ-ჭანური სიტყვაფორმებისათვის სულხან-საბას „სიტყვის კონის“ მიხედვით*, ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. I, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“

დადიანი, ფუტკარაძე 2016 - დადიანი ე. ფუტკარაძე ტ. (2016). *სილოვან ხუნდაძის „ქართულ გრამატიკაში“ შეტანილი მეგრულ-სვანური მასალის შესახებ*, ქართველური მემკვიდრეობა, XX, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

დადიანი, ფუტკარაძე 2018 - დადიანი ე. ფუტკარაძე ტ. (2018). *ქართველური დიალექტოლოგია*, ტ. I, (სალექციო კურსი)

დავით და კონსტანტინეს მარტვილობა 1960 - ჩვენი საუნჯე, ძველი მწერლობა, ტ. I, თბილისი, საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა

დანელია 1991 - დანელია კ. (1991). *მეგრულ-ჭანური ლექსიკის საკითხები*, ქართული ხალხური სიტყვიერება, II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

დანელია 2008 - დანელია ს. (2008). *ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი*, თბილისი, გამომცემლობა „Carpe Diem“

დაუშვილი 2000 - დაუშვილი ალ. (2000). *დეცენტრალიზაციის პროცესები საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში* (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 1999 წლის გრანტით შესრულებული ნაშრომი), კრებული კლიო

დობორჯგინიძე 2007 - დობორჯგინიძე ნ. (2007). *ქართველური დიგლოსია*: კრ. ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა; თბილისი, ქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს გამომცემლობა

ერკერტი 1895 – Erkert R. (1895). *Die Sprachen des Kaukasischen Stammes*, Wien

ვაჟა-ფშაველა 1964 - ვაჟა-ფშაველა (1964). *თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად*, თბილისი, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო

ვაჟა-ფშაველა 1979 - ვაჟა-ფშაველა (1979). *თხზულებანი*, 2 ტომად, თბილისი, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო

კალანდაძე 1986 - კალანდაძე ა. (1986). *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია*, თბილისი „განათლება“

კრისტალი 2003 – Kristali D. (2003). *Dictionary of Linguistics & Phonetics* (Blackwell)

კრისტალი 1989 - Cristal D. (1989). *The Cambridge encyclopedial of Language*, New York

კონიგი 1978 -. KÖNIG W. (1978). dtv - *Atlas zur deutschen Sprache*. Tafeln und Texte. München

ლაბაძე 2013 - ლაბაძე მ. (2013). *დიგლოსია თანამედროვე იტალიაში (პარალელები ქართულ ენობრივ სამყაროსთან)*, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, ტ. II, თბილისი, გამომცემლობა ქართული უნივერსიტეტი

ლაბაძე 2014 - ლაბაძე მ. (2014). *ენისა და კილოს გამიჯვრის პრობლემა 1*, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XVIII, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ლაბაძე 2016 - ლაბაძე მ. (2016). *ენისა და კილოს გამიჯვრის პრობლემის სისტემურ-სტრუქტურული კრიტერიუმების კრიტიკული ანალიზი*, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XX, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ლაბაძე 2017 - ლაბაძე მ. (2017). *აუსბაუ-პარადიგმა და დაქვემდებარებითი კრიტერიუმი*, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XXI, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ლიოფლერი 1974 - LÖFFLER H.(1974). *Probleme der Dialektologie*. Eine Einführung. Darmstadt

მარი 1913 - Марр Н. (1913). *Изпоездоқвсваниу, Христианский Восток*, т. II, вып. I, СПб.,

მარი 1905 - მარი ნ. (1905). *ქართველთა ეროვნება*, ქუთაისი

მარკოზია ნ. (2015). *ენობრივი სიტუაცია XX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში (ამავე პერიოდის პრესის მასალების მიხედვით)*, დისერტაცია, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

მიულერი 2003 - Müller J. (2003). *Der Mittelschwäbische Dialekt am Beispiel der Urbacher Mundart*, beim ibidem-Verlag, Stuttgart

ნაჭყებია 2005 - ნაჭყებია მ. (2005). *მეგრულისა და ლაზურის ურთიერთმიმართების საკითხისათვის*, ქართველოლოგიური კრებული, IV, თბილისი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამომცემლობა

ნებიერიძე 1965 - ნებიერიძე გ. (1965). *фонологический анализ вокализма грузинского языка*, Автореферат канд. диссертации, Тб.,

ნებიერიძე 1999 - ნებიერიძე გ. (1999) *ენათმეცნიერების შესავალი*, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“

ონიანი 1978 - ონიანი ა. (1978) - *ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები*, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“

ონიანი 2003 - ონიანი ა. (2003). *ენა და დიალექტი (ქართველური დიალექტები თუ ქართველური ენები?)*, ენათმეცნიერების საკითხები, № 1, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ონიანი 2003 - ონიანი ა. (2003). *ისევ ქართველური ენებისა და დიალექტების შესახებ*, ენათმეცნიერების საკითხები, № 2, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ჟორდანია 1976 - ჟორდანია ალ. (1976). *ორენოვნების საკითხი ეგვიპტეში: მაცნე (ენა-ლიტ. სერია)*, №4, თბილისი

ჟორდანია 1976 - ჟორდანია ალ. (1976). *დიგლოსიის ზოგიერთი ასპექტები არაბულში, ქართულსა და გერმანულში*, ქართველოლოგიის პრობლემები 1, გამომცემლობა ქართული უნივერსიტეტი

ჟორდანიას 1913 - ჟორდანიას თ. (1913). *ვინ დაიცვა ქართული ენა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში?* ქუთაისი, სტამბა „ძმობა“

რამიშვილი 2000 - რამიშვილი გ. (2000). *დედაენის თეორია, მისი ფუნქციები და სწავლება*, თბილისი, გამომცემლობა „ერონოგრაფი“

როზენი 1844 – Rosen G. (1844). „*Über die Sprache der Lazen*“

როზენი 1846 - Rosen G. (1846). *Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische*, Berlin

სტალინი 1951 - სტალინი ი. (1951). *მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი*, თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი“

სულხან-საბა ორბელიანი 1991, 1993 - სულხან-საბა ორბელიანი. (1991, 1993). *ლექსიკონი ქართული*, ტ. I, ტ. II, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“

ტაბიძე 1999 - ტაბიძე მ. (1999). *ენობრივ საკითხებზე გამართულ პოლემიკათა სოციოლინგვისტური ასპექტები (ქართულ სინამდვილეში)*: ქუთაისური საუბრები, საერთაშორისო სიმპოზიუმი, VI, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ტაბიძე 2000 - ტაბიძე მ. (2000). *ტერმინოლოგიური სიმბოლოები და ენობრივი პოლიტიკა საქართველოში. XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები*, ზუგდიდი

ტაბიძე 2002 - ტაბიძე მ. (2002). *ენობრივი პოლიტიკის საკითხები ქართულ სინამდვილეში; ენა - კულტურათა შეხვედრის, კულტურათა ურთიერთგავლენის, კულტურათა ბრძოლის სარბიელი*, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. VI, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ტაბიძე 2005 - ტაბიძე მ. (2005). *ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები*, თბილისი, გამომცემლობა „ქართული ენა“

ტაბიძე 2015 - ტაბიძე მ. (2015). *სოციოლინგვისტიკა (მასალები სალექციო კურსისათვის)*, თბილისი, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

ტაბიძე 1987 - ტაბიძე ნ. (1987). *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია*, ტ. 5, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“

ფაღავა, 2004 - ფაღავა მ. (2004). *ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა*, ავტორეფერატი, ბათუმი

ფუტკარაძე 1998 - ფუტკარაძე ტ. (1998). *თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა*, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი

ფუტკარაძე 2000 - ფუტკარაძე ტ. (2000). *ღვთისმსახურების ენა - „ყოველთა ქართველთა“ ერთიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავრი ფაქტორი (ოფიციალური ენისა და დიალექტების მიმართების საკითხისათვის)*, ქუთაისური საუბრები - VII, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ფუტკარაძე 2000 - ფუტკარაძე ტ. (2000). *საერთოეროვნული სალიტერატურო ენისა და საშინაო სამეტყველო კოდების მიმართების საკითხი ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მიხედვით*, XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ზუგდიდი

ფუტკარაძე 2000 - ფუტკარაძე ტ. (2000). *საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის ისტორიული დინამიკისათვის*, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. IV, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ფუტკარაძე 2001 - ფუტკარაძე ტ. (2001). *ქართველები, ზოგადქართული სამწიგნობრო ენა და ქართველთა დიალექტები*, ქუთაისური საუბრები, ტ. VII, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ფუტკარაძე 2001 - ფუტკარაძე ტ. (2001). *ფუტკარაძე, ქართველთა დიალექტების დაჯგუფებისათვის*: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XII, მასალები, თბილისი

ფუტკარაძე 2002 - ფუტკარაძე ტ. (2002). *დიალექტი, უმწერლობო ენა და საერთოეროვნული სამწერლობო ენა*. მასალები ქართველოლოგიური სიმპოზიუმისა, ქუთაისური საუბრები IX, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ფუტკარაძე 2003 - ფუტკარაძე ტ. (2003). *მონათესავე ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის პრობლემა და ქართველური დიალექტების დაჯგუფების საკითხი, ენათმეცნიერების საკითხები, № 1, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა*

ფუტკარაძე 2004 - ფუტკარაძე ტ. (2004). *ენისა და კილოს გამიჯვნის სამეცნიერო პრობლემის განხილვა თუ?* ენათმეცნიერების საკითხები, № 1, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ფუტკარაძე 2005 - ფუტკარაძე ტ. (2005). *ეთნოლინგვისტური ტერმინები და ევროპული ქარტია უმცირესობათა ენების შესახებ*, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ფუტკარაძე 2005 - ფუტკარაძე ტ. (2005). *ქართველები, ნაწილი I*, ქრისტიანობამდელი ეპოქა, ქუთაისი, „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ გამომცემლობა

ფუტკარაძე 2006 - ფუტკარაძე ტ. (2006). *ქართული ენის ისტორია* (პროფ. ტ.ფუტკარაძის საერთო რედაქციით), ქუთაისი, „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ გამომცემლობა

ფუტკარაძე 2006 - ფუტკარაძე ტ. (2006). *სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობრო ენისა*, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“

ფუტკარაძე 2007 - ფუტკარაძე ტ. (2007). *ქართული სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი ერთეულის საკითხისათვის*, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვეობა (პირველი კრებული), თბილისი, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს გამომცემლობა

ფუტკარაძე 2008 - ფუტკარაძე ტ. (2008). *ქართველთა დედაენა და დიალექტები*, ქუთაისი, პედაგოგიური ინსტიტუტის გამომცემლობა „ლამპარი“

ფუტკარაძე 2009 - ფუტკარაძე ტ. (2009). *ქართველური დიალექტების კლასიფიკაციის კრიტერიუმებისათვის*, ქართველურ ენა-კილოთა განდასების საკითხები, ქუთაისი, ქუთაისის სასწავლო უნივერსიტეტი „ლამპარის“ გამომცემლობა

ფუტკარაძე 2009 - ფუტკარაძე ტ. (2009). *I-VI საუკუნეების ქართლის სამეფოდ დასავლეთი ნაწილი (ეგრისი, სუანეთი, მარგვეთი, არგუეთი...)* ლინგვო-კულტურული თვალსაზრისით („ქართლის ცხოვრების“ მიხედვით), ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XIII, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ფუტკარაძე... 2010 - ფუტკარაძე ტ. დადიანი ე. შეროზია რ. (2010). *„ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“ და საქართველო*, განათლების ეროვნული ინსტიტუტი, ქუთაისი, ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი

ფუტკარაძე 2011 - ფუტკარაძე ტ. (2011). *ვაჟა-ფშაველა ქართული სამწიგნობრო ენის, ანბანისა და ქართველური დიალექტური ლექსიკის შესახებ*, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XV, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ფუტკარაძე 2011 - ფუტკარაძე ტ. ვაშაკიძე ი. (2011). *ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა (1917-1935 წლებში)*, თბილისი

ფუტკარაძე 2011 - ფუტკარაძე ტ. (2011). *ეთნოლინგვისტურ ტერმინთა პოლიტიზაციის სათავეები და მოწინავე ქართული აზრი*, ენისა და კილოს საკითხი ქართველოლოგიაში, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“

ფუტკარაძე 2011 - ფუტკარაძე ტ. (2011). *საერთო ეროვნული სალიტერატურო ენისა და „საშინაო“ სამეტყველო კოდების მიმართების საკითხი ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური დიალექტების მიხედვით (სამეტყველო კოდების იერარქიისათვის)*, XX დიალექტოლოგიური რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი

ფუტკარაძე 2011 - ფუტკარაძე ტ. (2011). *1790 წლის „ივერიელთა ერთობის ტრაქტატის“ ტექსტის სემანტიკური ანალიზი (ყოველნი ივერიელნი; ზემო და ქვემო ივერიის ქვეყანანი; ერთისა ენისა მქონებელნი; მავასხელობითი/მავასხელობითი სიყვარული)*; ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, III, ქუთაისი, საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“

ფუტკარაძე 2012 - ფუტკარაძე ტ. ვაშაკიძე ი. (2012). *ილია ჭავჭავაძის ენობრივი კონცეფციის ძირითადი ასპექტები*, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XVI, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ფუტკარაძე 2014 - ფუტკარაძე ტ. (2014). *ქართველოლოგიის შესავალი*, თბილისი, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

ფუტკარაძე 2016 - ფუტკარაძე ტ. (2016). *ენისა და კილოს გასამიჯნი კრიტერიუმები და ქართველურ იდიომთა კვალიფიკაციის პოლიტიზების რეტროსპექტივა*, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტ. VII, თბილისი, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

ფუტკარაძე, დადიანი 2017(ა) - ფუტკარაძე ტ., დადიანი ე. (2017ა). *ქართველურ ენობრივ ვარიანტთა (ქვესისტემათა) კვალიფიკაცია და კლასიფიკაცია*, ქართული უნივერსიტეტის შრომები, ტ. III, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

ფუტკარაძე, თედორაძე, 2017(ბ) - ფუტკარაძე ტ., თედორაძე მ. (2017ბ). *დისკუსია მეგრული მეტყველების სტატუსის შესახებ XX საუკუნის 20-30-იან წლებში*

/თანამედროვე კონტექსტით/, სამეცნიერო კრებული: „ქართველოლოგიის აქტუალური საკითხები“, VI, თბილისი გამომცემლობა ქართული უნივერსიტეტი

ფუტკარაძე, დადიანი, თედორაძე 2018 - ფუტკარაძე ტ., დადიანი ე., თედორაძე მ.(2018). *აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა სკოლაში მეგრულად და სვანურად სწავლების წინააღმდეგ /ქართველური ქვესისტემების ადგილი საქართველოს საჯარო სკოლებში/*, საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის IX სამეცნიერო კონფერენციის მასალები

ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა თქმულნი 1870 – 1884 წლებში, ტ. II, ქუთაისი 1913

ქართველური ენები და დიალექტები 2007 - ქართველური ენები და დიალექტები (2007). რედაქტორი მ. მანჯგალაძე, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“

ქართლის ცხოვრება 2008 - ქართლის ცხოვრება (2008). რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული სამართლის ძეგლები 1965 - ქართული სამართლის ძეგლები (1965). ტ. 2, გამომცემელი ი.დოლიძე, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“

ქეგლი 1953 - ქეგლი (1953). ტ. III, თბილისი, საქართველოს სსსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

ქუთათელაძე ნ. (2017). სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის პრინციპები ქართულსა და გერმანულ ენებში, სამაგისტრო ნაშრომი, ქუთაისი

ქურდიანი 1996 - ქურდიანი მ. (1996). *ენა და დიალექტი საკუთრივ ლინგვისტური და სოციოლინგვისტური თვალსაზრისით*, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების III სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი (მუშაობის გეგმა და თეზისები)

ქურდიანი 1999 - ქურდიანი მ. (1999). *სვანთა და მეგრეთა ქართული მეტყველების საკუთრივ ლინგვისტური სტატუსის შესახებ*, XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ახალციხე

ქურდიანი 2007 - ქურდიანი მ. (2007). *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები*, თბილისი

ღლონტი 1984 - ღლონტი ალ. (1984). *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*, თბ., გამომცემლობა „განათლება“

ყოფშიძე 1914 - Кипшидзе И. (1914). *Грамматика мингрельского (иверского) языка как хрестоматией и словарем*, С.П.,Тб.,

შანიძე 1935 - შანიძე ა. (1935). *ძველი ქართული ენა და ლიტერატურა*, აკ. შანიძის რედაქციით, მეორე გამოცემა, ტფილისი, სახელმწიფო გამომცემლობა

შანიძე 1973 - შანიძე ა. (1973). *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, ტ. I, მორფოლოგია, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

შანიძე 1976 - შანიძე ა. (1976). *ძველი ქართული ენის გრამატიკა*, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

შარაძენიძე 1958 - შარაძენიძე თ. (1958). *ენათა კლასიფიკაციის პრინციპები*, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

შეროზია 2007 - შეროზია რ. (2007). *ქართველური სალიტერატურო ენისა და სულხან-საბას „სიტყვის კონის“ ზოგადი საკითხისათვის*, ქართველური მემკვიდრეობა, XI, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

შმელერი 1821 - Smeleri J. (1821). *Die Mundarten Bayerns: grammatisch dargestellt*, München

ჩიქობავა 1938 - ჩიქობავა არნ. (1938). *ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი*, ტფილისი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა

ჩიქობავა 1952 - ჩიქობავა არნ. (1952). *ენათმეცნიერების შესავალი*, თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ჩიქობავა 1965 - ჩიქობავა არნ. (1965). *იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია*, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“

ჩუხუა 2003 - ჩუხუა მ. (2003). *ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი*, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“

ცაგარელი 1872 - Цагарели А. (1872). *Сравнительный обзор морфологии иберийской Группы кавказских языков*; СПб

ცაგარელი 1880 - Цагарели А. (1880). *Мингрельские этюды*, I-II, С.-П.

ციციშვილი 2007 - ციციშვილი გ. (2007). *მაფალუ (დოკუმენტები და კომენტარები)*, წიგნი I, თბილისი, გამომცემლობა „ცოდნა“

მიმიგური 1935 - Дзидзигური Ш. (1935). *Опыт классификации диалектов грузинского языка, Тезисы на степень кандидата наук*). Академиянаук Союза ССР

მიმიგური 1935 - მიმიგური შ. (1935). *ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან*, თბილისი

მიმიგური 1975 - მიმიგური შ. (1975). *საენათმეცნიერო ძიებანი*, თბ., გამომცემლობა „მეცნიერება“

წერეთელი 1990 - წერეთელი ა. (1990). *პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები* (რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად), თბილისი, გამომცემლობა „საქართველო“

ჭავჭავაძე 1953 - ჭავჭავაძე ი. (1953; 1955; 1955-ა; 1956), თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი“

ჭავჭავაძე 1960 - ჭავჭავაძე ი. (1960) *სხვადასხვა ამბავი*, ჟურნალი „ცისკარი“, №2

ჭავჭავაძე 1987 - ჭავჭავაძე ი. (1987). ი.ჭავჭავაძე, *რჩეული ნაწერები* ხუთტომად, ტ. IV, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

ჭავჭავაძე 1999 - ჭავჭავაძე ი. (1999). *რჩეული ნაწერები* ხუთ ტომად, ტ. 5.

ჭავჭავაძე 2006 - ჭავჭავაძე ი. (2006). *გიმნაზიის ერთი დიდი ნაკლი*, თბზულენაბი, ტ. 10. თბილისი

ჭარაია 1997 - ჭარაია პ. (1997). *მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან (მასალა)* - წიგნში: პ.ჭარაია მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

ხაჭაპურიძე 2009 - ხაჭაპურიძე ლ. (2009). *იაკობ გოგებაშვილი ქართველთა სათემო კილოების შესახებ*, ქართველურ ენა-კილოების განდასების საკითხები, ქუთაისი, ქუთაისის სასწავლო უნივერსიტეტი გამომცემლობა „ლამპარი“

ჯავახიშვილი 1979 - ჯავახიშვილი ივ. (1979). *ქართველი ერის ისტორია*, ტ. I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ჯაფარიძე 2002 - ჯაფარიძე ა. (2002). *ქართული საეკლესიო ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი)*, თბილისი

ჯორბენაძე 1989 - ჯორბენაძე ბ. (1989). *ქართული დიალექტოლოგია*, I, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“

ჯორბენაძე 1995 - ჯორბენაძე ბ. (1995). *ქართველურ ენათა დიალექტები*, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ჯორბენაძე 1997 - ჯორბენაძე ბ. (1997). *ენა და კულტურა*, თბილისი

გ. პრესის მასალები:

- გეგეჭკორი ა. (1925). *იანოვსკი-ვოსტორგოვის ღირსეულ მემკვიდრეებს*, გაზ. „კომუნისტი“, №203
- დადიანი ნ. (1887). *ფელეტონი კაი ხუმრობაა!!* - გაზ. „ივერია“, №39
- ესეც ვითომ მეცნიერებაა!*, 1885 - გაზ. დროება, №63
- თოფურიძე დ. (1925). *„სამეგრელო და აშორდისტები“* გაზ. „კომუნისტი, №211
- კვარაცხელია მ. (1925). *„უპასუხისმგებლო გამოსვლების შესახებ“* გაზ. „კომუნისტი, №212
- კორტოხა, *წერილი რედაქციისადმი*, 1885 - გაზ. დროება, №67
- მარგიანი ი. (1893). *სვანური ენის შესახებ* - გაზ. „ივერია“, №188
- მასხულია ვ. (1891). *მეგრულს ენაზე წერა-კითხვის გამოგონებისა გამო* გაზ. „ივერია“, №26
- მასხულია ვ. (1925). *„სამეგრელოს ავტონომისტების საპასუხოდ“* გაზ. „კომუნისტი, №211
- მეგრელებისათვის ძალად „მზრუნველი“*, 1885 - გაზ. დროება, №46
- მეგრელი, (1885). *კიდევ მეგრული ენის თაობაზე, წერილი რედაქციისადმი*, - გაზ. დროება, №53
- „მწყემსი №9“* (1889). *მეგრულს ენაზე ლოცვებისა და წირვის წესის გადათარგმნის გამო* - გაზ. „ივერია“, №115
- ნანეიშვილი ალ. (1889). *მეგრული ენის შემოღების საკითხი სკოლებსა და ეკლესიაში, აშორდიას მიერ ლოცვების თარგმნა მეგრულად* - გაზ. „ივერია“, №91
- ნიჟარაძე ბ. (1891). *ფელეტონი - საბიბლიოგრაფიო შენიშვნა* - გაზ. „ივერია“, №125
- ნიჟარაძე ბ. (1891). *ქართული ენის გავრცელება სვანეთში* - გაზ. „ივერია“, №126
- ნოქალაქევი, (1885). *წერილი რედაქციისადმი*, 1885 - გაზ. დროება, №63

- ქორდანია თ (1905). *ქართული ენა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში*, გაზ. „ივერია“ №39
- ქორდანია თ. (1913). *ქართული ენისთვის ბრძოლა 1882-1910 წლებში*, ჟურნალი „განთიადი“
- სახოკია თ. (1925). *თედო სახოკიას მოხსენება* - გაზ. „კომუნისტი, №219
- სენაკელი ტ. კ-ლი (1904). *მეგრული ენის გამო* - გაზ. „ივერია“, №165
- ფოთი, შენიშნვა, 1885. გაზ. დროება, №54
- ყიფიანი დ. (1880). *„ბატონ იანოვსკის ორგვარი შეცოდება“* გაზ. „დროება“, №262
- შინაური ქრონიკა (1885). გაზ. დროება, №79
- შინაური ქრონიკა, *დაბა ხონიდან გვატყობინებენ* (1884). გაზ. დროება, №201
- შინაური ქრონიკა (1885). გაზ. დროება, №196
- შინაური ქრონიკა (1878). გაზ. დროება, №3
- შოგირაძე ბ. (1925). *„ახალი აღმოჩენა“* გაზ. „კომუნისტი, №213
- ჩინჩალაია (იგივე ჩინჩალაძე) (1885). *ხმა ერისა - ხმა ღვთისა*, გაზ. დროება, №64
- ჩიქობავა არნ. (1958). *„ჩვენი დედაქალაქი და ჩვენი ენა“* გაზ. „კომუნისტი“, №238
- ჩიქობავა არნ. (1969). *„არ დავივიწყოთ დედაენა“* გაზ. „სამშობლო“, 22 აგვისტო
- ჯანაშვილი მ. (1916). *ქართული ენა და ქართველები - ლაზური კილო და არა ენა*, ჟურნალი „განათლება“, №2
- ჯორბენაძე ბ., კოდუა ე., მუსხელიშვილი დ., (1988). *მეტი კომპეტენტურობა საჭირო*, „ლიტერატურული საქართველო“, №33,
- ჯორბენაძე ბ. (1989ბ). *განუკითხავი ჩარევა*, „ლიტერატურული საქართველო“, №29
- ჰიუიტი ჯ. (1989). *უცხოელის დაკვირვებანი აფხაზებისა და ქართველების დამაბულ ურთიერთდამოკიდებულებებზე*, „ლიტერატურული საქართველო“, №29
- დ. საარქივო დუკუმენტები:**
- შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ.14, აღ. 6. ს.266, ფურც. 47
- შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ.14, აღ. 6. ს.266, ფურც. 48
- შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ.14, აღ. 6. ს.266, ფურც. 98
- შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 103
- შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ.14, აღ. 6. ს.266, ფურც. 104

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ.14, აღ. 6. ს.266, ფურც. 230
შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ.14, აღ. 6. ს.266, ფურც. 221
უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღ.3, ს. 486, ფურ.1-3,12
უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 300, აღ.12, ს. 26, ფურც. 1-6
უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 300, აღ.12, ს. 26, ფურც. 44-47
უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 300, აღ.12, ს. 26. ფურც. 63-123